

ვაჟა-ფშაველა  
VAZHA-PSHAVELA



დროშა  
FLAG

3

მამუკა ცურცუმია  
MAMUKA TSURTSUMIA



სახანი მემატინის ცენტრა  
XII საუკუნის ქართული დროშის გესახებ  
PERSIAN CHRONICLER ON THE 12<sup>TH</sup> CENTURY  
GEORGIAN STANDARD

19


žeљko heimer  
ŽELJKO HEIMER



ხორვატიის თანამდებოვანი მუნიციპალური  
დროშების ისტორიული ცარმლობა  
HISTORICAL ORIGINS OF THE CONTEMPORARY  
CROATIAN MUNICIPAL FLAGS

22

ზურაბ კიკნაძე  
ZURAB KIKNADZE



დროშა  
FLAG

61

ზაქარია კიკნაძე  
ZACHARY KIKNADZE



ევროპის ჯვრები  
CROSSES OF EUROPE

66

თორნიკე ასათიანი  
TORNIKE ASATIANI



სამხარეო და საქალაქო გერბიების  
განვითარება ძართულ პრიულისა და  
DEVELOPMENT OF GEORGIAN  
CIVIC COAT OF ARMS

74

ირაკლი ფაღავა  
IRAKLI PAGHAVA



ჰერალდიკური იქონოგრაფია XVII-XIX სს-ის  
თანამდებობის საილენტის მონეთებზე

HERALDIC ICONOGRAPHY OF THE  
17<sup>TH</sup>-19<sup>TH</sup> CENTURIES TIFLIS COPPER COINS

90

დავით კლდიაშვილი  
DAVID KLDIASHVILI



ძარღული სამინისტრო ისტორიული გერბები  
HISTORICAL TERRITORIAL COATS  
OF ARMS OF GEORGIA

98

გიორგი ლობჯანიძე  
GIORGİ LOBJANIDZE



იმერეთის სამეფოს ჰერალდიკა  
1800-1810 წლებში  
HERALDRY OF IMERETI KINGDOM  
IN 1800-1810

103

ნიკო ჯავახიშვილი  
NIKO JAVAKHISHVILI



თამარ მეფის ორდენი (პირველი  
ძარღული ორდენის ისტორიიზან)  
ORDER KING TAMAR (FROM THE HISTORY  
OF THE FIRST GEORGIAN ORDER)

110



თანამედროვე ქართული  
მუნიციპალური სიმბოლოები  
CONTEMPORARY GEORGIAN  
MUNICIPAL SYMBOLS

126

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი მამუკა გონგაძე  
მთავარი რედაქტორი დავით ჩხეიძე  
სარედაქციო კოლეგია: მირიან კიკაძე, თამთა მელელაშვილი  
ტექნიკური უზრუნველყოფა სანდრო რუხაძე; რედაქტორი თამარ ღონლაძე  
დიზაინი: ინგა გაბაშვილი, სოფო გოგოლაძე; დამკაბადონებელი ირმა უკლება  
გამომცემლი: საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
[www.heraldika.ge](http://www.heraldika.ge), e-mail: [heraldika@parliament.ge](mailto:heraldika@parliament.ge)

© საავტორო უფლებები დაცულია. სტატიაში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.  
ურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.  
ISSN 2298-0261

## დოკუმენტი

|


დღეობა იყო, გიორგობა. დიდრონი ხეპით დაჩრდილული მწვანე ფერდობი თავიდან პოლომდე სალოცავად მოსულ ხალხს დაეჭირა: კაცი, ქალი, ბალლი ერთი-ერთმანეთში ირეოდა ბუზებივით. ისმოდა „გარმონის“ წრიპინი, ზურნის ჭუჭუნი, სტვირის დვრინგა-დუდუნი. ამ წმინდა ადგილს წელში მხოლოდ ერთხელ, ერთ დღეს, მიერგებოდა გალვიძება, გამხიარულება, დაეტყობოდა სიცოცხლე. დიდებული ნანგრევები ციხე-კოშკებისა, დახავსებული ლოდები თავმომწონედ, ამაყად გამოიყურებოდენ, თითქოს მლოცავებს ეუბნებოდენ: „როგორი ბიჭები ვართ, ვერ მოგიყვანეთ ჩვენ ჩვენ სალოცავადაო?! გვიყურეთ, კარგად გაგვიკანით, ვინა ვართ, რა ძალი გვაქვს, რა დროისანი ვართ!.. ვინ იცნობს ან ვინ გაიგებს? ვინ იცის, რომელ სუკუნეში ჰყვაოდა ეს ადგილი დიდებულად, იყო სიმაგრე თავშესაფარი ხალხისა, ფიზიკურად დამცველი ერის სიცოცხლისა, – ამის პასუხს ვერავისგან მიიღებ, – ხოლო დღეს ეს ადგილი თავის ნანგრევებით შექმნილა ხალხის სულიერ, ზნეობრივ აღმზრდელად. ერმა თუ ამ წმინდა ადგილის ისტორია კარგად არ იცის, არ არ საჭირო დააჯერო ხალხი და უქადაგო, რომ ეს ადგილი წმინდაა, ღირსი ხსოვნისა, პატივისცემისა, რადგან თვითვეულ მათგანს დიდად სწამეს, ამ ნანგრევებში, ამ დახავსებულ ლოდებ შორის ძლიერი, ყოვლადშემძლებელი ღვთიური სული განისვენებს და თხოულობს ყველა იმათგან, ვის წინაპართაც ულოცნიათ ეს სალოცავი, შთამოებამაც ილოცოს – მიართვას ძლვენი – ხარი თუ ცხვარი, სანთელი, ქადა-ხმიადი, რათა არ მოევლინოს ხატის რისხვა, არ „მოამიზეზოს“.

თქვენ იკითხავთ: თუ ნამდვილი ხატია, ნამდვილი სალოცავი, ქრთამები იმისთვის რა საჭიროა, ან ამდენი ლოცვა-ცედრებაო, საიდან სად მლოცავთა სიარული, მგზავრობა, ათას-ნაირ დაბრკოლებასთან შეერთებული და სხვ.? თქვენ ასე ჰქიქრობთ, ხოლო ხატს რომ ჰკითხოთ, სრულიად სხვა პასუხს მოგცემთ. აი რას: თუ ამნაირად არ დავიჭირე თავი, ასეთი წესი არ დავადგინე, ხალხი გაბრიყვდება და როდი-ლა ინამებს უხილავს ძალას, რომლის დანახვაც თვალით არ შეუძლიან, ცის ხმაც თუმც მუდამ ესმის, მაგრამ არ ეყურებაო, ჩემს მლოცავს პატივისცემა მარტო ნივთიერად ესმის და არა სიტყვიერად; სიტყვიერი უნდა ნივთიერმა შეა-მოწმოს...

დღეს ეს წმინდა ადგილი დაღონებულია, როგორც თვით მლოცავი, რადგან ძველებურად ლოცვის ნებას აღარ აძლევენ. რაც ეს სალოცავი დაარსდა, მას შემდეგ მის მსახურად ხევის-ბერები და დასტურები იყვნენ. თავისებურად ქრისტიანულად ასრულებდენ ქრისტიანულ წესებს, თავისებურად ჰმწყსიდენ სამწყსოს. ხატის ავტორიტეტი იქამდის ასნიეს, ზოგ მლოცავს ძღვნად 50-60 მან. ღირებული კურატი მოჰყავდა; რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო, 10 მან. ღირებულ ხარჯს მაინც გასწევდა თავის სალოცავის გულისათვის. გახსოვდეთ ესეც, ამ ადგილას საყდრისა ნიშანწყალიც კი არსად მოიპოვება, თვით წმინდა გიორგის სურათიც კი არსად არი. მაგრამ ეს როდი უშლიდა ყოველი მლოცავის გულში ალბეჭდილიყო წმინდანის სურათი; იგი უკრთოდა თვალებს წინ ისეთი, როგორიც თავად მოსწონდა, როგორიც საკუთარ ოცნებას შეაძლო წარმოედგინა; ხოლო ეს თვით წმინდა გიორგი უხილავად დაჰქროდა ამ ნანგრევთა



ლაგარის ჯვარი, საზარე კოშპი



სოფ. გუდანი, გუდანის ჯვრის საღმრთო დროშები

მუხა-იუნების შორის. ბებერ მუხებს და იუნებს ხალხი როდი სწუნობდა, არამედ ეთაყვანებოდა სწორედ ამ სიბერისათვის.

დღესნამდე ამ სალოცავის ნანგრევთა შორის მარტოდმარტო ხევის ლოცვა-კურთხევა გაის-მოდა, მისი უფლება იყო გაბატონებული, დღეს კი ამ უფლებას შემუსვრას უპირობენ.

— ღვთისმსახურება, თვინიერ მღვდლისა, არ-ავის არ შეუძლიან შეასრულოსო, ქრისტიანები ქრისტიანულად უნდა იქცეოდენ, ქრისტიანულ წესებს უნდა ასრულებდენ. რაც მღვდელმა აკურთხოს, ის უკვე ნაკურთხია ღვთისაგან. ვი-ნაა ხევისბერი? ვიღაც ოხერტიალი ტეტია, რო-მელსაც არაფერი ღვთის განაჩენი არ გაეგება. სწორედ პირველის წერაც კი არ იცის, ლოცვას ვერ გეტყვით. აბა, თუნდ საცდელად ვკითხოთ, უმთავრესი ლოცვები ხომ მაინც უნდა იცოდეს, როგორც, მაგ., „მამაო ჩვენო“, „მრნამსი“ და სხვ. — ეუბნებოდა მამა თევდორე მის გარშე-მო შეგროვილს ხალხსა, — მთავრობამ შეიტყო ეს უნესოება და პოლიცია იმიტომ გამომზავნა. რამოდენას გელაპარაკებით, გარიგებთ და ვე-რაფერი გაგაგონეთ, თქვე მამაცხონებულებო, ეხლა თავად აგეთ პასუხი, მე უცოდვო ვიყო, —

განაგრძობდა თევდორე მღვდელი და თან პი-ლატესავით ხელებს იბანდა. ბრალს თავიდან იცილებდა. თუმც ბრალდება, ყველამ კარგად იცოდა, არსაიდან ასცდებოდა; დიდი და პატარა დარწმუნებული იყო, რომ პოლიცია მღვდელმა მოაყვანინა და საბეზლარიც ხევისბერზე მღვდ-ლისაგან იყო გაგზავნილი. — ეკლესია, წმინდა ეკლესია, სახლი ღვთისა დაგივიწყნიათ, ის ჭი-რივით გეჯავრებათ და ამ ყორებს კი ხატი-ვით ჰლოცულობთ, მსხვერპლსა სწირავთ? რა არის ეს, თუ არ კერპთაყვანისცემა?! მერე თუ დროშაც დაინახეთ, გაიგონეთ ზანზალაკების ხმაურობა, პირქვე უმხობით, ჯვარი და სახარება რა სახსენებელია?! კლდეზე რომ გადისროლოს ხევისბერმა, თქვენც დროშას თან გადაჰყვებით; ის კი არ იცით, თქვე უბედურებო, რომ ზანზა-ლაკები, რაც თქვენს დროშებს აბია, მოქარავნე თათრების აქლემებს ყელზე ჰკიდიათ. არ გინა-ხიათ აქლემების ქარავანი? — ამბობდა განრის-ხებული მამა თევდორე.

ამ დროს, ერთის ვერსის მანძილზე, ლურჯ ცხენზე ამხედრებული, ბრჭყვიალალილებიან სამოსელში გამოწყობილი, გვერდზე ხმალჩამო-კიდებული, ვეებერთელა კაკარდიანის ქუდით,

დარაჯების თანხლებით, მოქმურებოდა ბოქაული დღეობაში, რათა დაეცვა მშვიდობიანობა დარღვევისაგან და, თუ დაირღვეოდა, აღედგინა იგი; დაეცვა მამა თევდორე ხევისბერთა უწესო ქცევისაგან, ხოლო რჯული ქრისტესი – შებლალვა-წაბილწვისაგან.

მამა თევდორე რომ ქადაგებდა, ხევისბერები და დასტურები<sup>1</sup> თავისთვინ სამლოცველოში შეკრებილიყვნენ და ბჭობდენ იმაზე, თუ რა პასუხი მიეცათ ბოქაულისთვის, რით ემართლათ თავი, რა გზით დაეცვათ ძველი მამა-პაპის ჩვეულება და თავიანთ ვინაობა, ღირსება. უფროსი ხევისბერი, ბეკი, ყურს არ უგდებდა ბევრად თანამოძმეთა თათბირს და თავის გულში ფუდუნებდა: – „არა უშავ რა ნისქვილსა, შემობრუნდება – დაჲქევაგსა!“ მღვდლებისა ბევრი იერიშები გვინახავ მე და ჩემს დროშას, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლეს. „ისივ ვაჟია ამირან, გუშინ რო ჩამუქარიბდა, ბევრი არცა-რა ფეხთ ეცვა, არცა-რა ტანს უფარობდაო!... – ამბობდა ბეკი ამ სიტყვებს და თან თეთრ მიტყალში მძიმედ, სასოებით ახვევდა დროშას, რომ მომავალ მტერს არ დაენახა იგი. ტარი დროშას ბეკმა ძალიან დაუპატარავა, რომ პოლიციის პირთაგან ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო მისი დამალვა; გუმბათზე მობმულ შუბის მაგივრად ჯვარი გააკეთებინა, რომ მტრები შეპრიგებოდენ დროშას და აღარ ცდილიყვნენ მის წარტყვევნას, დროშის ტარების ჩვეულების აღმოფხვრას. წმინდა გიორგის კულუხს<sup>2</sup> როგორ შეიძლებოდა ბეკი დროშით არ გასძლოლდა წინ ცხენიანი, ნაბადმოხვეული, – აუარებელ ხალხს, – კაცსა და ქალსა, ბარიდან მთაში! და აი, ამ დროს მუდამ თადარიგით იქცეოდა: თუ საშიშ ადამიანს დაინახავდა, დროშას ნაბდის კალთას აფარებდა, არა სცხვენოდა ასეთ კეკემალულაობისა დიდებული დროშის დამტარებელს. „რა ქნას კაცმა, – იტყოდა ხევისბერი თავის გულში, – ისეთი დროება შაგვექნა, თუ ასე არ მოიქცევი, არ შაიძლება; უნდა ვეცადო, დროშა გადავარჩინო და მტერს არ ჩავუგდო ხელში: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონება“, – დუღუნებდა თავისათვის ბეკი.

არც ერთი დედა შვილს არ გაუფრთხილდება ისე, როგორც ბეკი დროშას უფრთხილდებოდა. მთელი ძალა და დიდება ხატისა და ხალხისა – ბეკის წარმოდგენით, ამ დროშაში იყო შაერთებული. დროშის წალებასთან ერთად წალებული

1 დასტური – (ძვ.) ფშავ-ხევსურეთში ხატის მსახური.

2 კულუხი – ხატისთვის შეგროვებული საჭმელი (ალ. ღლონტი, ქართულ კილო-გამოთქმათა სიტყვის კონა, განათლება, 1984 წ.).

იქნებოდა ფშავის ხევის ილბალი, წასული იყო იმისი საქმე. დროშა სიძეველისა გამო იყო წმინდა, როგორც თვით სალოცავი; იმის ფეხზე სხვა დროშის დაყენება შეუძლებელი საქმეა; ეს ღვთისა და ერის მოტყუილება იქნება, რადგან იმ დროშას არავითარი ძალა არ ექნება. სხვა დროშის ტარებას ბეკი არც იკისრებდა.

– მაშ რას იტყვით, რა გაქვთ პასუხად დამზადებული, რას შაქუცევთ პრისტავს, რო გკითხავს, ე ხევისბერი რას აკეთებსო? – მოუბრუნდა ბეკი და ჰკითხა იქ შეგროვილს დასტურებს, როცა დროშა შეინახა უძინარ ალაგას.

– რასა? – წარმოსთქვა შუათანა ტანის, ჯირკვივით ჩასხმულმა დასტურმა და წვრილი შავი თვალები ელვასავით გააელვა. – ჩვენ ჩვენი ქონება როგორცა გვწადინ, ისე უნდა მოვიხმაროთ; სამდვოთ გვაქვს და ხევისბერი კიდევ ჩვენი თამადაა. რა არის აქ წინააღმდეგი? ეს ადგილი მამაპაპისაგან სამდვოთოდ არის დანიშნული. მღვდელს ჩვენ არ ვირიდებთ, რაც თავის შრომისა ერგება, მიიღოს, ხოლო ჩვენ თავი დაგვანებოს, დაგვაცადოს – ჩვენი საკუთრება, ჩვენი ოფლი, როგორც ჭკვამ გაგვიჭრას, ისე მოვიხმაროთ. მე მთელი ჩემი ქონება მინდა ხევისბერს ვაჩუქო, შენ, ან სხვას რა ჰრჯის, რა ანუხებს? – სთქვა გამახარემ და შუბლზე მოსული ოფლი ბეწვიანი ტყავის ქუდით მოიწინდა.

– ძალიან კარგი. მაინც ჩვენ სუმუდამ მაგას ვამბობთ და ისივაც ეგ უნდა ვთქვათ, – დაასკვნეს ერთპირად.

– ვინიცობაა, მე რო დამიჭირონ, იცოდეთ, დროშა საცა შენახულია, – სთქვა ბეკმა და მიუთითა კედელზე, რომელიც ისე ოსტატურად იყო გაკეთებული, რომ ვერ შეატყობდა უცხო თვალი, თუ იქ სამალავი იქნებოდა.

მლოცავი ჰერდავდა დღეობაში მიმავალს „პრისტავს“, და, რადგანაც გაგონილი ჰქონდათ, ხევისბერებს ხელს აწერინებენ – ამიერიდან აღარ იხევისბერონო და აგრეთვე დაჭერასაც უპირებენო, გულშეუმშული ელოდებოდა ხალხი განგების განჩინებას.

ჯერ ბოქაული არ მოსულიყო ხალხში, რომ ზევით მხრიდან გამოჩნდა თმაგანენილი, გულგადალელი დედაკაცი წივილ-კივილით.

– ქადაგი, ქადაგი! – გაისმა ხმა ხალხში.

ხატს რკინისკვენეტიანთ სალომე გაექადაგებინა. ბოქაულის მოსვლა იმას აინ-ოინში არ მოსვლოდა. იგი მოსთქვამდა ხელების შლითა და საზარელი ოხვა-კვენესითა. ხალხი, დიდი და პატარა, ფეხზე წამოიშალა, გული და თვალი სალომეს მიაპყრო. ქადაგი ხან ხალხისაკენ იზამდა პირს და თან ამბობდა შემდეგს:

– ჰომი, ხორციელნო, ჩემო უნჯნო ყმანო, ჩემო მსახურნო, მე ვარ წმინდა გიორგი. უფლის კარის დარაჯი, სჯულის გულისად სამას სამოცდაშუთად გაჭრილი, იმდენივე ცალად ვარდად ამოსული და ცამდე ასული; იქ ღვთის ხელით მოკრეფილი და დაუჭქნობლად შენახული; ფესვები კი აქ მიდგა ღრმად, საქართველოში; ვის, რომელს სულიერს შაუძლიან იმისი ამოფხვრა იმ უკეთურსა, იმ უგუბურსაო?! ღვთის ფიქრის შაშლაო, ღვთის ხელის მოჭრაო, მე ვარო, ხორციელნო, საქართველოს დოვლათიო, საქართველოს უღურიო<sup>3</sup>. ჩემს მოლალატესა პირქვე დავცემო, თავის ხელით მინას ვაჭმევო, ხორცს ვაგლეჯინებო. დიდი იყოს, თუნდა პატარა, გლეხი, თუნდა თავადიო, არავის შავინყალებ, არავის შავინყალებ, არავის შავარჩენ ჩემის წესის დამრღვევსა, ჩემს მოლალატესაო: დავწვავ, დავდაგავ, ავანთებ, ავაპრიალებო...

ამ დროს ბოქაულიც მოვიდა. კაცები მიეგებნენ, ცხენი ჩამოართვეს, ქადაგი ბოქაულისაკენ მიიჩევდა და ამანაც, ვიდრე ხალხს გამოელაპარაკებოდა, ქადაგს მიაპყრო თვალები.

– ეგ რა არის? რა დაპმართნია მაგ დედაკაცს, გაგიუჟებულა თუ რა არი? ჰომი, ჩენ მოვაჭკვიანებთ, აბა ერთი მაგას კაი-კაი მათახები მოსცხეთ, – უბრძანა ბოქაულმა სტრაუნიკებს, – მაგის წამალი ის არის, ხელად დაჭკვიანდება.

დარაჯებსაც ეს უნდოდათ, გაუტყლაშუნეს მათრახები საწყალს სალომეს, მაგრამ ამაოდ, ქადაგი ამით ვერ ჩამოართვეს, იგი როდი სცხრებოდა; სცხრებოდა კი არა, უფრო ხმამალლა, შემზარვის ხმით გაჰკიოდა:

– ჰომი, პრისტავო, ჰომი პრისტავო! აჸყოვებულხარ წითლად-ყვითლადაო, ალარა გგონავ თუ მოვა ზამთარი და ჩამოგბერტყს მაგ ყვავილებს; იქამდე არ დაგაცლიო. მე ვარ წმინდა გიორგი კოპალისაო, დაგსეტყვ, დაგაბუნდოვებ, შამოგაცლი მაგ სამოსელსა, ვეღარავინ ნახოს შენს ტანზე ფოთოლიც კი, განაღამც ყვავილიო; არ შაგარჩენ ტანზე ტყავესაო, იდგე გამხმარ-გაშეშებული ტრიალ მინდორზე ნარის ჯოყარივითაო<sup>4</sup>.

მამაკაცები დარაჯებს ქუდს უხდიდენ და ემუდარებოდენ: შეწყნარება, შეპრალება მოელოთ საბრალო მანდილოსანზე. მიშველებას კი ერთიც ვერა პპედავდა. ყველას გული კი სისხლში დაცურავდა და თვალები ცრემლში. ხელებზე, ფეხებზე იმოდენა ხალხს ბორკილები დაედოთ, ერთი ვერც ხელის განძრევასა პპედავდა და ვერც ვაჟუაცურად ხმის ამოლებას, გამოჩენილიყო, ნამომდგარიყო და დაეძახა:

<sup>3</sup> უღური – [თურქ.] (ძვ.) ბედი, ილბალი, ბედნიერება.

<sup>4</sup> ჯოყარი – კლერტი.

– რად, რისთვის ჰკლავთ მაგ საცოდავს დედაცსაო?!

მაშინ, შეიძლებოდა, სურათი, დეკორაცია შეცვლილიყო, მაგრამ არა, ყველას ხმა ჩაუწყდა, ენა ჩაუვარდა მუცელში. ხელები დაუდუნდა. რას მივანეროთ, რას დავაძრალოთ ამ გულისმომწყვლელ სურათის მნახველი ერის მდუმარება? ეს თქვენ განსაჯეთ, ხოლო იმას ნუ დაივიწყებთ, რომ ლომივით მარტოდმარტო დედაკაცი იბრძოდა და მამაკაცები კი მხოლოდ მოწამენი იყვნენ ამ ბრძოლისა. იბრძოდა საბრალო დედაკაცი, ვიდრე ცემით არ მიასუსტეს. მხოლოდ მაშინდა უბრძანა ბოქაულმა თავი დაენებებინათ თავისი სახლიანებულ, მისუსტებულ ადამიანისთვის. ხალხს თავის გასამართლებლად მხოლოდ ის შაეძლო ეთქვა: ალბათ, კანონია, დარაჯები იმიტომ იცემებიან, თორემ სად გაგონილა დედაკაცის ცემაო. ერთმა ვერ შექხედა ეჭვის თვალით, კრიტიკულად ამ კანონს და ვერ გაბედა გაესინჯა მისთვის კბილი.

სხვას თავი დავანებოთ, – გველვეშაპივით სალომეს გაჟიშვილი 18-19 წლისა, ახლად ულვაშებამწვანებული, ნაცვლად იმისა, რომ მიჰშველებოდა თავის მმობელ დედას და თუ სხვა იარაღი, ან ჯოხი არ შარჩებოდა, კბილებით და ბრჩებილებით დაეცვა, დაეფარა თავისი ძუძუს მწოვებელი, ქუდმოხდილი დასდევდა დარაჯებს და ხუთის წლის ბალივით ღრიალებდა, ეხვენებოდა:

თქვენი ჭირიმეთ, დედას ნუ მომიკლავთო!..

ეხლა კი, როცა მისი დედა ძლივსღა ჰსუნთქვადა, საბრალო ძლივსღა ლუღლუღდებდა, თავზე დაპერუნავდა, ხელებს უკოცნიდა და პირისახეს თვალთაგან მომსქდარ მდუღარებით უსველებდა, მოთქმით დასტიროდა:

– აქა ვარ, დედი, აქა, ცოცხალი ვარ, გენაცვალე, ცოცხალიო! – მოსთქვამდა და იმას ალარა ფიქრობდა, თუ მისმა სიცოცხლემ რა ნაყოფი გამოიღო, ვისთვის რა საჭირო იყო? – ჰო, ალბათ იცოდა, რომ მისი სიცოცხლე იმის დედისთვის იყო საჭირო. თავის თავის სიცოცხლეს იმიტომ აგონებდა თავის მშობელს, რომ დასუსტებული დედაკაცი მოეცოცხლებინა, მოესულიერებინა თავის ცოცხლად ყოფნის ამბის გაგონებით.

ზურნა, გარმანი, შარმანება, სტვირი მიჩუმდენ, ვოდევილი დრამად შეიცვალა. გაფუჭდა ლინინ, ნახდა ვედრება ლვთისა, მოინამლა დღესასწაული. ფიქრი თავის უძლურებისა, თავის-თავის ლანძღვისა, სვინდისის ქენჯნისა ნისლის მსგავსად შეიძარა ყველა მლოცავის გულში. დაფარა და მოიცვა მთელი არსება ადამიანისა.

– ფუჭ, ამისთანა სიცოცხლეც ლმერთმა შეარცხვინს! – ეუბნებოდა ერთი ვიღაც ახალგაზრდა მეორეს, – სულ მოთმენა, მოთმენა, როდემდის მოთმენა-და?

## II

ბოქაულმა ფრიად აღელვებული გული ქადა-  
გის გალახვით მოიფხანა და ბევრს აღარ გა-  
მოეკიდა, არც მლოცვავებს, არც დასტურებს და  
ხევისბერებს, რომელთა მოქმედება და როლი  
დღეობაში იმან კარგად იცოდა. მისი აზრი,  
მღვდლის ჩაგონებით, დღეს ის იყო, როგორ-  
მე ხელში დროშა ჩაეგდო, რადგან ყოველგვარ  
„ბოროტმოქმედების“ მიზეზად ის ითვლებოდა:  
ვიდრე დროშა არსებობს ქვეყანაზე, ხევისბერიც  
უნდა იყოს და ხატობა-დღეობებიც იმ სახით, რა  
სახითაც დღეს ვხედავთ; დროშა თავია, ხოლო  
ფანარჩენი ყველაფერი და ყველანი მხოლოდ  
ტანი, როცა ტანს თავი მოპშორდება, მაშინ ტა-  
ნიცა კვდება უსაუოდ. მაშასადამე, მღვდლი-  
სა და ბოქაულის საზრუნავი იყო წარტყვევნა  
დროშისა. ხალხი იმას დასდევს თან, როგორც  
ცხვრის ფარა ნამარილევს.

— შენ, ბერიკაცო, დროშა უნდა წარმოადგი-  
ნო ჩემთან, არ შეიძლება უიმისობა! — უთხრა  
ბოქაულმა ბრძანების კილოთი ბეჭს, რომელიც,  
თავზე ჭუჭყიან ხელსახოცნაული, ქუდმოხ-  
დილი და ქედდახრილი იდგა ბოქაულის წინ და  
გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, ვიდრე მტერი  
თავად არ იპოვნიდა დროშას, არ გაეცა იგი,  
თუნდა ენის წვერით ჩამოეკიდათ იქვე სადმე  
მუხის ტოტზე.


— ჩვენ, ბატონო, რაკი გავიგეთ, მთავრობა  
გვიკრძალავდა დროშის ტარებას, აღარ ვატა-  
რებთ დროშას. — მიუგო ბეკმა: — აი ეს ხალხი,  
მე თუ ტყუილს მოგახსენებ.

— მელამ თავის კუდი მოწმედ მოიყვანაო.  
ხალხი შენ გაგამტყუნებს? ეგ ჩვენ კარგად ვი-  
ცით, ბებერო ქოფაკო, ვერ მოგვატყუებ. ჰაა,  
ჩეარა, თორებ ხომ იცი, თუ ვუბრძანე დარა-  
ჯებს, დროშა მალე გამოჩნდება! ჩათრევას, ხომ  
იცი, ჩაყოლა სჯობია?.. ნუ გამაჯავრებ, თორებ,  
ხომ იცი!..

ამ დროს ბოქაულმა გაიხედა გვერდზე, გაი-  
ხედა და დაინახა მათკენ მომავალი მამა თევდო-  
რე ხელში საცეცხლურით, რომელიც ბოქაულს  
თვალებით რაღაცას ანიშნებდა.

— თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ტყუილს  
ვამბობდე, ეს ორი წელიწადიც იქნება, რაც  
მე დროშას აღარ ვატარებ. — იცრუა ხელდა-  
ხელ ხევისბერმა, და ბოქაულმაც აღარ გაინი-  
უა, თავი ისე მოაჩვენა, ვითომ დაიჯერა ბეჭის  
სიტყვები, ხოლო იგი უფრო ხელსაყრელს წამს  
ელოდა, რომ დროშა სულ მცირე შრომის გაწე-  
ვით ჩაეგდო ხელში.

— ძალიან კარგი, ბერიკაცო, ძალიან კარგი!  
მაშ ეხლა ეს მითხარი: არც წინათ ატარებდი?  
ფულს არ აგროვებდი? ე.ი. საჩუქარს არავინ



სოფ. დაღიცურთა, პეტრიანის ხატის დროგა

გაძლევდა, ან არ ილებდი? — დაეკითხა კვალად  
ბოქაული ხევისბერსა.

— როგორ არა, კია, მაგას ვერ დავიარავებ,  
ბატონო, — მიუგო ხევისბერმა: — ვინც რას გაი-  
მეტებდა, შაურს, ორ შაურს, აპაზს ვილებდი.  
უარს რად ვეტყოდი? ძალას კი არ ვატანდი  
არავის.

— მაშ ვის ჯიბეში მიდიოდა ეს შაურები და  
აპაზები, ყმანვილო, არ შეიძლება ესეც განგ-  
ვიმარტო? — შაეკითხა ბეჭს კვალად ბოქაული.

— ჯიბეში რას ჩავიდებდი, შე დალოცვილო,  
ვენეცვალე ჩვენი წმინდა გიორგის მადლისა და  
სახელსა, — სთქვა ხევისბერმა და თან პირჯვარი  
გამოისახა, — მოგროვილი ფული ნახევრადაც არა  
ჰკმაობს წმინდა გიორგის ზვარის<sup>5</sup> გაკეთებას.

— ჰმ, თქვენ წმინდა გიორგის ზვარიცა ჰქო-  
ნია, როგორცა სჩანს. საიდან, ვის მიუცია? რო-  
გორ შეუძნია? — ჰკითხავდა ბოქაული.

— საქართველოს მეფეების შანირული გა-  
ხლავთ, ბატონო, გუჯრები ... აქ ცოტად ბეკი  
შეჩერდა, უხერხულად ეჩვენა გუჯრების ხესენ-  
ბა, რათა ისინიც არ მოეთხოვნა პრისტავს და  
გადაეჩქმალა.

5 ზვარის ზვარა — ზვარაკი, მსხვერპლად შესანირი საკლავი.

– მაშ ერთი ეს მითხარი, ბერიკაცო, ამ დღეონბაში რის მოლარე ხარ, რა უნდა აკეთო? მე რომ აქ არ ვიყო, რას გააკეთებდი? – ჰკითხავდა ხევისბერს ბოქაული.

– საკლავს დავკლავდი, მლოცავს ხატს შევასვენებდი, მანცემს რასმე საკლავის პატრონი – კარგია, არა და, ვარ ჩემთვის, – სთქვა ბეკმა.

– მართალია, მართალი, არა სტყუის! – დაადასტურა სხვა ხალხმა, – ჩვენი ამორჩეულია, როგორც ხელწმინდა კაცი. მღვდელი ხომ არ დავვიკლავს, ბატონო, მაშ არ გვინდა ერთი კაცი გვევანდეს?

– ეგ ძალიან კარგი, დაკლას. – წარმოსთქვა ბოქაულმა და თან თვალები გადაუბრიალა იქ მოქუჩებულ ხალხს, – კურთხევის ნება ვინდა მისცა? საკურთხებლად ღმერთს მხოლოდ მღვდელი გაუჩენია. ნუთუ მღვდლის კურთხევა არ არის საკმაო?

– თქვე დალოცვილებო, მაშ ხო არ გავლანდავ საკლავის პატრონს, ნიადაგ იმას ვიტყვი: ღმერთო და წმინდა გიორგიო, შენ შეენი ამ საკლავის პატრონსაო, როცა ცხვრის ან ხარის დასაკლავად ვემზადები და ხანჯალს ვაბჯენ ყელში, ჩემი ლოცვა-კურთხევა ეგ არი, და ამიკრძლავთ, – აღარც მაგას ვიტყვი, აპა! – წარმოსთქვა ბეჭა და თან თავი დაბლა დაჟკიდა. გულში იმედი უღვიოდა და იმას ამბობდა: „ჩემს წმინდა გიორგის და იმის მსახურს ვერაფერს ჩამორჩებიანი!“

– ერთის სიტყვით, გიცხადებ, – წარმოსთქვა მრისხანედ ბოქაულმა, – დღეის ამას იქით არ გაპედო შენ ხევისბერობა გასწიო, თორემ, იცოდე, ქოჩირიდან დაწყებული ფეხებამდე ტყავს გაგაძრობ და ყველამაც, ვისაც საკლავი ჰყავ, თავად დაკლას, ან ამხანაგს დააკლევინოს. ხევისბერს არაფერი არ მისცეთ; მღვდელია გაჩენილი ღვთისაგან, ამას აასრულებინეთ ნესი და სასყიდელიც ამას მიეცით, გაიგონეთ თუ არა?

– გავიგონეთ, ბატონო, გავიგონეთ! – მიუგო ხალხმა ბოქაულს ბლავილით.

– გარდა ამისა, ამ სამი დღის განმავლობაში უნდა დროშაც ჩემთან წარმოადგინოთ კანცელარიაში. – დააბოლოვა სიტყვა ბოქაულმა.

მღვდელმა ბოქაული საუზმეზე მიინვია, და ხალხიც შეუდგა მსხვერპლის შენირვას: საკლავის ხოცვას, სანთლების ანთებას და სხვ. ხოლო ბეკი ნანგრევების წინ თავჩაღუნული იჯდა და ღრმად დაფიქრებული დედამინას ჩასჩერებოდა, თითქოს იქ კითხულობდა თავის მისის ბედნა და ნერასა.

ხანდახან ეჭვი შეეპარებოდა გულში: იქნება, მართლა დამნაშავეა რისამე? ვერ ემსახურებოდეს ხატს, როგორც ეკადრება, როგორც შეჰშ-

ვენის? მაგრამ ბოლო დროს ამ აზრს უდებდა საფუძვლად ყოველ თავის ფიქრებს.


– არა, არა, მამა-პაპა ასე ემსახურებოდა ხატსა და ღმერთსა, მაგრამ მაშინ უფრო დიდი მადლი და ბარაქი იყო, ჭკვაც მეტი იყო, ნამუსიც, საქართველოც ძლიერი იყო. დღეს ერთი ჩაფრის მათრახი ათი-ათასს ამოღებულ და ჩვენს თავზე მოღერებულ ხმალზე მეტად გვაშინებს. დახე, ხატის მსახური, ხევისბერი, მეც კიდევ ვეჭვობ და ვტორტმანობ. არ შაიძლება, ავად იქნება, თუ კარგად, ჯერ ხერხით და მერე ძალით უნდა შევინარჩუნოთ, არ დავკარგოთ მამა-პაპის ნაანდერძევი ნესი და ჩვეულებაო. ჰაა, არ დალაჩრდე, ჩემო თავო! ვაჲ, დედას მტრისას! – ამხევებდა თავის თავს ბეკი: – მე უფრო ბევრს კარს ვიტყოდი, ისეთებს მოვახვედრებდი მაპრისტავს, ცას ენის წვერით დაპკიდებიყო, მაგრამ ამოსათქმელად დამზადებული სიტყვები ისევ ჩავთქვი. მოთმენით არაფერი დაშავდება, მოუთმენლობა უფრო არ ვარგაო: „უამი მივიამოვია, მუცუს თორლვასი კარზედა; წყალი მიდგება-მოდგება, ნაგუბარშიავ ჩადგებაო. ადიდებული წყალია ჯერა, მალევ დაცოტავდებაო“. – ამ სიტყვებით ანუგეშებდა თავს ხევისბერი...

ხალხი ერთმანეთში ირეოდა. საკლავების ბლავილი ისმოდა. ზოგები ლოცულობდენ, ხელებს უშლიდენ ხატს. მაგრამ ისეთი დრო ადგათ თავსა, რომ აღარ ეცალათ თავისთვის რამ გამოეთხოვნათ ხატისათვის, მოწყალება, შველა, შენევნა, დახმარება. პარიქით, იმათ ლოცვის შინაარსი სრულად სხვა იყო და როდი ჰეგანდა ნამდვილ ქრისტიანულს ლოცვა-ვედრებას. ერთს რასმე სთხოვდენ ხატსა: გამოეჩინა ძალა. ეშველა თავისთვის, ხალხისა და ხევისბერისათვის. ხალხს, მის სამწყსოს რომ არ შეუძლიან გაუმკლავდეს მტერსა, არა აქვს იმის ძალა, საღარი, – იზრუნოს ხატმა თავისთავზე, რათა დარჩეს იმადვე, რაც აქამძე ყოფილა, რომ ხალხიც ძეველებურად, მამა-პაპურად ემსახუროს. შეურაცხყოფილი, განბილებული დიდი და პატარა, აი, რასა სთხოვდა ხატსა, სხვა ყველაფერი სათხოვარი დაპკინყებოდათ...

### III

მღვდელი და ბოქაული ცაცხვის ჩრდილში ისხდენ და ჩუმად საუბრობდენ, მოქმედების რაღაც გეგმას ადგენდენ. ბოქაული ღვინოს წრუპნუპითა ჰსვამდა, ჭიქა კოხტად ეჭირა, ისე კოხტად, რომ მოკაუჭებული ნეკი არწივის ნისკარტით ღვინიანს ჭიქას თავს ადგა, ეალერსებოდა, თუ შეჭმას უპირებდა, ღმერთმა იცის.

– ხვალ სჯობია, ბატონო, ხვალ. აქა აქვთ, მე კარგად ვიცი, მაგრამ ეხლა დრო არ არის.



სოფ. დაფიქურთა, პეტროვის ხატის დროშა

ხვალ, გზაში – წასჩუთნა ბოქაულს მამა თევ-ლორემ შთაგონების კილოთი და თან ბატკნის ბეჭი შესთავაზა.

ბოქაულმა მადლობა გადაუხადა, ულვაშები გადაიწყიპა.

– კარგი, მაშ ეხლა მე ვიცი, თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ, – განაგრძო ბოქაულმა, – სწორედ ნადირები არიან, ჰლუპავენ თავიანთ თავს – რისთვის? რის გულისთვის? ერთი კაც-მა ჰკითხოს.


ბოქაულიც თავის მოქმედების დასაბუთებას ცდილობდა. ადამიანის სულიერი მოთხოვნილება, რაც უნდა უზნეობა ჩაიდინოს, მაინც გასამართლებელს საბუთს რასმე დაასახელებს. ერთი „მე“ ბოქაულისა მეორე „მეს“ ანგარიშსა სთხოვდა: რა მოსაზრება მიგიძლვის წინ, რომ ასე ჰმოქმედობო? ეს უკანასკნელიც პასუხს აძლევდა ჰირველ „მეს“, თავს მართლულობდა – დამდუპველია ხალხისა ეს ჩვეულება, ისედაც გალატაკებულს ხალხს ეს ხარჯებილა ეჭირვებაო? – დროშამ, დროშამ რაღა დაამაშავე? – კი-დეც დროშაა თავიდათავი დამნაშავე, ის რომ მოისპოს, ეს ჩვეულებაც მოისპობაო. ეს მეორე „მე“, უნდა შევნიშნოთ, რომ ხმას არ ამოიღებდა

საქონლის მსხვერპლად შენირვაზე, უკეთუ ეს მოხდებოდა საყდართან და მღვდლის განკარგულებაში იქნებოდა ყოველი შემოსავალი: ტყავი, ხორცი, ფული, სასმელი და საჭმელი. მეორე „მე“ მაშინ კრინგსაც არ დასძრავდა, ვინაიდან საწინააღმდეგოს არაფერსა ჰნახავდა მაშინ.

მლოცვაი მგლის თვალით იცქირებოდა მღვდლისა და ბოქაულისკენ და ევედრებოდა ღმერთს მოჰშორებოდენ იქიდან და ყველას ნება მისცემოდა თავიანთი საკუთრება მოეხმარათ ისე, როგორც გუნება გაუჭრიდათ, თავისუფლად თავის ნებაზე...

ბოქაული მაინც უნდა წასულიყო, რადგან სხვა საქმეებიცა ჰქონდა დავალებული უფრო-სისაგან. მხოლოდ ერთი დავალება თან უნდა გაეყოლა აქედან ბოქაულს მამა თევდორესი და ეს დავალება შემდეგ, მოკლე ხანში, უნდა აღეს-რულებინა.

ბოქაული გაემზადა წასასვლელად; ბოქაულის ცხენს მხედრის მეტი არაფერი აკლდა, ისე დაღრეჯით ეჭირა დარაჯს. ბოქაულიც მზად იყო გადამხტარიყო ცხენზე. ვიდრე ამხედრდებოდა, კვლავ მოიკითხა ხევისბერი, დასტურები და მრისხანებ გამოუცხადა, რომ ამიერიდან



უკანაფშავი, გიორგი ბერის მუზეუმის ხატი  
ალვისტანი (ლაპარუში) აღდგენილი  
არქ. მ. კაკაბაძის მიერ, 1964

იმათ თავიანთ თანამდებობაზე ხელი აეღოთ და ყოველივე უფლება და შემოსავალი დღეობიდან გადაელოცათ მღვდლისათვის, უკეთუ ეს არ მოხდებოდა, არ ასცდებოდათ „ტყავის გაძრობა“. უცხადებდა ავრეთვე მათ, დროშა „ყოვლის უარის უთემელად“ ჩაებარებინათ, როცა ბოქაულისაგან გამოგზავნილი დარაჯი მოუვიდოდათ, თუმცა გადაწყვეტილი ისე ჰქონდათ მღვდელ-სა და ბოქაულს, ხეალ გზაში დახვედრებინათ დარაჯები, როცა აქედან მღოცავი დროშით მთისაკენ, მეორე სალოცავში გაემართებოდა.

— გაიგონეთ, რაც გითხარით? დაიხსომეთ? ვაი დედის თქვენის ტყავს, თუ ყოველივე ჩემი ბრძანება არ აგისრულებიათ! — ეუბნებოდა ცხენზე ამხედრებული, უკვე წასასვლელად გამზადებული ბოქაული.

— დიახ, ბატონო, დიახ! როგორ არა, შენი ჭირიმე! მაშ, მაშ, — უპასუხებდა თავშისველა ერი... დიდხანს, ვიდრე სულ არ მიეფარებოდა

ტყებს და გორაკებს ბოქაული თავის მხლებ-ლებით, თვალს აყოლებდა ხალხი და რას ამ-ბობდა გულში, ღმერთმა იცის...

ხალხმა მხოლოდ ეხლა იგძნო, რომ გულზე შავი ლოდი ჰქონოდა დანოლილი, ეს ლოდი ბოქაულის წასვლისთანავე მოჰშორდა გული-დან, და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა; თვალებზე გადაკრული ლიბრი მოჰშორდათ.

შებინდდა თანაც. ცეცხლები გაჩალდა და ხის საკიდელზე (თუში) ქვაბები გამოჩნდა შავად, შავს ყორნებივით. გაისმა ნელ-ნელა საკრავების ხმა, სიმღერისა. ცეცხლის სინათლეზე ცხადად სჩა-ნდა, როგორ ერთ თასით განვდილს მკლავს მე-ორე მკლავი ეგებებოდა თასის ჩამოსართმევად.

ერთ ბინაზე ორი ახალგაზრდა კაცი ბაასობდა; ხან რუსულად ლაპარაკობდენ, ხან ქართულად. იქვე მსხდომი გლეხეაცობა ყურს უგდებდა. ახალგაზრდები ჩამრა-დახურვით მონაფებს ჰგვანდენ.

— არა, არ შეიძლება, ხალხის სულიერი მონ-ყობილობა სრულიად უნდა შეიცვალოს. — უმტკიცებდა ერთი მეორეს, — რადგან იგი უიმედო საძირკველზეა აშენებული.

— მაგალითად? დაასაბუთე ნათქვამი და! — ეკითხებოდა მეორე.

— რა საჭიროა, ჩემო ძმაო, ბევრი დასაბუთება, გლეხობის საერთოდ გაუნათლებელი ხალხის ზნეობა შიშზეა აშენებული. „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, ნათქვამი რომ არის, ეს გაუნათლებელ კაცს შეაფერება და არა განათლებულს. განვითარებულს ადამიანს ეზიზლება ყველა ის, ვინც შიშსა ჰპადებს, ვინც თავის ძალით სხვას იმორჩილებს, სხვის ნებას თავის ნებაზე ათამაშებს, — სხვას კი თავისუფლებას უსპობს. თვით, აი, ამ ხატის სიყვარულიც ხალხს შიშის გამო აქვს. რომ არ ეშინოდეს — გამიწყრება, ზარალს მომცემს, მომკლავს ან მომიკლავს ვისმე, ან ეკონომიურად მავნებსო, — ერთიც არ გაიჭანებდა ამ დღეობაში. ასეა თუ არა? — ეკითხებოდა მეორე პირველს და ეს უკანასკნელიც, თანხმობის ნიშნად, თავს უქნევდა.

მღლოცავის მხრივ სინათლე იყო უფრო, რადგან ცეცხლები ენთო, ხოლო ხატის მიდამოებში ბნელოდა, ათასში ერთგან ყორეზე მიკრული წმინდა სანთელი ბჟუტავდა, მაგრამ იმის სინათლე ვერა ჰფანტავდა დამისა და ხის ჩრდილებისაგან შექმნილს წყვდიადს...

ნანგრევთა შორის ვიღაც მოხუცი, წელში მოხრილი, თავზე ხელსახოცნაკრული დაეხეტებოდა და ყავარჯინის ბოლოს ხან აქ, ხან იქ ჩაჰკრავდა ლოდზე, თითქოს დანაკარგს ეძებსო.

— ბეკო, ჰა, ბეკო! — მოჰკერა ვიღაცამ ხელი ხევისბერს, — წამოდი, აქ წამოდი, — ეუბნებოდა უცნობი.


— რაო, რა ამბავია, ბიჭო? — დაეკითხა ხე-  
ვისბერი.

— საკლავებია, საკლავებია დასახოცი, — ეუბ-  
ნებოდა თითქმის ჩურჩულით უცნობი, ხოლო  
აშერინებული, აღლოვებული, თითქოს კაცის  
მოსაკლავად, ან სხვა დიდი რამ დანაშაულის  
ჩასადენად ემზადება.

— მერე რო გაგვიგონ, რო გვნახოს ვინამ, ან  
დაგვაბიზოს? — ეკითხებოდა ბეკი უცნობს და  
თან ყავარჯენს დაპბჯინებოდა.

— არავინ იბადება, ვინ უნდა დაგაბიზოს, ან  
ვინა გვნახავს, სუ წასულ-წამოსულია ხალხი. აქ  
აღარავინ არ იბადება — არც მღვდელი, არც დია-  
კონი. — ეუბნებოდა უცნობი, — არ იქნება, ერთი  
ფუნია საკლავებია დასახოცი, უნდა დაგვიხოცო.

მლოცვის ორმა ნაწილმა თავიანთ სამსხვერპ-  
ლოები დღისითვე მოაფარეს აქეთ-იქეთ, რომ  
ღამით დაეკვლევინებინათ ხევისბერისათვის,  
რადგან დღისით ნებას არავინ აძლევდა, ამი-  
ტომ აუარებელი საკლავი მოექუჩებინათ იქვე  
ხატის შორიახლოს, გალავნის პირზე, და უც-  
დიდა ხალხი ხევისბერის. ბეკი უარს ველარ ამ-  
ბობდა, მით უმეტეს, რომ ხვალ დროშა მთაში  
უნდა წაებრძანებინა „დიდ სალოცავში“. მაინც  
ყველა დიდი სალოცავები მთაში ჰსუფევენ,  
ხოლო იმათ მომდევნოები — ბარში, როგორც,  
მაგალითად, წმინდა გიორგი, ღვთისმშობელი  
და მთავარანგელოზი. ყველაზე მეტად პატი-  
ვცემული და მიჩნეული მთის ხალხისაგან ეს  
სამი ზემოალნიშნული ხატია. ხევისბერი შეუდგა  
საკლავების ხოცვას თავისებურის დალლკვით:  
„წმინდაო გიორგი, წმინდად სახსენებელო, შენ  
მიეც წყალობა“, — ამბობდა ხევისბერი. ჩქარა  
მთელი ხროვა გაკეთდა დახოცილის და სხვა  
საკლავებისა, სამსვეროს პატრონებიც თავთა-  
ვიანთ საკლავებს გაფაციცებით ატყავებდენ.  
რამდენიც საკლავის პატრონია, იმდენსავე ხელ-  
ში ბოთლით ან ჩარექით ზედაშე ეჭირა; ხევისბე-  
რი საკლავს რომ დაპლავდა, ყანწით ან ჭიქით  
სასმელს აწვდიდენ, რომ სამსხვერულოს პატრო-  
ნი „დაემწყალობნა“ (დაელლოცნა). ყველა თასის  
დაცლა შეუძლებელი იყო, ბეკიც ფრთხილობდა,  
ყველას ჰლოცავდა, სასმელს ცოტ-ცოტასა სწ-  
რუპავდა, მაგრამ მაინც მოერივა. ძილის დროც  
მოვიდა, შუალამე უკვე გადასული იყო და იქვე,  
ყორის პირზე, საცა სანთლები ენთო, იმის ახლო  
მიაყრდნო ზურგი და ჩასთვლიმა; დილით სხვა  
საქმე ჰქონდა: უნდა დროშა წაებრძანებინა დიდ  
სალოცავში. ჩაეძინა ბეკს, თავისი ყავარჯენი  
გულზე მიისვენა და ორ წამს ჩაეძინა. თითქოს  
ქორმა ქათამი დაიჭირაო, მაშინვე მისი გონება  
სიზმარმა შეპყრო, საშინელი სიზმარი ნახა:



ქირი, აირცეცხლის ხატი, საზარე,  
ზარეპი საკადრისებით

ნახა უზარმაზარი დევი, ბანჯლვლიანი, ბარ-  
ტყლიანი, საშინელი, საზარელი, პირიდან ცეცხ-  
ლს ისროდა. ორივე ხელში ლახტები ეჭირა და  
როცა ერთმანეთს შემოჰკრავდა, ისე ცეცხლსა  
ჰყრიდა, კაცს ეგონებოდა — მჭედელი გრდემლ-  
ზე გახურებულს რეინასა ჰკვერავსო, რომელ  
ხესაც შემოჰკრავდა, შუაზე აპობდა; გაკაფა,  
გააჩანაგა თითქმის, რაც წმინდა ხეები იყო;  
მლოცვი — დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი,  
ვისაც კი იქ მოეყარა თავი, დაწიოკებული, თავ-  
ზარდაცემული გარბოდა. აღარავინ გამოჩნდა,  
ხელი შეაბრუნებინა. ბეკი აენთო, აღელვდა მე-  
ტისმეტად. რაღა ჩემი სიცოცხლეა, რის ხევის-  
ბერი ვარ, რომ წინ არ აღვუდგე მაგ წყეულს,  
ღვთისაგან შეჩვენებულს? მეც დავიმალო? განა  
შეიძლება ესა? არა, არ შეიძლება ჩემი დამალ-  
ვა. გასძირ, მიწავ, და თან ჩამიტანე მაშინ! —  
ასე ფიქრობდა ბეკი. მაგრამ ფიქრზე მალე ხელი  
აიღო, დრო არ იყო ფიქრისა, მოქმედება იყო



ლაშარის ჯვარი, საზარის ინტერიერი –  
ფაბლა და საზედაში ჭურჭელი, ჯვრის დროშები

საჭირო. ადგა და მიეგება წინ დევს, რომელიც მოიწევდა წმინდა ნანგრევებისაკენ, მიეგება ხელხანჯლიანი, ამ ხანჯლით იმას რამდენი ასი და ათასი საკლავი დაუკლავ, და, დახე, განგებამ არგუნა წილად, ამ ხანჯლით ბოლოს, სიბერის დროს, დევთან ბრძოლა. ცოტა არ იყოს, ბექს გული სტკივა იმის გამო, დროშა არ ეჭირა მეორე ხელში, მაგრამ მაინც დევს არ შეუშინდა, – ან სიკედილი, ან სიცოცხლე! – ამბობდა ხევისბერი თავისითვის, თავის გულში, ხოლო დევს ამ სიტყვებით მიჰმართა:

– სად მოხვალ, სადა, შე მურტალო შე ცოდვისა, ბოროტებისა და წაწერების გუდავ?! და-დეგ, თორო აგკაფე ასო-ასო და მოვსეარე შენი უნიმინდური სისხლით ეს წმინდა ადგილი, რაც უნდა კისერზე ცოდვად დამედვას; მაგრამ, ვენაცვალე ჩემს წმინდა გიორგის, ის მაპატიებს ამ დააშაულს და ცოდვად არ ჩამითვლის თავის მკლავით, თავის მადლით გასწმენდს, გაასპეტაკებს. დადეგ, გეუბნები, გაბრუნდი, წადი იქვე, საიდანაც მოჰსულხარ, მე შენთვის არაფერი წამირთმევია, არაფერი გამომიტაცნია, გაბრუნდიო, გეუბნები, თორო ამაზე მეტი მოთმენა

აღარ შემიძლიან, მოვა შენს თავზე სასიკედოლოდ ჩემი ხანჯალი ჩემის სალოცავის ძალითა. – უთხრა რა ეს ბეკმა დევს, ააპრიალა მის თავზე თავის სახელოვანი ხანჯალი, ხოლო დევმაც გამოაწოდა დიდი, შავი, ბალნიანი მკლავები, რათა წართოს ბეკს მახვილი. ბეკს უნდა დაჲკრას დევს ხანჯალი, მაგრამ ვერ ახერხებს, ხელი გაუშეშდა, მოუდუნდა, აღარ იცის სიბრაზით, რა ქნას, წვერით მოუბრუნა – უნდა ჩასცეს გულში; ამაო ყოველი მისი ცდა.

– მომაჯადოვა წყეულმა, ნამდვილად მომაჯადოვა! ჩემო სალოცავო, ჩემო დარაჯო, ჩემო გამარჯვებელო, მიშველე! ეხლა დამჭირდა შენი ძალი, შენი ხმალი. ვაი დედას მტრისას! უნდა შენი ერთგული ყმა, შენი მოსამსახურე, შენის დროშის მატარებელი გაალახვინო დევსა?! – ამბობდა ბეკი და თან სული ყელში ებჯინებოდა, სულთემა უძნელდებოდა. დევი ცალის ხელით ებლაუჭებოდა, თავისკენ მიითრევდა. ბეკი, ცოტა არ იყოს, შეკრთა და თვალები გააჭყიტა... გარიურაჟი იყო...

– ბიძავ, ჰა, ბიძავ, გათენდა, გაიღვიძე, შენის სულის ჭირიმე! – ეუბნებოდა ბეკს დაყუნთებული მუახნის კაცი და თან ნელა აჯანჯლარებდა გულისპირთან ჩიხაზე ჩავლებულის ხელით.

– ჰო, ჰო, დაიცა... დაიცა... აახ... ჰა, შე... – წალულულა ბეკმა. – ოჳ, გამახარე, შენა ხარ, ბიჭო, რატო არ დამაცალე, შე ოჯახეორო?.. გათენდა?.. კაპმე!.. კარგი იყო, ცოტა ხან რო დაგეცადა კიდევ, უდროვო დროს გამაღვიძე, – წარმოსთქვა ბეკმა უკმაყოფილოდ.

– გათენდა, ბიძავ, დროა, გამოვაპძანოთ დროშა, მლოცავი გველის. რატომ გეწყინა გაღვიძება? შენ ვითომ ძილი არ გიყვარს? – მიუგო დასტურმა გამახარემ.

– ცოტახან რო დაგეცადა, გავიგებდით, ბიჭო, რომელი ვაჯობებდით, ხელს რომელი დავრევდით, მაგრამ აღარ დამაცალე, – წარმოსთქვა ბეკმა.

– რა იყო? სიზმარი თუ რამა ფნახე? – ჰკითხა კვლავ გამახარემ.

– ცოტახან რო დაგეცადა, გავიგებდით, ბიჭო, რომელი ვაჯობებდით, ხელს რომელი დავრევდით, მაგრამ აღარ დამაცალე, – წარმოსთქვა ბეკმა.

– რა იყო? სიზმარი თუ რამა ფნახე? – ჰკითხა კვლავ გამახარემ.

– როგორ არა. დევი შამება, ბიჭო, დევი! – მიუგო ბეკმა. – და ის იყო, უნდა ჩამეცა ხანჯალი შიგ გულში, დახე იმის ყისმათი, რო გამაღვიძე. დიდხანს ვიბრძოლეთ, გაბმულები ვიყვენით... ვახსენე ჩემი წმინდა გიორგი, – ვიცი მამეშველებოდა და გაუნაწყრომებდი კიდეც ღმერთსა იმ ღვთისაგან წყეულსა, მაგრამ რო აღარ დამაცალე, შე ოჯახეორო! – წარმოსთქვა ხევისბერმა.

— ღმერთმა დასწყევლოს დევიცა, ალიც, ქაჯიც და ეშმაკიცა, ჯვარი გენეროს შენცა და ემ ადგილსაცა. აქ დევს რა უდოდა? როგორ შაიძლება იმან ფეხი შამოდგას ჩვენი სალოცავის მი-დამოში? — წარმოსთქვა გამახარებ.

— მეც ეგ მიყვირს, ბიჭო, მაშ!.. უყურებ შენა, ჩემ სიცოცხლეში მაგისტანა სიზმარი არ მინა-ხია და დახე, სად, რა ადგილას, როდის მომიხდა დევთან ჭიდილი!- ამბობდა ბეკი.

— შენ ეს მითხარი, ბიძავ, ხო არ მოგერია? სა-ტირელი და საჯავრელი მაშინ არი! — დაეკითხა გამახარე.

— არა, მორევით ვერა, ხანჯალმა ძალიან მიშ-ველა და დროშაც რო მჭერიყო ხელში, იქნება რო გავლახავდი. — სთქვა, ცოტა არ იყოს თავ-მომწონედ ბეკმა.

— დაილოცა ღმერთი, დაილოცა ჩვენი სალო-ცავები, თუ არ მოგერია! — უპასუხა გამახარემ, თან მოიხადა ქუდი და პირჯვარი გამოისახა: — მაშ ეხლა უნდა ჩვენი წმინდის გიორგის სადი-დებულო დავლიოთ, შაციებული, გატანჯული იქნები, ჩარექაში კარგან არაყან მიდგანან, — განაგრძო გამახარემ, — და მემრე გავემზადნეთ, მლოცავს ნუღარ დაგაბრკოლებთ. — სთქვა რა ეს გამახარემ, თან ჩარექას გადაანოდა ხელი, გვერდზე ნადგომს ყანნით პირდაფეულსა...

— არა უშავ, ბიჭო, უთუოდ კარგი იქნება. — მოუწონა გამახარეს ხევისბერმა განზრახვა.

გამახარეც დაფაცურდა; ჩარექა ხელში აიღო, ამოაძრო ყანნი პირიდან, დაუსხა არაყი ყანნში და მიაწოდა ხევისბერს.

— შასვი, ბიძავ, შასვი, კარგს გუნებაზე და-გაყენებს. — უთხრა გამახარემ.

ბეკმა ყანნი ჩამოართო მარჯვენა ხელით, რის გამოც მარჯვენა გულზე მისვენებული ყავარ-ჯენი მარცხენა მსარეს მიისვენა და ქუდმოხდი-ლი დაილოცა.

— დიდება ჩვენს წმინდა გიორგის, დიდად სახსენებელსა! გაუმარჯოს იმის ძალსა, იმის ხმალსა! მოგცეს წყალობა, გამახარევ, შენცა და ყველა იმის მსახურთაცა. სადიდებულო ჩვენის სალოცავისა იყოს, სამწყალობრივი შენის თავისია. — სთქვა ბეკმა და გადაცალა ყანნი და მიაწოდა გამახარეს.

— შენი მწყალობელიც იყოს!.. გაამოს! — სთქ-ვა გამახარემ, როცა ყანნი ჩამოართო.

— შენი ცხოვრება ცამდე ააგოს! კარგისა ყო-ფილა, ბიჭო. — მოუწონა არაყი ბეკმა თავის პა-ტივისმცემელს.

— კარგია, კარგი, რო გითხარ კარგიო, სადი-ლაო არაყია, ეს ერთი ჩარექა გუშინ დავმალე. ვიცოდი, გამოდგებოდა. — სთქვა გამახარემ და თან არაყსვე ასხამდა ყანნში.

— გიშველა ღმერთმა, კარგი დიასახლისის წე-სია. ხო გაგიგონია, „გაწყვეტას გაწვდენა სჯო-ბიაო“... გუშინვე რო გაგეთავა, დღეს თავებს ველარ მოვირჩენდით... ეგ შენ დალიე, შენ და-ლიე, შენ განა გაწყვენს, ბიჭო? — შეუბრუნა თა-ვისკენ გამოწვდილი ყანნი გამახარეს. დასტურ-მაც არ იუარა.

— გაუმარჯოს ყველა ჩვენ სალოცავებს და იმათი მადლი იყოს ჩვენ ყველათ შამწედ. მოიხ-სენოს ლაშარის-ჯვრის ლაშქარი, დახოცილნი რჯულის გულისადა. — წარმოსთქვა გამახარემ და თან არაყი გადაპერა.

ამ დროს ყველა ბინაზე, რა სურათსაც გვი-ხატავს ხევისბერი და დასტური, სწორედ ამის განმეორება იყო: ყველანი არაყსა ჰსვამდენ, ყველანი ხატს ადიდებდენ და მკვდრების შესან-დობარსა ჰსვამდენ, გარჩევა მხოლოდ ის იყო, რომ მლოცავთა წრეებს ცეცხლი, ბოლი, ქალები და ბალლები ამშვენებდენ, ხოლო ხევისბერისა და დასტურის წრეს — დახავებული ლოდები, დიდი ყორეები და ყორეებზე ირმის დაყანთ-რებული რქები, მონადირეებისაგან შენირული; მაღლიდან გადართხმული ბებერი იფნების და მუხების ტოტები, ხავსდაჟიდებული.

ბეკმა, გადაავლო რა თვალი მლოცავს, ადგო-მა დააპირა, მაგრამ გამახარე არ უშვებდა.

— დაიცა, ბიძავ, პატარახან, ჯერ ადრეა. ნათ-ქევამია: „სამის არ დამსხმელი და არც შამსმე-ლიო“. მართალია — უსამოდ გველი არა კვდე-ბა. — უეპნებოდა გამახარე ხევისბერს და არც მოეშვა; ვიდრე სამი ყანნი არაყი არ დაალევინა ხევისბერს და თავადაც არ დალია.

ბეკს ბევრნი მოუვიდენ, იპატიუებდენ ბინა-ზე, მაგრამ ის უარზე იდგა — მოემზადენით, წა-ვიდეთო. ხევისბერი განკარგულებას ახდენდა, მიეშურებოდა დიდ სალოცავში.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ზარის ხმა გაის-მა. თავშიიშველი ბეკი ზარსა პრეკავდა, დახავე-ბულ მუხის ტოტზე ჩამოკიდებულს, რომელსაც ენაზე თოკის მაგივრად თეთრი მიტკლის ხელ-სახოცი ჰქონდა მომშული.

ზარის ხმაზე ერთ წამში მლოცავი ფეხზე წა-მოიშალა, ქუდოსანებმა ქუდები მოიხადეს და ყველანი, კაცი თუ დედაკაცი, გულმხურვალედ შეუდგნენ პირჯვრის წერას.

შეიქნა მზადება. ცხენიანებმა გაამზადეს თავ-თავიანთ ცხენები საკიდვარით, ვინც დროშიონს უნდა გაპყოლოდა, ვინც არა, ისინი თავიანთ სა-ხლში დაბრუნდებოდენ. კულუხი — ბალნის ტომ-რებში შეხვეული ღვინიანი ტიკებიც აჰეთდეს ერთს ცხენს; ხოლო ხევისბერს თავის საჯდომ ცხენზე ეკიდა საგზაო ხურჯინი. თეთრკაბებია-

ნი, ფეხშიშველა დედაკაცები დიდის სასოებით ელოდენ დროშის გამოპრძანებას...

არ გაუვდია დიდ ხანს, რომ საჯაროდან გამოჩნდა ბეკი; სახეგაბრწყინებულმა დროშა მაღლა ასწია და რამდენჯერმე შეაჭლარუნა, თითქოს ხალხს აგრძნობინა:

ნუ გეშინიანთ, წმინდა გიორგის ჯერ ძალა არ დაჰკარგვია და მოწყალე თვალით უცქერის თავის მსახურთა და მლოცავთაო, – მისი ძლევამოსილი დროშაც ჯერ ისევ ბეკის ხელშია, და თუ წინათ ეს დროშა ლაშქარს გაუძლვებოდა წინ, ეხლა მლოცავს წაუძლვება წინ და მიჰრეკავს დიდ სალოცავში; შეახვენებს ყველას დიდებულს ხატს და გამოუთხოვს უხვს წყალობას.

შენკარუნდა თუ არა დროშის ზარი, მლოცავი მაშინვე დიდიან-პატარიანად პირქვე დაემზო და სცა პატივი თავის იმედს და სასოებას. ბეკს რამდენიმე დასტური და აუარებელი ხალხი მოსდევდა თანა. ხევისბერი და ყველა ცხენიანები ცხენებზე შესხდენ, ხოლო ქვეითები ფეხით დაედევნენ დროშიონს. ბეკს შავი ნაბადი ჰქონდა წამოსხმული იმიტომ კი არა, ტანი სიციისაგან დაეფარა, – უფრო დროშის დასამალავად და, თუ შორს ვისმე საეჭვო ადამიანს (პოლიციის პირს) დაინახავდა, ხევისბერი უჟდზე სცნობდა, – დროშას ნაქურდალივით ყავარჯენთან ერთად გულზე მიიკრავდა და ზედ ნაბადს შემოიგდებდა, დააფარებდა.

ხალხი, როგორც კრუხს წინილები, ისე მისდევდა უკან ხევისბერსა, ყველა დიდად ბედნიერად ჰერძნობდა თავის თავსა, რომ ელირსა დროშის გაყოლას, ყველა დარწმუნებული იყო, სათხოვარი და სანუკვარი აუსრულდებოდა, წინ აღარაფერი ედგა; ყველა ამ მგზავრობას ისე-დაც ბედნიერად ჰსახავდა, თითქოს თვითეული მათგანი ვისმე დიდად დაესაჩუქრებინოს და მთელ თავის სიცოცხლეში უზრუნველეყოს.

ფეხშიშველა დედაკაცები, რომელთაც, სულ ცოტა ორმოცი ვერსი უნდა გაევლოთ, ვიდრე დიდ სალოცავში მიაღწევდნენ, რიყეზე და ქვიშაზე ისე აბიჯებდენ, თითქოს ფეხქვეშ ხალები ჰქონდათ დაფენილი. დალოცვილი ხატი მიელოდებოდა აუარებელს ხალხს, რათა ამ უხილავს ზესთა ბუნების ძალს მიენიჭებინა ხალხისთვის ის, რაც ხილულმა ფიზიკურმა ძალამ წაართო მათ და გაუხადა საძებრად, სათხოვნელად, სატანჯავად...

ხალხი თანდათან, ნელ-ნელა გაიკრიფა ამ წმინდა ადგილიდან. იქ დარჩა მხოლოდ დაბლა ნაცეცხლარები, გამოხრული ცხერისა და კურატის ძვალები, სისხლი დახოცილი საკლავებისა, შავად გამხმარი და ჩამკვდარი მიწის გულში. სტაქნების და ბოთლების ნამტვრევები, წკირე-

ბის დაცარიელებული, დაჭყლეტილი კოლოფები, წმინდა სანთლისაგან შეტრუსული ყორის ლოდები, დიდი მუხის ტოტზე ჩამოკიდებული ზარი, მიტკლის სახელურით, დიდრონი იუნების და მუხების ნიავის შებერვაზე მთრთოლვარე ფოთლები, ხოლო ჰაერში ამ წმინდა ადგილის გარშემო განუშორებლად მოფარფატე და მსასოებელი ხალხის ვედრება და იმედი შველისა, შვებისა და სიხარულისა.

#### IV

მეორე დღეს დაბა №-ში დიდი ჩოჩქოლი იყო, მითქმა-მოთქმა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა, თათბირობდა. ყველას სალაპარაკო დროშა იყო, რომელიც იმ დილით ორმა დარაჯმა და ერთმა ურიანიკმა დიდის ამბით მოიტანეს ბოქაულისა და მაზრის უფროსის განკარგულებით, „ჩიხაურში“ (თოვების საწყობი) შეინახეს... ჩიხაურის კედელი მეიდანს აღმოსავლეთით ჰსაზღვრავდა, რაზედაც გზა მოდიოდა.

მღვდლისა და ბოქაულის მიერ წინადღეს შედგენილი გეგმა მეორე დღეს დარაჯებმა განახორციელეს: მლოცავს დროშიონს უყელეს, ვინაიდან იმათი გზა კარგად იცოდენ; ხევისბერი ბევრს ეცადა, ძალიან გულმოდგინედ აფარებდა თავის გახეხილს, გაჯუცულს ნაბადს, მაინც ვერ დააფარა საცოდავმა ისე, რომ დარაჯების ბოროტ თვალებს ვერ დაენახათ იგი; დაინახეს და უწყალოდ გამოჰვილებეს ხელიდან, უშიშრად, ისე, როგორც უბრალო ჯოხი, ბეკმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, როგორც წესია, მხოლოდ სიტყვიერად შეეკამათა: – ნუ სჩადით მაგას, ბიჭო, ნუ! ინამეთ ლმერთი! ითქირეთ და, რასა სჩადით?! – ეს იყო და ესა..! მხოლოდ, როცა წავიდენ, დარაჯებს უკან წყევა-კრულვის სიტყვები დაადევნა:

– გრისხავდეთ, გაგინწყესთ მაგისი მადლი, ლმერთმა და ი ჩემმა წმინდა გიორგიმ ნურა კარგი განახვინოსთო!

მლოცავს, ე.ი. დროშიონს ოთხმოცამდე კაცი და ქალი შეადგენდა, მაგრამ იმათ შორისაც არავინ გამოჩნდა ისეთი, საწინააღმდეგოდ, დროშის შესანარჩუნებლად, დასაცველად ეხმარა ისეთივე ძალა, როგორსაც დარაჯები ხმარობდენ. თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც მთელს ხალხს წელი მოსწყდა. განადგურდა, ჩაითუთქა; პირდაღებული, გამტკნარებულები ერთიმეორეს შესჩერებოდენ, რა ვქნათ, რაღა გვეშველებაო? – თვალებით ერთმანეთს ეკითხებოდენ.

ხალხი გვიანდა მოვიდა გონს და ჩვეულებრივ სამუალებას მიჰმართა დროშის დასახსნელად. წინათ თუ ხმლით იცავდა მამა-პაპა ამ დროშას



სოფ. ჭალაისოფელი, შუგნურის პეტრი, დროშის ფარაბი, სასანთლე

და არ ანებებდა მტერსა, ეხლა ფულით უნდა დაეცვათ, დაეფარათ იგი, ე.ი. გამოეხსნათ მტრის ხელიდან. ხელდახელ მოაგროვეს ერთი თუმანი ფული და რამდენიმე კაცი გამოეკიდა დარაჯებს უკან, მაგრამ ხელცარიელები დაბრუნდენ. „ათასი თუმანიც რო მოგვცეთ, ჩვენ ისეთი ბრძანება გვაქვს, დროშას ვერ დაგიბრუნებთ ვერაგზითო.“ – იყო დარაჯების პასუხი.

რა თქმა უნდა, თუ ხალხი სწუხდა, ხევიბერს რაღა გაალალებდა, ბეკი უარესად შენუხებული იყო; იმას დროშის ნაცვლად ხელში მხოლოდ ყავარჯენილა შეპრჩა. ის მაინც იმედს არა ჰყარგავდა და, როცა დროშის გამოსახსნელად დაბრუნებულმა კაცებმა დარაჯების პასუხი მოიტანეს, ბეკმა ხალხის გასაგონად წარმოსთქვა:

– ფიქრი არ არი, ვენაცვალე ჩემს თამარისეულს, თავისთავს თითონ დაიხსნისო, – ხევისბერი დროშას მეტსახელად თამარისეულს ეძახდა.

– გრისავდეთ მაგის მაღლი და ძალიო! – ხალხის გულიდან მხოლოდ ეს სიტყვები ამოდიოდა ამჟამად.

ყველა ჰერძნობდა თავს უთავ-უხელფეხოდ, ჰერძნობდა ისე, რომ დარაჯებმა მოჰკვეთეს ნახევარი ასო და ისე გაუშვეს თვითვეული მათგანი. გზაკვალარებულ წეროებსავით აღარ იცოდნენ, რა ექნათ, საით წასულიყვნენ – განეგრძოთ გზა, თუ უკან დაბრუნებულიყვნენ; დროშამ გაიყოლა თან იმათი სული და გული; დროშა, როგორც ჩანგალი მასზე მიბმულ თევზს, ისე იზიდავდა თავისკენ ხალხის ოცნებას. საცა დროშაა, ღმერთიც იქ არი, თუნდა ბოსელში შეიტანო და ამიტომ მლოცვათ დროშა რომ ჩიხაურში დაუანგებულ თოფებთან ერთად დაყუდებული დაენახათ, ისევა მუხლს მოუყრიდენ, როგორც წმინდა გიორგის სალოცავში. დღეს ეს დროშა მტრისაგან შეურაცხყოფილია, ჯავრი არ ამოიყარეს.... „ჩვენ თუმც ჩვენის უძლურებისა გამო ვერაფერი ვუშველეთ დროშას, მაგრამ არაფერი უშაგს, ის თავისთავს უშველის“. – ეს ფიქრი უელავდა ყველას თავში და გულში იმედი ესახებოდა, რომ დროშას, როცა იქნებოდა, დაეპატრონებოდა ხევისბერი და



გუდანის ჯვრის დროში, ხევსურეთი

ხალხიც ჩვეულებრივად გაჰყვებოდა თან მის სადიდებლად და სასახელოდ. ეხლა კი, მეტი რა ღონე იყო, უნდა უდროშოდ წასულიყვნენ მთაში, დიდ სალოცავში, უნდა მისულიყვნენ იქ გაცვრცილნი, შეურაცხყოფილნი, დამხობილიყვნენ წინაშე დიდი ბატონისა და შაეჩივლათ მისთვის თავიანთი მწუხარება, ვარამი, დაჩაგვრა, შელახვა ხალხის თავმოყვარეობისა, შეგინება დროშისა. ხალხი აღარაფერს დაუმალავდა დიდებულს თავის სალოცავს, ამოანთხევდა მის წინაშე მოგუბებულ ნაღველს, შინაურს თუ გარეულს, და მოსთხოვდა, რომ დაპხმარებოდა იგი და შაემსუბუქებინა თავის მოსავთათვის ტვირთი მძიმე და გაეცა პასუხი იმისთვის, ვინც ხალხსა სჩაგრავს და ჰმტრობს, – ვინც ფეხქვეშ სთელავდა ერის უფლებას, არაფრად აგდებდა ხალხის ზნე-ჩვეულებას და სხვ. ბეკი კარგად ჰქედავდა, ცხოვლადა ჰგრძნობდა, ხალხის გულს მოსეული ნაღველი ყორანივითა სწინენიდა. ხევისბერის გული ხომ გულად აღარ ჩაითვლებოდა. ის დამწვარიყო, დანაცრებულ-დადაკვლებულიყო, ბეკისავე ცრემლით დასვე-

ლებული, ხაჭოს კვერსავით შეკუმშული ეჩარა მკერდში, როგორც ყორეში უბრალო რამ რიყის ქვა... ბეკი ცოცხალ-მკვდარს დაემსგავსა, მაგრამ ხმა, ერის გამამხნევებელი, ისევ იმან ამოილო, ხალხი ანუგეშა, სასოება დაბადა მის გულში.

– ხალხნო! – წარმოსთქვა ბეკმა დამტკნარებული ხალხის წინაშე: – ნუ იდარდებთ, გულს ნუ გაიტეხთ!.. ჩვენს მამა-პაპას ბევრი ვაება უნახავ; საქართველოს თავზე ბევრს ვაი-ვაგლაბს გადაულია, დროშებიც ბევრჯერ გაუტაცია მტერსა, საყდრები და ხატებიც ბევრჯერ დაუნგრევია, ხალხიც მრავალი გაუწყვეტია, – კალოდ ულენავ მკვდარი, მაგრამ საქართველო ისევ საქართველოდ დამრჩალა. გასულა ხანი, ხალხი ისევ გამრავლებულა, ხატ-საყდრებიც აშენებულან, დროშაც გაახლებულა. გულს ნუ გაიტეხთ, გენაცვალოსთ ბეკი, როგორც გვილოცია, ისევ ისე ვილოცოთ ჩვენი სალოცავი. დღეს უდროშონი ვართ, მართალია, მაგრამ ხვალ ღმერთი ისევ დაგვიბრუნებს დროშას. წავიდეთ, ძმებო, ჩვენის ბატონის (სალოცავი) ძალი და მადლი

იქვე დაგვხვდება, იმას იქიდან ვერავინ მოიტაცებს, თუნდა მთელი ქვეყნის ხელმწიფები მოვიდენ თავის ჯარებით და ზარბაზნებით. იმის ნართმევა მარტო ღმერთს შეუძლიან და სხვას არავის. კაცნი კი, რაც უნდა ეცადნენ, ღმერთობას ვერ იზმენ!“

ბეკი ამ სიტყვას რომ ამბობდა, მთელი სახე უთროთოდა და მზად იყო, იმის გულიდან, როგორც ცეცხლის მფრქვეველ მთიდან, ამოენეთქა ქვითინს, მაგრამ სასწაულებრივ თავს იქრდა, გულს იმაგრებდა.

— მაშ, მაშ, უნდა წავიდეთ, შინ ხო არ გავპბრუნდებით, უნდა ვილოცოთ. განა დალოცვილმა ხატმა არ იცის, როგორი დღეც გვადგა? უდროშოდ მისვლას აროთ გვიწყენს!.. — წარმოსთქვა ხალხმა.

— არ გვიწყენს, არა, დაილოცოს იმისი მადლი და სახელი, დიალაც რო იცის, საქმე როგორ არი! — გაამსხნევა კვალად ბეკმა ხალხი.

— ღმერთო, მოგვიმართე ხელი, ღმერთო და ჩვენო სალოცავებო, ნუ მოგვიძულებთ, შავვენიეთ, გვიშველეთ! — სთქვა ბოლო დროს ხევისბერმა და ცხენით, ნელის ნაბიჯით, გაუძლვა წინ მორჩილ მრევლსა.

ბეკი წაუძლვა ხალხს წინ, რათა გადაეხადა ფლესასწაული, აესრულა თავისი მოვალეობა, თუმცა იმისი სული და გული დროშასთან იყო, და გულში გადაწყვეტილი ჰქონდა მტკიცედ, გაათავებდა თუ არა ხატობას, იმ წამსვე შესდგომოდა დროშის ტყვეობიდან გამოხსნის საქმეს.

ხატის სალოცავად დამშეული და გასწრაფებული ხალხი ამასობაში მთის კალთებზე მოტანტალე ნისლებმა დაფარეს, შეახვიეს ისინი ძაბაში, როგორც ძვირფას სამოსელში. ბუნებამ თითქოს ამით ანუგეშა გულდაწყლულებული ერი და დაუამა მწვავე იარა.

## V

რა მოხდა შემდეგ? — ჩვეულებრივი ამბავი: ფულების მოგროვება დასტურების მიერ და კაცების ძებნა მთავრობაში გასაგზავნად, სათხოვნელად, საშუალებრივ და აგრეთვე ქალაქს. მაგრამ ბეკი იმათ არ ენდობოდა და თავადაც თან დასჭევდა რწმუნებულებს... იმას მთელი ერთი კვირის განმავლობაში მუდამდღე პნახავდით ბოქაულის კარებზე ქუდმოხდილს, ყავარჯენზე დაბჯენილს, თავბედჩამომტირალი სახით...

— შენ, ბერიკაცო, ხომ არ გინდა ციხეში თავი გიკრა? რა სულთამხუთავიერით დამდგომიხარ თავზე, შე ოჯახდაქცეულო? დასწყევლა ღმერთმა, ხათაბალაა!.. არ შეიძლება-მეთქი,

ხომ გითხარი? შენ ქართული გეყურება თუ არა? რა ტუჩებს აცმაცუნებ? დამაშტერე, კარგად დამაშტერე თვალები!.. მამა გიცხონდა, ეხლავე წინ მოგაგებებ, არა? შე არანმინდავ, კერპითმსაურო, ქვეყნის მატყუარავ, დასაღრმიბი ხარ შენა, გესმის თუ არა, პირდაპირ დასაღრჩობი, არა მაშ?! სთქვი სწორედ, რატომ ხმას არ იღებ? — ეუბნებოდა განრისხებული ბოქაული გასაცოდავებულს ხევისბერს და თანაც მზად იყო სიტყვა საქმედ განეხორციელებინა, უკეთუ ბეკი არ შეისმენდა და არ მოჰშორდებოდა ბოქაულის კარ-მიდამოს.

— ვარ, ბატონო, მაგრამ... სთქვა ხევისბერმა, მაგრამ წინადადება ვერ დაასარულა, სიტყვები ასლის ფხასავით ყელში ეჩხირებოდა, მეტის-მეტი მღელვარებისაგან ენა ებმოდა. ამიტომ იმას, რაც ენით უნდა ეთქვა, თვალებით ლაპარაკობდა. ბევრს რასმე ამბობდა ბეკის თვალები იმისთვის, ვისაც გრძნობა აქვს, ვინც არ არ მოკლებული მადლი – ადამიანის გულში ჩაიხედოს და შეიგნოს მისი სულის ვითარება. ბევრს რასმე გამოიტყოდა ხევისბერის თვალები. იმაში მდურვაც იყო, თხოვნაც. სურვილი შთაგონებისა, რომელიც უნდა ასე გაგვეგო: განა შაიძლება ქართველი კაცი საქართველოსა ჰლალატობდეს? ვაპ დედას მტრისას!.. განა ქართველმა კაცმა არ უნდა იცოდეს, რო დროშა ერის სულიერად ალმზრდელი და არა წამწყმედელიო? და სხვ. და სხვ.

ბეკის დაუინებით სიარული მაზრის უფროსთან, ბოქაულთან და სხვა მოხელეებთან დასტურებმა, რწმუნებულად ამორჩეულმა კაცებმა საქმის საზარალოდ ჩათვალეს და ამიტომ ხევისბერი შინ გაგზავნეს, ხოლო თავად, რაც შეეძლოთ, ჭკუას, გამოცდილებას არ ჰაზოგავდენ, რომ დროშა როგორმე გამოეხსნათ საპყრობილედან; არზებს არზებზე გზავნიდენ და მიდ-მოდიოდენ სოფლიდან ქალაქს, ქალაქიდან სოფლისაკენ. ბევრი გამოუჩნდათ მანუგეშებელი, დარიგების მიმცემი. თავადაც იმედს როდი ჰკარგავდენ, თავისითავს თვითონვე არიგებდენ, ბჭობდენ, როცა ერთად შეიყრებოდენ – რა ვთქვათ, როგორ მოვიქცეთ, რო ჩვენი თხოვნა უკანონოდ არავინ ჩათვალოსო. მეცადინეობამ რწმუნებულებს ამაღდ არ ჩაუარა და, როგორც იყო თ ა მ ა რ ი ს ე უ ლ ი დაიხსნეს მტრის ხელიდან, ანუ, როგორც თავად ხალხი ამბობდა დროშამ თავისთავი თავად დაიხსნაო.

ხალხი მაზრის უფროსის მიერ დროშის ჩაბარების ამბავს სხვადასხვა ფერადებით ამკობდა.

6 ასლი – ხორბლის ჯიში.



სოფ. პლო, მთავარანგელოზის პეტარი, დროშის ტარები

საქმე იქამდის მივიდა, თურმე, ბოლოს „ნაჩალიკი“ ეხვენებოდა დასტურებს: „ნაიღეთ, თქვე მამაძალებო, და მომაშორეთ ეს თქვენი დროშა აქედან, თორემ, ლამის არი, სტრაუნიკების ცხენები კი არა მარტო, ლამის სტრაუნიკებიც დაცოფდენ, და ეს ცოტაა კიდევ, – იქნება მთელი „ჩიხაურაც“ გაგიუდეს – თოფებმა თავისთავად სროლა დაიწყონ. მომაშორეთ, ჩქარა მომაშორეთ თავიდანაო!“

მთელი ეს ამბავი დაბადა ერთმა შემთხვევამ, რომელიც მოხდა დაბა №-ში. ერთ დარაჯთა-განს, სწორედ იმას, ვინაც ბეჭე დროშა წაართვა, ჩამოიტანა და ჩიხაურში მოათავსა, სწორედ იმას გაუგიუდა ცხენი; ცხენმა მხედარი გადმოაგდო და თავი მიახლეინა გალავნისთვის სწორედ იმ ალაგას, საცა ჩიხაური იყო; თავგაჩენლმა დარაჯმა იმ წამსვე სული განუტევა...

მაშინათვე, ვინც კი გაიგონა ეს ამბავი, ყველა ამას ამბობდა: – „კიდევ დაატყვევებთ დროშას? ვერ ნახეთ, რა ძალა პქონია წმინდა გიორგისო?“

მაგრამ ყველაზე მეტად გალალებული ბეჭი იყო. სწორედ მზე მოჰყენოდა სახეზე, მის სახეს

და შუბლს ნაოჭები დაჰკარგვოდა. ჭაბუკის სახეს დაჰმისგავსებოდა, პრი ულიმოდა; დროშას, ვით დედა შვილს, გულში იხუტებდა. პირველად, როცა მიუტანეს და ჩააბარეს, სიხარულით ცას დაეწია; დროშას ხან ასწევდა მაღლა და ხან დაუშვებდა და თან ამას ამბობდა:

– ვენაცვალე ჩემს თამარისეულს... აკი მაშინვე გითხარით, ბიჭო, თამარისეული თავისთავს თავად უშველისო, ჩვენი შველა საჭირო არ არიო?.. დასთხაროს ღმერთმა თვალები, ვინაც ჩვენ თვალებსა გვთხრის. ვერა ნახეს, ვერ გაიგეს, რაც ძალა პქონია ჩვენს სალოცავსა?!.. აბა ნუ დაგვეხსნებიან, იქნება, ისე გაუხადოს საქმე, სუ ამოჟლიტოს ყველანი თავის ცოლშვილიანადა. აი, ი ჩემი სიზმარიც აცხადდა. დევირო შამება, მაგრამ, დაილოცა ღმერთი, ვერ გამლახა; იმედია, ვერც ამის შემდეგ გამლახავს; მანამ თამარისეული ჩემთან არის. მე დევირას დამაკლებს. ვენაცვალე მაგის მადლა და ძალას, უწამებელს ანამებინებს თავისთავსა! – ეუბრებოდა სახეგაბრნყინებული ბეჭი გარსშემორტყმულს ხალხსა.

– გაგიხარიან, ანამებია კი არა, – დაილოცა მაგის მადლი და სახელი, – მეტიც უყო, თავში ჩვენ ვეხვენებოდით, დროშა დაგვიბრუნეთო. დიდს უარზე იდგნენ და ბოლოს კი ნაჩალიკი გვეხვენებოდა – წაიღეთ და მომაშორეთ თქვენი დროშა თავიდანაო. – უპასუხებდა ბეჭს გახარებული ერი. ბეჭი კარგა ხანს ალარა პშორდებოდა დროშას და, როცა მარტოკა იყო, ელაპარაკებოდა იმას. დღეში სამჯერ უცვლიდა ადგილს, არ იცოდა, სად შეანახა, რომ მის იმედს და ნუგეშს მურტლის ხელით არავინ შეჰებოდა, – არ გასწყორმოდა კიდევ ვისმე ღმერთი და არ ჩამოეყარათ მისითვის თ ა მ ა რ ი ს ე უ ლ ი.

მაგრამ ეხლა ხევისბერი სრულიად სხვა ფიქრზე იყო დამდგარი: „მაშინაც დავაშავე, რომ თამარისეული ისე უომრად დავანებე სტრაუნიკებსა. არ ვიცი, რამ შემკრა, რამ მომაჯადოვა. ეხლა კი, ეხლა, თუ კიდევ ვინმე ხელი ახლო, ჩემის სალოცავის მადლმა, ისე ადვილად ალარ დავანებებო“...

ვაჟა-ფშაველა

1913 წ.<sup>7</sup>

<sup>7</sup> ფოტომასალა გამოყენებულია ვ. ბარდაველიძის ნაშრომიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. 1974, 1982, 1985

## სპარსი მემატიანის ცნობა XII საუკუნის ქართული დროშის შესახებ

შუა საუკუნეების ქართული დროშების შესახებ ერთობ მწირი ცნობები მოგვეპოვება. კიდევ უფრო მწირია ცნობები, რომელიც ამ დროშის აღნერილობას შეიცავს. ერთიანი მონარქიის გორგასლიან-დავითიანი დროშის ფერსა თუ სახეზე მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსი (XII ს.) და სტეფანოს ორბელიანი (XIII ს.) მოგვითხრობენ.<sup>1</sup>

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სპარსელი ისტორიკოსის, მუჰამად იბნ ალი რავენდის ერთი ცნობა, რომელიც თავის დროზე ვ. მინორსკიმ გამოიყენა XII საუკუნის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის გაშუქებისას,<sup>2</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში კი პ. თოფურიამ შემოიტანა.<sup>3</sup> თუმცადა, ამ ცნობისათვის, შუა

საუკუნეების ქართული დროშების თვალსაზრისით, არც მაშინ და არც შემდეგ, ყურადღება არავის მიუქცევია. ის შეუმჩნეველი დარჩა ქართული ვექსილოლოგიისთვისაც.

რავენდის შესახებ ცოტა რამ თუ არის ცნობილი, ისიც, მისივე ნაშრომში მოყვანილი ფაქტებიდან. მსახურობდა უკანასკნელი დიდი სელჩუკი სულთნის, თოლორულ III იბნ არსლანის (1176-94) კარზე, რომლის დაღუპვის შემდეგ რუმის სულთანს, ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ I-ს (1192-96, 1205-11) მიმართა. ის განსხვლული იყო სამართალსა და თეოლოგიაში და განაფული კალიგრაფიც გახლდათ, რომელსაც შეეძლო ენერა ერთმანეთისაგან განსხვავებული 70 სახის ხელით. თავისი შრომა („რაჲათ ალ-სუდურ“),<sup>4</sup> რომელშიც დიდ სელჩუკთა დინასტიური ისტორია მოთხრობილი, რავენდიმ 1202-10 წლებში დაწერა.<sup>5</sup>

აღნიშნული ცნობა XII საუკუნის შუახანებს ეხება, პერიოდს, როდესაც გაძლიერებული საქართველო ჩრდილოეთ სომხეთსა და არანში უტეეს მუსლიმურ სახელმწიფო ერთეულებს. მასში აღნერილია მუსლიმებთან ბრძოლაში გიორგი III-ის მარცხი, რომელიც მან წინა წლების წარმატებების (ანისთან გამარჯვებისა და დვინის აღების) შემდეგ განიცადა.

გიორგი III, რომელიც ძლიერი და ენერგიული ხელისუფალი იყო, გამეფებიდან (1157) ცოტა ხანში, კერძოდ, 1160 წელს აქტიურ შეტევას იწყებს მუსლიმთა წინააღმდეგ. 1161 წელს ის ანისთან ამარცხებს შაჲ-არმენ სუქმან II-ის მიერ ორგანიზებულ ისლამურ კოალიციას,

4 ამ ნაშრომის სათაურისათვის იხ. Sara Nur Yıldız, "A Nadîm for the Sultan: Râwandî and the Anatolian Seljuks," in *The Seljuks of Anatolia: Court and Society in the Medieval Middle East*, ed. by A. C. S. Peacock and Sara Nur Yıldız (London, 2013), 104.

5 *The Râhat-us-şudûr wa áyat-us-surûr, being a History of the Saljuqs by Muhammad ibn 'Ali ibn Sulaymân ar-Râwandî*, ed. with notes, glossary and indices by Muhammad Iqbal (London, 1921), XV-XX; Carole Hillenbrand, "Râwandî," *Encyclopaedia of Islam*, 2nd ed, vol. VIII (1995), 461; Id., "Râvandî, the Seljuk Court at Konya and the Persianisation of Anatolian Cities," *Mesogeios*, vol. 25-26 (2005), 159-60; Yıldız, "A Nadîm for the Sultan: Râwandî and the Anatolian Seljuks," 94-5.

- 1 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 71; სტეფანოს ორბელიანის ნაშრომის „ცხოვრება ორბელიანთა“ ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხურ ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საინტებული დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 38. აქვე შევნიშნავ, რომ სრულიად მიუღებელია სტეფანოს ორბელიანის ცნობის კ. თუმანოვისეული ინტერპრეტაცია, როდესაც ის ცდილობს ქართული (!) დროშის ფერები (თეორი და წითელი) მამიკონიანების საშუალებით დაურენა აქემენურსა და ზორიასტრულ სპარსულ ტრადიციას და სრულიად ჰიპოთეტურ სომხურ (?) სამეფო დროშას. Cyril Toumanov, "More on the Mamikonids and the Liparitids," in *Armenian Studies: in Memoriam Haig Berberian*, ed. Dickran Kouymjian (Lisboa, 1986), 859-60. თავი გავანებით იმას, თუმანოვი ერთმანეთში რომ ურევს სამეფო და ორბელთა დროშის ფრობებს; მხოლოდ კვინტუს კურტოუს რუფუსის მიერ აღნერილი დარიას III-ის მენაშულ ქობაშემოვლებული თეორი ტუნიკიდან და ტიგრან დიდის სამოსიდან, რომელიც, დიონ კასიონის მიხედვით, თეორ ტუნიკაზე მენაშულს ატარებდა, ასეთი „გაბედული“ და შორსმიმავალი დასკვნის გამოტანა ყოვლად შეუძლებელია. Quintus Curtius, *History of Alexander*, with an English translation by John C. Rolfe, vol. I (Cambridge, MA, 1946), III.III.17; Dio Cassius, *Roman History*, with an English translation by Ernest Cary, vol. III (Cambridge, MA, 1914), XXXVI.52. კ. თუმანოვის ცნობაზე მითითებისათვის მაღლობას ვუხდი გ. ჯაფარიძეს.
- 2 V. Minorsky, *Studies in Caucasian History* (London, 1953), 95.
- 3 პავლე თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში (თბილისი, 1975), 223.

1162 წელს კი იღებს დვინს, სომხეთის ძველ დედაქალაქს.<sup>6</sup>

ქართველთა წარმატებებმა მუსლიმ მმართველებს გაერთიანებისაკენ უბიძგა. გიორგი III-ის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრით გამოვიდა აზერბაიჯანის ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი თავის პროტეჟე თოლორულ III-სა და ერაყის თურქ ამირებთან ერთად, შაჰ-არმენი სუქმან II, აპმადილიანები და აპდაბიანები. 1163 წელს მუსლიმთა გაერთიანებულმა ლაშქარმა გერგერის (გარგარის) მძიმე და სისხლისმდვრელ ბრძოლაში სძლია გიორგი III-ს.<sup>7</sup> მუსლიმებმა მოიპოვეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება და ქართველებთან დაპირისპირებაში ინიციატივასაც დაეუფლნენ. მომდევნო წელს საქართველომ დათმო ანისი (1164), რომლის ხელახლა აღება მხოლოდ 1174 წელს მოხერხდა.

გერგერის ბრძოლაში ჩვენთვის, ამჯერად, ქართველების მიერ დაკარგული ქონების ჩამონათვალია საინტერესო. ეს ქონება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მისი აღწერა მრავალ მუსლიმ ავტორთან გვხდება. სანამ რავენდის ცნობას განვიხილავდე, ამ აღწერილობებსაც მოვიყან, რადგან ისინი, ქართველთა დასანანი მარცხის გარდა, თვალნათლივ მეტყველებენ იმდროინდელი საქართველოს სიძლიერესა და სიმდიდრეზე.

სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი წერს, რომ „მუსლიმებმა ხელთ იგდეს ნადავლი, რომლის მსგავსი არც მათ და არც სხვა ლაშქარს აროდეს ეშვება. მეომრები დამძიმდნენ ალაფით, ცხენებით, მრავალი ნივთით, მშვენიერი კარვებითა და მარგალიტის მსგავსი მონებით. სამეფო ქონებიდან ხელში ჩაიგდეს ვერცხლის ბაგები, რომლითაც მეფის ცხენებს არწყულებდნენ, საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი, მაგიდები, თეფშები, ლანგრები და დოქები, ყველანი ოქროსაგან ნაკეთები. მეფის ხაზინაში იპოვეს აურაცხელი ძვირფასი თვალი, ოქრო, მარგალიტი და მარჯანი...“<sup>8</sup>

კიდევ უფრო მეტ დატალს გვაწვდის თავის მონათხრობში იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი: „მათი

[ქართველთა] ქონებიდან იმდენი მოინადავლეს, რომ აღწერა ან დათვლა შეუძლებელი იყო. ხელში ჩაიგდეს მეფის საჯინიბო, რომლის ბაგები ვერცხლისა იყო. მეფის მარანი სრულად მოიხელთეს, ვერცხლის დიდი კასრების ჩათვლით. ერთი მათგანი სულთანს მიართვეს. წყვილი ასეთი კასრის ტრანსპორტირებისათვის ერთი საზიდარი გახდა საჭირო. სულთანმა ის თავისათან გააგზავნა 2 ათასი დინარის ღირებულების სხვა საქონელთან ერთად. ჰამადანის მთავარ მეჩეთს მან გაუგზავნა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, რათა ისინი წყლის სასმელად გამოეყენებინათ. მეორე კასრი თურქმენებს შეხვდათ, რომელთაც ის ნაწილებად დაამტვრიეს... შაჰ-არმენს სამი საპალნე ერგო: ერთში ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი იყო; მეორეში — მეფის სამლოცველო თვლებით მოოჭვილი ოქროსა და ვერცხლის ჯვრებით, ოქროსა და ძვირფას ქვებში ჩასმული ფასდაუდებელი სახარებებით, რომლის მსგავსი არსად მოიპოვებოდა; მესამეში — აურაცხელი და შეუფასებელი ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვლები მეფის ხაზინიდან“.<sup>9</sup>

ზაჰირ ად-დინ ნიშაბურის თანახმად, მუსლიმები „მოულოდნელად დაეცნენ მათ [ქართველებს] თავს და დაიტაცეს მისი [აფხაზთა მეფის] ხაზინა, და ოქროს ჯვრები და ვერცხლის ჭურჭელი; მათ [მუსლიმებმა] წაიღეს ყველაფერი“.<sup>10</sup>

რავენდის ცნობა ერთ-ერთი ყველაზე მოკლეა იმ ცნობების ფონზე, რომლებიც უკვე განვიხილეთ, მაგრამ ის შეიცავს ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ინფორმაციას ქართული დროშის შესახებ. სპარსი მემატიანის თქმით, „ათაბაგის სიფრთხილე რომ არა, რომელმაც მუსლიმთა ლაშქარს უკანმოუხედავი დევნა აუკრძალა, ერთი ქართველიც ვერ გაიქცეოდა და აფხაზთა მეფეც ტყვედ ჩავარდებოდა. თუმცა ყველა თეთრი დროშა, ოქროს ჯვრები, ვერცხლის კასრები, ხაზინა და მარანი მოინადავლეს და მეფე, ფეხშიშველი, ბოლო წამს მოახტა ცხენს და თავს უშველა“.<sup>11</sup>

9 Minorsky, *Studies in Caucasian History*, 93-4.

10 *The History of the Seljuq Turks: From the Jāmi al-Tawārīkh: An Ilkhanid Adaptation of the Saljūq-nāma of Zāhir al-Dīn Nīshāpūrī*, translated and annotated by Kenneth Allin Luther, edited by C. Edmund Bosworth (Richmond, Surrey, 2001), 143.

11 *The Rāḥat-uṣ-ṣudūr wa ḥāyat-uṣ-surūr, being a History of the Saljūqs by Muḥammad ibn 'Alī ibn Sulaymān ar-Rāwandi*, 288-9; Minorsky, *Studies in Caucasian History*, 95. შდრ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის

6 გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში (თბილისი, 1995), 102-6.

7 იქვე, 106-8.

8 სადრ ად-დინ ალ-ხუსაინი, *Сообщения о Сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмиратах и государствах*, издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буняитова (Москва, 1980), 141-2.

რავენდის ცნობიდან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა არის შესაძლებელი. მის საფუძველზე საბოლოოდ შეიძლება დადგინდეს ქართული დროშის ფერი, რომელიც აქამდე ეჭვ-ქვეშაც კი იდგა. ერთიანი მონარქიის სახელმწიფო დროშის ფერზე პირველად „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს: „დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა“.<sup>12</sup> XII საუკუნის ქართულ სამეფო დროშას აღნერს სომები ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანიც.<sup>13</sup> სომხურ დედანში დროშის ფერი იყითხება როგორც „სპიტაკ“ და ის ქართულად ტრადიციულად ითარგმნება როგორც თეთრი. თუმცა, სპეტაკის, როგორც თეთრის განმარტება, ეჭვ-ქვეშ დააყენა გ. მაჭარაშვილმა, რომელმაც მიიჩნია, რომ სპეტაკი აქ ბრნეინვალე, ანუ ოქრომქედით შემკულ დროშას ნიშნავს და, რომ სახელმწიფო დროშა ჩალისფერი იყო.<sup>14</sup> თავის დროზე მე მივუთითე, რომ „ისტორიანისა და აზმანის“ ერთ ნუსხაში (ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსტულ ტექსტში) ქართული დროშის ფერი სიბერის ფერს, ანუ თეთრს არის შედარებული — „მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ“,<sup>15</sup> რაც ნიშნავს, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშის ქსოვილი (ველი) თეთრი იყო.<sup>16</sup> რავენდის ცნობა გვიდასტურებს ქართულ-სომხური მატიანების ინფორმაციას და ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ ერთიანი მონარქიის დროშა ნამდვილად თეთრი იყო.

ამავე დროს, ცხადია, ქართული დროშა მხოლოდ და უბრალოდ თეთრი არ იქნებოდა. თეთრი უნდა ყოფილიყო დროშის ველი, ანუ ძირითადი ფერი, რომელიც უპირველესად და შორიდანვე

ხვდებოდა თვალს, მაგრამ მასზე აუცილებლად იქნებოდა დატანილი ქრისტიანული სიმბოლიკა — მთავარანგელოზის, წმინდანის ან ჯვრის ნიშანი. ამის თაობაზე ყველაზე სრულ ცნობას სტეფანოს ორბელიანი გვაწვდის: „რამეთუ განწესებულ იყო მეფისა ქრისტიანული სიმბოლიკა და წილისა ნიშნისა“.<sup>17</sup> დ. მუსხელიშვილის განმარტებით, სომხური ნიშანი („ნშან“) ითარგმნება, როგორც „ჯვარი“.<sup>18</sup> გამოდის, რომ ქართული დროშა თეთრი იყო, რომელზეც წითელი ჯვარი იყო დატანილი.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქართული დროშის შესახებ სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყარო იძლევა ერთნაირ ინფორმაციას: ქართველი (თამარის პირველი ისტორიკოსი), სომები (სტეფანოს ორბელიანი) და სპარსელი (რავენდი) მემატიანები გვიდასტურებენ, რომ სამეფო დროშა თეთრი იყო. სტეფანოსი ამატებს, რომ დროშაზე წითელი ჯვარიც იყო გამოსახული. საერთო ჯამში, რავენდის ცნობაც სტეფანოს ორბელიანის მონაცემებს ეთანხმება.

ვფიქრობ, უკვე საეჭვო არ უნდა იყოს, რომ XII საუკუნეში საქართველოს სამეფო დროშა თეთრი ფერის ქსოვილზე დატანილ წითელ ჯვარს წარმოადგენდა. გასარკვევი ისლა რჩება, თუ რამდენი წითელი ჯვარი იყო ამ დროშაზე გამოსახული, — ერთი, როგორც წმ. გიორგის დროშაზე თუ ხუთი, როგორც ეს გვხვდება ევროპულ პორტოლანებზე XIV საუკუნიდან მოყოლებული.<sup>19</sup>

მაშაკა ლურჯუმის  
ისტორიის დოქტორი

- პოლიტიკური ერთგულები XI-XII საუკუნეებში, 223. მინორსკისა და თოფურიას თარგმანში მცირედი, თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს მინორსკი ასე თარგმნის: „თუმცა, მისი [მეფის] ყველა თეთრი დროშია“, თოფურია — „მანც, ყველა [მათი] თეთრი დროშია...“ როგორც ვხედავთ, მინორსკის მიხედვით, თეთრი დროშები მეფეს ეკუთვნის, თოფურიას თანახმად კი — (ზოგადად) ქართველებს. სპარსული ტექსტის გადამოწმებამ ცხადყო, რომ შინაარსობრივად უფრო ზუსტი პ. თოფურიას თარგმანა. მადლობს მოგახსნებ გია ბერაეს სპარსული დედნის შემოწმებისა და ცნობის დაზუსტებისათვის.
- 12 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 71.
- 13 ის ქართველ დიდებულთა, ორბელთა ჩამომავალი იყო.
- 14 გიორგი მაჭარაშვილი, დროშა გორგასლიანი (თბილისი, 2011), 9-15.
- 15 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 71.3.
- 16 მამუკა წურნუმია, „დროშები შუა საუკუნეების საქართველოში“, ჰეროლდი, 4 (2015), 31-2.

17 სტეფანოს ორბელიანის ნაშრომის „ცხოვრება ორბელანთა“ ძეგლი ერთული თარგმანები, 38.

18 დავით მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, ლიტერატურული საქართველო, 13-20 მარტი (1998), 5.

19 დ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ სტეფანოს ორბელიანი ცნობაში მრავლობითი (ანუ ხუთი) ჯვრებიც შეიძლება ვიგულისხმოთ (მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, 5), თუმცა, უნდა ვალიართო, რომ ორბელიანის ცნობა ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლევა. ამ მოსაზრების კრიტიკისათვის იხ. აპოლონ სილაგაძე, გონია ჯაფარიძე, „ავმორთუ დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“ (თბილისი, 1999), 17-8.

# ხორვატიის თანამედროვე მუნიციპალური დროშების ისტორიული წარმოშობა

## 1. შესავალი

### 1.1. მუნიციპალური დროშები, ზოგადი მიმოხილვა

მუნიციპალური დროშა, რომელიც აგრეთვე ცნობილია როგორც სამოქალაქო დროშა, შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის, ურბანული ზონის ან, ზოგადად, ეროვნული ადმინისტრაციული ერთეულის – ოლქის, თემის (კომუნის), ქალაქის, სოფლისა და დასახლების, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის დროშა<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, უკვე წინა კლასიკურ პერიოდში შეიმუშავეს უძველესი ქალაქების, პროტო-სახელმწიფოების შემადგენელი ნაწილების კორპორაციული იდენტურობის სიმბოლოები, რომელთაგან ზოგიერთი ატარებდა ვექსილიოდების ფორმას და ხშირად ასახავდა ადგილობრივი ღვთაებების ფიგურებს ან ემბლემებს.

ჯვაროსნული ომების შემდგომ პერიოდში, ჰერალდიკის განვითარებასთან ერთად, მუნიციპალური დროშები ემორჩილებოდა, თუმცა სრულად არ ემთხვეოდა, ჰერალდიკურ წესებს. შუა საუკუნეებში, სხვადასხვა ქალაქის დროშებზე გამოისახულია მფარველი წმინდანების, ხატების და სხვა არაჰერალდიკური ფიგურების გამოსახულებები. ზოგიერთი დროშა იმეორებს სამხედრო ფერებს, ხოლო სავაჭრო პორტები იყენებენ შედარებით მარტივ საზღვაო დროშებს.

შუა საუკუნეების პერიოდის დამთავრებისას, ცენტრალიზებული სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად, მუნიციპალური დროშების გამოყენება მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით 1848 წელს რევოლუციების შემდგომ, როდესაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ შემოიღო ტრიკოლორი (სამფეროვანი) ან სხვა ეროვნული ფერები საჯარო გამოყენებისთვის.

მოუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ქალაქმა შეინარჩუნა ძველი დროშები, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი მოექცა თანამედროვე გრაფიკული დიზაინის გავლენის ქვეშ, რასაც შედეგად მოჰყვა ეროვნული სიმბოლოების მოდერნიზირება და ტრადიციული ჰერალდიკური ფიგურების გამარტივება. XX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა მუნიციპალური დროშების გადახედვის, გადაკეთებისა და განახლების ტენდენცია. ციფრული

და ტრაფარეტული ბეჭდვის განვითარებასთან ერთად და ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფორმირების შედეგად, XXI საუკუნეში სწრაფად იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ყველა ან თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დროშა.

### 1.2. ხორვატიის მუნიციპალური დროშები

ხორვატიაში მუნიციპალური დროშების ზოგადი ისტორია ვითარდებოდა ზემოთ აღნიშნული მოდელით. თანამედროვე ხორვატია მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო (ბიზანტიის, ვენეციის, იტალიის, ავსტრიის, უნგრეთის და ა. შ.), შესაბამისად, ხორვატიის მუნიციპალური დროშების განვითარებაზე ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ტრადიციები აისახა.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ზოგადი ტერმინი „მუნიციპალური დროშა“ ვრცელდება თვითმმართველობის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა ქვედანაყოფზე. თანამედროვე ხორვატიის შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ოლქზე, ქალაქზე, თემშა და მათ ერთეულდებზე.


თუმცა, რადგან ოლქების დროშების დეტალები უკვე მიმოვიზილები<sup>2</sup>, ხოლო უფრო მცირე ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებს არ გააჩნიათ ისტორიული დროშები, საუბარი გვექნება ქალაქებისა და თემების (როგორც ხორვატიის თვითმმართველობის ორ ძირითად ერთეულზე 1992 წლის ადმინისტრაციული რეფორმის თანახმად) დროშებზე.

დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალური გერბის და დროშის მიღების საკითხი წყდება ადმინისტრაციის სამინისტროს<sup>3</sup>

2 Heimer, 2003.

3 კანონმდებლობაში „ცენტრალური სახელმწიფო ორგანიზაციებისა და რეგიონალური თვითმმართველობების იურისდიქტით“ წლების მანძილები იცვლება ამ უწყების დასახელება: *Ministarstvo pravosuđa i uprave* (იუსტიციისა და ადმინისტრაციის სამინისტრო), 1990-1993, *Ministarstvo uprave* (ადმინისტრაციის სამინისტრო), 1993-1999, *Državno ravnateljstvo za državnu upravu i lokalnu samoupravu* (სახელმწიფო მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო დარეგულორატი), 1999-2000, *Ministarstvo pravosuđa, uprave i lokalne samouprave* (იუსტიციისა, ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის სამინისტრო), 2000-2003, *Središnji državni ured za upravu Vlade Republike Hrvatske* (ხორვატიის რესპუბლიკის მთავრო-

1 Cf. Civic flag in Burgers et al., 2005.



სურ. 1. მუნიციპალიტეტები ისტორიული დროშებით 1990 წლამდე

დონეზე, რომელიც განსაზღვრავს სიმბოლოების მიღების და დამტკიცების ძირითად პირობებს<sup>4</sup>.

დროშის შექმნის ძირითადი პრინციპი არის ისტორიული მოდელის გამოყენება, თუ ასეთი არსებობს, შემდეგ კი მისი მაქსიმალური გამარტივება. იგივე პრინციპი ეხება გერბებს, მათი ფარი და ფიგურები რჩება უცვლელი, ხოლო კომპლექსური ფიგურები, როგორებიც არის: გვირგვინი, ფარისმტკირთველი, ორდენები, საჩიფეტება და ა.შ., არ გამოიყენება.

ამ პროცესის საწყის ეტაპზე, 90-იანი წლების პირველ ნახევარში, რამდენიმე ქალაქმა მოასწორ კომპლექსური (რთული) დროშების<sup>5</sup> და გერბების დამტკიცება. მალევე ეს პოლიტიკა ძალზე მყაცრი და თანმიმდევრული გახდა.

2017 წლამდე სამინისტროს მიერ დამტკიცებული იყო 445 გერბი და დროშა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის (76% 576-დან): 20 ოლქი (100%), 99 ქალაქი (79% 127-დან) და 326 თემი (76% 429-დან)<sup>6</sup>. თავდაპირველად სამინისტროს მიერ მინიჭებულ ნებართვაში ეწერა, რომ დამტკიცებული იყო ისტორიული სიმბოლო, ხოლო 2000 წლიდან ეს პრაქტიკა აღარ გავრძელდა და საბუთში აღარ იწერება, რომ დამტკიცების პროცესში ისტორიული მაგალითი იქნა გათვალისწინებული. ავტორის კვლევის თანახმად, სულ მცირე 45 ნებართვა მოიცავს ასეთ შენიშვნას. გარდა ამისა, ისტორიული წყაროს საფუძველზე კიდევ 15-20 გერბი იყო დამტკიცებული. თუმცა დროშების შემთხვევაში გვიჭირს ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებზე საუბარი, ვინაიდან დროშების დამტკიცების დროს საბუთში არაფერი იყო ნათევამი მათ ისტორიულ ნარმოშობაზე.

ამ ნაშრომში არის ნაჩვენები ხორვატის დაახლოებით ორი ათეული მუნიციპალიტეტის დროშა, რომლებსაც იყენებდნენ სხვადასხვა დროის მონაცემებში, სხვადასხვა ფორმასა და ფორმატში 1990-იანი წლების პერიოდამდე. გასათვალისწინებელია, რომ ეს რაოდენობა არ არის ზუსტი. მოუხედავად იმისა, რომ ავტორი ამ საკითხს სწავლობდა 20

ბის აპარატის ცენტრალური სახელმწიფო ბიურო), 2003-2009. 2009-დან კვლავ *Ministarstvo uprave* (ადმინისტრაციის სამინისტრო).

4 Pravilnik, Narodne novine, 80/94, 26/95, 94/98, and 68/04.

5 „კომპლექსური“ ამ შემთხვევაში ნიშნავს შემდეგს: ვინაიდან ძირითადი მოთხოვნა მუნიციპალური დროშების მიმართ არის ის, რომ დროშა უნდა იყოს 5 ძირითადი პერალდიკური ფერიდან ერთ-ერთი – წითელი, ლურჯი, მწვანე, ოქროსფერი (ყვითელი) ან ვერცხლისფერი (თეთრი), დამტკიცებული გერბით ცენტრში ან ტართან. სხვა ნებისმიერი ფერი ან ფერია შეხამება (მათ შორის ბაკარის ტრაკოლირი) ითვლება კომპლექსურად.

6 Cf. Heimer, 2016.

წლის განმავლობაში, თითქმის ყოველდღიურად ჩნდება ახალი ცნობები ახალ „ძველ“ დროშებზე და მუდმივად იზრდება და ივსება არქივებისა და ბიბლიოთეკების ინფორმაციის საცავები. გარდა ამისა, არსებობს კერძო კოლექციები და ადგილობრივი მუზეუმები, რომელთა შესახებ ავტორი ინფორმაციას არ ფლობს.

მიუხედავად ამისა, აქ წარმოდგენილი ხორვატის ისტორიული და თანამედროვე მუნიციპალური დროშების მიმოხილვა უზრუნველყოფს ხორვატიული მუნიციპალური ვექსილოლოგიის განვითარების პროცესის სრულყოფილ შეფასებას.


ძველი დროშები ნაჩვენებია სიმბოლოებითა და შესაბამისი საუკუნეების ნარჩენებით. ორმაგი დროშის სიმბოლო გულისხმობს მრავალჯერად ცვლილებას დროშის დიზაინში. აგრეთვე არის ნაჩვენები ოლქებისა და ქვეყნის საზღვრები (ოლქები, სადაც ისტორიული მუნიციპალური დროშები არ დაფიქსირებულა, ნაჩვენებია მუქ ფერში).

ხორვატის თანამედროვე ვექსილოლოგის ერთ-ერთი თავისებურებაა გონიფალონის (ცერემონიალური დროშის) გამოყენება საზიომო ღონისძიებების დროს ბევრი მუნიციპალიტეტის მიერ.<sup>7</sup>


ამ ნაშრომში ყველა დროშა, მათ შორის ნიმუშები მუზეუმების კოლექციებიდან, ნახატის სახით არის წარმოდგენილი, ვინაიდან დროშის კომპოზიციის ზოგიერთი ელემენტი იკარგება ფოტოსურათზე და ნათლად ჩანს ნახატზე. რათემა უნდა, ნახატი ვერ შეედრება ორიგინალს, თუმცა არის დროშები, რომლებიც შენახულია მხოლოდ ნახატის სახით, ძალიან ხშირად არის ბუნდოვანი მაშინაც კი, როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში არის გამოყენებული. ეს არის ერთგვარი „რეკონსტრუქციის მცდელობები“ და ტექსტში შესაბამისი სიმბოლოთი არის აღნიშნული.<sup>8</sup> ეს რეკონსტრუქციები სხვა პერიოდების

7 თანამედროვე იტალიის მუნიციპალურ გონიფალონების გამოყენების პრაქტიკასთან ახლოსა.

8 დროშების იდენტიფიცირების სიმბოლოები პირველად (ვრცლად) აბაბეჭდი Smith-Sho, 1975: 207. ნანილი იყო დამტკიცებული FIAV-ის მიერ როგორც დროშების საინფორმაციო კოდი Flag Information Code (see e.g. Info-FIAV 41 (2016): 32-33), მაგრამ ზოგი სიმბოლო არ იყო დამტკიცებული. მოუხედავად მისა, ბევრ ვექსილოლოგიურ წყაროში ეს სიმბოლოები მაინც არის. ჩვენ გამოვყენეთ შემდეგი სიმბოლოები: □ (ტარ მარჯვნივ), □ რეკონსტრუქცია (ასებობს მარტო წერილობითი აღნერა), □ ვერსა (ერთი ვერსა რამდენიმედან ერთი ძირითადი დიზაინის ელემენტებით), □ ალტერნატიული (ერთი დროშა ორიგინ, რომელიც გამოყენება ერთდროულად ან განსაკუთრებულ შემთხვევაში და ერთი და იმავე დანიშნულებისაა), ≠ ორმხრივი, □ რევერსული (დიზაინის ელემენტებით უკან მხარეს). დროშის სავარაუდო პროპორცია გახლავთ 1:2.



XV-XVI საუკუნეების პორტოლანებიდან



1492 წლის პორტოლანიდან



24.07.1998 წელს დამტკიცებული დროშა

სურ. 2. შიგენიას დროშები

დროშებით და ემბლემებით არის შთაგონებული და გახლავთ ისტორიული დროშის იღუსატრი-რებული ინტერპრეტაცია – *caveat lector* (გაფრთხილება მკითხველას).

## 2. ხორვატიის ისტორიული მუნიციპალური დროშები


### 2.1. მუნიციპალური დროშები XIII-XVI სს-ის პორტოლანება და მანუსკრიპტები

არსებობს ორი საინფორმაციო წყარო ხორვატიის მუნიციპალურ დროშებზე – წერილობითი წყაროები და გამოსახულებები. წერილობითი წყარო გახლავთ სტატუტები. XIII და XIV საუკუნეებიდან შენარჩუნებულია ადრიატიკის რამდენიმე ცალკეული კომუნის სტატუტები და საბაზო დეკლარაციების ნაწყვეტები. ერთ-ერთი უძველესი გახლავთ 1272 წლის დუბროვნიკის


სტატუტები (დებულებები). დოკუმენტების ნაწილი არის ლათინურ ენაზე, ნაწილი კი – ხორვატიულსა და იტალიურ ენებზე. ზოგიერთ სტატუტში დროშიც არის ნახსენები. სენჯის დებულებაში (1388) განსაზღვრულია საურავების ტარიფი იმ შემთხვევისთვის, როცა გემი შედის პორტში დროშის გარეშე.<sup>9</sup> აქედან გამომდინარე, საზღვაო დროშების გამოყენება იმ პერიოდში გახლავთ მიღებული პრაქტიკა.

ქ. ზადარის უცნობი თავადის მიერ შექმნილ დეტალურ ორტომიან ქრონიკებში „*Obsidio ladrensis*“, რომელშიც საუბარია ზადარის (ზარის) ალყაზე (1345-1346), ხორვატიისა და უნგრეთის მეფე ლაიონ I დიდის ნინააღმდეგ, ისინი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს თავს დაესხნენ კათოლიკურ ქალაქს. ზადარზე თავდასხმის ინიციატივა ვენეციის რესპუბლიკისგან წამოვიდა. ზადარი

<sup>9</sup> §50 (51) in Margetić, 2007.



28.05.1996 წ. დამტკიცებული დროშა



28.05.1996 წ. დამტკიცებული დროშა

## სურ. 3. მთავრობის დროშები

იყო მათი სერიოზული მეტოქე საზღვაო ვაჭრობაში ადრიატიკის ზღვაზე. ქრინიკაში ნახსენებია სამეფო რეგალიებით<sup>10</sup> ალფურილი დროშების გამოყენება და ასევე ვენეციელებისგან ბრძოლების შედეგად მოპოვებული დროშები<sup>11</sup>. აგრეთვე ნახსენებია დროშა წმ. მონამე ქრისოგონ რომაელის (ზადარის მფარველი წმინდანის) გამოსახულებით, რომელიც ჩამოატარეს ჯარის წინ<sup>12</sup>. დროშა წმ. ქრისოგონეს გამოსახულებით აგრეთვე ნახსენებია 1402 წლის მანუსკრიპტში, რომელშიც აღნერილია ქ. ზადარში მეფე ლადისლავის დახვედრის ცერემონიალი. მიღების დროს ეს დროშა იყო აღმართული მეფისა და უნგრეთის სამეფოს<sup>13</sup> დროშებთან ერთად. XIV საუკუნის პორტოლანებზეც ქ. ზადარის თავზე წმ. ქრისოგონეს დროშა ფრიალებს.

ზაგრების დროშა პირველად არის ნახსენები XIV საუკუნის მანუსკრიპტებში, თუმცა დროშის აღნერილობა არც ერთ წყაროში არ არის. 1422 წელს ზაგრების ეპისკოპოსის იოანე I აღბენის წერილში არის ნახსენები „სისხლისფერი დროშა“ (*vexillum currentum*), რომელიც წმ. მარკოზის ეკლესიის სამრეკლოზე იყო აღმართული<sup>14</sup>.

ავტორი არ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალური დროშების გამოსახულებებზე შეა საუკუნეების ხელოვნების ნამუშევრებში. თუ ასეთი ნიმუშები არსებობს, ისინი, როგორც წესი, ისტორიული თვალსაზრისით არასანდო, ან ძალზე

მცირე ზომის არის<sup>15</sup>. შესაბამისად, ძირითადი ინფორმაციის წყარო გახდავთ პორტოლანები.

XIV-XVII საუკუნეების მანძილზე პორტოლანებზე, მხოლოდ 6 საზღვაო ქალაქი აღინიშნება შესაბამისი დროშებით (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მაგ. ქ. რიუჟეკა არის აღნიშნული უცხოელი მმართველის დროშით – ჰაბსბურგების არწივით). ეს ქალაქებია (ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ): ქ. სენიი, ქ. ზადარი, ქ. შიბენიკი, ქ. სპლიტი, ქ. ნერეტვა და ქ. დუბროვნიკი<sup>16</sup>.

## 2.1.1. შიბენიკი (ŠIBENIK)

აღმოსავლეთ ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე ანტიკური ქალაქების უმრავლესობისგან განსხვავებით, შიბენიკი (იტალიურად Sebenico) XI საუკუნეში ხორვატიის მეფეების მიერ იყო დაარსებული. მიუხედვებად იმისა, რომ XV საუკუნეში ქალაქი მოექცა ვენეციის გავლენის ქვეშ, ის მანც ითვლებოდა სტრატეგიულ პორტად XVI საუკუნის შავ ეპიდემიამდე. ქალაქი ძალზე ბევრ პორტოლანზე არის აღნიშნული ყვითელი დროშით, რომლის ცენტრში თეთრი დისკი წითელი ჯვრით არის მოთავსებული<sup>17</sup>.

საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს აგუარის 1492 წლის პორტოლანი, რომელზეც შიბე-

15 Borošak Marijanović, 1996 : 25.

16 Todorović, 2017.

17 Angelino Dulcert-is portolanebi, 1339; Catalan Atlas by Abraham Cresques, c. 1375; Guillem Soler, c. 1385; Cresques workshop, end of 14th cent.; Mecia de Viladestes, 1413; Gabriel de Vallseca, 1447; in Bibliothèque Nationale de France, Paris; Angelino Dalorto, 1330, in Biblioteca Principe Corsini, Florence; by Lopo Homen, 1554 in Instituto e Museo di Storia della Scienzia, Florence; by Battista Beccario, 1426, in Bavarian State Library, Munich; Gabriel Vallseca, 1439; Pietro Russo, 1508; in Maritime Museum, Barcelona.

10 *Obsidio*, 2007 : 164 – 165.11 *Ibid.*12 *Ibid.*: 236-237.

13 Fabijanec and Sardelić, 2009: 284-285.

14 Heimer, 2009: 35.



1320 წლიდან – პიეტრო ვესკონტეს პორტოლანიდან



მთავარი საზღვაო დროშა



მეორეხარისხოვანი საზღვაო დროშა



რანიელის დროშა  
(გამოყენებაშია XIII საუკუნიდან)




თანამედროვე მუნიციპალური დროშა,  
დამტკიცებული 29.12.1993.

სურ. 4. დუპროვინის დროში



## „შვიდსაუკუნოვანი“ დროშის რეკონსტრუქცია 1993-2009 სტატუტების მიხედვით



02.01.1995 წელს დამტკიციებული დროშა



კერძონიალური დროშა (2001 წ.)

### სურ. 5. პრესის დროშები

ნიკი 7X7 მწვანე და თეთრი ჭადრაკული დროშით არის წარმოდგენილი<sup>18</sup>. ეს დროშა ჰეგავს ჭადრაკულ ფარს, რომელიც გამოიყენებოდა 1492 წელს ზელერის საგვარეულოში, ინსბრუკში<sup>19</sup> და წარმოადგენს უძველეს ხორვატიულ სიმბოლოს.<sup>20</sup>

ჭადრაკული დროშა არ არის ნახსენები სხვა  
ისტორიულ წყაროებში<sup>21</sup>, ხოლო თეთრი დისკი

წითელი ჯვრის გამოსახულებით უდავოდ არის წმ. მიხეილის, შიბენიკის წმინდა მფარველის, ატ-რიბუტი. XIII საუკუნიდან ქალაქი აქტიურად იყენებს ბეჭედს, რომელზეც გამოსახულია შუბით გველებაპის განმგმირავი წმ. მიხეილი.

არცერთ ისტორიულ წყაროში შიბენიკის სხვა დროშა არ არის დაფიქსირებული. 1993 ქალაქი ისევ დაუბრუნდა ძველ სიმბოლოს (1980-ში გამოყენებული იყო ქალაქის პანორამა). ქალაქის გერბი დაამტკიცეს 1998 წლის 24 ივლისს (გველეშაპის შუბით განმგმირავი წმ. მიხეილის გამოსახულება) შესრულებული მლადენ სტროკიჩის მიერ, ხოლო 1998 წლის 21 ოქტომბერს სამინისტრომ (?) დაამტკიცა მოქმედი ლურჯი დროშა ქალაქის გერბით (კინტრში).<sup>22</sup>

18 Jorge de Aguiar-ის პორტოლანი, 1492 at Yale University.  
*Todorović*-ის ვარაუდით, ეს კონკრეტული დროშა შესაძლოა აღნიშვნელის ქ. ტრიგორის (Trogir) ტერიტორიას, რომელიც არის ნაჩვენები შინენიკის გვერდზე, რადგან ტარი გამოსახულია ტრიგორისა და შინენიკის შორის.

19 XV საუკუნის ბოლოს ჭადრაკული ფარი ჩნდება პერალ-დიკურ ასპარეზზე, 1527-ში ეს ფარი გამოიყენეს ბეჭედზე, ფრანგინად პაბლურგის ხორვატის მეფედ არჩევის დროს. Cf. Peić Čalderović და Stančić, 2011: 47-73.

20 Cf. Croatia in the *Emperor Maximilian I Triumphal Procession*, 1512, see Peić Čaldařović, 2016. Шђенсљен: луѓурџија  
дја вејрџеблојисуђеји ъајорија кујулија џубрији ојури ајлтијерња-  
тијујуји гајмрсаја бујдујеја бомрвија ајлијис тврдији XVII сајујућији  
ბогомољији. Е.г. Peić Čaldařović and Stančić, 2011 : 59.

#### 21 *Historical flags of Šibenik at the Flags of the World*

(<http://www.crwflags.com/fotw/flags/hr-si-si.html>) Bosnia, Slavonia/Croatia in the 14<sup>th</sup> century *Libro del Conocimiento*, ca. 1385, see Tovar, 2005.

22 Statut Grada Šibenika, 15.04.1994., Službeni vjesnik Županije Šibenske, br. 4/1994, 05.05.1994. (Duje Šilović –

### 2.1.2. მეტკოვიჩი (METKOVIĆ)

ხორვატთა გაქრისტიანების შემდეგ დიდი ტერიტორია ნერენტის (Narent)<sup>23</sup> შესართავთან, საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებელ ან ნახევრად დამოუკიდებელ სტატუსს. მოსახლეობის ძირითადი და საკმაოდ მომგებიანი საქმიანობა გვიანი შუა საუკუნეების პერიოდამდე მეკოპტერობა იყო.

ძველ პორტოლანებში ამ ტერიტორიის სიმბოლო არის წარმოდგენილი ოთხ ლურჯ და თეთრ კვადრატად გაყოფილ დროშად.<sup>24</sup> შემდგომში, დაახლოებით XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეს დროშა შეცდომით არის იდენტიფიცირებული როგორც დუბრივნიკის დროშა, ხოლო ნარენტმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ქ. მეტკოვიჩი XV საუკუნეში სწრაფ განვითარებას იწყებს, ხოლო XIX საუკუნეში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ბოსნიისკენ მიმავალი რკინიგზის მნიშვნელოვანი საკვანძო ობიექტი. XX საუკუნეში, პლოჩეს პორტის დაარსებისთანავე, მეტკოვიჩი კვლავ კარგავს მნიშვნელობას.

ამ ტერიტორიის სხვა დროშა დაფიქსირებული არ არის, შესაბამისად, 1974 წელს გერბისთვის გამოიყენეს ძველი ნარენტის დროშა. 1990 წელს გერბი შეიცვალა, თუმცა ეს ცვლილება არ იყო დამტკიცებული სამინისტროს მიერ. 28.05 1996 წელს ძველი ნარენტის დროშა იყო დამტკიცებული, როგორც ქალაქის გერბი, ხოლო 12.07.1996 წელს ნიკოლა ვიცეპოზიტის მიერ შექმნილი ქალაქის დროშის ესვიზი (მეტკოვიჩის გერბი წითელ ველზე) იყო მიღებული და დამტკიცებული სამინისტროს მიერ.<sup>25</sup>

*Priručnik grafičkih standarda za uporabu grba grada Šibenika Odluka o grbu i zastavi Grada Šibenika, 24.07.1998, Službeni vjesnik Šibensko-kninske županije, br. 14/1998, 10.11.1998.*

*Napomena uz Odluku o grbu i zastavi Grada Šibenika, 30.10.1998, Službeni vjesnik Šibensko-kninske županije, br. 14/1998, 10.11.1998.*

*Rješenje Ministarstva uprave, KLASA: UP/I-017-02/98-01/35, URBROJ: 515-04-03/1-98-2, 21.10.1998.*

*Statut Grada Šibenika, 27.11.2001, Službeni vjesnik Šibensko-kninske županije, br. 18/2001, 20.12.2001.*

*Odluka o komunalnom redu, 23.07.2002, Službeni vjesnik Šibensko-kninske županije, br. 12/2002, 21.08.2002.*

*Statut Grada Šibenika (pročišćeni tekst), 12.04.2006, Službeni vjesnik Šibensko-kninske županije, br. 6/2006, 28.04.2006.*

*Statut Grada Šibenika, 08.07.2010, Službeni glasnik Grada Šibenika, br. 8/2010, 09.07.2010.*

23 ნარენტის ზუსტი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა იდენტიფიცირებულია ქალაქ დრიუეგასთან, თანამედროვე გაბელასთან/ თანამედროვე ბოსნია-ჰერცოგოვინა.

24 Narent (Croatia, 14<sup>th</sup> century) the Flags of the World ([http://www.crwflags.com/fotwf/flags/hr\\_neret.html](http://www.crwflags.com/fotwf/flags/hr_neret.html)) ისამნისფერ-თეთრი დროშისთვის Libro del Conosci-miento ბოსნიასთან კავშირში.

25 Odluka o grbu i zastavi Grada Metkovića, 28.05.1996,

### 2.2. საზღვაო სავაჭრო დროში

XIV-XVII საუკუნეებში

დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი აღმოსავლეთ ადრიატიკის პორტები ახორციელებდნენ ვაჭრობას ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპას შორის. ვენეცია უდავოდ ყველაზე გავლენიანი იყო მათ შორის, მაგრამ სხვა მცირე ქალაქებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია იმ პერიოდის სტატუტებიდან და საბაჟო დოკუმენტაციიდან, ყველა სავაჭრო გემს ჰქონდა დროშა, რომლის მეშვეობით ხდებოდა მათი იდენტიფიცირება საპორტო ქალაქებთან. ვენეციის ყველაზე ძლიერი კონკურენტი გახლდათ ქ. დუბრივნიკი (Dubrovnik (Ragusa), თუმცა სხვადასხვა პერიოდში ამ ასპარეზზე ჩნდებოდა სხვა ქალაქებიც, როგორებიც იყო: სპლიტი, ტროგირი, შიბენიკი, მაკარსკა. ჩვენი ვარაუდით, ამ ქალაქებს ჰქონდათ თავიანთი დროშებიც,<sup>26</sup> თუმცა ჩვენ ძირითადად ვხელმძღვანელობა.

Neretvanski glasnik, br. 2/1996.

Rješenje Ministarstva uprave, KLASA: UP/I-017-02/96-01/50, URBROJ: 515-04-03/1-96-2, 12.07.1996.

Odluka o izmjenama i dopunama Odluke o grbu i zastavi Grada Metkovića, 15.07.1996.

Odluka o izmjeni Odluke o grbu i zastavi Grada Metkovića, 18.12.1998, Neretvanski glasnik, br. 3/1998, 30.12.1998.

Odluka o davanju odobrenja za uporabu grba Grada Metkovića, 14.07.2006, Neretvanski glasnik – Službeno glasilo Grada Metkovića, Grada Opuzena i općina Slivno, Zažabljie, Kula Norinska, Pojezerje, br. 6/2006, 01.09.2006.

Statut Grada Metkovića (pročišćeni tekst), Neretvanski glasnik – Službeno glasilo Grada Metkovića, Grada Opuzena i općina Slivno, Zažabljie, Kula Norinska, Pojezerje, br. 5/2007, 25.07.2007.

Statut Grada Metkovića, 15.07.2009, Neretvanski glasnik – Službeno glasilo Grada Metkovića, Grada Opuzena i općina Slivno, Zažabljie, Kula Norinska, Pojezerje, br. 4/2009, 27.07.2009.

Statut Grada Metkovića (pročišćeni tekst), 30.10.2013, Neretvanski glasnik – Službeno glasilo Grada Metkovića, br. 7/2013, 05.11.2013.

26 ვეკსილოლოგის ინგლისურ წყაროებში ხშირად არის ნახსენები ის ძველი ხელშეკრულება, რომელიც ინგლისის მეფე ედუარდ I-სა და ფლანდიის გრაფს შორის 1297 წელს გაფორმდა. ბრიუგებს ამ კონვენციის თამაბად, გემზე უნდა იყოს აღმართული სახელმწიფო დროშა და, შესაბამისად, ხომალდება უნდა იმოძრაონ, იცურონ თავიანთი მმართველების დროშებით (ამ წეს-კანონს აღიარებდა ინგლისის ხუთი პორტი, მაგალითად Barracough – ბალაკლაუ, 1965:22, ასევე Luetic ?, 1957:5); თუმცა ადრიატიკის ქალაქებში ასეთი განაწეილი ორი საუკუნით ადრე უკვე არსებობდა (მევადაროთ 1297 წლის სრული ტექსტი). ბრიუგები დადებული ხელშეკრულება მეფე ედუარდ I-სა და ფლანდიის გრაფს შორის განსაზღვრავდა, თუ რა წესებში უნდა დაცვათ ბრიუგების გადაადგილებისას და ასევე რომელ დროშებით უნდა გასულიყვნენ ზღვაში. ამავდროულად, ეს ხელშეკრულება ითვლისწინებდა ბეკობრეების საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებებსა



XV-XVI საუკუნეების პორტოლანი



XVII საუკუნის დროშის  
რეკონსტრუქციის მცდელობა



15.04.1992 წლის დროშა

#### სურ. 6. სენის დროშები

ვანელობთ პორტოლანებიდან მოპოვებული ინფორმაციით.<sup>27</sup>

##### 2.2.1. დუბროვნიკი (DUBROVNIK)

ქალაქ დუბროვნიკის სიმდიდრე მუდამ დამოკიდებული იყო საზღვაო ვაჭრობაზე. შეა საუკუნეებში, როგორც რაგუსას რესპუბლიკა, ის აღმოსავლეთი ადრიატიკის, ერთადერთი ქალაქ-სახელმწიფო იყო, რომელიც ვენეციას პირველისას ეცილებოდა. მისი სიმდიდრისა და მოქნილი დიპლომატიის წყალობით ქალაქი მნიშვნელოვნად განვითარდა, განსაკუთრებით XV-XVI საუკუნეებში. 1272 წლის დუბროვნიკის საბაჟო დებულებაში (სტატუტში) არის ნახსენები vexillum Beati Blasii.<sup>28</sup>

<sup>27</sup> და ეკიპაჟების უსაფთხოების დაცვას (სასამართლოს კანცელარიის კრებული, დავთარი 27, საქმე 3, №19, მარსენი, 1999:46).

<sup>28</sup> მაგ. ზადარი.

<sup>29</sup> Liber Statutorum, 2002: 84. Cf. Luetić, 1967 : 7 and 16,

ნმ. ბლაზიუსს ქ. დუბროვნიკში X საუკუნიდან სცემდნენ პატივს. სავაჭრო გემებზე თეთრი დროშა წმინდა ეპისკოპოსისა და „S“ და „B“-ს გამოსახულებით ფრიალებდა. მეორე დროშად ხშირად იყენებდნენ თეთრ ქსოვილს ნარჩერით „Libertas“, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გემზე იმყოფებოდნენ მაღალი თანამდებობის პირები, აუცილებელი იყო დროშის გამოყენება ქალაქის გერბის გამოსახულებით. ეს ბოლო შემთხვევა განსაზღვრული იყო 1358 წლის ტრაქტატით უნგრულ-ხორვატიულ სამეფოსთან (ლაიოშ I დიდის დროშა).<sup>29</sup> ქალაქის საკუთრებულოში დროშების საკითხის განიხილვისას გრაკალიჩმა რამდენიმეჯერ დაიმოწმა რეშეტარი.<sup>30</sup>

and Luetić, 1992, as „vixillum S. Blasij“ Luetić, 1967: დროშა სხვა სახელებითაც არის ნახსენები „Vexillum nostrae reipublicae“ 1684-ში, და „Vexillo nostrae nationes“ 1696-ში და ა. შ.

<sup>29</sup> იხ. Heimer, 2005.

<sup>30</sup> Grakalić, 1990:66.

ამ დროშების სხვადასხვა ინტერპრეტაცია ჩნდება არაერთ წყაროში<sup>31</sup> და პორტოლანებზე სხვადასხვა პერიოდში. გარდა ამ სამი დროშისა, დუბროვნიკი არის აღნიშნული ლურჯ და თეთრკვადრატებიანი (ნარენტის)<sup>32</sup>, ნითელ და თეთრკვადრატებიანი<sup>33</sup> (ხორვატიისა და უნგრეთის ფერები) და თეთრი დროშით სამი ლურჯი დიაგონალური ზოლით, რომელიც წარმოიშვა დუბროვნიკისთვის შეცდომით მინიჭებული გერბიდან<sup>34</sup>. მაგრამ ბევრ პორტოლანზე წმ. ბლაზიუსის დროშა არის ნაჩვენები.<sup>35</sup>

1807 წლის 27 დეკემბერს რაგუსას (დუბროვნიკის) რესპუბლიკა ოკუპირებული იყო ნაპოლეონის კამპანიის ფრანგული ჯარის მიერ და იმავე დღეს ოკუპაციური ძალების გენერალმა ალესანდრო მორისტონმა აკრძალა დუბროვნიკის დროშის გამოყენება. მის ნაცვლად გემებზე იყენებდნენ იტალიურ საზღვაო დროშებს. ნაპოლეონმა გააუქმა დუბროვნიკის რესპუბლიკა 1808 წლის 31 იანვარს და ძველი დროშის გამოყენება დასრულდა.<sup>36</sup>

მიუხედავად ამისა, წმ. ბლაზიუსის დროშას იყენებდნენ როგორც საეკლესიო ცერემონიალურ დროშას (3 თებერვალი, წმ. ბლაზიუსის დღე) და დღემდე გახსლავთ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი.

მეორეხარისხოვანი დროშის სხვადასხვა ინტერპრეტაცია, ძირითადად ყვითელი წარწერა წითელ ფონზე, 1950 წლიდან გამოიყენება როგორც დუბროვნიკის საზაფხულო, ყველაზე პრესტიული ფესტივალის ბანერი.

თუმცა, 1993 წელს, ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ, ქალაქმა დაიბრუნა ისტორიული წმ. ბლაზიუსის დროშა, რომელიც დამტკიცდა 29.12.1993 წელს და დაფიქსირდა ქალაქის სტატუტებში.<sup>37</sup>

31 ob. 1320 წ. პიეტრო ვესკონტეს პორტოლანი, გვ. 5v in Pal. lat. 1362 A და გვ. 109r in Vat.lat. 2972, ორივე Bibliotheque Apostolica Vaticana-ს საცავებია.

32 E. g. 1508 portolan by Pietro Russo, in Maritime Museum, Barcelona.

33 E. g. 1567 portolan by Joan Martines, in Bodleian Library, Oxford.

34 E. g. 1519 portolan by Vesconte Maggiolo, in Bavarian State Library, Munich.

35 E. g. 1421 portolan by Francesco de Cesanis, in Museo Correr, Venice.

36 Luetić, 1967 : 15.

37 *Odluka o grbu i zastavi Grada Dubrovnika*, 29.12.1993, Službeni glasnik Županije Dubrovačko-neretvanske, Građa Dubrovnika, Općine Konavle, Općine Mljet, Općine Ston, br. 1/1994, 02.02.1994.

*Zaključak o isticanju zastave Republike Hrvatske na Orlandovu stupu*, 27.08.2002, Službeni glasnik Grada Dubrovnika, br. 6/2002, 03.09.2002.

*Statut Grada Dubrovnika (pročišćeni tekst)*, Službeni glasnik Grada Dubrovnika, br. 1/2001, 23.01.2001.

## 2.2.2. კრესი (CRES)

1993 წლის ქ. კრესის (იტ. Cherso, გერმ. Kersch) სტატუტებში სხვა ისტორიულ საციონებთან ერთად, ქალაქის სიმბოლოებიც არის განხილული. პარაგრაფში სახელად „ისტორიული საფუძველი“ წერია, რომ ქ. კრესის გერბს „1300 წლიდან იყენებდნენ და წარმოადგენს ორ ფეხზე მდგომ ცხენს ლომის კუდით და ლია პირიდან გამოყოფილი გრძელი ენით“, რაც წარმოადგენს ჰერალდიკური ფიგურის – ჰიპოპანტერის მეტ-ნაკლებად ზუსტ აღნერილობას. პარაგრაფი გრძელდება დროშის აღნერილობით: „ისევე, როგორც გერბი, დროშა, რომელზეც ჰორიზონტალურად ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულია ლურჯი და ოქროსფერი ზოლები, ქალაქის გერბით ცენტრში, გამოიყენება ბოლო 7 საუკუნის მანძილზე“.<sup>38</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი გერბის გამოყენების შესახებ ადვილად დასტურდება<sup>39</sup>, დროშის გამოყენების შვიდსაუკუნოვანი ისტორია საეჭვო გახლავთ. ავტორმა ვერ მოახერხა დამადასტურებელი საბუთების მოპოვება. კრესის ჰერალდიკური სამსახურის წარმომადგენელს, ჩუს რუკონის, აგრეთვე გაუჭირდა ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი პასუხის გაცემა<sup>40</sup>, თუმცა შესაძლოა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შემდგომი, უფრო დეტალური კვლევის დროს.

ყოველ შემთხვევაში, როცა ქალაქმა გადაწყვიტა, თანამედროვე კანონმდებლობის თანახმად, ისტორიული სიმბოლოების ადაპტირება, მხატვარმა მღადენ სტოუჩიმა 1995 წლის 2 იანვარს შექმნა ესკაზი უმნიშვნელოდ განსხვავებული ისტორიული გერბიდან, თუმცა ქალაქმა მიიღო ლურჯი დროშა ოქროს გერბით ცენტრში.<sup>41</sup> სავარაუდოდ, დროშა და გერბი იმავე წელს

*Statut Grada Dubrovnika*, 30.11.2001, *Službeni glasnik Grada Dubrovnika*, br. 9/2001, 03.12.2001.

*Statut Grada Dubrovnika (pročišćeni tekst)*, *Službeni glasnik Grada Dubrovnika*, br. 2/2006, 27.01.2006.

*Statut Grada Dubrovnika*, 03.07.2009, *Službeni glasnik Grada Dubrovnika*, br. 4/2009, 03.07.2009.

*Statut Grada Dubrovnika (pročišćeni tekst)*, 02.04.2013, *Službeni glasnik Grada Dubrovnika*, br. 6/2013, 08.04.2013.

38 *Statut Općine Cres*, 09.12.1993., *Službene novine Županije primorsko-goranske*, br. 17/1993, 09.12.1993.

*Statut Grada Cresa*, 11.10.2001, *Službene novine Primorsko-goranske županije*, br. 25/2001, 11.10.2001.

*Statut Grada Cresa (pročišćeni tekst)*, *Službene novine Primorsko-goranske županije*, br. 37/2007, 05.10.2007.

*Statut Grada Cresa*, 23.07.2009, *Službene novine Primorsko-goranske županije*, br. 29/2009, 25.07.2009.


39 Čus Rukonić, 2011; Oštarić, 2002 : 63.

40 Personal communication with Čus Rukonić, 2008.


41 *Odluka o grbu i zastavi Općine Cres*, 02.01.1995, *Službene novine Županije primorsko-goranske*, br. 1/1995, 20.01.1995.




1718 წლის დროშა



დროშა, მიღებული 9.04.1991-ში



ცერემონიალური დროშა,  
დამტკიცებული 1996 წლის 28  
მარტს



23.03.2010 წლის დროშა

სურ. 7. პოპრივენიას დროშები

დამტკიცდა სამინისტროს მიერ, მაგრამ ავტორს არ გააჩნია ამის დამადასტურებელი საბუთი. ცერემონიალური დროშის ესკიზი, სავარაუდოდ, შეიქმნა იმავე დროს, მაგრამ დამტკიცდა მხოლოდ 2001 წელს. იგი წარმოადგენს ლურჯ გონიერალონს სამკუთხა დაბოლოებით, ოქროსფერი გერბით ცენტრში, ქალაქის დასახელებით ორ ხაზში გერბის თავზე და ოქროს ზეთისხილისა და ყურძნის ორნამენტით გერბის ქვემოთ.

### 2.3. XVII-XVIII საუკუნეების სამხედრო ცარმოშობის შენიშვინალური დროშები

ამ დროშების შესახებ ინფორმაცია ძალზე მცირეა, თუმცა ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ გარკვეული სტატუსის მქონე ქალაქები (თავისუფალი ან სამეფო ქალაქები) ვალდებული იყვნენ შეენარჩუნებინათ გარკვეული რაოდენობის სამხედრო შენართები. ამ შენართებს შესაბამისად ჰქონდათ ერთი ან რამდენიმე დროშა, მაგალითად, სენჯში, კოპრივნიცაში, პოუეგაში, ზაგრებსა და სამობორში. როგორც წესი, როდესაც სამხედრო დროშა კარგავდა აქტუალობას, ის მაინც რჩებოდა, როგორც ცერემონიალური ატრიბუტი.<sup>42</sup>

აღნიშნული პერიოდიდან ადრიატიკისა და, ზოგადად, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქალაქებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ტრადიცია – ქალაქის მთავარ მოედანზე იდგეს ქალაქის შტანდარტი ან უცხო ქვეყნის მმართველისთვის შესაბამისი დროშა. მაგალითად ქ. რიუეკას დროშა წარმოადგენს ქალაქის გერბის გამოსახულებას ავსტრიის დროშაზე.

#### 2.3.1. სენჯი (SENJ)

შესაბამისად, XIX საუკუნის ბოლომდე ქალაქის სიმბოლო იყო ლურჯ ქსოვილზე დატანილი ოქროს გვირგვინი, რომელიც ამკობს ვერცხლის ფარს ოქროს არშიით და მოღწეული წითელი ჯვრის გამოსახულებით, გვერდებზე მუხისა და დაფნის იტალიური ტრიკოლორის ლენტით შეერთებული ტოტების ორნამენტით. ქალაქის დროშის გამოსახულება არის დატანილი 1920 წლის საფოსტო ლია ბარათზეც.<sup>108</sup>

1938 წლის 2 თებერვალს გერბი და გონიფალნი დამტკიცებული იყო მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით, თუმცა ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია.<sup>109</sup>

Statut Grada Zadra, 13.11.2001, Glasnik Grada Zadra, br. 7/2001


Statut Grada Zadra, 07.07.2009, Glasnik Grada Zadra, br. 9/2009, 16.07.2009.

Odluka o izmjenama i dopunama Odluke o grbu i zastavi Grada Zadra, 27.08.2009, Glasnik Grada Zadra, br. 11/2009, 03.09.2009.


Odluka o grbu i zastavi Grada Zadra (pročišćeni tekst), 11.03.2010, Glasnik Grada Zadra, br. 21/2010, 12.03.2010.

108 De Angelini, 2001.


109 Decreto 1938-02-02 DCG (Decreto del Capo del Gover-



1320 წ პიეტრო ვესკონტეს პორტოლანიდან



1943 წ. გონფალონი



1519 წლის პორტოლანიდან



16.11.1994 წლის დროშა

სურ. 19. ზადარის დროშები



1920 წლის დროშა



12.07.1996 წლის დროშა და გონფალონი

სურ. 20. როვინის დროშები

ქ. როვინის თანამედროვე გერბის დიზაინი ასეთია: მოდერნის სტილის ფარი ხუთკორპიანი გვირგვინით, ნარმოდგენილი იქნა 1994 წლის 29 მარტს.<sup>110</sup> შემდეგ, 1996 წლის 12 ივლისს, შეიქმნა როშისა და გონფალონის დიზაინიც – ლურჯი გერბით ცენტრში. დაფნის და მუხის ფოთლების ორნამენტებიანი კოლონები გახლავთ უნიკალური დიზაინის ელემენტი ხორვატიის მუნიციპალური დროშების შემთხვევაში. არსებობს დროშის ვერტიკალური ვერსიაც. არც ერთი სიმბოლო არ იყო დამტკიცებული სამინისტროს მიერ.<sup>111</sup>

no), riconoscimento di stemma e gonfalone quoted in Banca dati Fascicoli comunali, (2017).

110 ეს გახლავთ პირობითი ტერმინი „გადახურული გულის ფორმა“, შემდგომ იხ. ტექსტში.

111 Odluka o grbu Grada Rovinja – Delibera sullo stemma della Città di Rovigno, 29.03.1994, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città di Rovigno, br. – nr. 2/1994.

Odluka o grbu, zastavi, stijegu i imenu Grada Rovinja – Delibera sullo stemma, la bandiera, il gonfalone e il nome della Città di Rovigno, 12.07.1996, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città di Rovigno, br. – nr. 5/1996.

### 2.6.3. ჩაკოვეცი (ČAKOVEC)

ქ. ჩაკოვეცი დაარსდა XIII საუკუნეში, ხოლო XVI საუკუნეში ქალაქი იყო გავლენიანი ზრინსკის


*Odluka o izmjeni i dopuni Odluke o grbu, zastavi i stijegu i imenu grada Rovinja – Delibera di modifica e integrazione alla Delibera sullo stemma, la bandiera, il gonfalone e il nome della città' di Rovigno, 18.06.1999, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città' di Rovigno, br. – nr. 4/1999.*

*Statut Grada Rovinja – Rovigno – Statuto della Città di Rovigno – Rovigno, 22.10.2009, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città' di Rovigno, br. – nr. 4/2009.*


*Statut Turističke zajednice Grada Rovinja – Rovigno – Statuto della Comunità turistica della Città di Rovigno – Rovigno, 23.12.2009, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città' di Rovigno, br. – nr. 1/2020.*

*Odluka o izmjeni Odluke o grbu, zastavi, stijegu i imenu Grada Rovinja – Rovigno – Delibera di modifica alla Delibera sullo stemma, sulla bandiera, sul gonfalone e sul nome della Città di Rovigno – Rovigno, 25.02.2010, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città' di Rovigno, br. – nr. 2/2010.*

*Statut Grada Rovinja – Rovigno (pročišćeni tekst) – Statuto della Città di Rovigno – Rovigno (testo emendato), 26.11.2015, Službeni glasnik Grada Rovinja – Bollettino ufficiale della Città' di Rovigno, br. – nr. 11/2015.*




1941 წლის დროშის პროექტი



28.10.1994 წლის დროშა



20.03.1996 წლის დროშა



9.07.2009 წლის დროშა

სურ. 21. ჩატოვების დროშები

ოჯახის მმართველობის ქვეშ. ქალაქის ბეჭედზე, რომელიც ფიქსირდება 1569 წელს, ლაჟვარდის ფონზე დატანილია ქალაქის ვერცხლის გაღავანი ცენტრში სათვალთვალო კოშკით. კოშკის ორივე მხარეს ექვსქიმიანი ოქროს ვარსკვლავია.

ორ მსოფლიო ომის შორის პერიოდში ახლად დამოუკიდებელმა უნგრეთის სამეფომ ჩამოაყალიბა მუნიციპალური გერბებზე დაფუძნებული მუნიციპალური სიმბოლიკის სისტემა დროშის მარტივი გეომეტრიული გაყოფით. 1941<sup>112</sup> წლის მონაცემებით, ამ ტერიტორიაზე არსებული დიდი უნგრეთის 100 მუნიციპალური დროშიდან მხოლოდ ჩაკოვეცის დროშა შენარჩუნდა იუგოსლავის შემოქრის შემდეგ. ქ. ჩაკოვეცის დროშა იყო უბრალო ვერტიკალური ბიკოლორი (ლურჯი და თეთრი). ამ დროშას იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეებშიც, 1945 აპრილამდე, როდესაც რეგიონი საბოლოოდ გათავისუფლდა (იუგოსლავის არმიის მიერ).

1993 წლის 13 დეკემბერს ქალაქმა ხელმეორედ დაამტკიცა გერბი და 1994 წლის 28 ოქტომბერს შეიმუშავა დროშის პროექტი, რომელიც ძალიან ჰქავდა 1941 წლის უნგრულ მარტივ დროშას, თუმცა ჩვენ არ გაგვაჩნია მტკიცებულება, რომ ამ პროექტის ავტორმა იცოდა ძველი დროშის შესახებ. ეს გახლავთ მარტივი ვერტიკალური ლურჯ-თეთრი ბიკოლორი დამატებითი ვიწრო თეთრი ზოლით ტართან და ორი ვერტიკალურად განლაგებული ოქროს ექვსქიმიანი ვარსკვლავით ლურჯ ფონზე. დროშის პროპორცია იყო 6:11. ქალაქის გერბი დაამტკიცდა 1993 წლის 29 დეკემბერს, ხოლო დროშა დარჩა არაოფიციალური.<sup>113</sup>

ახალი მუქი ლურჯი დროშა ქალაქის გერბის გამოსახულებით ცენტრში იყო წერმოდგენილი 1996 წლის 20 მარტს და დამტკიცებული 1996 წლის 7 მაისს. გერბის დიზაინში რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილების შეტანის შემდეგ (8 ივლისს<sup>114</sup>), იგი დამტკიცებულ იქნა 2009 წელს<sup>115</sup>.

112 Széll, 1941.

113 ეს გახლავთ პირობითი ტერმინი „გადახურული გულის ფორმა“, შემდგომ ი. ტექსტში.

114 Odluka o izmjeni i dopuni Odluke o zastavi Grada Čakovca, 20.03.1996, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 1/1996, 21.03.1996.

Rješenje Ministarstva uprave (o odobrenju zastave), KLASA: UP/I-017-02/94-01/53, 515-04-03/1-96-2, 07.05.1996.

Odluka o izmjeni i dopuni Odluke o grbu Grada Čakovca, 08.07.1996, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 3/1996, 16.07.1996.

115 Statut Grada Čakovca, 01. i 04.03.1999, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 1/1999, 15.03.1999.

Statut Grada Čakovca, 27.09.2001, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 5/2001, 09.10.2001.

## 2.7. XX საუკუნის გეორე ნახევრის თანამედროვე გრაფიკული დიზაინი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახალ სოციალურ და იდეოლოგიურ გარემოებებში მუნიციპალური დროშები, გერბები და რეაქციული რეჟიმის სხვა სიმბოლოები სწრაფად იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მუნიციპალური დროშა წითელი ვარსკვლავის დატანის შემდეგ რჩებოდა (მაგ. ზაგრების), მუნიციპალური დროშები პრაქტიკულად გაუქმდებული იყო.

1960 წლებში მუნიციპალური დროშები ნელ-ნელა ბრუნდება, თუმცა ამ პერიოდში მსოფლიოში არსებული „ლოგომანია“ მკაფიოდ ასახა დროშებისა და გერბების დიზაინზე. მუნიციპალური დროშა უმეტესწილად ხდება მონოკოლური შუაში დატანილი კონტრასტული ფერის ლოგოთი (იხ. ზაგრები).

### 2.7.1. ბუჟე (BUSE)

ისტორიის ქალაქების უმრავლესობასთან ერთად, ქ. ბუჟე გერბისთვის იყენებდა ვერცხლის ფარს წითელი ჯვრის გამოსახულებით. რა თქმა უნდა, სოციალისტურ პერიოდში ჯვრის გამოყენება სასურველი არ იყო და 1976 წლის დადგენილებით (შესაძლოა უფრო ადრეც) გერბის განსხვავებული დიზაინი იყო შემოთავაზებული. კერძოდ: სახურავის ფორმის<sup>116</sup> წითელი ფარი ოთხი მოლუნული ხაზით – ორი მარჯვენა და ორი მარცხენა მიმართულებით. 1976 წლის 28 აპრილის დროშა იყო წითელი ქსოვილი ცენტრში ამოქარგული ოქროს გერბით.<sup>117</sup> ეს იყო ქალაქის ოფიციალური დროშა 1993 წლის 30 ივლისამდე, როცა ქ. ბუჟეს თანამედროვე დროშა დამტკიცდა.

ეს დროშა წარმოდგენილი იყო დიზაინერ სერჯიო გობოს მიერ და წარმოადგენდა ვერტიკალურ წითელ ქსოვილს ვერცხლის წითელ-ჯვრის ფარით. იყენებდნენ აგრეთვე ჰორიზონტალურ დროშებს, მაგრამ სამინისტრომ ეს პროექტი არ დაამტკიცა.<sup>118</sup>

Statut Grada Čakovca (pročišćeni tekst), 22.09.2006, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 10/2006, 30.10.2006.

Odluka o grbu Grada Čakovca, 09.07.2009, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 9/2009, 10.07.2009.


Statut Grada Čakovca, 09.07.2009, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 9/2009, 10.07.2009.

Statut Grada Čakovca (pročišćeni tekst), 17.04.2013, Službeni glasnik Grada Čakovca, br. 3/2013, 18.04.2013.

116 იხილეთ სქოლით 89.

117 Statut Općine Buje - Statuto del Comune di Buje, Službeni vjesnik Općine Buje - Gazzetta Ufficiale del Comune di Buje, br. - no. 4/1976, 28.04.1976.

118 Odluka o grbu i zastavi Grada Buje i lenti gradonačelnika



28.04. 1976 წლის დროშა



30.07.1993 წლის დროშა

სურ. 22. ბუზეს დროშები

### 2.7.2. პულა (PULA)

შუა საუკუნეებში ქ. პულა ვენეციის რესპუბლიკის სუვერენის, კასტოპოლას დინასტიის მფლობელობაში იყო. ამ პერიოდის ქალაქის სიმბოლიკაზე კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს. 1797 წელს ნაპოლეონმა ნახევარკუნძული ვენეციის მთელ ტერიტორიასთან ერთად ავსტრიას გადასცა. სწორედ მაშინ დაიწყო ქალაქმა წითელჯვრიანი სადა ფარის გამოყენება, როგორც ბევრმა სხვა ქალაქმა ისტრიის რეგონიდან. გერბისთვის ისტორიული კასტოპოლას ქლანის ფერები იქნა შერჩეული – მწვანე და ოქროსფერი. 1846 წელს<sup>119</sup> ავსტრიის ადმინისტრაციამ ქალაქის გერბი დაამტკიცა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქ. პულა გახდა იმავე სახელის იტალიური პროვინციის დედაქა-

*Grada Buja, 30.07.1993.*

*Statut Grada Buja - Città di Buie, 30.09.1993.*

*Statut Grada Buja, 31.10.2001, Službene novine Grada Buja, br. 5/2001*

*Statut Grada Buja, 30.07.2009, Službene novine Grada Buja, br. 11/2009, 31.07.2009.*

119 Venier, 2013; Ströhl, 1904 : 54.

ლაქი და 1941 წელს<sup>120</sup> მიიღო ახალი გვირგვინიანი<sup>121</sup> გერბი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქი იუგოსლავის შემადგენლობაში შევიდა და 50-იანი წლების ბოლოს ახალი გერბი მიიღო, რომელიც მოგვიანებით, 60-იან წლებში, გამარტივდა (ლურჯი ფარი თეთრი არშიით ცენტრში დატანილი არენით (რომაული ამფითეატრით) და წითელი ხუთექიმიანი ვარსკვლავით ზედა მარცხენა კუთხეში). ეს გერბი ლურჯ ქსოვილზე დატანილი 80-იანი წლების ბოლომდე იყო გამოყენელი, როგორც მუნიციპალური დროშა<sup>122</sup>.

1992 წელს ქალაქმა უარყო ეს დროშა და შეიქმნა ახალი სიმბოლო, თუმცა მისი დეტალები უცნობია. შეიძლება ის ჰგავს 1993 წლის 12

120 პერალდიკური ქ. ნ. გრაფის ცხრაქიმიანი გვირგვინი ცხრა თეთრი მარგალიტით მორთული

121 Decreto 1930-09-01 DCG (*Decreto del Capo del Governo*, riconoscimento di stemma, and Decreto 1941-12-26 DCG, riconoscimento di corona comitale quoted in Banca dati Fascicoli comunali, (2017)).

122 Jansen, 1986, as quoted on <http://www.crwflags.com/fotw/flags/hr-pn-pu.html>, იან მერტენსთან პირად საუბრში, 12.03.1987, photo taken by Jansen on 5 July 1986.



1980-იანების დროშა



12.11.1993 წლის დროშა

#### სურ. 23. პულას დროშები

ნოემბერს<sup>123</sup> დამტკიცებულ დროშას. დროშათა ახალი პაკეტის მიხედვით, ეს არის მნვანე ქსოვილი ყვითელი სკანდინავიური ჯვრით. დროშის პროპორციაა 1:2. დროშაზე გამოსახული ჯვრის პროპორციაა 1/5, ხოლო მნვანე მართვულხედების სიგრძე - 3/5<sup>124</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს დროშა აქტიურად გამოიყენება, ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა იგი ოფიციალურად დამტკიცებული სამინისტროს მიერ.

123 (*Odluka o uporabi i načinu zaštite grba i zastave Općine Pula*, Službene novine Općine Pula, br. 9/1992.), full text unknown.

124 *Odluka o grbu i zastavi Grada Pule*, 12.11.1993, Službene novine Grada Pule, br. 9/1993.

*Odluka o izmjenama i dopunama Odluke o grbu i zastavi Grada Pule*, 03.08.2000, Službene novine Grada Pule, br. 6/2000, str. 105-106.

*Statut Grada Pule (pročišćeni tekst)*, 07.11.2006, Službene novine Grada Pule, br. 9/2006, 08.11.2006.

*Statut Grada Pula – Pola*, 14.07.2009, Službene novine Grada Pule | Bollettino ufficiale della Città di Pola, br. 7/2009, 15.07.2009.

*Statut Grada Pula – Pola (pročišćeni tekst)*, 05.04.2013, Službene novine Grada Pule | Bollettino ufficiale della Città di Pola, br. 1/2013, 05.04.2013.

#### 2.7.3 დონება სტუბიცა (DONJA STUBICA)

1976 წლამდე დონეული სტუბიცას მიერ მიღებული ქალაქის ემბლემა წარმოადგენს სტილიზებულ ფარს, რომელზეც დატანილია სამეოშკიანი გალავნის გამოსახულება, ცენტრალურ კოშკზე ფრიალებს დროშა, ფარის ძირში გამოსახულია გალავანთან მიმავალი გზა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ფარის თავზე ლენტია წარწერით „Stubica“. ნახატი არის ერთ – შავ ან ყავისფერ ფერში გადაწყვეტილი. ეს ემბლემა დაარსების თარიღთან ერთად (1976) დღემდე გამოიყენება აგრარული საზოგადოება „სტუბიცას“ მიერ. მუნიციპალური დროშა იყო ცისფერი ოქროს ემბლემით ცენტრში.<sup>125</sup>

ადმინისტრაციული რეორგანიზაციის შემდეგ, დონეული სტუბიცას თემმა 1994 წლის 28 დეკემბერს სიმბოლოების ახალი პროექტი მიიღო. გერბი – დიაგონალურად გაყოფილი მნვანე და ლურჯი ჰერალდიკური ფარი შუაში დატანილი ოქროს ეკლესით და ქვემოთ ორი ოქროსტალ-ლურჯი ქსოვილი ყვითელი არშით ცენტრული გერბით და წარწერით „Donja Stubica“ და „1209“

125 პირად საუბარში შესეკთან, 2014.

(ქალაქის პირველი დოკუმენტური დაფიქსირება). პროექტი სამინისტროს მიერ დამტკიცებული არ არის.<sup>126</sup>

სიმბოლოების დიზაინი შეიცვალა 2000 წლის 12 ივლისს და დამტკიცდა 2000 წლის 22 სექტემბერს.<sup>127</sup>

#### 2.7.4 კრაპინა (KRAPINA)

ქ. კრაპინას გერბი მინიჭებული იყო მეფე სიგიზმუნდის მიერ XIV საუკუნეში, ხოლო დამტკიცებული – მეფე რუდოლფ მეორის მიერ 1588 წელს. ეს გახლავთ ცისხსიმაგრე ცენტრალური სათვალთვალო კოშკით ორ პატარა გადახურულ კოშკს შორის და ორი მცირე ზომის სამრეკლოთი (?). ფერები საბოლოოდ დამტკიცდა XIX საუკუნეში.

კრაპინა არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შენარჩუნდა ისტორიული ჰერალდიკის ნიმუში სოციალისტურ პერიოდში. ქალაქის დროშა მიღებულ იქნა 1967 წელს და შენარჩუნდა 1997 წლამდე. გერბის ფარი იყო ყვითელი, ხოლო ფარზე გამოსახული ფიგურებით. გერბი იყო დატანილი აგურისფერ დროშაზე.<sup>128</sup>

მლადენ სტოუჩიმა ეს დიზაინი განახლა 1997 წლის 9 ოქტომბერს თანამედროვე მუნიციპალური ჰერალდიკის მოთხოვნების შესაბამისად. გერბის ფიგურა იყო გარშემორტყმული ყვითელი კონტურით და დასმული წითელ ქსოვილზე. გონფალონი გახლავთ წითელი ვერტიკალური ქსოვილი ოქროს კანტით, ცენტრში დატანილი ქალაქის გერბით, ზემოთ ოქროს ნარჩერით „Grad Krapina“ და ქვემოთ ორი ოქროს ცაცხვის ტოტით. სიმბოლოები დამტკიცდა 1997 წლის 27 ოქტომბერს სამინისტროს მიერ.<sup>129</sup>

126 *Odluka o grbu i zastavi Općine Donja Stubica*, 28.12.1994, Službeni glasnik Županije Krapinsko-zagorske, br. 29/1994, 29.12.1994.

*Odluka izmjeni Odluke o grbu i zastavi Općine Donja Stubica*, 19.04.1995, Službeni glasnik Županije Krapinsko-zagorske, br. 5/1995, 19.05.1995.

127 *Statut Grada Donja Stubica*, 11.12.1997, Službeni glasnik Krapinsko-zagorske županije, br. 14/1997, 22.12.1997.

*Rješenje Ministarstva pravosuđa, uprave i lokalne samouprave*, KLASA: UP/I-017-01/00-01/133, URBROJ: 514-09-01-00-2, 12.07.2000.

*Statutarna odluka o grbu i zastavi Grada Donja Stubica*, 22.09.2000, Službeni glasnik Krapinsko-zagorske županije, br. 1A/2001, 26.01.2001.

*Statut Grada Donja Stubica*, 07.07.2009, Službeni glasnik Krapinsko-zagorske županije, br. 14/2009, 14.07.2009.

128 *Opći pod starom zastavom*, Varaždinske vijesti, 13.03.1971 : 6.

*Statut Grada Krapine*, 31.03.1994, Službeni glasnik Županije Krapinsko-zagorske, br. 4/1994, 31.03.1994.

129 *Statut Grada Krapine*, 03.07.1997, Službeni glasnik

### 3. დასკვნები

ხორვატიის მუნიციპალური ვექსილოლოგიური მემკიდრეობა გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

ჩვენთვის ცნობილი უძველესი მუნიციპალური დროშები გახლავთ აღმოსავლეთი ადრიატიკის სავაჭრო პორტების დროშები, რომლებსაც გემებზე იყენებდნენ და, სავარაუდოდ, ფრიალებდა ამ ქალაქების მთავარ მოედნებზე.

უძველესი დროშების მეორე კატეგორია გახლავთ პორტოლანგზე გამოსახული დროშები, რომლებსაც მნიშვნელოვან პორტებში აღმართავდნენ. ზოგიერთი მათგანი იყო უშუალოდ ქალაქის დროშა, ზოგიც – ფეოდალური მმართველების, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ ამ პორტებზე. რადგან ეს სიმბოლოები ხშირად გადადიოდა ერთი პორტოლანიდან მეორეზე, იყო რიგი უზუსტობები როგორც დიზაინში, ისე გამოყენებაში. მაგალითად, რიგ შემთხვევაში, ზოგიერთი მოკლევადიანი მმართველის სიმბოლო ისახებოდა პორტოლანზე და შემდგომში მეორდებოდა სხვა პორტოლანებში მაშინაც, როცა ფაქტობრივად არააქტუალური და მოძველებული იყო.

რაც შეეხება დანარჩენ ქალაქებს, აյ ხშირად იყენებდნენ სამხედრო შენაერთების დროშებს, რომლებიც შემდგომში გამოიყენებოდა როგორც მუნიციპალური. ამ ტიპის უძველესი დროშები თარიღდება XVII საუკუნით.

XIX საუკუნის ბოლოს ინდუსტრიალიზაციის შედეგად საშუალო და წვრილბურჟუაზიულ წრეებში იზრდება ეროვნული თვითიდენტიფიცირების მოთხოვნა და საზოგადოება თავის მუნიციპალურ კუთვნილებას სიმბოლიკით გამოხატავს. სამოქალაქო, პოლიტიკური, სპორტული, კულტურული და ა. შ. გაერთიანებები აქტიურად იყენებენ ადგილობრივი ჰერალდიკური წარმოშობის დროშებს, თუმცა ფრანგული პოსტრევოლუციური ვექსილოლოგიის გავლენა საკმაოდ დიდია.

XIX საუკუნის ბოლოს, დალმაციის წაც. მოძრაობის აღორძინებასთან ერთად დაიწყო ხორ-

Županije Krapinsko-zagorske, br. 7/1997, 25.07.1997.

*Odluka o opisu i uporabi grba i zastave Grada Krapine*, 09.10.1997, Službeni glasnik Krapinsko-zagorske županije, br. 12/1997, 02.12.1997.

*Rješenje Ministarstva uprave*, KLASA: UP/I-017-02/95-01/16, URBROJ: 515-04-03/1-97-6, 27.10.1997.

*Statut Grada Krapine*, 01.10.2001, Službeni glasnik Krapinsko-zagorske županije, br. 12/2001, 19.10.2001.

*Statut Grada Krapine*, 30.06.2009, Službeni glasnik Grada Krapine, br. 4/2009, 30.06.2009.


*Odluka o izmjeni i dopuni Odluke o opisu i uporabi grba i zastave Grada Krapine*, 30.06.2010, Službeni glasnik Grada Krapine, br. 5/2010, 30.06.2010



22.09.2000 წლის დროშა და გონფალონი



1970-იანი წლების დროშა



28.12.1994 წლის დროშა

სურ. 24. დონება სტუბიცას დროშები



1960-იანების დროშა



9.10.1997 წლის დროშა და გონფალონი

#### სურ. 25. კრაპინას დროში



ვატიული ენისა და ეროვნული სიმბოლიკის პო-  
პულარიზაცია, რაც აისახა ამ პერიოდის დრო-  
შებზეც.

XX საუკუნის პირველ ნახევარში იმ რეგი-  
ონებში, რომელიც სხვა ქვეყნების შემადგენ-  
ლობაში შედიოდა, დროშები იქმნებოდა ამ  
ქვეყნების ვექსიოლოგიური ტრადიციის შესა-  
ბამისად. მაგალითად, იტალიის მმართველო-  
ბას დაქვემდებარებულ რაიონებში იყენებდნენ  
მონოკოლორულ დროშებს ქალაქის გერბის  
გამოსახულებით, ხოლო უნგრულ ნაწილებში  
დროშებისთვის დამახასიათებელი იყო მარტივი  
გეომეტრიული გაყოფა, ხოლო მუნიციპალური  
გერბისთვის ორი ან სამი ძირითადი მახასიათე-  
ბელი ფერის გამოყენება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველა მუნი-  
ციპალური სიმბოლო იდეოლოგიურად არააქ-  
ტუალურად ცნეს და შეიქმნა ახალი ტიპის  
(ლოგოტიპური) მუნიციპალური ჰერალდიკა. ამ  
პერიოდის დროშები, როგორც წესი, მონოკო-  
ლორული იყო.

ხორვატიის დამოუკიდებლობისა და 1993  
წლის ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ  
ხორვატიის მუნიციპალიტეტების უმრავლესო-  
ბამ (ქალაქები და თემები) მომდევნო 25 წლის  
განმავლობაში ახალი გერბები და დროშები  
მიიღო. ეროვნულმა კანონმდებლობამ მკაცრად  
განსაზღვრა ჰერალდიკური წესები ყველა მუ-  
ნიციპალიტეტისთვის, რამდენიმე შემთხვევის  
გარდა (ისტორიული პრეცედენტი). მიუხედავად  
იმისა, რომ 60-ზე მეტ მუნიციპალიტეტს ისტო-  
რიული გერბი აქვს დამტკიცებული, მხოლოდ  
2-ზე მეტ მუნიციპალიტეტს აქვს დროშა, რო-  
მელიც XX საუკუნის 90-იან წლებზე ადრე გა-  
მოიყენებოდა.

ზელიკო ჰეიმერი  
ხორვატიის ჰერალდიკისა და  
ვექსილოლოგიის  
ასოციაციის თავმჯდომარე

## დოკუმენტი

ზოგიერთ საყმოთა ანდრეზების თანახმად, ერთ-ერთი იმ სამ დროშათაგანი, რომლებიც ათენების დროს გამოაქვთ საჯაროდ, ხევსურებს ქაჯავეთიდან მოუტაცნიათ (8,9). ისევა, რიგორც საკიდლის ჩამოგლეჯა ქაჯავეთის „კერიდან“ მოასწავებდა ქაჯავეთის შუაგულის დანგრევას, ასევე დროშის მოტაცება სრული გამარჯვების ნიშანი უნდა ყოფილიყო. ეს ნიშანი ახლა ჯვრის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია და განსაკუთრებულ როლს ასრულებს საყმოს ცხოვრებაში. საკრალურობის ხარისხით მას შეიძლება გავუთანაბროთ მხოლოდ თასი, კერძოდ, სახუცო კოჭობი, რომლის შესახებ ითქვა, რომ ის ქალის სამკაულებით არის შემკული. იგივე ითქმის დროშაზე, რომელიც თუმცა განენტებილ და ხელ-მხარ განათლულ მამაკაცს უჭირავს ხელში, მაგრამ ქალური ნარმომავლობის საგნით არის აგებული. დროშა არის საწმიდო-სამამაკაცო საგანი. ის ბრძოლაში წინ მიუძღვის საყმოს და შეიძლება იღებებოდეს სისხლით, მაგრამ მის შექმნაში მონაწილეობს ქალის ხელი, რომელიც მისი განათვლის შემდეგ კვლავ ვერასოდეს შეეხება მას. დროშას ებმის ქალთაგან შენანირი, რაიმე მიზეზის გამო შენანირი – ბეჭედი, ყელსაბამი, შიბი, მაგრამ, რაც მთავარია, დროშას „აშენებენ“ საკადრისები (ან სამკადროები), რომლებიც ქალის შესამოსელის ნაწილს შეადგენს. ქსოვილის ის ნაჭერი, რომელსაც ჩვენ მანდილს ვუწოდებთ, დროშის ძირითადი ელემენტია. „დროშა შემოსილია ფერადი თავშალით. დროშის შესამოსს ქალები სწირავენ“ (7,262); „შეხვენილები ხატს სწირავენ თეთრსა და ჭრელ სადროშე ხილაბანდებს, რომლებსაც დეკანზი ართმევს და დროშაზე შეაბამს“ (6,199). ერთი აქვთ სამოსელი დროშასა და ქალს. ქალის მანდილი პოტენციური საკადრისია და, სანამ ქალი მას თავზე მოიხვევდეს, რიგორც სამძიმარი ამბობს ქადაგის პირით – „დავიგრუშნიდი თავმანდილიო“, ის, შესაძლებელია, დროშის ალამი გახდეს. აქ თითქოს პარადოქსია: ერთსა და იმავე საგანს ვხედავთ ორ, ერთმანეთის საპირისპირო ადგილზე – დროშაზე ჯვრის ნიშნად და ქალის თავზე პატივის ნიშნად. რა უფსკრულიც არ უნდა იყოს სინმინდის მხრივ დედაკაცსა და ჯვარს შორის, არის ერთი ვითარება, როდესაც ისინი ერთი და იმავე ფუნქციით გვევლინებიან: ეს არის შუღლი საყმოში, რომელსაც თანაბრად ვერ ითმენენ ჯვარი და ქალი და, აი,

მანდილი და საკადრისი მათ ხელში მშვიდობისა და თანხმობის ნიშანია. საკმაოდ ცნობილია ეთნოგრაფიული ყოფიდან ქალის მიერ მანდილის ჩაგდების ჩვეულება მოშულართა შორის. აი, რას წერს ვაუზაფშაველა თავის ნარკვეგში „ხევსურები“: „თუ ჩხუბი გაძლიერდა და ცუდის შედეგის მომასწავებელი შეიქმნა, მოჩხუბრებს ქალები გადაუდგებიან შუაზე, მანდილებს მოიხდიან და იმათ წინ გადისვრიან: „ემას დასდევით პატივი, გეყოთ, დაშველდით“. ხშირად ხალხის გასამველებლად ხევისბერები დროშებს გამოიტანენ ხოლმე“ (4,49); იხ.აგრეთვე ბესარიონ გაბუურის „ხევსურული მასალები“, ორი ნაკვეთი სათაურით „შუღლი და დროშა და შუღლი და ქალი“ (3,123-4). ჯვრის დროშის თავისებურება, ჩვეულებრივი დროშისაგან განსხვავებით, ის არის, რომ იგი იმ სახით არ არის დაცული, რა სახითაც მას მოქმედებაში ვხედავთ, როცა ის გამობრძანებულია საყმოს წინ დღესასწაულის დროს. ყოველი გამობრძანებისას დროშა ხელახლა უნდა „აშენდეს“, „აიბას“, „შეიკაზმოს“, – მოირთოს და შეიმეორების რიგორც დღეობაზე გამოსული ქალი. მისი სამკაულები ინახება საგანგებო ზარდაშაში, რიგორც თას-განძი, დროშის „აშენების“, „ანუ „შეკაზმვის“ უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვისაც ხელთ უნდა ეპყრას ის დღესასწაულზე და ბრძოლაში. ეს შედის მედროშის, ანუ მკადრის საკრალურ მოვალეობაში. ეს პირი, როცა მონევს დროშის აბმის დრო, ფეხშიშველი და ქუდმოხდილი, ჩოქით მიეახლებიან იმ ადგილს, სადაც დროშის „სამოსელი“ და სამკაული – ბალდადები, ჯვრები, ზანზალაკები, შიბები და სხვა – ინახება, და ეხვეწებიან ღვთისშვილს, ვისი დროშის ასაშენებლადაც არიან მისულნი: „დალოცვილო წყაროს გორისაო, შენის დროშაის საბრძანისის კარისა-დ კამალაის დალაპხვისა-დ, ნუ გაგვიწყრები“ (11,7-8); მაგრამ ვიდრე მეადრე თუ მედროშე დროშის შეკაზმვას შეუდგებოდეს, ის სამგზის უნდა იყოს განბანილი წყაროს წყალში (10,174). დროშის აბმა საიდუმლო რიტუალია, რომელიც სრულ მდუმარებაში მიმდინარეობს (10,275). მკადრეები თითქოს ამზადებენ, ქმნიან ღვთისშვილის ამქეყნიურ სხეულს, რომ მისი ხილვა ყველას შეეძლოს; დროშა თითქოს ჯვარჩენის სახეა, რომელსაც ადამიანი ამზადებს, იწვევს თავისი ხელით. დროშის გამობრძანება საყმოსათვის მართლაც ჯვარჩენის მოვლენაა, ის უფრო მეტს ხედავს ჯვარში, ვიდრე გარეშე კაცმა შეიძლე-

ბა დაინახოს: „ხმალაის დროშაივ ისეთ მართულ იყვისავ, რო შორით გაიგონებდითავ იმის ზარების ურიალსავ. აისრავ ბალდადებით იყვისავ მართულივ, რო თვალი არ იყრიდისავ“ (10,572). „თვალთ არ იყრიდისავ“ – როგორც ხდება ჯვარჩენის დროს, როცა ღვთისშვილი თავისი ბრნყინვალებით აცხადებს თავს ხორციელის თვალწინ: „აუჰდავ კიდობნისად თავი-დ კიდობანშით ამამხტარ ხატი-დ დამჯდარ კიდობნის თავზე ტრედის აღით, რო დაჯდავ, ისეთ შუქტ უტევდისავ, რო კაცივ თვალთ ვერ შააყრიდავ“ (13,192).

როგორც ვხედავთ, საყმოს რელიგიურ შეგნებაში დროშა უთანაბრდება ჯვარჩენის ბუნებრივ საგანს, რომელსაც ჯვარი ირჩევს თავისი მანიფესტაციისათვის. საყმოს და ჯვრის მსახურის (მედროშის) მიზანიც ეს არის: დროშაში დაინახოს და განიცადოს ჯვრის ძალა. ამიტომაც ის არა მხოლოდ საკრალური ნივთია, არამედ ცოცხალი არსებაც არის, თუმცა ადამიანის ხელით შექმნილი, რომლის მიმართ ხორციელი ისეთ სიტყვებს მოიხმობს, მხოლოდ ადამიანების მიმართ რომ იხმარება. დროშა კი არ გამოაქვთ, არამედ მას გამოაბრძანებენ, კი არ დასდებენ, არამედ დააბრძანებენ და ა.შ. ანალოგიური ვითარებაა ძველ ქართულ ტექსტებში – ამ ნიშნით ერთმანეთს უპირისპირდება საკრალური და საერო ნივთები: „და მოიყანეს მიჯნაძორთა ხატნი წმინდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნანილნი წმინდისა ბარ თლომე მოციქულისანი და მოიხუნეს სიგელნი“ (16,8). დროშას, როგორც ცოცხალ არსებას, რომელშიც სულდგმულობს ღვთისშვილი, შეიძლება ჰქონდეს თავგადასავალი, იქცეს ანდრეზის გმირად, იყოს საკუთარი თავის გამომხსნელი ტყვეობიდან, რითაც მოვაგონებს წმინდა გიორგისა თუ მთავარანგელოზის სასწაულებს ურჯულოთა ქვეყანაში. ასეთია დროშა ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „დროშა“, რომელშიც მცირე მასშტაბით ის მართლაც იმეორებს ღვთისშვილთა სასწაულებრივ თავგადასავალს, თუმცა ნაწარმოები სავსებით რეალისტურია და ერთგვარად პუბლიცისტურიც კი, მიმართული იმათ შესაგონებლად, ვინც ამ საკრალურ საგანში „უბრალო ჯოხის“ მეტს ვერაფერს ხედავს, როგორც ის მოხელეები, ხევისბერს რომ ძალით გამოგლეჯენ ხელიდან დროშას. ავტორი თავის მოთხრობაში, როგორც ამბის გადმომცემელი და თავად მთავარი გმირის – დროშას შინაგანი ბუნების აღმნერელი, საყმოს პოზიციაზე დგას და შიგნიდან განიცდის მის ყოველ საკრალურ რეალიას. მომყავს ამონაწერები „დრო-

შიდან“, როგორც საყმოს თავისი სიწმინდისამი დამოკიდებულების პირველწარო: „არც ერთი დედა შვილს არ უფრთხილდებოდა ისე, როგორც ბეკი დროშას უფრთხილდებოდა, მთელი ძალა და დიდება ხატისა – და ხალხისა – ბეკის ნარმოდგენით ამ დროშაში იყო შაერთებული. დროშის წალებასთან ერთად წალებული იქნებოდა ფშავის ხევის იღბალი, წასული იყო იმის საქმე“. „ვიდრე დროშა არსებობს ქვეყანაზე, ხევისბერიც უნდა იყოს და ხატობა-დღეობებიც იმ სახით, რა სახითაც დღეს ვხედავთ; დროშა თავია, ხოლო დანარჩენი ყველაფერი და ყველანი მხოლოდ ტანი, როცა ტანს თავი მოჰშორდება, მაშინ ტანიცა კვდება უსათუოდ. მამასადამე, მღვდლისა და ბოქაულის საზრუნავი იყო წარტყვენა დროშისა. ხალხი იმას დასდევს თან, როგორც ცხვრის ფარა ნამარილევს“. დროშის დატყვევების შემდეგ: „ყველა გრძნობდა თავს უთავო-უხელფეხოდ – ჰგრძნობდა ისე, რომ დარაჯებმა მოჰკვეთეს ნახევარი ასო და ისე გაუმცეს თითოეული მათგანი. გზაკვალარეულ წეროებსავით აღარ იცოდნენ, რა ექნათ, საით წასულიყვნენ – განეგრძოთ გზა, თუ უკან დაბრუნებულიყვნენ; დროშამ გაიყოლა თან იმათი სული და გული; დროშა, როგორც ჩანგალი მასზე მიბმულ თევზის, ისე იზიდავდა თავისკენ ხალხის ოცნებას. საცა დროშაა, ღმერთიც იქ არის, თუნდა ბოსელში შეიტანო, და ამიტომ მლოცავთ დროშა რომ ჩიხაურში დაუანგებულ თოფებთან ერთად დაყუდებული დაენახოთ, ისევე მუხლს მოუყრიდნენ, როგორც წმინდა გიორგის სალოცავები. დღეს ეს დროშა მტრისაგან შეურაცხყოფილია, ჯავრი არ ამოიყარეს „ჩვენ თურმე ჩვენის უძლურების გამო ვერაფერი ვუშველეთ დროშას, მაგრამ არაფერი უშავს. ის თავისთავს უშველის“. – ეს ფიქრი უელავდა ყველას თავში და გულში იმედი ესახებოდა, რომ დროშას, როცა იქნებოდა, დაეპატრონებოდა ხევისბერი და ხალხიც ჩვეულებრივად გაჰყევებოდა თან მის სადიდებლად და სასახელოდ. დროშის თავდახსნის შემდეგ: „ხალხი, როგორც კრუებს წინილები, ისე მისდევდა უკან ხევისბერსა, ყველა დიდად ბედნიერად ჰგრძნობდა თავის თავსა, რომ ეღირსა დროშის გაყოლას“. დროშა – ხალხის წინამდლოლი, დროშა – ვნებული და გამარჯვებული, საკუთარი თავის მხსნელი ტყვეობიდან – აი, როგორ აქვს წარმოსახული პოეტს ეს მნიშვნელოვანი საკულტო საგანი, მისი ცხოველმყოფელი და დინამიკური ბუნება. აქ იღებს სიტყვიერ გამოხატულებას ტრადიციად ქცეული რელიგიური განცდა, რომელიც უფლება საყმოს დროშის გამოჩენისას, როცა



ხევსულული დროშები

ის ავლენს თავისი საკრალურობის მაქსიმუმს. პოეტი, ცხადია, გამოხატავს საყმოს ცნობიერებაში გამომუშავებულ წარმოდგენებს, მაგრამ ის აზროვნებს იმ სიმბოლიკით, რომელსაც მიმართავენ ადრექრისტიანულ ხანაში რელიგიური ჭეშმარიტებების გადმოსაცემად (იგულისხმება წარმოდგენა ქრისტეზე, როგორც ეკლესიის, ანუ ქრისტიანთა „საყმოს“ თავზე და თევზის სიმბოლიკა მამათა წანერებში და კატაკომბების კედლებზე). არასაკულტო ლექს-სიმღერებში დროშა გათანაბრებულია გმირთან, რომელიც ბრძოლაში მიუძღვის საყმოს; დროშა განუყრელია წინამდლოლის სახისაგან, მას ხედავენ მხარზე დროშაგადებულს, ხოლო ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანს დაკავლათი დაპბრუნავს თავზე. „დავნატრი დაბადებასა ხოშარას ხასაისასა, / აისხამს იარაღებსა, ანგელოზსა ღვავ ცისასა, / მხარზე გადიდებს დროშასა ლალის ლაშარის ჯვრისასა, გამაუძღვება ფშავლებსა, სახელს ახსენებს ღვთისასა“ (14, №150). მედროშე ცენტრალური ფიგურაა ლაშქარში და მისი დაცემა ლაშქრის დამარცხების ტოლ-

ფასია: „ღმერთმა იცოდეს, მეწყინა სიკვდილი ერკელისაო, / დარჩომა ნაროვანზედა მედროშე ბლარაისაო, / ლეკებისაგან წალება ბლარაის ბორაყისაო“ (15, №60). მეფის სიკვდილი, მედროშის დალუბვა, დროშის მოტაცება – აი, სრული დამარცხების ნიშნები. როგორც ბრძოლაში ბედის სომბოლო, დროშა გამოჩნდება სიმღერის ბოლოს ბრძოლის დასასრულის საუნცებლად: „ყველაის საწყინარია დადგომა ბორაყისაო, ალარ ხუოდას დროშაი ლალის კარატის ჯვრისაო“ (15, №590). აქ ლაპარაკია კარატის ჯვრის, ანუ კოპალას დროშის დადუმებაზე, როგორც მარცხის ნიშანზე. აი, რას გვიამბობენ უდანის ჯვრის სალაშქრო დროშაზე: „ჩვენი ლაშქარი გამარჯვდისაო, აჰყვირდის, აჰყვირდის ეს დროშაიონ და თუ ხევსურთ ლაშქარი ვერ იმარჯვებდაო, დასჩუმდისო“ (5, №23121). დროშა ძალას მატებს მის ხელში დამჭერს. ვაჟა-ფშაველას იმავე მოთხოვბაში ხევისბერი, რომელსაც დევებთან ჭიდილი დაესიზმრა, ასე ამბობს: „ხანჯალმა ძალან მიშველა და დროშაც რომ მჭერიდა ხელში, იქნება გავლახავდი“. მატებს



ფერი დროშა

არა მხოლოდ ძალას, არამედ განსაკუთრებული სიწმინდით მოსავს მას, დროშასთან კონტაქტი საკურალურს ხდის პიროვნებას. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ ამგვარად არის გადმოცემული ეს მოვლენა: „ხალხმა გაკვირვებით შეჰედა ხევისბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი, ხელში ეჭირა.“ ერთ ფშაურ ანდრეზში დროშა მონაწილეობს თასთან ერთად და ორივენი საერთო ძალით სასწაულს ახდენენ ხევისბრის ხელში. ცაბაურთის მთავარანგელოზის ხევისბერზე, გამახარე ხოხორდაულზე, ასეთი ამბავია შემორჩენილი (მომყავს ალექსი ოჩიაურის ჩანაწერი): „ერთხელ უძველეს დროს მთაწმინდას მეკვლეთ დიდი თოვლი მოუვიდათ. ლიტანია დღეს ცოტა შეიცვალა ამინდი, მაგრამ მეკვლენი მაინც ავიდნენ მთაწმინდაზე. ყველა წესები შეასრულეს. დაიწყო ლამე თოვა, დღილისათვის ყელამდინ თოვლი დაიქცა და წამოსვლა ალარ იცოდნენ როგორ მოეხერხებინათ. სადღეობო მთაწმინდა ისეთ გორაზე არის,

რომ გარშემო სულ საზოვე ადგილები ახვევია და დაქნებული გვერდალი კლდეები. ხან ერთ მხარეს მოემზადენ და ხან მეორეს, მაგრამ წამოსვლა ვერ გაბედეს. ბოლოს ხევისბერი გააქადაგა მთავარანგელოზმა. ხევისბერი გამახარე იყო ხოხორდაული. აილო ხელში სამი ვერცხლის თასი, მხარზე დროშა გაიდო და ქადაგობით პირდაპირ საზოვე კლდეზე დაეშო პირთავეკვე. ხალხი ვერ გადავყა, გატყდა მთის დიდი ზოვი და წამოილო ხევისბერი. ზოვმა ერთი დიდი კლდე წამოილო, თავზე განიერი იყო ეს კლდე და ხევისბერი ამ კლდეზე ზედ მოხვდა დამჯდარივით. ზოვმა კლდე ვერსნახევარზე ისე წაილო, რომ გვერდი არ გადაუქცევია და ხევისბერიც თან ჩამოიყოლია. ჩამოვიდა ხატის პირდაპირ ადგილობრივ მზილას. ხევისბერი ისე მშვიდად ჩამოვიდა, რომ გულიც არ შეშინებია. ზოვი და კლდე გაჩერდა, ხევისბერი მშვიდად გადმოვიდა ზოვის ჩამოტანილ კლდეზეით და დროშის წკარუნით გამოვიდა ხატში. დროშაც მხარზე ედო და თასებიც ისევ ხელში ეჭირა“ (12, რვ.19). დროშა თავისი საკურალური ძალის მაქსიმუმს ხევისბრის ხელში აღწევს, ანუ იმ პირის ხელში, რომელსაც ჯვრისაგან აქვს უფლება მიღებული, ხელი ჰკადროს ჯვრის სიწმინდეს – დროშას. ამიტომაც მედროშეს მეორენაირად მკადრე ენოდება. „სამკადრეოს დროშას ეძახიან მკადრეებ ავლევენ“ (13,109). ამრიგად, არსებობს გარკვეული ანალოგია დროშასა და იმ ლეგენდურ მკადრეებს შორის, რომელთაც ხელზე სამკადრეო (ანუ საკადრისი) ეფინათ ღვთისშვილის დასაპრძანებლად.

„როცა გუდანის ჯვარი მოდიოდა, ნისლივით კორიანტელი მოჰყვებოდა. ამ დროს თოთიაც მოემზადებოდა, ხელზე გადაიფენდა სამკადრეოს. გაიდაური თავს გვერდზე დაიჭერდა, ისე ელაპარაკებოდა გუდანის ჯვარს“ (9,144).

ასე იქცეოდა თოთია გაიდაური, გუდარის ჯვრის მკადრე და სხვა მკადრეები, რომელთა სახელები შემორჩა საყმოთა ხსოვნას. სამკადრეო ქსოვილი მაშინ ამოქმედდება თავისი ფუნქციით, როცა მკადრე ამოიღებს მას და ხელზე გადაიფენს. ასევე დროშის სამკადრეო მაშინ იჩენს თავის ძალას, როცა ამოღებულია ტაგრუციდან, სადაც ის ინახება, და დროშის ტანზეა შებმული. ამრიგად, მკადრე, რომელსაც გაწვდილ ხელზე სამკადრეო აქვს გადაფენილი, შეიძლება შევადაროთ იმავე სამკადრეოებით შეკაზმულ დროშას. მათ შორის სრულიად გარკვეული ანალოგია არსებობს ისტორიულ ჭრილში; აქ მხოლოდ ანალოგიაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. გ.შარაშიძეს, რომელიც საგანგებოდ იკვლევს დროშის ფუნქ-

ციებს, დასაშვებად მიაჩნია მისი გაიგივება როგორც მის მტვირთველ ადამიანთან, ასევე ლვთისშვილთან, რომლის მანიფესტაციასაც ის ნარმოადგენს (17, 671). მართალია, გარკვეული თვალსაზრისით, დროშა საკადრისით აღჭურვილი კულტმსახურის – მკადრის სახეს წარმოადგენს, მაგრამ ის თავისი საკრალურობის მაქსიმუმში თავად ჯვრის შემცვლელია, როგორც ეს კარგად ჩანს ერთ ლექსში: „ნეტავინ ჩამაგვიჩნენა ბაბარაულნი ძმანიო, / ანამც ის ლიქოელები, ერთის დროშაის ყმანიო“ (9, 152). „დროშის ყმა“ აქ „ჯვრის ყმის“ სინონიმია. ლიქოელები კოპალას ყმანი არიან. კერძოდ, კოპალაზე შეიძლება ითქვას, რომ დროშა მისი არსებითი ატრიბუტია. ერთ თუშურ ლექსში ვკითხულობთ: „ ნოგირის წვერზე დაბრძანდა გიორგი დობილიანი, მთის ძირში შემოეგება კოპალე ბოვრაყიანი“ (6,34). როგორც ხახმატის წმინდა გიორგია დობილიანი („დობილში“ სამძიმარი იგულისმება), / ასევე კოპალა „ბოვრაყიანია“ (დროშიანია). მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებში განთქმულია კოპალას დროშა, რომელშიც ამ ლვთისშვილის ძალაა დაუწევებული. არის კიდევ ერთი საგანი, რომლითაც სამკადრეოს, ანუ საკადრისს თავისი მყარი ადგილი აქვს მიჩნილი. ეს არის ხე, რომელიც ისევე, როგორც ლეგენდური მკადრე, დროშის როლში შეიძლება მოგვევლინოს. წმინდა ადგილას მდგარი ხე იქცევა მართლაც დროშად, უზარმაზარ უძრავ დროშად, როცა მის ტოტებზე მლოცველები საკადრისებს შეაბამენ; ეს მათი მცირედა, მაგრამ წმინდა შესანირავია. ამგვარად, შემკულ ხეებს მგზავრი საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდება. ჩვენ ვიცით, რომ დროშის სამკადროები, როგორც წესი, ქალების შენანირია; ასევე ქალები სწირავენ უძრალო ქსოვილის ნაჭრებს ხატს და ჰქიდებენ მათ სამუდამოდ ხის ტოტებზე. ნიშანდობლივია, რომ ქსნის ხეობაში შესამოსელს (თავშალს, ყელსახვევს და სხვ.), რომლითაც დედაკაცები ამკობენ ხატის ტერიტორიაზე მდგარ ხეებს, „დროშას“ უწოდებენ (2,130). ხის ტოტები წმინდა შესანირავით იმკობა და ეს შესანირავი – საკადრისი, რაკი ის წმინდაა და ხატის საკუთრებაა, შეიძლება შეეხსნას ხეს და დროშის ტანზე შეიძას. ის თუ მოსცილდება ოდესმე ხეს, მხოლოდ იმ მიზნით მოსცილდება, რომ მისგან დროშა შეიკაზმოს. ამ დროს საყმო ესწრება თითქოს დროშის გენეზისს, „მას ჟამსა“, როცა დროშა იბადება. ვ.ბარდაველიძის ნაშრომში „ივრის ფშავები“ ვკითხულობთ: „თამარისადმი შენირული ფერადი (თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი) „საკადრისები“, რომლებიც თამარის ხატის ტოტებზე ეკიდა, ჩამოხსნეს, დროშის

ტარზე ააბეს, შემდეგ ტარს ზემოდან ჩამოჰკიდეს და თავზე ოქროსფრად მოელვარე ლითონის ჯვარი დამაგრეს. ასე გაჩნდა ლაშარობაზე „ხატის დროშა“ (1,134-5). საკადრისს ჩვენ კიდევ ერთ ადგილზე ვხვდებით: საკადრისით რქები აქვს გარული ჯვარმი მიყვანილ სამსხვერპლო პირუტყვის. საკადრისი პირუტყვის რქებზე იმის ნიშანა, რომ პირუტყვი ჯვრის არის და საკადრისიც მისი დაკვლის შემდეგ იქვე მდგარ ხეზე გადაინაცვლებს, ან, შეიძლება, მას დროშაზე მიუჩინონ ადგილი სხვა საკადრისებთან ერთად. საკლავს ყელზე ზანზალაკი აქვს შებმული, რომელიც ხმიანებს იმის საუწყებლად, რომ ის ჯვრისაა; მისი დაკვლის შემდეგ ზანზალაკი ჯვარში რჩება, როგორც ჯვრის კუთვნილება, ხატში შენირულმა ზანზალაკმა შეიძლება დროშაზე გადაინაცვლოს, რადგან ის დროშის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია; რადგან ის დროშის ხმაა, რომლითაც ლვთისშვილი აუწყებს საყმოს თავის გამოჩენას.

### ზურაბ პიპაძე

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ბარდაველიძე ვ., ივრის ფშავები, ენიმეის მოამბე, XI, 1941.
- ბეზარაშვილი ც., რიტუალური სამოსელი (კრებ. „ქსნის ხეობა“, თბ.1975).
- გაბუური ბ., ხევსურული მასალები პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ნელინდეული, I-II, ტფ., 1923-1924.
- ვაჟა-ფშაველა, ხევსურები (საზოგადო შენიშვნები), თხ-ზულებათა სრული კრებული, ტ. IX, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი (ფოლკლორისტიკის კათედრა).
- მაკალათია ს., თუშეთი, ტფ., 1933.
- მაკალათია ს., ხევსურეთი, ტფ., 1935.
- მოლოდნი დ., ჯალაბაძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი, თბ., 1962.
- ოჩიაური ალ., თემულებები ხევსურულ ლვთაშენის აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, M 15).
- ოჩიაური ალ., ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი (ბუდე-ხევსურეთი), 1939, (იქვე, M 17).
- ოჩიაური ალ., ფშავური ხალხური დღეობები (იქვე, M 83).
- ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, M 18).
- ოჩიაური ალ., ფშავური ხალხური დღეობები (იქვე, M 83).
- ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამბა, თბ. 1954.
- ქართული ხალხური პოეზია, ტ.IV, საგმირო ლექსები, „მეცნიერება“, თბ. 1975.
- შანიძე აკაკი, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, „სახელგამი“, ტფ., 1931
- ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, „მეცნიერება“, თბ., 1965.
- Charachidze C. le Systeme Religieux de la Géorgie païenne, P., 1968.

## ევროპის ჯრები

მოგეხსენებათ, რომ ევროპის უდიდესი ნაწილი ქრისტიანული ტრადიციის მქონე სახელმწიფოებისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთში, მუსლიმი მოსახლეობა საკუთარ ისტორიულ მიწაზე ცხოვრობს, იქაც კი დომინანტ ძალას მაინც ქვეყნის ქრისტიანული წარსული წარმოადგენს, რაც ცალსახადაა გამოხატული რუსეთის გერბზე. ევროპის ქვეყანათა შორის ქრისტიანები უმცირესობას მხოლოდ ბოსნიაში, ალბანეთსა და კოსოვოში წარმოადგენენ.

ბუნებრივია, რომ ადრეული თუ გვიანი შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ განუზომლად იმოქმედა არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების დარგების განვითარებაზე. ყალიბდებოდა რეგიონებისა თუ ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებებისთვის დამახასიათებელი სტილები. მიუხედავად იმისა, რომ სამივე, საბერძნეთი, საქართველო და რუსეთი, მართლმადიდებელი მრნამსის მაღლარებელი ქვეყანაა, არაპოფესიონალიც კი ადვილად გაარჩევს ბერძნულ, ქართულ და რუსულ ეკლესიებს ერთმანეთისგან. ასევე ადვილია ერთმანეთისგან ძველი სკანდინავიური (ჯერ კიდევ კათოლიკური აღმსარებლობის პერიოდის) ხის ეკლესიებისა და იმავე პერიოდის, მაგალითად, იტალიური ეკლესიების განსხვავებაც. თუმცა სკანდინავიური და რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილის მართლმადიდებლური ეკლესიები ძალზე წააგავს ერთმანეთს. ასევე ქართული მართლმადიდებლური და სომხური მონოფიზიტური ტაძრებიც ბევრად უფრო წააგავს ერთმანეთს, ვიდრე ქართული და რუსული ტაძრები. ყველა ზემოთქმულ შემთხვევაში, რეგიონული სტილი ნაკლებად ითვალისწინებს კონფესიურ განსხვავებებს.

მსგავსი სურათია პერალდიკაშიც. ამ დარგის სპეციალისტისთვის სირთულეს არ წარმოადგენს გერბისთვის ერთი თვალის შევლებით იმ რეგიონის გამოცნობა, სადაც ეს გერბი შეიქმნა.

ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლო, რა თქმაუნდა, ჯვარია და არ უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ საუკუნეების განმავლობაში მისი მრავალი ეროვნული ნაირსახეობა ჩამოყალიბდა. ზოგ ქვეყანაში ჯვრების რეგიონული ნაირსახეობებიც კი არსებობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკლესია ჯვრის ფორმას კანონიკური ნორმებით არ განსაზღვრავს და ნებისმიერი სახის ჯვრებს იყენებს.


რა თქმაუნდა, ასე არ არის იმ ქვეყნებში, სადაც ჯვარი სახელმწიფო სიმბოლიკის მთავა-

რი ან ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყველა ამ შემთხვევაში მისი ფორმა, პროპორციები და სახელმწიფება მკაცრადა განსაზღვრული.


პროფესიონალი ჰერალდიკოსები და ვექსილოლოგები იმ ჯვრებს, რომლებიც სახელმწიფო (და არასახელმწიფო) სიმბოლიკაში და ძირითადად დროშებში გამოიყენება, რამდენიმე ჯგუფად ყოფენ. ესენია, სკანდინავიური ჯვრები, პერძეული ჯვრები, სტორმბლაცა მთლიანი ჯვრები და სალტირები, ანუ ანდრიას ჯვრები (ლათინური ასო X-ის ფორმის). სკანდინავიური (ჯვრის შვეული ლერძი განივის ცენტრიდან უფრო მარცხნივ ეშვება) ჯვრების შემთხვევაში, ეტალონი დანიის დროშაა. ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, განვითარებულ შუა საუკუნეებში სწორედ დანია გარდაიქმნა სკანდინავიის უძლიერეს სახელმწიფოდ და კალმარის უნიის (დანიის, ნორვეგიისა და შვედეთის გაერთიანებული სამეფო) წამყვან ძალად. მიუხედავად იმისა, რომ მოვაიანებით შვედეთმა დამოუკიდებლობას მიაღწია და დანიაზე უფრო ძლიერიც კი გახდა, ტრადიცია არ შეცვლილა და დღემდე შვედეთის დროშაც დანიურ კომპოზიციას უფუძნება. მოვანენებით, ახლადწარმოქმნილმა ნორვეგიამ და ისლანდიამაც მსგავსი ჯვრები გამოსახეს ეროვნულ დროშებზე. ამ მაგლითს მიბაძა სკანდინავიის მეზობელმა ფინეთმაც, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შვედეთის მფლობელობაში იყო. ასეთ ჯვრებს იყენებენ ავტონომიური და ნახევრადავტონომიური სტატუსის მქონე ის ჩრდილოური ტერიტორიებიც, რომლებიც სკანდინავიური სახელმწიფოების შემადგენლობაში შედიოდა, თუ ახლაც შედის. მაგალითად, ფარერის კუნძულები, ალანდი, ორკი, შეტლენდის კუნძულები. ასევე ჩრდილო-დასავლეთ ევროპის მრავალი ქალაქი და რეგიონი. აღსანიშნავია ის, რომ გერმანიის იმპერიის და მესამე რეისის დროშებზეც მსგავსი ჯვრები იყო გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპოზიციები დანიურის პარალელურად განვითარდა და სკანდინავიურ ტრადიციას არ ითვალისწინებს, ტერმინლოგიის სიმარტივის მიზნით მათაც „სკანდინავიურ ჯვრებად“ მოიხსენიებენ.

ბერძნულ ჯვარს სწორ, მოკლე და ტოლმკლავა ჯვარს უწოდებენ. ესეც ერთგვარი ტექნიკური ტერმინია და, მაგალითად, ის, რომ შვეიცარიის დროშაზე გამოსახული ჯვარი ჰერალდიკა-ვექსილოლოგიაში ბერძნულ ჯვრად მოიხსენიება, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ფორმა საბერძნეთიდანაა ნასესხები.

სწორმკლავა მთლიანი ჯვრების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს დროშის დიდი ჯვარი



ევროპის სხვადასხვა რეგიონები გავრცელებულ ჯვრების ფორმები






პირქნული ჯვარი




მე. მიორბი,  
1340 წლის მინიატურა



პოლნური ჯვარი



ლათინური ჯვარი,  
XVI ს., საქართველო



საპატრიარქო ჯვარი



აღმოსავლური ჯვარი

და დიდი ბრიტანეთის დროშაზე გამოსახული ინგლისის წმინდა გიორგის ჯვარი. სახელმწიფო დროშების გარდა, ასეთ ჯვრებს ხშირად შეხვდებით ევროპის სხვადასხვა რეგიონის თუ ქალაქების დროშებსა თუ გერბებში.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ფორმის ჯვრების მრავალ გამოსახულებას ვხვდებით, მაგრამ საერთაშორისო სიმბოლიკა ტრადიციულ ქართულ ჯვრებად ძირითადად ბოლნურ და წმინდა ნინოს ჯვრებს მოიაზრებს. ბოლნური ჯვარი, რომლის სახელწოდებაც ბოლნისის სიონის ტაძრიდან მომდინარეობს, ჩვენს მინაზე ადრეული შუა საუკუნეებიდან გამოსახებოდა და მას სხვა ფორმის ჯვრებთან შედარებით უფრო ხშირად ვხვდებით.

არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბოლნური ჯვრის ფორმის ქვასვეტები იბერია-ქართლის სამეფოს საზღვრებზეც იყო აღმართული.

რაც შეეხება წმინდა ნინოს ჯვარს, იგი იმ სახით, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ (დამრეცი განივი


მკლავებით) XIX საუკუნემდე არასდროს გამოისახებოდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ იმ ორი ჯვრის ფორმიდან, რომლებიც ქართული ჯვრების სახელითაა ცნობილი, ერთი ძალზე ძველია, ხოლო მეორე კი – ახალი.

ერთი და იმავე ფორმის და ფერის ჯვარს, პარალელურად სხვადასხვა ქვეყანაში იყენებდნენ. ხშირ შემთხვევაში ეს ნასესხობა იყო, ხშირად კი – ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უბრალო მსგავსება.


ზემოხსენებული სახეობების გარდა, ჰერალდიკა საკმაოდ ბევრი ფორმის ჯვარს იცნობს. ქვემოთ განვიხილავთ ზოგ მათგანს.

**ლათინური ჯვარი** — სწორმკლავა ჯვარი. განვით ძელი უფრო მოკლეა, ვიდრე შვეული და განლაგებულია შვეულის ცენტრის უფრო ზემოთ. ჯვრის ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

**საპატრიარქო ჯვარი** — ლათინურის მსგავსი ჯვარი, რომელსაც ზემოთ კიდევ ერთი მცირე განვით ძელი ემატება. ეს ძელი ჯვარცმული



აააის ჯვარი




გოლგოთის ჯვარი




ყავარქის ჯვარი



იერუსალიმის ჯვარი



იერუსალიმის ჯვარი



ჯვარ-ჯვარედინი ჯვარი

მაცხოვრის თავზე მიმაგრებულ წარწერიან დაფას აღნიშნავს.

**ალმოსავლური ჯვარი** (რუსული ჯვარი) – საპატრიარქო ჯვარი, რომელსაც ქვედა ნაწილში, ჯვარცმული მაცხოვრის ფეხსაყრდენის აღმიშვნელი მესამე, ირიბად განლაგებული ძელი ემატება, ასეთი ჯვრის გამოსახვა ძირითადად რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაშია პოპულარული.

**პაპის ჯვარი** – სამი განივი ძელით გამოისახება. ძელების სიგრძე ქვემოდან ზემოთ კლებულობს.

**თხემის ან გოლგოთის ჯვარი** – სამ საფეხურზე მდგომი ლათინური ჯვარი. მისი ნაირსახეობა გამოსახულია დავით III კურაპალატის (გარდაიცვალა 1001 წ.) მონეტაზე. რუსეთში სქიმოსანი ბერების სამოსელზე გამოისახება. ოღონდ ამ შემთხვევაში ლათინური ჯვარი აღმოსავლური ჯვრითაა შეცვლილი. რუსული ტრადიციის გავლენით, ჯვრის ეს სახეობა საქართველოშიც გახდა პოპულარული და მის გამოსახულებას ხშირად წააწყდებით.

**ბერძნული ჯვარი** – მოკლე სწორმკლავა ჯვარი, რომლის ყველა მკლავი ერთი სიგრძისაა.

**ყავარჯინისებრი ჯვარი** – ბერძნულის მსგავსი ჯვარი, რომლის ოთხივე ბოლო მთავარი ძელების პერპენდიკულარული მცირე ძელებით ბოლოვდება.

**იერუსალიმის ჯვარი** – ხუთჯვრიანი კომპოზიცია. ცენტრალური დიდი ჯვარიც და მცირე ჯვრებიც ან ბერძნული ფორმისაა, ან ცენტრალური ჯვარი ყავარჯინისებრია. წააგავს საქართველოს დროშის კომპოზიციას, მაგრამ მთავარი განსხვავება ცენტრალური ჯვრის სიმოკლეა. საქართველოს დროშის დიდი ჯვრისგან განსხვავებით, იერუსალიმის დიდი ჯვარი არასდროს კვეთს დროშის თუ გერბის მთელ სივრცეს.

**ჯვარ-ჯვარედინი ჯვარი** – ოთხი მცირე ლათინურის ფორმის ჯვარი ქვედა ნაწილებით ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ჰერალდიკური ჯვრის ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ფორმაა.



აყვავებული ჯვარი



გერმანული რეინის ჯვარი,  
თათისეპრი ჯვარი




იოანე იერუსალიმელის  
ჯვარი




კელტური ჯვარი



წმინდა ანდრიას ჯვარი



ლოთარინგიული ჯვარი




წმინდა იაკობის ჯვარი




ქრისტეს რაინდთა ჯვარი



სომხური ჯვარი



ტაუს ფორმის ჯვარი



კვირტოვანი ჯვარი

**კვირტოვანი ჯვარი** – ლათინურის ფორმის ჯვარი, რომლის ძელებიც სამყურა ფოთლის მსგავსი ორნამენტით ბოლოვდება. ჰერალდიკაში და ეკლესიაშიც ჯვრის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა.

**აყვავებული ჯვარი** – კვირტოვანისგან განსხვავებით, ამ ჯვრის ბოლოები გაფურჩქნული ყვავილის მსგავსი ფორმისაა. ჯვრის ამ ფორმას ფართოდ გამოიყენებენ ჰერალდიკაში.

**რაინდთა ჯვარი (თათისებრი)** – ბოლნურის მსგავსი ჯვარი, რომლის ყველა ბოლო, ბოლნურისგან განსხვავებით, სწორი ხაზით სრულდება. ამ ფორმის იყო ტევტონთა ორდენის ჯვარი და პრუსიული და შემდეგ კი გერმანული რკინის ჯვრის ორდენის ნიშანი.

**იოანე იერუსალიმელის, ანუ მალტის ჯვარი** – ოთხი ისრის ბუნი პირებით ერთმანეთთანა შეკავშირებული. ჯვაროსანი ჰოსპიტალიერი რაინდების

(გვიანი ჰერიოდიდან მათ მალტის რაინდებადაც მოიხსენიებენ) სიმბოლო. ამ ჯვრის გამოსახვაც ასევე საკმაოდ გავრცელებულია ჰერალდიკაში.

**კელტური ჯვარი (წმინდა იონას ჯვარი)** – ლათინურის ფორმის ჯვარი, რომელსაც წრენირი აქვს დამატებული.

**წმინდა ანდრიას ჯვარი (სალტირი)** – ლათინური X-ის ფორმის ჯვარი, რომელზეც, გადმოცემის თანახმად, ეწამა ანდრია მოციქული.

**ლოთარინგიული ჯვარი** – ჯვარი, რომლის გრძივი ძელი ზედა და ქვედა ბოლოებთან ორი განივი ძელითაა გადაჯვარედინებული. ზედა ძელი უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ქვედა. ეს ჯვარი ლოთარინგიის მთავრებმა უნგრეთიდან ისესხეს. გამოსახულია უნგრეთის გერბზეც. ითვლება, რომ თავის მხრივ უნგრეთის მეფე ბელა III-მ (უნგრეთის მეფე 1172-1196), რომელიც კონსტანტინოპოლში იზრდებოდა, ჯვრის ეს ფორმა ბიზანტიისგან ისესხა. ასევე პოპულარულია ლიტვასა და ბელარუსში (ბელარუსი საუკუნეების განმავლობაში ლიტვის დიდი სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო), სადაც ითვლება, რომ ლიტვის პირველი ქრისტიანი დიდი მთავრის და შემდგომში პოლონეთის მეფის იაგაილოს (ნათლობის სახელი ვლადისლავი) მმართველობის პერიოდში, 1380-იან წლებში გახდა პოპულარული. ასეთი ჯვარი გამოსახულია ლიტვის სახელმწიფო გერბის მხედრის ფარზეც. მეორე მსოფლიო ომის დროს შარლ დე გოლს დაქვემდებარებული „თავისუფალი საფრანგეთის“ მებრძოლთა სიმბოლოც ლოთარინგიული ჯვარი იყო.

**წმინდა იაკობის ჯვარი** – სოლისებრი ჯვრების რიცხვს მიეკუთვნება. ასეთ ჯვრებს გრძივი ძელის სოლისმაგვარი ქვედა ბოლოებით გამოსახავენ. ჯვრის დანარჩენი სამი ბოლო კი აყვავებული ჯვრის ფორმისაა. ძირითადად გავრცელებულია ესპანეთში, სადაც სანტიაგოს (წმინდა იაკობის) ორდენის რაინდების და რეკონკისტის სიმბოლოდ აღიქმება.

**პორტუგალიური (ქრისტეს რაინდთა ორდენის) ჯვარი** – თათისებრი ჯვრის ნაირსახეობაა.

**სომხური ჯვარი** – ბიზანტიური და ლათინური ჯვრების შერწყმა. ძელების გარე კუთხები მცენარეული ორნამენტითაა მორთული. სომხური ქვაჯვრების – „ხაჩკარების“ – მთავარი მოტივი.

**როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩამოთვლილის გარდა, ჰერალდიკა საკმაოდ ბევრი ფორმის ჯვარს იცნობს და ამჯერად მხოლოდ მათი ნაწილის აღნერით შემოვიფარგლეთ.**

ზაბარის პიპაძი  
მხატვარი-ჰერალდიკოსი



დას. 1380 წ., გივა (გილერმო) სოლერი, პორტოლანი, შავი ზღვა პარიზის ეროვნული გიგანიორთება, 65 × 102 სმ



# სამხარეო და საქალაქო გერბების განვითარება ქართულ ჰერალდიკაში

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სამხარეო და საქალაქო გერბების განვითარების თემატიკას. მოცემული ტიპის გერბებს ევროპაში „civil“, ანუ „საჯაროს“, ხოლო რუსეთში „zemelnyshiy“-ს უწოდებენ ხოლმე. საქართველოში, აქამდე ერთიანი ტერმინით საქალაქო და სამხარეო გერბებს ნაკლებად იხსენიებდნენ. თუმცა, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ამგვარი გერბების აღსანერად, ევროპული და რუსული ჰერალდიკის ტრადიციისამებრ ქართულ გერბთმცოდნეობაშიც გამაერთიანებელი ტერმინი დანერგილიყო, მაგალითად, „ადგილობრივი“, „სამინანულო“ ან „საადგილომამულო“. ყველა ეს სიტყვა ქართულ განმარტებით ლექსიკონებში დაკავშირებულია ამა თუ იმ კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიასთან, მხარესთან, ოლქთან, ქვეყანასთან, მამულთან ან დასახლებასთან,<sup>1</sup> ამიტომ წებისმიერი მათგანი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კრებით ცნებად, მხარეებისა და ქალაქების ერთობლივად საგულისხმოდ და ჰერალდიკურ ტერმინად დამკვიდრდეს. უპირატესობა კეთილხმოვნებიდან, ანუ უღერადობიდან და სიტყვის შინაარსის საჭირო ტერმინთან უმეტესი სიახლოვის გამო ალბათ სიტყვა „სამინანულოს“ უნდა მიენიჭოს. ამრიგად, რა თქმა უნდა, სხვა მოსაზრებაც შესაძლოა არსებობდეს, მაგრამ სასურველი იქნებოდა ქართულ გერბთმცოდნებაში სამხარეო და საქალაქო გერბებს ერთობლივად სამინანულო გერბები სწოდებოდა და ეს ტერმინი დამკვიდრებულიყო თანამედროვე ქართულ ჰერალდიკაში.

ზოგადად, ტერიტორიის მონიშვნის წესი უსოვარი დროიდან არსებობს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ადამიანის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით, მომთაბარეობიდან და შემგროვებლობიდან მკვიდრ ბინადრობასა თუ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის კვალად, აუცილებელი ხდებოდა საბინადრო და სამუშანეო მინების შემოსაზღვრა, მონიშვნა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხშირად უძველესი სიმბოლოები დასახლებულ პუნქტებსა



სურ. 1. მეხიკოს (ტერიტიტიულანის) ემბლემა

თუ მხარეებს იმ ქვეყნებშიც კი გააჩნდა, სადაც ჰერალდიკა ბოლო დრომდე საერთოდ უცნობი იყო. ამის მაგალითად თუნდაც მეხიკოს, იგივე ძველი ტენირიტილნის ემბლემა გამოდგება (სურ. 1), რომელიც ქალაქის დაარსების უძველეს ლეგენდას ასახავდა და შემდგომ მეხიკოს გერბად იქცა. უძველეს ხანაში ტერიტორიის მონიშვნის სხვადასხვაგვარი მეთოდი გამოიყენებოდა. მინის საკუთრებას ტომები თუ თემები ნიშნავდნენ ქვებზე ან ხეებზე, ზოგჯერ პირდაპირ მიწაზეც კი. უმეტესწილად ამგვარი ნიშნები ასოცირდებოდა პირველყოფილ პრიმიტიულ რელიგიურ რწმენებთან და ტოტემებთან, მოგვიანებით კი ამა თუ იმ ღმერთის კულტთან და ასტროლოგიურ წარმოდგენებთან, გათვლებთან. ასეთმა სიმბოლიკამ დროთა განმავლობაში გადაინაცვლა ბეჭდებზე, მონეტებზე, იარაღსა და აღჭურვილობაზე დატანილ დამდებზე.

შუა საუკუნეებში ქრისტიანობის გავლენამ და ფეოდალიზმა, ზოგან სრულად, ზოგან კი ნაწილობრივ მაინც მოშალა არქაული სიმბოლიკა. ნინ ნამოინია ფეოდალურმა, სარაინდო სიუზერენულმა, ანუ გერბებმა. საგვარეულო და ტერიტორიული გერბების, ასე ვთქვათ, კავშირი ორმხრივი იყო — უმეტესწილად, სიუზერენთა გერბები, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მანც, ასევე მიეკუთვნებოდა მათ მფლობელობაში არსებულ მხარეებსა თუ ქალაქებს; იმავდროულად, თუმცა უფრო ნაკლებად, იგივე სიმბოლოები აისახებოდა ხოლმე

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა. ჩიქობავას რედ., თბ. ტ. 1, 1950 წ, გვ. 114-115; ტ. 5, 1958 წ, გვ. 38, 505; ტ. 6, 1960 წ, გვ. 485.

რაიმე ელემენტის სახით ფეოდალთა, დიდგვა-როვანთა საგვარეულო გერბშიც (მაგალითად, საფრანგეთისა და ინგლისის სამეფოების მეფეებისა და მთავრების პირდაპირი შთამომავლების, ანუ მემკვიდრე ბატონიშვილების გერბები, რომლებშიც მათი მამულების, შესაბამისად, დო-ფინესა და უელსის სამხარეო სიმბოლიკა ფიქ-სირდებოდა). აგრეთვე დიდი გავლენა იქნია სამხარეო და განსაკუთრებით საქალაქო გერ-ბების წარმოშობასა და განვითარებაზე ქალაქე-ბის ძეჭდებმა. მათზე აღბეჭდილი სიმბოლოების უმეტესობა დროთა განმავლობაში ქალაქის გერ-ბებზე აისახა (მაგ. ბერლინის დათვი. სურ. 2-3), ზოგჯერ კი მთელი მხარის სიმბოლოდაც იქცა. მოგვიანებით, ფეოდალური წყობის გაქრობას-თან ერთად, ახალმა სამინანყლო გერბთშემო-ქმედებამ მრავალფეროვანი სახე მიიღო: ზოგ ქვეყანაში ძველი ჰერალდიკური ტრადიციის ერთგული დარჩენებ (მაგ. ბრიტანეთი), სხვაგან სრულიად ახალი თანამედროვე სიმბოლიკა შე-მოიღს (მაგ. სსრკ), ზოგან კი ძველიც და ახალი მოტივებიც თანაბრად გამოიყენებოდა ან ერწ-ყმოდა ერთმანეთს ქალაქებისა თუ სხვა უფრო მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულების გერ-ბებში (მაგ. სერბეთი, ყოფილი იუგოსლავია).

სამხარეო გერბები, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში, თანამედროვეობაშიც კი, ე. წ. ცოც-ხალი ჰერალდიკის ნაწილს წარმოადგენს. მაშინ, როცა უმეტესგან კლასობრივი საზოგადოებები აღარ არსებობს და, შესაბამისად, ოფიციალუ-რი სახით საგვარეულო გერბებმაც არსებობა შეწყვიტა, სამხარეო და საქალაქო ჰერალდიკა კვლავ ვითარდება. მითუმეტეს საქართველოში, სადაც ახალი სამხარეო და საქალაქო გერბების შექმნა წარმატებით მიმდინარეობს. სწორედ ამ პროცესის ფონზე აქტუალურია ქართუ-ლი ტერიტორიული გერბების განხილვა, რაც გარკვეული ილად შესაძლებელია წაადგეს მომა-ვალი სამხარეო გერბების შედგენას, ვინაიდან, გარდა პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის საბჭოს პროფესიონალებისა, ამ საქმეში, რა-საკვირველია, ჩართული არიან ამა თუ იმ ად-მინისტრაციული ერთეულის სიმბოლიკის შექმ-ნით დაინტერესებული სახელმწიფო მოხელენი, შემოქმედი თუ რიგითი მოქალაქენი. სწორედ მოცემული კატეგორიისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ორიენტირება ევროპაში სამხარეო გერბთწარმოების ისტორიასა და დღევანდელო-ბაში, რათა უკეთ იქნეს გააზრებული დღევან-დელი ქართული მუნიციპალური გერბების ად-გილი და მათდამი მოთხოვნები საზოგადოების




სურ. 2-3. პერლინის პეტეზი XV ს-დან  
და პერლინის გერბი

თუ სპეციალისტების მხრიდან. ნაშრომი შეეხება მხოლოდ გერბებს ამ სიტყვისა და ცნების კლა-სიკური, დასავლეთევროპული გაგებით და არა სხვადასხვა სახის ტერიტორიულ სიმბოლიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყნის წარ-სულში მოიძებნება, რადგან ადამიანთა ჯგუფე-ბი იმთავითვე ნიშნავდნენ კუთვნილ ადგილსა-მყოფელს სხვადასხვა მეოთხით.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰე-რალდიკის საბჭომ უკანასკნელ წლებში ახალი სიცოცხლე შთაბერა საქართველოში სამხარეო ჰერალდიკის განვითარებას. შეიქმნა საქართ-ველის ქალაქებისა და ადმინისტრაციული ერ-თეულების გერბები. ამგვარი გერბთწარმოების ფონზე საინტერესო იქნებოდა თვალი გადაგ-

ვევლო ქართული სამხარეო გერბების განვითარების ისტორიისა და დღევანდელობისთვის, შეგვედარებინა იგი მდიდარი ჰერალდიკური ტრადიციის მქონე ქვეყნების წარსულსა და თანამედროვე პრაქტიკასთან და გვეცადა ამგვარი განხილვის ფონზე გარკვეული დასკვნების გამოტანა. ნაშრომის მიზანი არ არის ყველა ქართული სამხარეო გერბის აღნერა თუ განხილვა, მითუმეტეს, რომ ქართული ჰერალდიკის ნიმუშების უდიდესი ნაწილი უკვე საკმაოდ დაწვრილებით არის შესწავლილი სხვადასხვა ავტორის

474



სურ. 4-5. ქართლისა და კახეთის გერბები „ტიტულიარნიკიდან“

მიერ. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილდება ზოგადად ქართული სამხარეო გერბების განვითარების ეტაპებზე, თავისებურებებსა და მათ შედარებით ანალიზზე სხვა ქვეყნების ანალოგებთან მიმართებით. ყოველივე ამის საფუძველზე საინტერესოა გამოვლინდეს, რა გამოარჩევთ ქართულ ე. წ. ტერიტორიულ გერბებს და რაზე მიუთითებს ჩვენში მათი სპეციფიკური გზით განვითარება.

სამხარეო გერბების ნინამდებარე მოკლე ნაშრომი ძირითადად ემყარება საქართველოში თუ საზღვარგარეთ უკვე განხორციელებულ კვლევებს კონკრეტულად ამავე საკითხის ან ზოგად ჰერალდიკის შესახებ. გარდა ამისა, გამოყენებულია რამდენიმე პირველწეროც, რომელთაგან ნაწილი პირველად ქვეყნდება. მოცემული მოკლე კვლევისადმი მიდგომა ემყარება შედარებითი ანალიზის მეთოდით გარკვეული დასკვნების გამოტანის მცდელობას. საქართველოს რამდენიმე სამინაწყლო გერბის ისტორიის წარმოჩენის შემდგომ ადგილი დაეთმობა ევროპული ქვეყნებში სამხარეო ჰერალდიკის თავისებურებათა მიმოხილვას და რუსეთის, როგორც ჰერალდიკის სფეროში თავის დროზე საქართველოსთან ყველაზე ახლო მდგომი ქვეყნის, სამხარეო გერბების მოკლე განხილვას. სტატიის დასკვნა დაეთმობა განხილვას, თუ რაზე მიუთითებს ქართული და უცხოური სამხარეო გერბების განვითარებას შედარება: რა მსგავსებები ან სხვაობები ვლინდება, რითა ისინი გამოწვეული და, რაც მთავარია, შეიძლება მივიწიოთ, რომ ქართული სამხარეო და საქალაქო ჰერალდიკა ისევე გამოხატავს ქვეყნის ევროპული ცივილიზაციის ლტოლვას, როგორც საგვარეულო გერბთშემოქმდების ფართო გავრცელება.


### ეპოზული სამხარეო და საქალაქო ჰერალდიკის განვითარების ეტაპები

საინტერესოა, რომ საქართველოში სამხარეო გერბები, სახელმწიფო გერბებთან ერთად, ქართული ჰერალდიკის უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს. ეს ფაქტი აღსანიშნავია, ვინაიდან კლასიკური ევროპული ჰერალდიკის მშობლიურ ქვეყნებში საგვარეულო გერბები ყველაზე ადრე გაჩნდა, ვინაიდან გარბების წარმოშობა, როგორც ცნობილია, პირდაპირ უკავშირდება დასავლურ ევროპულ ფეოდალურ სისტემას, რაინდობის ინსტიტუტსა და ჯვაროსნულ ლაშქრო-

ბებს. თუმცა ჩვენში ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც (მაგ. რუსეთში), ჰერალდიკა, კლასიკური დასავლეთევროპული გაერტით, უცხოეთიდან შემოსული ტრადიციაა და ამიტომ გასაკეთი არ არის, რომ იგი სწორედ, ასე ვთქვათ, ზემოდან ქვემოთ, ანუ სახელმწიფო და სამხარეო გერბებიდან საგვარეულო და კორპორაციული გერბების მიმართულებით განვითარდა.

სადღეისოდ ცნობილი საქართველოს პირველი სამხარეო გერბების ნიმუშები რუსეთის ცარის (მეფის) ალექსი მიხაილოვიჩის 1672 წლის „ტიტულიარნიკშია“ დაფიქსირებული საქართველოს სახელმწიფო გერბთან და რუსი მონარქის კუთვნილი თუ იმ მიზების გერბებთან ერთად, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდა. ეს არის კახეთისა და ქართლის სამეფოების გერბები, შესაბამისად, ცხენისა და ისრით გამსჭვალული ცეცხლოვანი მთის კომპოზიციებისგან შემდგარი (სურ. 4-5). პირველი ქართული სამხარეო გერბების უცხოეთში დაფიქსირებას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს. ევროპასთან მეტი სიახლოვის გამო რუსეთში ჰერალდიკა XVII საუკუნეში, მართალია, ფართოდ გავრცელებული არა, მაგრამ მაინც უკვე ნაცნობი იყო. ამას ემთხვევა ქართველ მეფეთა გააქტიურებული ძალისხმევა მუსლიმთა მოძალების მოსაგერიებლად ქრისტიანულ სამყაროში დახმარების მოძიებისა, მათ შორის რუსეთის მზარდი სახელმწიფოსგანაც. აქედან გამომდინარე, რამდენიმე ფაქტორის, კერძოდ კი – იმის გამო, რომ საქართველო ევროპას მოწყვეტილი იყო, იქ, დასავლეთში, ჩვენს ჰერალდიკურ სიმბოლოებს არ იცნობდნენ, ხოლო ქართველ მეფეთავან უცხოეთში მხარდაჭერის ძიების გამო, დღემდე ცნობილი ჩვენი ქვეყნის პირველი სამხარეო გერბები ფიქსირდება რუსეთში.

ქართული სამინანცულო გერბების განვითარების შემდგომი ეტაპები, კომუნისტური ჰერიოდის სიმბოლოების გარდა, განხილული იქნება ქვემოთ მოყვანილი ერთი სამხარეო და ერთი საქალაქო გერბის ისტორიის თვალის გადევნებით. რაც შეეხება კომუნისტური მმართველობის ტერიტორიულ სიმბოლოებს, კლასიკური გერბებისგან მკვეთრი სხვაობის გამო მათი განხილვაც ცალკე არის შემოთავაზებული მოცემული ქვეთავის ბოლო ნაწილში. აღსანიშნავია, რომ არცერთი ქართული ქალაქისა თუ მხარის გერბის ისტორია არ მოიცავს ყველა ჰერიოდს საქართველოში ჰერალდიკის განვითარებისა. აქედან გამომდინარე, სტატიაში განსახილველი საგერბე



სურ. 6. ოდიშის სამთავროს გერბი  
ვახუშტის ატლასიდან

ნიმუშები იმგვარად არის შერჩეული, რომ მოიცვას ქართული საადგილმამულო გერბების ყველა ტიპი და მათი განვითარების ყველა ეტაპი.

ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ქართული ჰერალდიკისა არის ის, რომ პირველი საქალაქო გერბები საკმაოდ გვიან, მხოლოდ XIX ს-ში შეიქმნა, მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში ისინი თითქმის საგვარეულო ჰერალდიკის თანადროულად წარმოიშვა, ხოლო რუსეთსა და ალმოსავლეთ ევროპაში უკვე გვიან შუასაუკუნებში გვხვდება. ამავდროულად საინტერესოა, რომ ჩვენში სამხარეო გერბები ქართული ჰერალდიკის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს. ამ ერთვარ პარადოქსს, სპეციფიკური ისტორიული ვითარებიდან და ქვეყნების განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, გარკვეული ახსნა გააჩნია, რაც სტატიის დასკვნით ნაწილში იქნება განხილული.

## სამეგრელო

სამეგრელოს, იმავე ოდიშის ჰერალდიკური ისტორია მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. საუკუნეების მანძილზე ამ მხარის გერბი მრავალჯერ შეიცვალა და სხვადასხვა სახით წარმოჩნდა. სწორედ ამიტომ ალბათ ყველაზე მრავლიმეტყველი იქნება სამეგრელოს გერბის მაგალითზე ქართული სამხარეო ჰერალდიკის წარსულისა და ანტიკურის თვალის გადევნება და შემდგომ სხვა ქვეყნებთან შედარება.



სურ. 7. სამიზნებოს სათავადოს საპარაულო  
სამხარაო გერბი დაფინანსის ლანგარზე

სამეგრელოს პირველი, კლასიკური ევროპული გაგებით, გერბი, სადღესიოდ ცნობილი წყაროებიდან ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის ცნობილ ატლასში ფიქსირდება, საქართველოს სახელმწიფო და სხვა მხარეების დროშებთან თუ გერბებთან ერთად. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი მოცემული ჰერალდიკური ნიმუშები რამდენიმე პრინციპის მიხედვით იყო შემუშავებული, მაგრამ ჰერალდიკური ფიგურების ძირითად საფუძვლად, როგორც ჩანს, ძველი ტოტემური ტრადიცია იქნა გამოყენებული. ოდიშის გერბში გამოსახული ტახიც სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს, მითუმეტეს, რომ ფაუნის ეს წარმომადგენელი მეტად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. რაც შეეხება ფრინველის და ვარსკვლავების კომპოზიციას, ამგვარი გამოსახულება განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საფლავის ქვებზე. ზოგადად, ფრინველი და ვარსკვლავებიც ასევე ხშირად გამოიხატებოდა საეკლესიო ფერწერაში თუ ბარელიეფებზე. ქრისტიანობაში, როგორც ცნობილია, ფრინველი კეთილის მაუწყებლობის სიმბოლოდ ითვლება.

ქრონილოგიურად სამეცნიელოს სამთავროს  
შემდეგი გერბი ფიქსირდება უკვე რუსეთის იმ-  
პერიის საქართველოში გაბატონების პერიოდში.  
ამ ხანაში უკვე არსებობდა დადიანების საგვა-  
რულო გერბი, რომელიც მრავალი ვერსიით  
არის დღემდე შემორჩენილი. სტატია, რასაკვირ-  
ველია, ამ ეხება საგვარეულო ჰერალდიკას და



## სურ. 8. „სამეგროლოს მიწოდის“ რუსეთის იმპერიისაული გერბი

ამიტომ დადიანების გერბის ნაირსახეობები აქ განცილული არ იქნება. ალსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია, სავარაუდოდ, XIX ს-ის მეორე ნახევარში დამზადებული დადიანების კუთვნილი ვერცხლის ლანგარი, რომლის ცენტრშიც დატანილია საგერბე ფარი ოქროს ველზე გამოსატული ცხვრით, სავარაუდოდ, ოქროს ვერძის ლეგენდაზე მინიშნების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ფარი გარშემორტყმულია სათავადო მანტიითა და გვირგვინით, რამდენიმე მიზეზის გამო საქართველოსთვის საქმაოდ ორიგინალური ეს ჰერალდიკური ნიმუში უნდა მივიჩნიოთ სწორედ ოდიშის (სამეგრელოს) სამხარეო გერბად და არა დადიანების საგვარეულოდ. მართალია, ცხვარი გვხვდება დადიანთა გერბის რამდენიმე ვარიანტში, მათგან არსად ეს ცხოველი ერთადერთ ფიგურას არ წარმოადგენს, იყი მხოლოდ ერთ-ერთი დეტალია ხოლმე საერთო კომპოზიციაში; საგვარეულო გერბების სხვადასხვა ვერსიაში დაფიქსირებული ფიგურები-დან სწორედ ცხვარია გამომხატველი სამხარეო მახასიათებლისა, ანუ სავარაუდოდ, ოქროს საწმისის ლეგენდისა; ლანგარზე არსად არის მითითებული რამე წარწერა ან სახელი მისი კუთვნილების განსასაზღვრად. გერბის კერძო კუთვნილების შემთხვევაში კი უფრო მოსალოდნელია მისი კონკრეტული მფლობელის ვინაობა დაფიქსირებულიყო მოცემულ არტეფაქტზე, თუმცა, როგორც ჩანს, გერბი დადიანების საგვარეულო გერბის მინიშნების მიზნით.

ვარეულოს არა რომელიმე პირის კუთვნილებად აღიქმებოდა, არამედ სწორედ გვარის მფლობელობაში არსებული მიწებისად; სათავადო ფარს-გარე შესამკობლები კი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მხარის იმუამინდელ სტატუსს — სათავადოს აღნიშნავს. აქედანვე შეიძლება ვიმსჯელოთ ლანგრის შექმნის სავარაუდო თარიღზეც. სამეგრელოს სამთავრო ოფიციალურად გაუქმდა და და შეუერთდა რუსეთის იმპერიას 1867 წელს. ნაკლებად სავარაუდოა, დადიანებს დაემცროთ თავიანთი ტიტული და სათავადო და არა მთავრის ტიტულის შესაბამისი შესამკობლებით გაეწყოთ გერბი, იქნებოდა იგი საგვარეულო თუ, მითუმეტეს, სამხარეო. შესაბამისად, ლანგარი, როგორც ჩანს, უფრო XIX ს-ის მეორე ნახევარში დამზადდებოდა, როცა დადიანები შიდაპოლიტიკური ავტონომიის მქონე მთავრებიდან იმპერიის თავადებად იქცნენ. მოცემული საგერბე ნიმუშის ანალიზისას ნინამდებარე სტატიისთვის გამორჩეულად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ვახუშტისეულ გერბზე დატანილი ტოტემური და რელიგიური ემბლემები ჩანაცვლდა ლეგენდარული სიმბოლოთი. ეს კიდევ ერთხელ უნდა მიანიშნებდეს საგერბე ფიგურების უმეტესწილად გააზრებულ და კონცეპტუალურ და არა სპონტანურ შერჩევაზე ქართულ ჰერალდიკაში.

XIX საუკუნეშივე ფიქსირდება სამეგრელოს კიდევ ერთი მეტად გამორჩეული სამხარეო გერბი. ეს არის რუსეთის იმპერიის ჰეროლდის მიერ შედგენილი საგერბე კომპოზიცია, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს ხარის თავს. ფარსგარე შესამკობლები შეესაბამება რუსულ ჰერალდიკაში იმპერიის ოქტის სტატუსის მქონე მხარეთა გერბებს. გერბი თარიღდება 1868 წლით და წარმოადგენს სამეგრელოს მიწების (მინგრელების ვაკე) სიმბოლოს.<sup>2</sup> ხარის თავის სიმბოლო აღებულია ანტიკურ კოლხურ მონეტებზე დატანილი ხარისთავიანი ადამიანის გამოსახულებიდან. ამრიგად, სამეგრელოს ემბლემატიკა კვლავ ტრანსფორმირდა და ტოტემური, რელიგიური თუ ლეგენდარული ემბლემების ნაცვლად ამჟარად უკვე ისტორიული წყაროებიდან, კერძოდ, ნუმიზმატიკიდან მოპოვებულ სიმბოლოსთან გვაქვს საქმე, რომელიც ამავდროულად, რასაკვირველია, მართლაც გამოსახავდა მხარის უძველეს ემბლემატიკურ მემკვიდრეობას.

კომუნისტური ხანის სტაგნაციის შემდგომ სამეგრელოს სამინაწყლო ჰერალდიკას ახალი სული ჩაეტერა პარლამენტთან არსებული ჰე-




სურ. 9-10. საგეგრელო-ზემო სავარეოს მუნიციპალიტეტების გერბების რაოდენობა  
ნიმუში: ზუგდიდისა და ნალეჯისის  
თანამიზროვე გერბები

რალდიკის საბჭოს მეოხობით. ბოლო ხანებში შეიქმნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის შემადგენელი მუნიციპალიტეტების გერბები, რომლებიც ისევე, როგორც ყველა სხვა თანამედროვე ქართული სახელმწიფო დონეზე შედგენილი საგერბე ნიმუში, სრულად შეესაბამება მკაცრ ჰერალდიკურ კანონებს. ამავდროულად, მოცემული გერბების ლეგიტიმაცია გამყარებულია იმ ფაქტით, რომ ყოველი მათგანის შექმნაში აქტიურად იყვნენ ჩართული ად-

<sup>2</sup> РГИА. С-ПБ. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 271. 1868 г. Ст. 2.



სურ. 11. 1843 წლის ქართული გერბი



სურ. 12. 1870 წლის ქ. ქართული გერბი

გილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, კომპოზიციები კი საერთო კონსენტუსისა და ჰერალდიკის წესების საფუძველზე შეიქმნა.


### ქართული

საქართველოს საქალაქო გერბებს შედარებით მოკლე ისტორია გააჩნია, ვიდრე ქართულ სამხარეო ჰერალდიკას. სხვა ქალაქებთან შედარებით ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანი ჰერალდიკური წარსული ქვეყნის დედაქალაქ თბილის აქვს, მაგრამ ჰერალდიკის სპეციალისტთა შორის თბილისის ემბლემატიკის საკითხი არაერთხელ ყოფილა და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალშიც იქნება განხილვის თემა, ვინაიდან ანინდელი თბილისის სიმბოლო პრაქტიკულად არცერთი პარამეტრით არ მიესადა-გება ჰერალდიკურ წესებს. ამიტომ, ალბათ უმჯობესია, მოცემულ სტატიაში განხილულ იქნეს ქუთაისის ჰერალდიკური ისტორია და ანტყო. ასე განხილული იქნება უფრო ტიპიური ნიმუში საქართველოს საქალაქო გერბებისა.

ქუთაისის პირველი გერბი შეიქმნა 1843 წელს რუსეთის იმპერიის ჰეროლდიის დეპარტამენტის მიერ. გერბი სინამდვილეში ასახავს რუსული ჰერალდიკის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს, როცა XIX ს-ის დასაწყისში გერბები რუსეთში, მართალია, ჰერალდიკის კანონების გათვალისწინებით იქმნებოდა, მაგრამ მათ დახვეწილობა აკლდა. მიუხედავად ასეთი ტენდენციებისა, ქუთაისის პირველი გერბი ჰერალდიკის კანო-

ნებსაც სრულად აქმაყოფილებს და გემოვნებით არის შესრულებული. ლაშვარდის მდინარის მიმანიშნებელი გამოსახულება რიონს აღნიშნავდა, ზეთისხილის რტო კი – მხარის მოსავლიანობას. გერბის ზედა ნახევარში, იმდროინდელი რუსული ჰერალდიკის წესების შესაბამისად, ე. წ. საქართველო-იმპერიის გუბერნიის გერბის ნაწილი იყო განთავსებული. როგორც ვხედავთ, გერბის შინაარსი გეოგრაფიულ თავისებურებებზე იყო დამყარებული.

მოგვიანებით ქუთაისის გერბმა ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში მრავალმა სხვა ტერიტორიულმა გერბმაც, განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. გერბმა კვლავ ასახა XIX ს-ის მეორე ნახევარში რუსეთის ჰერალდიკაში გატარებული რეფორმები, როცა შეიცვალა სამინაწყლო გერბების შედგენის პრინციპი და ფარსგარე შესამკობლების სისტემა. იმავდროულად გერბებმა ბევრად უფრო დახვეწილი სახე მიიღო. ფარის ცენტრალური ფიგურა რუსეთის იმპერიის ფერების ბაფთაზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისი გახდა (სურ. 12). შესამჩნევია, რომ გერბის როგორც ვიზუალი, ასევე შინაარსი კიდევ უფრო ჰერალდიკურად კლასიკურად გამართული და, ამასთანავე, მიმზიდველი გახდა. გეოგრაფიული მოტივი შეიცვალა ისტორიულ-ლეგენდარულით, მაგრამ იმპერიის ფერების ბაფთით რუსეთის მმართველობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. კომპოზიციის ავტორებს თითქოს უნდათ გადმოსცენ, რომ უძველესი ისტორიის მქონე რეგიონში ამჟამად ბატონ-პატრონი რუსეთის იმპერიაა. ზუსტად ისეთივე გა-



სურ. 13. ქართაის გუბერნიის გერბი



სურ. 14. საპტოთა პერიოდის თელავის გერბი (1987 წ.).

მოსახულება, ოღონდ საგუბერნიო გერბის შესაბამისი ფარსგარე შესამკობლებით, იმავე დროს ქუთაისის გუბერნიის გერბად დამტკიცდა (სურ. 13), რომლითაც ჰერალდიკამ ასახა ცვლილება, განხორციელებული იმპერიის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ მოწყობაში.

### საპტოთა პერიოდის გერბები

საქართველოში კომუნისტური მმართველობის პერიოდის გერბების გამორჩეულობის გამო უპრიანი იქნება მათი ცალკე განხილვა ქართული ჰერალდიკური ისტორიის ამ ეტაპის თვალითალივ წარმოსაჩენად. საგვარეულო ჰერალდიკა, ბუნებრივია, კომუნისტური ხანაში ვერ იარსებდა, მაგრამ საქალაქო ჰერალდიკა, ნაწილობრივ სახელმწიფო და კორპორაციულ სიმბოლიკასთან ერთად, წარმოადგენდა იმ მცირე გამონაკლისას, რომლის ხარჯზეც საქართველოში გერბთშემოქმედება სრულად მაინც არ შემწყდარა.

საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა რაიმე სისტემა, რომლის მიხედვითაც შეიქმნებოდა საქალაქო გერბები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დასახლებული პუნქტი ქმნიდა საკუთარ სიმბოლიკას, რომელსაც გერბი მხოლოდ პირობითად შეიძლება სწოდებოდა, შედგენისას ჰერალდიკურ წესების სრული უგულებელყოფის გამო. ამგვარი ემბლემები მეტილად ტურისტული მნიშვნელობის მქონე ქალაქებში იქმნებოდა, თუმცა საკუთარი გერბისებრი სიმბოლო ზოგიერთ სხვა ფუნქციური დატვირთვის ქალაქებსაც გააჩნდა.

ასეთ სიმბოლოებს დაიტანდნენ სხვადასხვა სახის საქალაქო ატრიბუტიკაზე თუ ტურისტულ სუვენირებზე, თუმცა ყველაზე გავრცელებული იყო ახლადშექმნილი გერბების სამკერდე ნიშნებად გამოშვება, რომლებიც წინა საუკუნის 70-80-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა კოლექციონერთა შორის. საქართველოში საბჭოთა პერიოდში შედგენილი გერბები გააჩნდა თბილის, თელავს (სურ. 14), სოხუმს, ბორჯომს (სურ. 15), ონს, ბაკურიანს — როგორც ვხედავთ, ყველა ეს ქალაქი ტურისტულ ცენტრს წარმოადგენდა. კომუნისტური რეჟიმის არსებობის ბოლო ორიოდე ათწლეულში შედგენილმა გერბებმა, მიუხედავად მათი პრიმიტიული და ჰერალდიკურად არაკანონიკური შესახედაობისა, გარკვეულწილად მაინც განაგრძო ქართული ჰერალდიკური ისტორია და სასიამოვნოა, რომ, როდესაც ეს შესაძლებელია, ჰერალდიკის საბჭო თანამედროვე გერბების შედგენის დროსაც იყენებს მათ იმ ელემენტებს, რომლებიც მისაღებია შინაარსობრივად, მხატვრულად და ჰერალდიკურად (სურ. 16).

კომუნისტური ეპოქის სამხარეო გერბებად შეიძლება მიჩნევა საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკების გერბები. საკითხის პოლიტიკური მხარის განხილვის გარეშე, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი საკმაოდ უსახურ, ნაკლებად ორიგინალურ და ზევით აღნერილი საქალაქო სიმბოლოებისგან განსხვავებით პრატიკულად ერთი კომპოზიციის გამეორებას წარმოადგენდა და მხოლოდ მცირედით განსხვავდებოდა საქართველოს სსრ-



სურ. 15. საბჭოთა პერიოდის  
გორჯომის გერბი



სურ. 16. გორჯომის თანამედროვე გერბი



სურ. 17. აჯარის თანამედროვე გერბი

ის გერბისგან. ეს მიღებული პრაქტიკა იყო საბჭოთა კავშირში, რათა დაქვემდებარებული სუბიექტები დროშით და გერბითაც კი არ გამორჩეულიყო და ამით მცირედი ბზარიც არ გარჩენილიყო რეზიმის მმართველობით სისტემაში. როგორც ყველა საბჭოთა გერბი, ავტონომიური რესპუბლიკის გერბებიც ჰერალდიკური წესების გაუთვალისწინებლად იყო შექმნილი. 2008 წელს საქართველოს ჰერალდიკის საბჭოს მიერ, ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებისა და ხელისუფლების მონაწილეობით, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი გერბი, რომელიც ასახავს რეგიონის თავისებურებებს და ამავდროულად აბსოლუტურად მიესადაგება ჰერალდიკურ კანონებს. ამგვარად, აჭარის ავტონომიის არსებობის ხანმოკლე ისტორიაში განვითარებული პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებაც მყისიერად აისახებოდა მხარის გერბშიც.

### უცხოეთში ტერიტორიული პერიოდის განვითარების ძირითადი მიმართულებები


დასავლეთ ევროპაში სამხარეო გერბები უმეტესწილად წარმოდგებოდა მათი მფლობელი ფეოდალის საგვარეულო გერბის მოტივიდან ან სულაც მთლიანად იმეორებდა მას. ამასთანავე, რასაკვირველია, იყო შემთხვევები, როცა პირიქით, ესა თუ ის ფეოდალი საკუთარ გერბში ასახავდა თავის მფლობელობაში არსებული მიწების უკვე დამკვიდრებულ ტრადიციულ სიმბოლოებს. ასე იყო სამხარეო გერბების გაჩენისა და განვირცობის ადრეულ ეტაპზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს დაიწყო, მაგრამ ევროპაში ძირითადად ე. წ. განვითარებული ან, როგორც დასავლურ ისტორიოგრაფიაში, უწოდებენ, „მაღალი“ შუა საუკუნეების ეპოქას ანუ დაახლოებით XI-XII საუკუნეებს ემთხვევა. მოგვიანებით, გვიანი შუასაუკუნეების ხანაში (XIV-XVII სს), ფეოდალური დაქუცმაცებულობის ფონზე სამხარეო ჰერალდიკა დასავლეთ ევროპაში კიდევ უფრო განვითარდა. XVIII-XIX საუკუნეებში, უნიტარული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და ზოგადად ხელისუფლების ცენტრალიზების პირობებში, თითქმის ყველა ქვეყანაში, სამხარეო გერბების სისტემატიზაცია განხორციელდა. სამხარეო გერბები ქვეყნისა თუ იმხანად არსებული მრავალი სამთავროს ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულ საერ-

თო წესებს დაექვემდებარა და სტატუსისა თუ მნიშვნელობის შესაბამისი ფარსგარე შესამკობლებით გაეწყო. თანამედროვეობაში სამხარეო და მუნიციპალურმა გერბებმა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი ფორმა მიიღო. ზოგან ისინი განახლებული წესებისამებრ სისტემატიზირდა (მაგ. გერმანია) ჰერალდიკური კანონების ფარგლებში, ხოლო ზოგან ნაკლები რეგულაციების პირობებში უფრო თანამედროვე და თავისუფალი სახე მიიღო, რის შედეგადაც მათ პრაქტიკულად გერბებს მხოლოდ პირობითადლა თუ ვუწოდებთ – ისინი უფრო ამა თუ იმ ადმინისტრაციული ერთეულის სიმბოლოს ან ლოგოს წარმოადგენენ.

დასავლეთ ევროპაში საქალაქო ჰერალდიკის ჩამოყალიბების ხანად XII-XIII სს-ები ითვლება<sup>3</sup>. ეს არ ნიშავს, რომ მანამდე ქალაქებს ან მხარეებს გერბები არ გააჩნდა. XII საუკუნიდან, უძრალოდ, მოხდა ამ გერბების საყოველთაო გავრცელება, ალიარება და მათი სხვადასხვა მხრივ გამოყენება. თავდაპირველად, ქალაქები პატრიციების ან ქალაქის თავების (მერების) ინიციატივით თავად იდგენდნენ გერბებს. ისევე, როგორც პირვანდელი საგვარეულო გერბები თავისი დროზე რაინდებმა და წარჩინებულებმა თავადვე შეირჩიეს. თუმცა, მოგვიანებით უკვე მსხვილმა ფეოდალებმა და მონარქებმა იწყეს გერბების მინიჭება თავიანთ მამულებში არსებული დასახლებებისთვის, გარკვეული დამსახურების (მაგ. სიუზერენის მხარდაჭრის ან დახმარების) და წარმატების (როგორც წესი ეკონომიკური) ან რაიმე მიზეზით მოქალაქეთა გულის მოგების მიზნით. ხდებოდა პირიქითაც, როცა ქალაქები სთხოვდნენ მათ სიუზერენებს უკვე არსებული გერბების დამტკიცებას. დროთა განმავლობაში საქალაქო და სამხარეო ჰერალდიკის რეგულაცია თუ ალრიცხვა, საგვარეულო გერბებისამებრ, ჰეროლდთა მოვალეობებში შევიდა. რეგულაციებმა თავისთავად წესების შემოღებაც განაპირობა და გერბები ქალაქის სტატუსის მოპოვების ერთ-ერთ ნიშანადაც იქცა. მაგალითად, თუ რომელიმე სოფელი ან დასახლება აღზევდებოდა ქალაქის დონეზე (სხვადასხვა ქვეყანაში borough, town, burg და ა. შ. სტატუსით), ეს უმაღლ გერბის ბოძებით აღინიშნებოდა.<sup>4</sup>

3 Jiri Louda, European Civic Coats of Arms, Paul Hamlyn, London, 1966, გვ. 12.

4 Jiri Louda, European Civic Coats of Arms, Paul Hamlyn, London, 1966, გვ. 13-14.



სურ. 18. ქ. ბილიურის გერბი

საქალაქო გერბების გავრცელებასა და განვითარებას თავისითავად მოჰყვა მათ შორის სხვაობების გაღრმავება – ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ისინი კვლავ საგვარეულო გერბებივით მკვეთრად განსხვავდა შინაარსისა და ვიზუალის მიხედვით. ასე მაგალითად, გერმანიაში პრეველირებდა კოშკების და საქალაქო გალავნების გამოსახულებები (იხ. სურ 18), როგორც იმდროინდელი ქალაქების ერთ-ერთი უპირველესი დამახასიათებელი ნიშანი. როგორც უკვე აღინიშნა, მთელ ევროპაში და თავისთავად გერმანიაშიც ხშირი იყო ქალაქის გერბში იმ ფეოდალური გვარის ემბლემების აღნიშვნა, რომლის მფარველობასა ან დაქვემდებარებაშიც იყო მოცემული დასახლებული პუნქტი. მაგრამ ამასთანავე, წმინდა რომის იმპერიაში ქალაქები განსაკუთრებულ პატივად მიიჩნევდნენ იმპერატორის საგერბე არნივის გამოსახვას საკუთარ ფარზე, ვინაიდან ეს მიანიშნებდა, რომ ქალაქი არა რომელიმე წვრილი ფეოდალის, არამედ პირდაპირ იმპერატორის დაქვემდებარებაში იყო და აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, თავისუფალიც, ამიტომ არნივი იმპერიის ქალაქების გერბებში თავისუფლებების სიმბოლოდ აღიქმებოდა (სურ. 19). ასევე ხშირი იყო ორი ფარის გვერდიგვერდ გამოსახვა საქალაქო ბეჭედზე ან წაგებობებზე (სურ. 20). ამათგან ერთი თავად ქალაქის გერბი იყო ხოლო, ხოლო მეორე მისი მფლობელი ფეოდალისა (სიუზერენის). აქვე აღსანიშნავია, რომ გერმანულ გერბებში დევიზები წაკლებად პოპულარულია. რაც შეეხება ფარს, გარე შესამკობლებს ადრეულ ხანებში საქალაქო ან სამხარეო გერბებში მათი გამოყენების წესები წაკლებად რეგულირდებო-



სურ. 19. ქ. ნიურნბერგის გერბი

და, მაგრამ სადღეისოდ გერმანული საქალაქო გერბები ყველა ერთ სტანდარტულ ფორმატშია მოქცეული და სპეციალური საქალაქო გვირგვინები ადგათ (სურ. 21).

საფრანგეთის საქალაქო გერბებში, გერმანიისგან განსხვავებით, გალავნები და კოშკები ნაკლებად ფიქსირდება. სამხარეო და საქალაქო საგერბე ფარებში მეტნილად უფრო მარტივი სიმბოლოები და ფიგურები გვხვდება. ხშირია შროშანების გამოსახვაც, რაც, რასაკვირველია, საფრანგეთის ადრინდელი სახელმწიფო გერბი-დან და დროშიდან მომდინარეობს. ასევე ხშირია საგვარეულო, სამხარეო და საქალაქო ჰერალ-დიკის აღრევა, რაც ფეოდალური სისტემიდან გამომდინარეობდა – საფრანგეთში მძლავრი ფეოდალების მარკიზებისა და დიუკების (იმავე ჰერცოგების, სულხან-საბას მიხედვით – დუკე-ბის) მმართველობა და გავლენა მათ დაქვემდე-ბარებულ მხარეებსა თუ დასახლებებზე მეტად ძლიერი იყო. ამგვარი აღრევის ერთ-ერთ მაგა-ლითს წარმოადგენს ლორენის მხარის, ლორენში მდებარე ქალაქ ნანსისა და ლორენის დიუკების გერბები (სურ. 22, 23, 24). გერმანული ნიმუშე-ბისგან განსხვავებით, საფრანგეთში საქალაქო გერბებში ნაკლებად გამოიყენებოდა ფარს გარე შესამკობლები, მაგრამ კვლავ გერმანიის საპი-რისპიროდ – ხშირია დევიზები. უამთა ცვლამ ფრანგულ სამინაწყლო გერბებსაც დაატყო კვა-ლი. ნაპოლეონის ხანაში მრავალმა გერბმა საკ-მაოდ მნიშვნელოვნად იცვალა იერსახე. ერთი საერთო დეტალი, რომელიც ამ ეპოქაში დაემა-ტა ზოგიერთ საქალაქო გერბს, იყო ერთ-ერთი ნაპოლეონისეული ტიპური სიმბოლოს – ფუტ-

კრების განთავსება ფარის თავში იმ ქალაქთა გერბებში, რომლებიც პირველხარისხოვნად ე. ნ. „კარგ ქალაქებად“ (Bonne ville) მიიჩნეოდა. შემდგომ, როგორც ცნობილია, საფრანგეთში სხვადასხვა ტიპის მმართველობა მრავალჯერ შეიცვალა და, შესაბამისად, გერბთშემოქმედე-ბაც ხან მონარქიულ უფრო კლასიკურ სტილში ვითარდებოდა, ხანაც შედარებით ნოვატორულ-რესპუბლიკურში (სურ. 25, 26).

ბრიტანეთში საქალაქო და სამხარეო გერ-ბებში, ალბათ ისევე, როგორც ამ სახელმწი-ფოს სხვადასხვა სფეროს სიმბოლიკის ბევრ სხვა ნიმუშშიც, უმეტესად გვხვდება სამეფო, მონარქიული რეგალიებისა (სურ. 27) და გაერ-თიანებული სამეფოს გერბის სხვადასხვა ელე-მენტის (სურ. 28) გამოყენების შემთხვევა.<sup>5</sup> ცვ-ლილებებს ბრიტანეთისებრ ტრადიციული ქვეყ-ნის ტერიტორიული გერბებიც ვერ „გადაურჩა“. ბევრი მათგანი შეიცვალა XX საუკუნის გან-მავლობაში ინგლისისა და შოტლანდიის სამე-ფო ჰერალდიკური სამსახურების მიერ, თუმცა, რასაკვირველია, ყველა ჰერალდიკური კანონის დაცვით. საერთოდ ძალიან საინტერესოა, რომ მყაფრად იურიდიული თვალსაზრისით ინგლის-ში, როგორც ასეთი, საქალაქო გერბები არ არ-სებობს. ტერიტორიული გერბები ფაქტობრივად ებოდება კორპორაციულ ერთეულს, როგორიც არის, მაგალითად, ქალაქის საბჭო.<sup>6</sup> ამ იური-

5 Jiri Louda, European Civic Coats of Arms, Paul Hamlyn, London, 1966. გვ. 20.

6 Stephan Friar. Encyclopaedia of heraldry. NY. 1987. გვ. 255.

დიული თავისებურების მიუხედავად, რასაკვირველა, ინგლისის საქალაქო და საოლქო (county) გერბები ჩვეულებრივად მიეკუთვნება ტერიტორიულ ჰერალდიკას.

ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე ცვლილებები ქართულის მსგავსად არც ევროპული ჰერალდიკისთვის არის უცხო. ეს ზოგადად საერთო დამახასიათებელი თვისებაა ყველა სახის გერბისა. ასე მაგალითად, ჰუსიტური, პროტესტანტული ამბოხების მარცხის შემდგომ რიგ ქალაქებს ან სულ აეკრძალათ ჰუსიტური საევეკარისტიო პროტესტანტული ფიალის გამოსახვა, ან უნდა გამოხატათ იგი ამოტრიალუბული სახით (სურ. 29). 1918 წელიდან კი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნასთან ერთად, შეეცადნენ ძველი გერბებიდან ამოელოთ ან ჩაენაცვლებინათ ჰაბსბურგების დინასტიის ავსტრია-უნგრეთის იმპერიისდროინდელი ფიგურები. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რესპუბლიკის გაკომუნისტების შედეგად, საქალაქო გერბები ოფიციალურად საერთოდ გაუქმდა, ხოლო კიდევ რამდენიმე ათწლეულში კომუნისტური რეჟიმის დაცემასთან ერთად, ახალ თავისუფალ და ან უკვე ცალკალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბებულ ჩეხეთსა და სლოვაკეთში საქალაქო გერბები კვლავ „გაცოცხლდნენ“.<sup>7</sup>

საინტერესოა, რომ ქართული სამხარეო გერბები ერთგვარ შინაარსობრივ მსგავსებას ავლენს უნგრულ ჰერალდიკასთან, ფიგურების გამოყენების მხრივ. ორივეგან ხშირია კავშირი უძველეს რწმენებსა თუ ტოტემებთან,<sup>8</sup> როგორებიცაა ზეციური სხეულების და სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებები ქრისტიანულ სიმბოლიკასთან დაკავშირებულ ფიგურებთან ერთად (სურ. 30).

საზოგადოდ ჰერალდიკაში რომ მყისიერად აისახება ხოლმე ქვეყნის ოუბაცია, ისევე, როგორც საქართველოში, პოლონეთის მაგალითზეც თვალნათლივ ჩანს. როგორც ჩვენში არ გაგრძელებულა ტრადიცია და ჩანაცვლდა ვაჟუშტისეული სამხარეო გერბები ახალი, რუსულ სტილს მორგებული საქალაქო თუ საგუბერნიო გერბებით, ასევე პოლონეთში, იქნებოდა ეს ნაბოლეონის თუ რუსეთის იმპერია, დამპურობლის მოთხოვნით ხდებოდა ძველი სიმბოლიკის სრულად ჩანაცვლება ან იმპერიული სიმბოლიკით,

7 Jiri Louda, European Civic Coats of Arms, Paul Hamlyn, London, 1966. გვ. 17.

8 Jiri Louda, European Civic Coats of Arms, Paul Hamlyn, London, 1966. გვ. 26.



სურ. 20. ქ. ესენის გერბი

ასე ვთქვათ, „შევიწროება“, ანუ ფარის ნაწილის დამპყრობელი ქვეყნის ემბლემატიკისთვის დათმობა.<sup>9</sup>

რუსეთშიც, როგორც ბევრგან ევროპაშიც, საქალაქო გერბების დიდი ნაწილი წარმოდგება ძველი ბეჭდებისგან. ქვეყნის მკაცრ ცენტრალიზაციამდე, შუა საუკუნეებში რუსეთის განვითარების ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე საქალაქო კომუნები ტრადიციულად საკმაოდ ძლიერი იყო. მიუხედავად ამისა, სამინაწყლო, იგივე „ვემების“ გერბების აბსოლუტური უმრავლესობა პეტრე დიდის ევროპეიზაციისკენ მიმართული რეფორმების ფარგლებში და მოგ-

9 Jiri Louda, European Civic Coats of Arms, Paul Hamlyn, London, 1966. გვ. 29.



სურ. 21. ქ. ფულდას გერბი

ვიანებით მათგან გამომდინარე შეიქმნა. ამიტომ ძველ ბეჭდებზე უფრო ხშირია ცხოველთა, ანუ უძველეს ტოტემთა გამოსახულებები (სურ. 31), კვლავ ისევე, როგორც საქართველოში (შევა-დაროთ ვახუშტის სამხარეო გერბებს), ხოლო მოგვიანო გერბები უკვე სტილითაც და შინაარ-სითაც დასავლეთ ევროპულებს დაუსხლოვდა. ეს პროცესი მიმდინარეობდა მთელი XVII-XIX სა-ების მანძილზე. თავდაპირველი რუსული სამხარეო გერბები, რომლებიც დიდი მთავრის, ალექსი მიხაილოვიჩის, ე. წ. „ტიტულიარნიქში“ იქნა დაფიქსირებული, შედარებით მარტივ გა-მოსახულებებს წარმოადგენდა, როგორც წესი, მხოლოდ ერთი ფიგურის ან კომპოზიციის შე-მადგენლობით და სტილიზებული ფარებით. მოგვიანებით, როგორც აღინიშნა, პეტრე დი-დის რეფორმებთან ერთად რუსულმა გერბებმა უფრო ევროპული იერსახე მიიღო, მაგრამ კლა-სიკურ ევროპულ ნიმუშებთან შედარებით და-ხვეწილობა აკლდა (სურ. 32). მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს რუსული გერბები შეიძლება მივიჩნიოთ ყველა პარამეტრით დასავლეთ ევროპული ანა-ლოგების შესაბამისად. XX საუკუნეში რუსულ ჰერალდიკაში მოვლენები, ბუნებრივია, ისევე განვითარდა, როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ჰერალდიკა წარსულის მავ-ნე გადმონაშთად იქნა მიჩნეული და საქალაქო გერბები ზოგან სრულიად გაუქმდა და მივიწყე-ბას მიეცა, ზოგან კი კომუნისტურ სიმბოლიკა-ში ტრანსფორმირდა. გერბთმცოდნეობა დარჩა ერთ-ერთ დამხმარე ისტორიულ დისციპლინად, მაგრამ გერბთშემოქმედება, ანუ, ასე ვთქვათ, ცოცხალი, აქტიური ჰერალდიკური მოღვაწეო-

ბა მინიმუმამდე იყო დასული და თითო-ორო-ლა საქალაქო სიმბოლოს (პირობითად გერბს) შექმნით შემოიფარგლა. რაც შეეხება სამხარეო გერბებს, მათი ადგილი, შეიძლება ითქვას, ნა-ნილობრივ დაიკავა ავტონომიური რესპუბლი-კების საკმაოდ უსახურმა ემბლემატიკამ. კო-მუნისტური რეჟიმის ჩამოშლასთან ერთად ჰე-რალდიკის გამოცოცხლებაც მოხდა. თანამედ-როვეობაში რუსული საქალაქო გერბთშემოქ-მედება სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულად ხორციელდება, თუმცა ისეთივე კომპლექსური და სისტემური მიდგომით, როგორიც საქართ-ველოშია, არ ხასიათდება.

## შეჯამება

ქართული, ევროპული და რუსული სამინაწყ-ლო (ტერიტორიული) ჰერალდიკის ისტორიაზე თვალის გადავლებითაც შესაძლებელია რამდე-ნიმე, როგორც ჰერალდიკასთან დაკავშირებუ-ლი, ასევე უფრო ზოგადი დასკვნის გამოტანა. ამათგან, პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ სამხარეო გერბების პირდაპირი უცხოური ჩა-რევის გარეშე წარმოშობა (იგულისხმება გერ-ბები ვახუშტის ატლასიდან) კიდევ ერთხელ ავლენს ქვეყნის მიდრეკილებას დასავლური კულტურისადმი. მართალია, სამხარეო ჰერალ-დიკა საქართველოში ევროპულ ანალოგებთან შედარებით უფრო გვიან პერიოდში ჩაისახა, მაგრამ ეს არ აკნინებს ზემოთმოყვანილი ფაქ-ტის მნიშვნელობას, ვრნაიდან ეს ერთგვარი დაგვიანება გამოწვეული იყო გეოგრაფიული და კიდევ უფრო მეტად სამხედრო-პოლიტიკური მიზეზებით. ამ დასკვნას ისიც ამყარებს, რომ, როგორც სტატიაში ვიხილეთ, თანამედროვე საქართველომ მრავალი სხვა ტიპური ევროპუ-ლი ქვეყნისამებრ, მიუხედავად მკვეთრი ცვლი-ლებებისა პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვ-რებაში, საბოლოოდ არჩია სამინაწყლო გერბთ-შემოქმედების კლასიკური ევროპული სტილის სისტემაში მოყვანა ჰერალდიკის კანონების სრული დაცვით, რასაც პრაქტიკაში წარმატე-ბით ახორციელებს პარლამენტან არსებული ჰერალდიკის საბჭო.


ნიმანდობლივია, რომ ყველაზე თვალნათლივ სწორედ სამხარეო და საქალაქო, შედარებით წაკლებად სახელმწიფო გერბებით ვლინდება პოლიტიკური თუ კულტურული ცვლილებე-ბი ქვეყნის ისტორიაში, ვინაიდან საგვარეულო ჰერალდიკა, მისი კერძო ხასიათიდან გამომდი-



სურ. 22. ქ. ნანსის გერბი




სურ. 23. პროვინცია ლორენის გერბი




სურ. 24. ლორენის დიუკების საგვარეულო გერბი




სურ. 25. ქ. ბეზანსონის ადრეული და ამჟამინდელი გერბი



სურ. 26. ბერძნების ნაკოლეონის ხანის გერბი






სურ. 27. ქ. გორის გერბი  
(გვირგვინები – სამეფო რეგალია)



სურ. 28. ქ. რიგის გერბი  
(ლომები სახელმწიფო გერბიდან)



სურ. 29. ქ. ტიხანი მდ. ვლტავაზე  
(ამოფრიალურული ჰუსიტური საკურთხეო ფილით)



სურ. 30. ქ. კისკუმაჯსას  
(KISKUNMAJSA) გერბი



სურ. 31. სმედერესის ვოევოდას ჩაჟალი (XIV ს.)



სურ. 32. პეტრე ღილის ეპოქის სმედერესის  
გერბი (1730 წ.)

ნარე, ნაკლებად აღქმადია გარე რყევებისად-მი, ოფიციალური სამიწანყლო და სახელმწიფო გერბები კი, როგორც წესი, მყისიერად ასახავენ ცვლილებებს, ვინაიდან ახალი მმართველობა ცდილობს სიმბოლიკითაც გამოხატოს პოლიტიკური ფორმაციის ცვლა, კულტურული ცვლილებები კი ბუნებრივად აისახება ხოლმე გერბებშიც ისევე, როგორც ცხოვრებისა და შემოქმედების სხვა სფეროებში.

საქართველოს ჰერალდიკურ ისტორიაზე ერთი თვალის გადავლებითაც ადვილად შევნიშნავთ, რომ ქალაქების გერბები ერთ-ერთი ყველაზე გვიანი წარმონაქმნია ქართულ ჰერალდიკაში. ამავე დროს, მეორე ტიპის სამიწანყლო გერბები – სამხარეო სიმბოლოები, პირიქით ქართულ გერბებს შორის უპირველესია. საფიქრებელია, რომ ამის მიზეზი სოციალურ ისტორიაში უნდა ვეძიოთ. დასავლეთი ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში ფეოდალური სისტემა, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, პრაქტიკულად უცვლელად შენარჩუნდა XIX საუკუნემდე, ქვეყანა კი პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო სამეფო-სამთავროებად. სწორედ ამ ფაქტორთა გამო სამხარეო სიმბოლიკა აქტუალური საქართველოში ჰერალდიკის ჩასახვისთანავე იყო და არ დაუკარგავს იგი XIX საუკუნემდე. ამიტომაც არის, რომ სამხარეო გერბები ქართული ჰერალდიკის ისტორიის ადრეულ ხანაშივე გვხვდება, მაგრამ თანდათან კარგავს ფუნქციას ქვეყნის სხვადასხვა მხარის რუსეთთან სრულად მიერთებასთან ერთად, ანუ XIX ს-ის ბოლოსთვის. ყოველივე ამის საპირისპიროდ და ამავდროულად სწორედ იმავე ისტორიული მიზეზებით, საქალაქო ცხოვრება საქართველოში არ განვითარებულა ისევე, როგორც ევროპაში ბურგები და ბოროები განვითარდა. არ წარმოიშვა ბურჟუაზიის ფენა და საქალაქო თვითმმართველობაც თბილისის მსგავს მძლავრ ქალაქშიც კი იმდენად დამოუკიდებელი ვერ გახდა, რომ ეს დამოუკიდებულობა სიმბოლურადაც ეცადა გამოესახა გერბით ან რაიმე სხვა გამორჩეული და ხანგრძლივად არსებული სიმბოლიკით. სწორედ ამიტომ, საქალაქო გერბები უკვე რუსეთთან მიერთებისა და ახალი ადმინისტრაციული დაყოფის კვალობაზე ჩნდება საქართველოში.

ნიშანდობლივია, რომ სამიწანყლო გერბები ზოგადად დაახლოებით ისევე ვითარდებოდა საქართველოში, როგორც ევროპაში. ადრეულ ეტაპზე ამ ტიპის გერბების სიმბოლიკა ორივე-

გან მეტწილად ტოტემურ ემბლემებს ემყარებოდა. შემდგომ იმატა ლეგენდარულმა და/ან ფეოდალური საგვარეულოების სიმბოლიკამ. უფრო მოვიანებით პოლიტიკური სისტემების რყევასთან ერთად გერბებმა ბევრგან (მაგ. საფრანგეთი, რუსეთი, საქართველო) სახე იცვალა და ნაკლებად კლასიკური იერსახე მიიღო. თუმცა, ეს ცვლილებები პრაქტიკულად საყოველთაოდ დროებითი აღმოჩნდა და თანამედროვეობაში, ფაქტობრივად, ყველა ევროპულ ქვეყანაში ისევე, როგორც რუსეთშიც და საქართველოშიც, სამხარეო და საქალაქო გერბებს ჰერალდიკის კანონების შესაბამისი ფორმა მიეცა. ეს ყოველივე, მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დღრის ხდებოდა, მაგრამ მთავარია, რომ ვლინდება ქართული ტერიტორიული ჰერალდიკის განვითარების ახლო ტიპოლოგიური მსგავსება ევროპულთან.

ქართული სამიწანყლო (საქალაქო და სამხარეო) გერბების შედარებითი შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ევროპისგან გეოგრაფიული დაშორებისა და გერბების განვითარებაში ქრონოლოგიური სხვაობებისა, ტერიტორიული ჰერალდიკა საქართველოში ისეთივე ეტაპებს გადიოდა, როგორსაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში და ტიპოლოგიურად საკმაოდ ახლო მსგავსებას ავლენს ზოგადად ევროპულ ჰერალდიკასთან.<sup>10</sup>

თორნიპე ასათიანი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ჰერალდიკის სპეციალისტი

10 სტატიისთვის მომზადებისას განეული დახმარების-თვის განსაკუთრებული მაღლობა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის კურატორს, ხელოვნებისტომცოდნეობის დოქტორს, ქ-ნ ელენე კავლელიშვილს.

# ჰერალდიკური იკონოგრაფია

## XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტები

ნაშრომის მიზანია დაგახასიათოთ XVII-XIX ს. დასაწყისის თბილისში სხვადასხვა ხელისუფლების მიერ მოქრილი სპილენძის მონეტების იკონოგრაფია, შევისწავლოთ მისი ჰერალდიკური მნიშვნელობა.

თბილისის ზარაფხანის ინტენსიურად ამუშავება მეფე როსტომის მოღვაწეობას უკავშირდება. ირანული ორიენტაციის ამ ქართველი მონარქის საქმიანობამ, საბოლოო ჯამში, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ქართლს და, ნანილობრივ, კახეთსაც, ნანატრი სიმშვიდე მოუტანა, სეფიანებსა და ქართველობას შორის კომპრომისის დამყარებაში თავისი წვლილი შეიტანა. ნუმიზმატიკური კუთხით კი, როგორც უკვე აღნიშნეთ, როსტომის ზეობიდან თბილისში განახლდა<sup>1</sup> სეფიანური ტიპის მონეტის გამოშევება. იქრებოდა როგორც ვერცხლის, ასევე სპილენძის საფასე. ამასთან, კარგად არის ცნობილი, რომ სეფიანთა სახელმწიფოში, რომლის ნაწილსაც (არსებითი ავტონომიის შენარჩუნებით) წარმოადგენდა ქართლი და კახეთი – ვერცხლი სახელმწიფო საფასის როლს ასრულებდა და მხოლოდ უზენაესი მმართველის, სეფიანი შაჰის სახელით იქრებოდა; ხოლო სპილენძის საფასის (მილებული ტერმინია ქალაქური შავი ფული / *civic coppers*) ეკონომიკური როლი არსებითად სხვანაირი იყო, ის მხოლოდ ადგილობრივ (მოქრის ადგილისა და მისი ჰინთერლანდის) ბაზარს ემსახურებოდა, ძირითადად, აღებ-მიცემობის მოსამსახურე ანგარიშსწორების საშუალება იყო, და არ ასრულებდა განძის ფუნქციას – მისი გამოშვება ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივას (და შემოსავლის წყაროს) წარმოადგენდა, რომელშიც სეფიანი შაჰი პრაქტიკულად არ ეროვდა.<sup>2</sup> ასე გაგრძელდა შემდგომშიც, სეფიანთა სახელმწიფოს დამხობის შემდგომ, ავ-

შარიანთა, ზენდიანთა და ადრეულ ყაჯართა ზეობის ჰერიოდშიც კი; აღმოსავლეთ საქართველოში კი – ვიდრე ოსმალობამდე (1723-1735), და, ისევ, ოსმალობის გადავარდნის შემდეგ, ყიზილბაშობის ჰერიოდში, და, როგორც ტრადიცია მაინც, გაერთიანებული ქართლ-კახეთის არსებობის ეპოქაშიც (1744-1801).

სეფიანური სპილენძის მონეტების სწორედ ამ გამორჩეულმა ბუნებამ განაპირობა მისი მეტროლოგიური (?) და, განსაკუთრებით, იკონოგრაფიული მრავალგვარობა, და, ამასთან, ის, პოტენციურად მაინც, ადგილობრივად პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის თავისებურ, მაგრამ მნიშვნელოვან წყაროდ აქცია.

უნდა ითქვას, რომ იკონოგრაფიულად უკიდურესად მრავალგვარი, რომ არ ვთქვათ, ქრელი სპარსული ქალაქური შავების იკონოგრაფიის განახლიზება აქამდეც უცდიათ, თუმცა კი, რამე სისტემის გამოვლენა ვერ მოხერხდა; ჩვენი თანამემამულის, გამოჩენილი ქართველი ნუმიზმატის, ქალაქტონ თინათინ ქუთელიას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს იმ ფაქტის დადგენა, რომ ამ გამოსახულებებს საერთო არაფერი აქვს თაორული კალენდრული ციკლის ეპონიმ ცხოველებთან.<sup>3</sup> ყურადღება მიუქცევიათ უშუალოდ თბილური შავების იკონოგრაფიისთვისაც; ასე მაგალითად, უკვე ევგენი პახმოვის დამსახურებაა ვახტანგ VI-ის მონეტაზე მოყვანილ ხომალდში ნოეს კიდობნის ამოცნობა.<sup>4</sup> თუმცა კი, კომპლექსურად ეს საკითხი აქამდე არ შესწავლილა.

ამ ეტაპზე ამოცანად სწორედ ამ მიმართულებით კვლევა დავისახეთ; ვგულისხმობთ ქართული, კერძოდ, ქალაქ თბილისში მოქრილი სპილენძის მონეტების იკონოგრაფიის შესწავლას, მასში ჰერალდიკური ელემენტების გამოვლენისა და გაანალიზების მცდელობას.


მეტროლოგიას შეგნებულად გვერდს ვუვლით და ვახსენებთ მხოლოდ იმ შემთხვევებში,

3 ქუთელია თინათინი, ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (თბილისი: მეცნიერება, 1989), 11-12.

4 პახომია ევგენი, *მონეტები საქართველოში* (თბილისი: მეცნიერება, 1989), 5-10.

1 2017 წელს ცნობილი გახდა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში თბილისში სეფიანი შაჰის სახელით მოქრილი მონეტაც გამზადება შესაბამის პუბლიკაციას.

2 Matthee Rudi, Floor Willem, Clawson Patrick, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars* (I.B. Tauris & Co. Ltd, 2013), 25-30; ქუთელია თინათინი, ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (თბილისი: მეცნიერება, 1989), 5-10.



დიაგრამა 1.

როდესაც წონითი სტანდარტის შეცვლა განაპირობებდა, ან უკავშირდებოდა მანეც იკონოგრაფის შეცვლას. ამ ეპოქის თბილური შავი ფულის წონითი სტანდარტის ცვლილების ვიზუალიზაციისთვის იხ. დიაგრამა 1.

\* \* \*

XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის თბილური შავი ფული (სურ. 1-2) არ იძლევა გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. იკონოგრაფია ტრადიციულია და არ სცდება, როგორც ჩანს, ტრადიციული სპარსული წუმიზმატიკის, სპარსული ქალაქური სპილენძისთვის დამახასიათებელ თემებს: ორი თევზი, ლომი, მზე, ცხენი, ირემი, ფარშევანგი, ბრჭყალებიანი მხეცი, ლომი და მზე, მარტორქა.<sup>5</sup> რაიმე ეროვნულ ჰერალდიკურ მოტივს ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ. ორი თევზიც (სურ. 1)

კი მეტად საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაში ქრისტიანობასთან იყოს კავშირში (vide infra).

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება ქართლის სათავეში ვახტანგ VI-ის მოხვედრის შემდეგ. რეფორმატორმა ყურადღება საფასესაც მიაქცია, და მასში ძირული ცვლილებები შეიტანა. ვახტანგ VI-ის სპილენძის ფულზე (სურ. 3) ხელახლა გაჩნდა ქართული ასოები და ქართველი მონარქის სახელი, თუნდაც დაქარაგმებულად – „ვტგ“ (ვახტანგი). ამ შემთხვევაში ქართლის მეფემ აშკარად ისარგებლა იმ გარემოებით, რომ სპილენძის მონეტის გამოშვება ადგილობრივი მმართველის პრეროგატივად ითვლებოდა და მასზე სეფიანი შაპის სახელის მითითების ვალდებულება არ ვრცელდებოდა. თუმცა, არ ვიცნობთ არცერთ სხვა შემთხვევას, ქართლის / თბილისის მონეტების გარდა, რომ „სპარსულ“ შავ ფულზე რომელიმე სხვა ადგილობრივი მმართველის ან გამგებლის სახელი მითითებულიყოს. ამ შემთხვევაში აშკარაა ქართველი მონარქის მიერ სამონეტო რეგალიის ნაწილობრივ მანეც (სპილენძთან მიმართებით) დაბრუნება. რასაკვირველია, ამ ნაბიჯს ვახტანგი ალბათ ვერ გაბედავდა, სულთან ჰუსეინ I-ის ზეობაში სეფიანთა სახელმწიფოს საზოგადო დასუსტება

5 Ibid., 226-228; კუთენია თინათინ, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)* (თბილის: მეცნიერება, 1979), 47-59; Paghava Irakli, Turkia Sevieriane, „Another Autonomous Copper Coin Bearing the Name of Safi“, *Journal of Oriental Numismatic Society* #189 (2006), 8-10; Gogava Giorgi, „A Newly Discovered Copper Coin Bearing the Name „Safi“, *Journal of Oriental Numismatic Society* #218 (2014), 11-13.

რომ არა. მაგრამ ვახტანგი არ დაქმაყოფილ-და მხოლოდ საკუთარი სახელის მითითებით – ძალდატანებით გამაპმადიანებულმა საკუთარ საფასეზე ხომალდის სახით ნოეს კიდობანი გა-მოსახა (ამგვარ ინტერპრეტაციის ასპუთებს იქვე მტრედის გამოსახულებაც, რომელსაც ნისკარტით რტო უჭირავს) – თუმცა კი, წარ-ლვის სიუჟეტს ისლამიც ცნობს; ირიბ ქრის-ტიანულ ალუზიად (თუ ევროპისკენ სწრაფვის ნიშნად?) უნდა ჩაითვალოს ასევე თარიღიც; პირველად ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიაში ვახტანგ VI-ის მონეტაზე გაჩნდა თარიღი ქრისტეშობით (1708 ან 1709), ჰიჯრის თარი-ლის (1120) პარალელურად (განვითარებულ შეუსაუკუნებში, საქართველოს ძლიერების უამს, თარიღს უთითებდნენ ქართული ქორონიკონით და ზოგჯერ ჰიჯრით). ამის გათვალისწინებით, ქრისტიანობის პარადიგმაში უნდა განვიხილოთ ალბათ მეორე მხარეს მოთავსებული სიუჟეტიც – ორი თევზი; ჩვენი აზრით, მათი საშუალებით ქრისტე არის აღნიშნული – თევზი ან თევზე-ბი ჯერ კიდევ გვიანრომაული ეპოქიდან ქრის-ტეს კრიპტოგრამას ნარმოადგენდა (IXΘΥΣ = „იησინ Ḥριστός, Θεοῦ γιός, Σωτήρ“).

ამასთან, ვახტანგ VI-ის, ისევე, როგორც ყვე-ლა მომდევნო ქართველი მონარქის (დავით ბა-ტონიშვილამდე) სპილენძის საფასეზე მოჭრის ადგილი არაბული ასოებით არის აღნიშნული.

ვახტანგის მასშტაბისა და ხედვის პირვენება ეპოქის ქართველ მეფე-მთავრებში კარგა ხანს აღარ გხვდება. ვახტანგის ირანში ყოფნის პერი-ოდში ქართლის გამგებლის, სვიმონის მონეტაზე (სურ. 4) კვლავ ქართული ასოებია, მმართველის სახელის მითითება – „სმნ“ (სიმონი / სვიმონი), მაგრამ ქრისტიანული ალარაფერია; თარიღი მხოლოდ ჰიჯრით არის მოცემული (1124). გა-მოსახულია გველეშაპი, რომლის სემანტიკაც ჩვენთვის გაუებარია და ეროვნულობას, რო-გორც ჩანს, მოკლებულია (?).


ვახტანგის საგარეო პოლიტიკის ფიასკოს შემდგომ ქართლის ტახტზე მცირე ხნით ადის ბაქარი, რომლის საფასეც, ეროვნულობის ხა-რისხის თვალსაზრისით, სვიმონისას ემსგავსება (სურ. 5): ქართული ასოებია, მმართველის სახე-ლის მითითება – „ბქრ“ (ბაქარი), ქრისტიანული კი ვახტანგ VI-ის ძის მონეტაზე არაფერია; თა-

რილი მხოლოდ ჰიჯრითაა (1130 ან 1131); გა-მოსახულია ფარშევანგი (ამ იკონოგრაფიული სიუჟეტის მნიშვნელობა გაურკვეველია, თუმცა კი იმდროინდელ საქართველოში ის აშკარად საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, ვინაიდან XVII-XIX საუკუნის დასაწყისის თბილურ მონე-ტებზე სამჯერ გხვდება).

ვახტანგისა და ბაქარის მარცხისა და რუს-ეთში განიზნის შემდეგ თბილისში სპილენძის მონეტის გამოშვება ნაკლებად ინტენსიური



სურ. 1



სურ. 2

6 Пахомов Евгений, *Монеты Грузии* (Тбилиси: Мецни-ეребა, 1970), 253.



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

ხდება; ოსმალური მანგირი თბილისში, როგორც არცთუ დიდი ხნის წინ გავარკვეით, როგორც ჩანს, არ მოჭრილა<sup>7</sup>; წვრილ აღებ-მიცემობას, საფიქრებელია, ოსმალური – უკვე დაკნინებული, მაგრამ ჯერ კიდევ ვერცხლის – ახჩების ემსახურებოდა.<sup>8</sup>

თბილური შავი მხოლოდ უკვე ყიზილბაშობის (1735-1747) დასაწყისში ჩნდება. ალექსანდრე კახთა მეფის მონეტა მხოლოდ ჰიჯრით არის დათარიღებული (1148), ქართულ ასოებიც კი არაა, თუმცა კი, ზოგიერთ ეგზემპლარზე ჩანს მეფის არაბულად ტრანსკრიბირებული სახელის ინიციალი; გამოსახულია მტაცებელი, რომელსაც სხვა ცხოველი მოუქცევია კლანჭებში (სურ. 6); ამ გამოსახულების სემანტიკური დატვირთვა ჩვენთვის ასევე უცნობი რჩება.

ბაგრატიონთა კახური შტოს მიერ *de facto* გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასაეც დასაწყისში ინარჩუნებს ქალაქური შავის იერს: თარიღი ჰიჯრითაა მხოლოდ

(1162), გამოსახულებად ლომია (ტრადიციული იკონოგრაფიული ელემენტი), მაგრამ მონეტაზე კვლავ ჩნდება მონარქის სახელის აღმნიშვნელი ქართული ასოები – „თმრზ“ (თეიმურაზი) (სურ. 7). როგორც ჩანს, აქ ისტორიული მესაიერების ფაქტთან გვაქვს საქმე. თეიმურაზის მიდგომა საფასისადმი ზუსტად იმეორებს წინამორბედების, ბაგრატიონთა ქართლის შტოს (მუხრან-ბატონების), სამონეტო პოლიტიკას (ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1700 წელს დაბადებული თეიმურაზი პირადადაც მოესწრო ვახტანგის, სიმონისა და ბაქარის მონეტების მიმოქცევას, და, გარდა ამისა, თავადაც ვახტანგ VI-ის სიძე იყო (მის ქალიშვილ თამარზე იყო დაქორწინებული). ძალიან საინტერესოა, რომ იურიდიულად მონეტა კვლავინდებურად ქართლის სამეფოს საფასეა, უკეთეს შემთხვევაში – მასზე არ არის მითითებული ქართლის მეფის, თეიმურაზ II-ის ძის, კახეთში გამეფებული ირაკლი II-ის სახელი.

მდგომარეობა ძირებულად იცვლება მომდევნო სამონეტო ტიპისთვის. ვგულისხმობთ ჰიჯრის 1166 და 1168 წლებით დათარიღებულ (კვლავინდებურად/ჯერ არ არის თარიღი ქრისტეშობით) სპილენძის საფასეს, რომელიც მრავალი თვალსაზრისითაა მეტად საყურადღებო (სურ. 8): პირველ რიგში, ემიტენტად მითითებულია არა მარ-

7 ფალავა ირაკლი, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით“, კონსტანტინე ფალავა 90 (რედ. ი. უორულიანი, მ. კვაჭაძე) (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2012), 136-139.

8 ადგილობრივ მიმოქცევაში მათი ეკონომიკური როლის შესახებ მეტყველებს აჩვენებს ცალკეული აღმოჩენები (შესაბამის მასალას ვამზადებთ პუბლიკაციისთვის).



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



ტო ქართლის მეფე თეიმურაზ II, არამედ მისი ძეც, მემკვიდრეც, ჯერჯერობით კახეთის მეფე ირაკლი II-ც. ანუ, უკვე ამ დროისთვის, თბილისის ზარაფხანაში მამა-შვილის ერთობლივი ფული იჭრება, რაც შესანიშნავი დასურათებაა იმისა, რომ ქართლი და კახეთი *de facto* გაერთიანებულია; ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მონეტა ოფიციალური მნიშვნელობის დოკუმენტია, მაშინ ეს სამონეტო ტიპის ორი სამეფოს გაერთიანების ოფიციალურ დეკლარაციად უნდა მივიჩნიოთ. პირველად, ნოეს კიდობნის გამოსახვის შემდეგ მონეტის იკონოგრაფია ხდება ესოდენ მეტყველი – თეიმურაზ-ერეკლეს ერთობლივი ემისია დამშვენებულია მტაცებელი ფრინველის მიერ მეორე ფრინველის კორტნის სცენით. ვფიქრობთ, ჩვენ წინაშეა თბილისის დაარსების შესახებ ცნობილი ლეგენდის<sup>9</sup> პირველი ასახვა ქართულ ისტორიაში, ამ ლეგენდის ამსახველი, ჯერჯერობით მაინც, უძველესი არტიფაქტი. ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტია, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო დიდია; ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ თბილისის მონეტაზე თბილისის დაარსების ლეგენდის ილუსტრაციას ჰერალდიკურ თუ პროტოჰერალდიკურ სიუჟეტად მივიჩნევთ; იქნებ ხელისუფლების შეგნებულ მცდელობად, შეიმუშაოს სახელმწიფო გერბი; ეს სამონეტო ტიპი ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო ჰერალდიკური სისტემის ჩასახვის მოწმეა და თავად მის ჩანასახს წარმოადგენს. უკრადლებას იპყრობს მამა-შვილის სახელების უცნაური დაქარაგმება, ორი საწყისი ასოთი – „თე“ და „ერ“.

13 წელიწადში ქართლ-კახეთის ნუმიზმატიკური ჰერალდიკა თავის ვიზუალურ მწვერვალს აღწევს. სახელმწიფოს სათავეში მარტოდ დარჩენილი ირაკლი II უშვებს სრულებით ახალ სამონეტო ტიპს, წინანდელზე კიდევ უფრო გამორჩეულს (სურ. 9). თარიღი კვლავინდებურად ჰიჯრითაა (1179). მონარქის სახელი სრულად არის გადმოცემული, და არა დაქარაგმებით, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ;<sup>10</sup> ამასთან, ის გადმოცემულია არა მხედრულით, როგორც

<sup>9</sup> ვახტანგ გორგასლის ნადირობა მომავალი თბილისის ადგილას და მიმინოს მიერ ხოხბის დაჭერა. ეს აზრი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველმა გიორგი ლობეანიძემ გამოთქვა (ჩვენ სასამოვნო ვალდებულებაა ამ საკითხში მისი პრიორიტეტის აღნიშვნა).

<sup>10</sup> Gabashvili Goga, „Rendering the Name of Heraclius II (Numismatic Evidence)”, Journal of Oriental Numismatic Society #214 (2013), 18-20.



სურ. 10



სურ. 11

ყველა წინარე სამონეტო ტიპზე, არამედ, ასე ვთქათ, პომპეზური ასომთავრულით (სამხეთი), რომელიც, თითქოსდა, ქართული სახელმწიფო-ებრიობის სახელოვანი წარსულის ანარეკლს წარმოადგენს. უკიდურესად მნიშვნელოვანია იკონოგრაფიული ევოლუციაც – მონეტაზე ცალსახად გერბია მითითებული, მმართველი დინასტიის, ბაგრატიონთა გერბი (სასწორი, გვირგვინი, ჯვრიანი სფერო, სკიპტრი, მახვილი), რომელიც, ამ შემთხვევაში მაინც, თავის თავზე სახელმწიფო გერბის ფუნქციურ დატვირთვას იღებს. ეს სამონეტო ტიპი, იკონოგრაფიისა და ლეგენდების გათვალისწინებით, თავისი ბუნებით უკვე ცალსახად ვეღარ ჩაითვლება (სპარსულ) ქალაქურ შავ ფულად და ეროვნული ქართული სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის სამეფოს ვალუტად იქცევა (თუმცა კი, ტიპოლოგიური მსგავსება ამ უკანასკნელთან ჯერ არ არის საბოლოოდ დაძლეული). უნდა ითქვას, რომ ამ სამონეტო ტიპის გამოშვება ირაკლი II-ის მიერ განხორციელებული სამონეტო რეფორმის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი იყო.<sup>11</sup>

11 წელინადში მდგომარეობა შეცვლილია. ახალი წონითი სტანდარტის შემოღება კარნასობს ირაკლი II-ის ადმინისტრაციას სამონეტო ტიპის შეცვლას, რომელიც ამასთან, ჰერალდიკური თვალსაზრისით, იქნებ ერთგვარ რეგრესს განიცდის – ბაგრატიონთა გერბი შეცვლილია, უბრალოდ, თევზის გამოსახულებით, რომელიც, საფიქრებელია, ასევე ქრისტეს უკავშირდება (ΙΧΘΥΣ = „ისიონის ხრისტი, თეօნი ყიός, სათήρ“) (სურ. 10). არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლება დადგა ამოცანის წინაშე, ბაგრატიონთა გერბი რაღაცით შეეცვალა (იკონოგრაფიული ალტერნატივა მეტნილად უწიგნური მოსა-

ხლეობისთვის წონითი სტანდარტის შეცვლის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო), მაგრამ ეროვნული იდეის უკეთ გამომსატველი ვერაფერი მოიძებნა. თარიღი კვლავინდებურად ჰიჯრითაა (1190), მეფის სახელი გადმოცემულია სრულად, ასომთავრულით.

1780-იან წლებში (მონეტები სხვადასხვა თარიღს ატარებს) ჩნდება ახალი სამონეტო ტიპი (ჩანს, წონითი სტანდარტის ხელახლა შეცვლასთან დაკავშირებით). ირაკლი II-ის სახელი კვლავინდებურად ასომთავრულად არის გადმოცემული, მაგრამ თევზს ცვლის ორთავიანი უგვირგვინო არნივის გამოსახულება (სურ. 11). ეს უკანასკნელი, სანინააღმდეგოდ გავრცელებული აზრისა, როგორც ჩანს, რუსულ გერბს ან მის ფრაგმენტს კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო ქართულ ჰერალდიკურ წრეს მიეკუთვნება – სხვადასხვა ტიპის არნივები გვხდება ქართულ რეალობაშიც (სხვადასხვა საბუთზე) XVII საუკუნიდან მაინც.<sup>12</sup> თუმცა კი, მონეტაზე მისი მოთავსება შეიძლება სწორედ რომ რუსული მონეტების ზეგავლენით აისხივიდეს (ცნობილია, რომ ამ ჰერიონის აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში განლაგებულ მატმადიანურ სახანოებში ფართოდ მიმოქცეოდა თუნდაც ელისაბედისა და ეკატერინეს XVIII საუკუნის რუსული მძიმე (51.19 გ) სუთკაბიკიანები; სწორედ მათი ზეგავლენით სცადა ირაკლი II-მ სპილენძის შაურის გამოშვებაც). ამაზე ირიბად ისიც მიუთითებს, რომ ქრისტიანული თარიღი სწორედ არნივთან არის მოთავსებული, არნივის კუდთან, ციფრებიც არნივის კუდით ორ ჯგუფად არის დაყოფილი, ზუსტად ისე, როგორც ეს რუსულ სპილენძის მონეტებზეა. ამრიგად, იკონოგრაფია გარკვეულწილად

11 აღნიშნულ სამონეტო რეფორმასთან დაკავშირებით საგანგებო წაშროშს ვამზადებთ.

12 კლდიაშვილი დავითი, „ორთავიანი არნივი“, ჰეროლდი 4 (2015), 76-79.



სურ. 12



სურ. 13

ნასესხებია რუსული მონეტებიდან, მაგრამ, მოთავსებული ფიგურა არ წარმოადგენდა რუსული გერბის, როგორც სახელმწიფო თუ დინასტიური სიმბოლოს ქართულ მონეტაზე განთავსების მცდელობას. როგორც დავინახეთ, ისევ გაჩნდა თარიღი ქრისტეშობით, თუმცა კი, კულავინდებურად მიეთითება თარიღი ჰიჯრით.

1796 წელს სამონეტო ტიპი ისევ შეიცვალა. უგირგვინო ორთავიანი არნივის ადგილი უკვე ურგვირგვინო ერთთავიანმა არნივმა დაიკავა (სურ. 12). ირაკლი II-ის სახელი სრულად არის აღნიშნული ასომთავრულად. პარალელურად მითითებულია თარიღი ქრისტეშობითაც და ჰიჯრითაც. ვეთანხმებით ევგენი პახომოვის ერთერთ ვერსიას,<sup>13</sup> რომ გამოსახულების შეცვლა (არნივის ერთთავიანად გამოსახვა) წონითი სტანდარტის ხელახალ შეცვლას უკავშირდება და მიზნად ისახავდა დახმარებოდა მოსახლეობას, ძველი და ახალი ფული ერთმანეთისგან უფრო ადვილად გაერჩია.

მომდევნო სამონეტო ტიპი უკავშირდება უკვე ირაკლი II-ის ძისა და მემკვიდრის, გიორგის სახელს; ღრმად ღვთისმოსავი მონარქის მონეტაზე არნივის სანაცვლოდ ისევ თევზი ჩნდება (სურ. 13) – საფიქრებელია, კულავ ქრისტეს განსახიერება. ახალი მონარქის სახელი ასევე სრულად არის მოცემული ასომთავრულად (ფიგურა). ძალიან საინტერესოა, რომ აღარ არის მითითებული თარიღი ქრისტეშობით, მხოლოდ ჰიჯრით (1213); ნიშნავს თუ არა ეს მონეტის ერთგვარ ვიზუალურ დექრისტიანიზაციას (თევზის გამოსახვის მიუხედავად)? დავუშვათ, საგარეოპოლიტიკური / ყაჯარული საფრთხისგან თავის დაზღვევის მიზნით? თუ, უნდა ვიფიქროთ, რომ თარიღი ქრისტეშობით, ორად გაყოფილი არნივის კუდის მარცხნივ და

მარჯვნივ, არნივთან შეჯიდებულ იკონოგრაფიულ ელემენტად განიხილებოდა და ის უარყვეს არნივის უარყოფასთან ერთად? თუ ეს ასეა, მისი შემოღებაც ირაკლი II-ის სამონეტო ტიპზე ორთავიანი არნივით იქნებ არ იყო ისეთი მნიშვნელობის მოვლენა, როგორიც ქრისტეშობით თარიღის აღნიშვნა ვახტანგ VI-ის მონეტაზე.

თბილისის, უფრო სწორად რომ ვთქავათ, ქართლ-კახეთის მომდევნო სამონეტო ტიპი უკვე დავით ბატონიშვილის, გიორგი XII-ის ძესა და არშემდგარ მემკვიდრეს უკავშირდება; de facto უკვე შემოღებული რუსული მმართველობის პირობებში ადმინისტრაციის მიერ მოჭრილ მონეტაზე დავითის სახელი საერთოდ აღარ არის აღნიშნული, და, ქართველი მონარქისა თუ მმართველის სუვერენობის დეკლარაციის თვალსაზრისით, დავბრუნდით ვახტანგ VI-ის წინარე ეპოქაში. გამოსახულია ფარშევანგი, რომლის სემანტიკაც გავიმეორებთ, უცნობია. მონეტაზე კულავინდებურად არ არის თარიღი ქრისტეშობით, მხოლოდ ჰიჯრით (1215), სამაგიეროდ, პირველად თბილურ შავ ფულზე მოჭრის ადგილი მიეთითა არა არაბული, არამედ ქართული (მხედრული) გრაფემებით – „ტფლს“, თუმცა, აქაც ნათელია ორიენტალური სამყაროსა და არაბულ-სპარსულის გავლენა – ხმოვნები გამოტოვებულია (სურ. 14).

\* \* \*

ვახტანგ VI-იდან მოყოლებული და დავით ბატონიშვილის დროით დამთავრებული თბილურ შავ ფულებს რომ გადავხედოთ და მათი ევოლუცია გავაანალიზოთ, აშკარად გამოიკვეთება ამ პერიოდის ქართული სპილენძის ემისიის ტრანსფორმაციის რამდენიმე გეზი, ასე ვთქვათ, ევოლუციური ტრენდი:

13 ხახულიშვილი, მონეტების ისტორია, 266.



სურ. 14

- ნაციონალიზაცია, რომელიც გამოიხატა, ჩვენი აზრით, ანონიმურობის უარყოფაში (სამონეტო რეგალიის, სიქეს უფლების მეტად ფრთხილი, მაგრამ მითვისება?); მმართველი მონარქის სახელის ჯერ ქარაგმით, შემდეგ კი სრულად, ჯერ მხედრულით, შემდეგ კი ასომთავრულით აღნიშვნით; იკონოგრაფიულ ტრანსფორმაციაში – ამასთან, XVII-XIX ს. დასაწყისის თბილური შავი ფული ქართული სახელმწიფოებრიობის აღზევება-დაცემის შესანიშნავ დასურათებას წარმოადგენს;
- ქრისტიანიზაცია, რომელიც, ამ შემთხვევაში, ნაციონალიზაციის ფარგლებშიც შეიძლება განვიხილოთ; ქრისტიანიზაციაში ვგულისხმობთ თევზის, როგორც ქრისტეს ალუზიის, იკონოგრაფიული სიუჟეტის პოპულარობას; ასევე თარიღის მითოებას ქრისტეშობით, ვახტანგ VI-ის საფასის შემთხვევაში მაინც;
- ორიენტალური იერის შენარჩუნება, ნანილობრივ, საფიქრებელია, ობიექტური მიზეზებით (მონეტის მოჭრის შედარებით არქაული ტექნიკის შენარჩუნება, რაც მსგავსი ფიზიკურ-მეტროლოგიური პარამეტრების მქონე პროდუქციის გამოშვებას განაპირობებდა), ან, ტრადიციის ძალით (მაგალითად, დათარიღება ჰიჯრით, ზოგადი დიზაინი), თუ ალტერნატივის უცოდინრობით და დამოუკიდებლად გამომუშავების უუნარობით; მაგრამ იქნება ასევე შეგნებულად;
- მოკრძალებულობა, რაც საგარეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით დიპლომატიურობად უნდა ჩაითვალოს; გამოიხატა ტიტულის არმითითებაში; იქნება ასევე *de facto* იკონოგრაფიულ შე-

ნიღბვაში ქალაქურ შავ ფულად; დაუსრულებელ ქრისტიანიზაციაში (ქრისტეშობით დათარიღების არარეგულარობა, ქრისტიანული სიმბოლიკის შენიღბვა – თევზის გამოსახვა, მაგრამ, მაგალითად, ჯვრის არმითითება).

ვახტანგ VI-დან დავით ბატონიშვილის დროით დამთავრებული, ქართული სპილენძის საფასის ევოლუციაზე მოქმედ ფაქტორებს ორ ძირითად ჯგუფად დაყყოფდით: 1) საგარეოპოლიტიკური, და, 2) შიდაპოლიტიკური.

საგარეოპოლიტიკური ფაქტორებიდან გამოყოფით ირანზე დამოკიდებულების შემცირებას და, შესაბამისად, თანდათანობით, სეფიანური ნუმიზმატიკური ტრადიციის მარნუხებიდან გამოთავისუფლებას; პარალელურად მის ჩანაცვლებას რუსეთზე დამოკიდებულებით (რომელიც, როგორც ისტორიამ დაგვანახა, უფრო მყარიც კი აღმოჩნდა), რასაც თან ახლდა რუსული სამონეტო საქმის მზარდი ზეგავლენა.

სახელმწიფოს შიდა მდგომარეობიდან აღსანიშნავია ირაკლი II-ის მცდელობები, სახელმწიფო ვესტერნიზაცია-ევროპეიზაციის გზით წაეყვანა, რაც გარკვეულწილად ხორციელდებოდა კიდევაც, თუმცა კი, უფრო რუსული თარგის მიხედვით. ამასთან, ქართლ-კახეთის თუნდაც დროებით და გარდამავალ მოღონიერებას მმართველი დინასტიის წარმომადგენელთა მზარდი ამბიციურობა მოჰყვებოდა; სამონეტო საქმეს თავისი დაღი დაასვა ასევე მდგომარეობის სტაბილიზაციამ და პროგრესმა ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ქვეყნის ეკონომიკა (სამთამადნო წარმოება, აღებ-მიცემობის განვითარება), სამხედრო საქმე; იდეოლოგიური თვალსაზრისით – სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ირაკლი ფალავა

ისტორიის დოქტორი, მედიცინის დოქტორი, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


## ქართული სამინისტრო ისტორიული გერბები

პირველი ქართული სამინისტრო კლასიკური გერბების გაჩენა მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის იმპერიასთან, სადაც პირველი საქალაქო გერბების შედგენა XVII საუკუნის 20-იან წლებში, პირველმა ჰეროლდმასტერმა გრაფმა ფრანცისკო დე სანტიმ დაიწყო. ისინი იქმნებოდა უკვე არსებული საქალაქო ემბლემების მიხედვით, რომლებიც, ძირითადად, ბეჭედზე იყო ამოტვიფრული. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ დე სანტიმ ახალი გერბების შედგენასთან ერთად, 1672 წლის „ტიტულარნიკიდან“ უკვე არსებული ქალაქებისა და ტერიტორიების გერბებიც გადმოხატა და მათ უფრო გამართული, ჰერალდიკური სახე მისცა. 1785 წლის 21 აპრილის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის (1762-1796 წწ.) ბრძანების მიხედვით, იმპერიის ყველა ქალაქს საკუთარი გერბი უნდა ჰქონდა. ინყება საქალაქო გერბების შექმნა, რომლებიც სამი ძირითადი – 1) ისტორიული; 2) გეოგრაფიული და 3) სახელწოდებიდან გამომდინარე პრინციპების მიხედვით იხატებოდა. მაგრამ, როგორც რუსი ჰერალდიკიოსი ა. ლაკიერი აღნიშნავს, პირველ პრინციპს ნაკლებად ითვალისწინებდნენ, ისტორიული მასალების სიმცირის ან მთლიანად არარსებობის გამო. 1800 წლის 5 აგვისტოს იმპერატრიც პავლე I-ის ბრძანებულებით, საგვარეულო „გერბოვნიკებთან“ ერთად ინყება „საქალაქო გერბოვნიკის“ გამოცემაც. აქედან მოყოლებული გერბი, როგორც საქალაქო თვითმმართველობის სიმბოლო, უფრო სამეფო ხელისუფლების ნიშანს წარმოადგენდა. მიუხედავად ამგვარი ყურადღებისა, საქალაქო გერბების შექმნა მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რასაც აღნიშნავდა კიდეც XIX საუკუნის 40-იან წლებში ჰეროლდმასტერი დ. ნ. ზამიატნინი.


1836 წელს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ნ. პანინი ცირკულარს უგზავნის გუბერნატორებს, რომელთაც უნდა შეეტყობინებინათ, მათდამი დაქვემდებარებულ ყველა ქალაქს ჰქონდა თუ არა გერბი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ უნდა შეედგინათ გერბის პროექტი და დასამტკიცებლად გაეგზავნათ ჰეროლდის კოლეგიაში ან შინაგან საქმეთა სამინისტროში. მოთხოვნის შესაბამისად, ამიერკავკასიის გუბერნიებისა და ქალაქების გერბების შექმნა შხარის სამიქალაქო მმართველობის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ბებუთოვმა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ“ მიხეილ სემიონოვს დაავალა. მან შექმნა კიდეც გუბერ-

ნიებისა და მათი მაზრების გერბები, მაგრამ მხარესა და რაიონებში მოსალოდნელი ცვლილებების გამო საქმე შეაჩერეს. 1840 წლის 10 აპრილის რეფორმის მიხედვით, ამიერკავკასია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო: 1) საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელიც შედგებოდა 11 მაზრისაგან – თბილისის, გორის, თელავის, ბელაქნის, ქუთაისის, ელისავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახტევნის, ახალციხისა და გურიის მაზრები; 2) კასპიის ოლქი, რომელშიც 7 მაზრა გაერთიანდა – შირვანის, ყარაბაღის, შექის, თალიშის, ბაქოს, დარუბანდისა და ყუბის მაზრები. საგუბერნიო ქალაქი თბილისი იყო, ხოლო საოლქო – შემახია. ამის შემდეგ 1843 წლის 21 მაისს საქართველო-იმერეთის გუბერნიისა და ქალაქების – თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის, ზაქათალის და კავკასიის სხვა ქალაქების ყოვლად უსახო გერბები დამტკიცდა.

საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ჰერალდიკური ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად. მართალია, ფარის გულზე შენარჩუნებულია ქართული ემბლემა, წმ. გიორგის გამოსახულება ნიმბის გარეშე, მაგრამ დანარჩენ ოთხ ნაწილზე ჩვენ ვხედავთ აბსოლუტურად ახალ ფიგურებს, რომლებიც ჰერთული და სომხური გეოგრაფიული გარემოსათვის არის დამახასიათებელი. ესენია ოქროს ველზე გამოსახული: 1) არარატის მთა ნოეს კიდობნით (რომელიც დღევანდელი სომხეთის გერბის გულს წარმოადგენს); 2) შავი ზღვა; 3) კასპიის ზღვა და 4) ყაზბეგის თოვლიანი მწვერვალი. გერბის ჰერალდიკური ფარი დაგვირგვინებულია რუსული იმპერიული ორთავიანი არწივით. ეს გერბი, რომელიც გარკვეული იყო სიახლეს წარმოადგენს, როგორც აგებულებით, ასევე გამოსახულებით, გარდამავალი ეტაპია იმ დახვენილი, უნიფიცირებული, კლასიკური სახის სამინანყლო გერბებისა, რომლებიც XIX საუკუნის მეორე წახევარში შეიქმნა. ის ფაქტი, რომ რუსული ჰერალდიკის მაშინდელმა სპეციალისტებმა ჭეშმარიტი გერბების შექმნისათვის ისტორიას მიმართეს, ნათლად ჩანს აღნიშნული მაგალითიდანაც. გარდა იმისა, რომ წმ. გიორგი (გველემაპის განმგმირავი მხედარი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ისტორიულ გერბს წარმოადგენდა, ასევე „მთა არარატისა და ზედან კიდობანი ნოეს“ სომხეთის ისტორიული გერბი იყო და დაფიქსირებულია ერეკლე II-ის დიდ სახელმწიფო ბეჭედზე.



სურ. 1. თბილისი



სურ. 2. ოზურგეთი

1840 წლის სამოქალაქო მმართველობის რეფორმამ მარცხი განიცადა, რადგან მის ავტორს, სენატორ განის, ამიერკავკასიის ეროვნული ნიშანი არ ჰქონდა გათვალისწინებული, ამას კი დიდი უკამაყოფილება მოჰყვა და აჯანყებით აღინიშნა, რაშიც მთავარი ადგილი იმამ შამილის აჯანყებას ეჭირა. ამ ვითარებამ იმპერატორი ნიკოლოზ I განსაკუთრებით შეაშფოთა. მან კავკასიის მეფისნაცვლის სახელო შემოიღო და ამ ადგილზე „მახვილი გონებისა და პრაქტიკული გამოცდილების“ გენერალ-გუბერნატორი მიხეილ სემიონოვიჩ ვორონცოვი დანიშნა.


მალე ამიერკავკასიის მხარის დარაიონების საქმეც გადაწყდა და მ. სემიონოვმა განაახლა მუშაობა. 1851 წლის 22 ივნისს საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ახალი, რედაქტირებული სახე დამტკიცდა, რომელშიც სიახლე ის იყო, რომ გერბის ფარის მესამე ნაწილში „კასპიის ზღვა“ „მტკვრით და არაქსით“ შეიცვალა. იმავე წლის სექტემბრისათვის თბილისის, ქუთაისის, შემახიის, ერევნის, დერბენტის გუბერნიების, ჭარ-ბელაქნის ოლქისა და მათი ქალაქების 29 გერბის ფერადი ვარიანტები უკვე მზად იყო, რომლებიც იმუამად თბილისში მცხოვრებმა მხატვარმა უკავოვსკიმ დახატა. ბებუთოვმა გერბები ქ. კისლოვოდსკში კავკასიის მეფისნაცვალს, მ. ს. ვორონცოვს გადაუგზავნა. რუსეთის სახელ-

მნიშვნელოვანი სენატმა ისინი მოიწონა და უმაღლესმა ხელისუფალმა – იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1851 წლის ოქტომბერში დაამტკიცა.

აღნიშნული ქალაქების გერბების კომპოზიცია XVIII საუკუნის ბოლოს შექმნილი რუსული საქალაქო გერბების სახეს იმეორებდა, რომლის ავტორადაც პეროლდმაისტერის თანაშემწე ი. ი. ფონ ენდენი გვევლინება. მის მიერ შექმნილი საქალაქო გერბის შედგენის მთავარი პრინციპი ის იყო, რომ პერალდიკური ფარი დაყოფილია პორიზონტალურად, რომლის პირველ ნაწილს სამეფისნაცვლის გერბის ბზარი წარმოადგენდა, ხოლო მეორე, ქვედა ნაწილს, საკუთრივ ქალაქის ემბლემა. გერბის აგების ამგვარი კომპოზიცია არ იყო გამართლებული, რადგან პერალდიკური კანონების მიხედვით, საკუთრივ ქალაქის ემბლემა, გერბში მეორესარისხოვან როლს თამაშობდა. ამას აღნიშნავდა კიდეც XIX საუკუნის პერალდიკის მცოდნე რუსული საზოგადოება. თუმცა, ვიტყვით იმაც, რომ გერბის ამგვარი კომპოზიცია ფონ ენდენამდე ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა, პეროლდმაისტერმა მ. მ. შერბატოვმა შეიმუშავა, როცა იმპერატორიცა ეპატერინე II-ის დაკვეთით რუსული სამხედრო „პოლკების“ საბრძოლო დროშის ემბლემები შეადგინა, რომლებშიც იმპერიული ორთავიანი არწივის ბზარი გამოიყენა.



სურ. 3. თბილისის გუბერნია 1878



სურ. 4. ზეთაცის გუბერნია 1870


აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ კავკასიის მთავარმართებელი ინფანტერიის გენერალი ა. პ. ერმოლოვი ჯერ კიდევ 1819 წელს, საკუთარი ინიციატივით, ჰეროლდის კოლეგიაში აგზავნის საქართველოს გერბის პროექტს და მოითხოვს მის დამტკიცებას, რათა იგი ამოტვიფრულ იყოს სათავადაზნაურო საკრებულოს ბეჭედზე. იგი აგრეთვე იტყვობინებოდა, რომ განზრახული ჰქონდა შეექმნა მისდამი დაქვემდებარებაში არსებული ყველა ქალაქის გერბი, როგორც კი გამოვიდოდა იმპერატორის ბრძანებულება ადგილობრივი მმართველობის შესახებ. რა იყო გამოსახული ერმოლოვის პროექტზე და რა ბედი ეწვია მას შემდგომ, ამჟამად ჩვენთვის უცნობია, თუმცა საფიქრებელია, რომ დიდი ალბათობით ნებ. გიორგი (გველეშაპის განმგმირავი მხედარი) უნდა ყოფილიყო.

1843 წელს დამტკიცებული თბილისის საქალაქო გერბის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ფილატელისტური ლიტერატურა. აღმოჩნდა რომ, მართალია, რუსეთის იმპერიის საფოსტო დეპარტამენტმა მარკების გამოშვება მხოლოდ 1858 წლიდან დაიწყო, საქალაქო „ობლატის თვისებების მქონე ქაღალდის შტემპელიანი ბეჭედი“, რომელსაც მოგვიანებით საფოსტო მარკა წარმოდა, თბილისში უკვე არსებოდა და იგი დღეს დიდ იშვიათობას წარმოადგენს. თბილისის საქალაქო ფოსტის ეს მარკა, რუსი ფილატელისტის, კ. შმიდტის, გამოკვლევით,

1855 წელს გამოდიოდა და მასზე, სწორედ, მ. სემიონოვის მიერ შექმნილი ქალაქ თბილისის გერბი იყო გამოსახული შემდეგი წარწერით: „Тифлис(кая) городс(кая) почта. 6 коп.“. პეტერბურგის საქალაქო ფოსტამ მარკების გამოშვება, მხოლოდ 1863 წელს დაიწყო, მაშინ, როცა რუსეთში საქალაქო და სამაზრო ფოსტა 1864 წლის სახელმწიფო რეფორმების შემდეგ გაჩნდა.

იმპერატორი ნიკოლოზ I უკმაყოფილებას გამოთქვამდა არსებული ახლადშექმნილი გერბების თაობაზე და აღნიშნავდა, რომ ისინი ჰერალდიკური კანონების დარღვევით იყო შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ საქმის გამოსწორების მიზნით, ჯერ 1848 წლის 12 მაისის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით ჰეროლდის კოლეგია ჰეროლდის დეპარტამენტად გადაკეთდა, ამან შექმნილ მდგომარეობას მაინც ვერ უშველა. არსებული სიტუაციით უკმაყოფილო იმპერატორმა 1851 წელს სპეციალური ბრძანებულება გამოსცა საქალაქო და ტერიტორიული უსახო გერბების შეცვლის შესახებ.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881 წ.წ.) 1857 წლის 10 ივნისის სპეციალური ბრძანებულებით, რუსეთის იმპერიის ჰერალდიკის დეპარტამენტში ყალიბდება საგერბო განყოფილება, რომელსაც „სწავლული ჰერალდისტი“ გერმანელი ბარონი ბერნჰარდ (ბორის ვასილევიჩი) კონე ჩაუდგა სათავეში, ხოლო მხატვრად ნიკოლოზ ფადევი დაინიშნა, რომელსაც თავად



სურ. 5. პატუმის მხარი 1881

კონე მაღალ შეფასებას აძლევდა. მიუხედავად იმდროინდელი რუსული საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა კონეს მიმართ, მან ჭეშმარიტი კლასიკური სამინანცულო გერბები შექმნა. კონემ გერბები არა მარტო ჰერალდიკურ კანონებს დაუმორჩილა, არამედ სწავლობდა კიდეც თითოეული ქალაქის ისტორიას, მის ადრეულ ემბლემატიკას, თუ ასეთი გააჩნდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიქმნა დასავლური ყაიდის ქართული სამინანცულო გერბები.


1870 წლის 29 ოქტომბერს დამტკიცდა ქუთაისის საქალაქო და გუბერნიის გერბები – ოქროს საწმისი მწვანე ველზე; 1878 წლის 5 ივლისს თბილისი გუბერნიის გერბი – შავი ჯვრითა და ნითელი ლომის თავებით ოქროს ველზე და 1881 წლის 16 ივნისს ბათუმის მხარის გერბი – ბიზანტიური ოქროს მონეტებით ნითელ ველზე და თავისუფალი (ტალღური) კვეთით ქვემო ვერცხლის ველით; კონეს მიერ შექმნილი გერბებით თავად იმპერატორი დარჩა კმაყოფილი, რადგან ისინი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის პროპაგანდის მატარებელი, იმპერატორის ძალაუფლების სიმბოლოებით შეაქვეს. ეს იყო საიმპერატორო და სამეფო გვირგვინები, ასევე წმ. ანდრიას ლურჯი და ალექსანდრეს ნითელი ლენტები მუხის ფოთლებით, რომლებიც კონეს მიერ შექმნილი გერბის გაფორმების ერთიან სისტემას ექვემდებარებოდა. შექმნილ გერბებს

იუსტიციის სამინისტრო წარადგენდა სენატში, რომელიც მაშინვე ამტკიცება მათ.

ბარონ ბ. ვ. კონეს დანცულებული საქმე 1881 წლის ბოლოდან ა. პ. ბარსუელმა გააგრძელა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა, რუსეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მაინც ვერ მოესწრო. 1856 წელს, სანამ კონე რუსეთის სამინანცულო გერბების შექმნას შეუდგებოდა, მისი რედაქციით დამტკიცდა ჯერ სამეფო ოჯახის წევრთა პირადი გერბები, შემდეგ კი, 1857 წელს, რუსეთის იმპერიის დიდი, საშუალო და მცირე გერბები შექმნა, რომლებიც სახელმწიფო ბეჭედზეც ამოტვირფეს. სახელმწიფო გერბი თავისი კომპოზიციით ივანე IV მრისხანისა (1548-1574 წ.წ.) და პეტრე I დიდის (1689-1725 წ.წ.) დროინდელი რუსეთის სახელმწიფო გერბებს ჰავდა, რომლებზეც მთავარი სიმბოლოს გარშემო მათ მფლობელობაში არსებული მიწებისა თუ ქალაქების გერბები ჩანდა. გერბის განლაგების ასეთი კომპოზიცია ნასესხები იქნა პოლონურ და ლიტვურ ისტორიულ საერო თუ სასულიერო წოდებათა გერბებიდან. თუმცა, აქვე ვიტყვით იმასაც, რომ მას იკონოგრაფიული საწყისები გააჩნია და მაცხოვრისა და მის გარშემო წმინდანთა გამოსახვა ფართოდ იყო გავრცელებული საეკლესიო მხატვრობაში. კონეს მიერ შექმნილი რუსეთის იმპერიის დიდ გერბზე ფარის დამჭერებად არქისტრატიგი მიქაელი და არქანგელოზი გაბრიელი არიან წარმოდგენილი, რომლებიც ავტორის მიერ, რედაქტირებული სახით, იმპერატორ პავლე I-ის (1796-1801 წ.წ.) 1801 წლის დაუმტკიცებელი სახელმწიფო გერბიდან იქნა ნასესხები.

1857-1917 წლებში რუსეთის იმპერიის დიდი გერბი პრაქტიკულად არ შეცვლილა. 1882 წელს მისი რედაქტირება მცირეოდენი შესწორებებით მოხდა, ხოლო 1891 წელს მას თურქესტანის გერბი დაემატა. დიდი სახელმწიფო გერბის ახალი რედაქცია აკადემიკოს ა. შარლემანს ეკუთვნიდა. იგი იყო იმ იოსებ შარლემანის მამა, რომელმაც 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი შექმნა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბის თანაავტორადაც გვევლინება.

ბარონ ბ. ვ. კონეს მიერ შექმნილი რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბი, რომლის მთავარი ფიგურაა იმპერიის ძირითადი სიმბოლო, შავი ორთავიანი არწივი, გულზე გამოსახული მოსკოვის გერბით – წმ. გიორგი, შედგებოდა იმ რვა ძირითადი მიწის გერბებისაგან, რომლებიც იმპერიის შემადგენელ ნაწილს



სურ. 6. პერალდიური ივერიის გვირგვინი

წარმოადგენდა. ესენი იყო: ყაზანის, ასტრახანის, პოლონეთის, ციმბირის, ხერსონესისა და საქართველოს სამეფობი; კიევის, ვლადიმირისა და ნოვგოროდის დიდი სამთავროები; ფინეთის დიდი სამთავრო, შემდეგ მათ ემატება რომანოვების საგვარეულო და ექვსი სამთავროს სამინანყლო გერბები. გარდა ექვსი სამთავროს სამინანყლო გერბისა, ყოველი მათგანი დაგვირგვინებული იყო საკუთარი წოდებრივი გვირგვინით, რომლის ფაქტობრივ მფლობელსაც თავად რუსეთის იმპერატორი წარმოადგენდა. გერბების თანმიმდევრობა მონარქის ტიტულატურის მიხედვით იყო დალაგებული. იმპერატორის სრულ ტიტულატურაში, რომელიც დიდ სახელმწიფო ბეჭედზეც იყო ამოტვიფრული, საქართველოს სამეფო შემდეგნაირად მოხსენიებოდა: „ცაर გრუზინსკია... ი გოსუდარ ივერსკია, კარტალინსკა ი კაბარდინსკა ჰემლი ი იბლასტი არმენსკია, ჩერკასსკია ი გორკასკია კნიაზე ი ინია“. საშუალო ტიტულატურაში, მხოლოდ „ცარ გრუზინსკია“ მოხსენიებოდა.

სწორედ, ამ ტიტულატურის მიხედვით იქნა შედგენილი „საქართველოს სამეფოს“ გერბიც ქართული გვირგვინით. გერბის ფარი გაყოფილი იყო ოთხ ნაწილად გულზე მცირე ფარითა და დაბოლოებით. ფარის გული იყო მხედარი (ნძ. გიორგი), შავ ცხენზე ამხედრებული და გველებაბის განმგმირავი – ოქროს ველზე; პირველი ნაწილი, გერბი ივერიისა (კახეთისა) – ვერცხლის ველური ცხენი ორი რვაქიმიანი ვარსკვლავით წითელ ველზე; მეორე ნაწილი, ქართლის გერბი – მწვანე აალებული მთა ორი გადაჯვარედინებული ისრითა

დუღი ისრით (ემბლემა ამირანისა) ოქროს ველზე; მესამე ნაწილი, ყაბარდოს გერბი – მცირე ოქროს ფარზე გამოსახული წითელი ნახევარმთვარე, ორი გადაჯვარედინებული ისრითა და ვერცხლის სამი ექვსქიმიანი ვარსკვლავით ლურჯ ველზე; მეოთხე ნაწილი, სომხეთის გერბი – წითელი გვირგვინოსანი ლომი ოქროს ველზე; გერბის ბოლოს წარმოადგენდა ჩერქეზეთისა და მთიელ თავადთა ემბლემა – გაჭენებულ შავ ცხენზე მჯდომი მხედარი (ჩერქეზი) ოქროს ველზე. „საქართველოს სამეფოს“ გერბი დაგვირგვინებული იყო რუსეთში კარგად ცნობილი „ქართული გვირგვინით“, რომელიც 1801 წელს, იმპერატორ პავლე I-ის (1796-1801 წ.წ.) ბრძნებით დამზადდა პროტექტორატის შერიოდის საქართველოს გერბზე გამოსახული გვირგვინის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. ეს გერბი იყო გამოსახული ორთავიანი არნივის ფრთხებზე, რომელიც იმპერატორის პირად, ყვითელ დროშას ამშვენებდა. დროშაზე ქართული გერბი გვირგვინის გარეშე იყო წარმოდგენილი, ისევე, როგორც სხვა „სამეფოების“ გერბები. რაც შეეხება იმპერიის მცირე გერბს, რომელიც გამოისახებოდა ფულის ნიშნებზე, საპატიო დიპლომებსა თუ სხვაგან, არნივის ფრთხებზე გამოსახული ქართული გერბი, მხოლოდ წმ. გიორგია, გვირგვინის გარეშე.

დავით კლდიაშვილი  
ჰერალდიკის სპეციალისტი

# იმპერატის სამეფოს ჰერალდიკა

## 1800-1810 წლებში

იმპერატის სამეფოს ჰერალდიკური მემკვიდრეობის შესწავლისთვის ფასდაუდებელი წყაროა ქუთაისის სამეფო სტამბაში გამოცემული ნაბეჭდი პროდუქცია. ქუთაისის სამეფო სტამბა მეფე სოლომონ II-ის მეფობის დროს გაიხსნა 1800 წელს და ფუნქციონირებდა 1810 წლამდე – რუსეთის იმპერიის მიერ იმპერატის სამეფოს დაპყრობამდე. აღნიშნულ ჰერიოდში ქუთაისის სტამბაში გამოიცა რელიგიური ხასიათის წიგნები (სახარება, უამნი და სხვ.), რომლებიც გამოირჩევა მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით და ქართული ნაბეჭდი გამოცემებისთვის დამასახიათებელი დეკორატიული გაფორმებით.<sup>1</sup>

ჩვენთვის საინტერესო ჰერალდიკური მასალა რამდენიმე წიგნშია წარმოდგენილი. ესენია: „დავითი“, 1800; „სახარება ვნების კვირიაკისა“, 1803; „კურთხევანი“, 1803; „დავითინი“, 1807; „უამნი“, 1808; „ლოცვანი“, 1810. აღნიშნულ გამცემებში წარმოდგენილი გერბები აშკარა მსგავსებას ავლენენ ქართლის (ქართლ-კახეთის) სამეფოს ქრონოლოგიურად უფრო ადრეულ ჰერალდიკურ ნიმუშებთან. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ქუთაისის სტამბაში 1803 წელს გამოცემული სახარების მეორე გვერდზე განთავსებული გერბი (პირველად გამოსახულია 1800 წლის დავითის ფურცლებზე), რომელიც თითქმის იდენტურია ქართლის მეფე ვახტანგ მეექესის 1710 წლის „კვართიან-დავითიანი“ ე.წ. „ორლომიანი“ გერბისა<sup>2</sup> (სურ. 1, სურ. 2).

ამ ორ გერბს შორის ერთადერთი განსხვავება მხოლოდ ქერუბიმებია, რომელიც ყვავლოვან ორნამენტს ანაცვლებს იმერეთის გერბში, თუმცა, არც ეს არის სპეციფიკური იმერეთის გერბისათვის – ასეთივე ქერუბიმები გამოსახულია თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის ჰერიოდის „კვართიან-დავითიან“ გერბზე

1 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ტომი I, თბილისი, 2010.

2 ერთი წლით ადრე – 1709 წელს ვახტანგ მეექესის სტამბაში დაბეჭდილ „სამოციეულომი“ წარმოდგენილია „კვართიან-დავითიანი“ გერბის ე.წ. „ერთოლომანი“ ვარიანტი. ალსანიშნავია, რომ იმ ჰერიოდში (1709-1711) ქართლის მეფე იყო ქაიხოსრო, ხოლო ვახტანგი ასრულებდა ქართლის გამგებლის მოვალეობას.



სურ. 1. სამეფო გერბი ვახტანგ VI-ის მიერ 1710 წელს ფილისის სტამბაში გამოცემული კონდაკიდან

(კონდაკი, ტფილისი, 1751; სახარება, ტფილისი, 1786; დავით გიორგის ძე ბაგრატიონი, ნარკუევი, 1800).

საქართველოში, მონარქიულ ქვეყნებში არსებული წესის შესაბამისად, მმართველი სამეფო დინასტიის გერბი იმავდროულად სახელმწიფო სიმბოლოსაც წარმოადგენდა.<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ 1710 წლიდან „კვართი-დავითიანი“ გერბის გამოყენება გრძელდებოდა თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე. კერძოდ, ის გვხვდება ქართლის გამგებლის და შემდგომ მეფის – ვახტანგ VI-ის, ქართლის მეფე ბაქარის, თეიმურაზ II-ის, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის და იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მეფობის დროს.<sup>4,5</sup> „კვართი-დავითიანი“ გერ-

3 თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნება (ჰერალდიკა). თბილისი, 2010.

4 ზურაბ გაიპარაშვილი. ჰერალდიკური არაბესკეპი. თბილისი, 2016.

5 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ტომი I, თბილისი, 2010.




სურ. 2. სახაფო გერბი სოლომონ II-ის მიერ  
1803 წლს ქუთაისის სტამბაში გამოცემული  
სახარეპიდან (სახარება ვენების კვირიაცისა)

ბი გამოიყენებოდა რუსეთში ემიგრირებულ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრების მიერაც, კერძოდ, ის გამოსახულია არჩილ II-ის და იოსებ სამებელის მიერ მოსკოვში გამოცემული წიგნების ფურცლებზე.<sup>6</sup> გერბი ასევე გამოსახულია თინათინ კახთა დედოფლის საფლავის ქვაზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიაში ეს ერთადერთი გერბია, რომელიც ბაგრატიონთა დინასტიის სამივე შტოს მიერ გამოიყენებოდა სამ ქართულ სამეფოში, თანაც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე.<sup>7</sup> ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული გერბი, თუმცა მცირედი სახეცვლილებით, წარმოდგენილი აქვს მის მიერ შედგენილ საქართველოს ატლასში და მას გან-

6 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბბბლიოთეკა. ძველნახეჭდი ქართული გამოცემები, ტომი II, თბილისი, 2013.

7 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერებულე || აკავშირებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. დედამისი, თამარი, ვახტანგ VI-ის ასული იყო, ხოლო მამა, თეიმურაზ II – ქართლის მეფე ერებულე I-ის ძე. იმერეთის მეფე სოლომონ II იყო მისი შვილიშვილი.



სურ. 3. ერებულე II-ის დიდი ხატი (ანაპეტი)  
მ. ვადგოლსპის მიხედვით

მარტავს, როგორც გერბი „სამეფო კვართიან-დავითიანი საქართველოსი“.<sup>8</sup> ეს ფორმულირება ისევე, როგორც გერბის გამოყენების არეალი და ხანგრძლივობა, თვალნათლივ მიანიშნებს მის საერთო-ქართულ, დინასტიურ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

ქართულ ჰერალდიკურ ნიმუშებზე კვართის გამოსახვის ისტორია შესწავლილია ქართველი ჰერალდიკოსების მიერ და სამართლიანად მიიჩნევა, რომ ის გამორჩეულობის, ქვეყნის მიერ უდიდესი სიმინდის ფლობის სიმბოლოა. ასევე, არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ XVII–XVIII საუკუნეების გერბებზე მის გამოსახვას ბიძგი მისცა აღნიშნული სიმინდის დაკარგვის – სვეტიცხოვლის ტაძრიდან და საქართველოდან მისი გატანის შესახებ გავრცელებულმა მცდარმა ინფორმაციამ.<sup>10</sup> აღსანიშნავია, რომ გარ-

8 ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). თბილისი, 1997.

9 მიხელ ვადგოლსპი. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა. თბ., 1980.

10 დავით კლდიაშვილი. საქართველოს სამეფო გერბში კვართის გამოსახვის ისტორია. ჰეროლდი, 2016.

და „კვართიანი“ საგერბე გამოსახულებებისა, XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ჰერალდიკურ ნიმუშებში წამყვანი ადგილი წმინდა გიორგის გამოსახულებას ეკავა. თუმცა, ეს საგერბე გამოსახულებები ჩვენ მიერ აქ განხილულ იმერეთის სამეფოს ჰერალდიკურ ნიმუშებში არ ასახულა.<sup>11</sup>

იმერეთის სამეფოს გერბის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც 1803 წელს გამოცემული „კურთხევანის“ ფურცლებზე გვხვდება, ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს უკავშირდება – ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ მის საფუძველს ერეკლე II-ის დიდი სახელმწიფო ბეჭედი წარმოადგენს (სურ. 3, სურ. 4):

გერბის აღნერილობა ასეთია:

გერბის ოთხეუთხედ არშიას შემოუყვება ასო-მთავრული წარწერა „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“ (ფსალმუნი 131, 11). აღნიშნული წარწერა 1710 წლის „კვართიან-დავითიანი“ გერბის წარწერის იდენტურია.

გერბის ჰერალდიკური ფარი, რომელიც აქ ჩვეულებრივ მართხულთხედს წარმოადგენს, გაკვეთილ-გადაკვეთილია და ქმნის ოთხ თანაბარ ველს (ნაწილს).

პირველ ველში გამოსახულია ოვალური ფარი, რომელზეც წრიულად ასომთავრული წარწერა აქვს და ამგვარად იკითხება: „კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამქსოვილ ყოვლად“ (იოანეს სახარება 19, 23). აღნიშნული წარწერაც იდენტურია 1710 წლის გერბის წარწერისა. ასევე, პრაქტიკულად უცვლელადაა გადმოტანილი ქრისტეს კვართის გამოსახულება და ანგელოზები, რომლებსაც სამეფო გვირგვინი უპყრიათ. აღსანიშნავია, რომ ერეკლე II-ის ბეჭედზე ამ კომპოზიციას ფარის მეორე ველი უკავია.

მეორე ველში გამოსახულია სამეფო რეგალიები – გადაჯვარედინებული სკიპტრი (სამეფო კვერთხი) და ხმალი (უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების ნიშნები), მათ ზემოთ – მზე (მნათობი), ქვემოთ კი – სამეფო მოსასხა-



სურ. 4. სამეფო გერბი 1803 წელს ძალაშის სტატუსი გამოცემული ციხილი „კურთხევანი“


მი (მანტია) და გვირგვინი. ერეკლე მეორის ბეჭედზე ამ კომპოზიციას პირველი ველი უკავია.

მესამე კვადრატში გამოსახულია უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების სიმბოლო – თემიდას სასწორი და სამეფო კურთხეულობის და ძალაუფლების სიმბოლო – სამეფო სფერო (სფერო, რომელსაც ზემოდან ჯვარი ადგას (globus cruciger)). აღნიშნული სიმბოლოები დამახასიათებელია ქართული ჰერალდიკისთვის და სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ცხენი რქოსანი“ (იგივე უნიკორნი, ან მონოცეროსი) რომლის ზემოთაც სამეფო სფეროა გამოსახული. ერეკლე II-ის ბეჭედზე უნიკორნის ნაცვლად ცხენია გამოსახული, რაც ქართული ჰერლდიკისათვის უცხო არ არის.<sup>12</sup>

რაც შეეხება გერბის ბოლო, მეოთხე ველს: ზედა ნაწილში გამოსახულია ქნარი და შურდული. ორივე სიმბოლო დავით წინასწარმეტყული.

12 გიორგი ლობუანიძე. საქართველოს გერბები ჰერნი შატელანის „ისტორიული ატლასის“ მიხედვით. ჰეროლდი, 2014.

<sup>11</sup> წმინდა გიორგის გამოსახულებას საქართველოში უფრო ძველი ჰერალდიკური ტრადიცია გააჩნია – ის ჰერალდიკურ სიმბოლოს სახით უკავე გამოიყენება კახეთის მეფე კვირიკე დიდის და საქართველოს მეფე გიორგი მესამის მეფობის დროს. ქართლ-კახეთის სამეფოს ქრონიკოგოურად ბოლო გერბები მოიცავდა როგორც ქრისტეს კვართს, ასევე წმინდა გიორგის გამოსახულებას.



სურ. 4. სამეფო გერბი 1803 წელს აუთაისის სტამბაში გამოცემული ნიზნიან „კურთხევანი“



სურ. 5. არქიმანდრიტ ზაქარიას გერბი 1810 წელს ქუთაისის სტამპაში გამოცემული „ლოცვანიდან“

ველს უკავშირდება – შურდულით მან გოლიათი მოკლა, ხოლო ქნარზე უფალს ფსალმუნებს უგალობდა, რის გამოც მას მეფისალმუნეც ენოდება (ბაგრატიონები თავს ბიბლიური მეფე დავითის შთომავლებად მიიჩნევდნენ). შესაბამისად, აღნიშნული სიმბოლოები მათი გერბების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო). მათ ქვემოთ გამოსახულია 1710 წლის გერბის იდენტური ფარისმტვირთველი ორი ლომი, რომლებიც აქ ბიბლიური მეფის ღვთის მიერ კურთხეული სამეფო ტახტის (სახლის) მცველების როლში გვევლინებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ერეკლე II-ის გერბისა-გან იმერეთის ამ გერბს მხოლოდ უნიკორნის გამოსახულება განასხვავებს. იბადება კითხვა, რა ფაქტორებმა განაპირობა ცხენის ჩანაცვლება უნიკორნის გამოსახულებით? საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ არც უნიკორნის გამოსახულება ყოფილა უცხო ქართული ჰერალდიკისთვის. 1810 წელს ქუთაისის სტამპაში<sup>13</sup> გამოცემული „ლოცვანის“ ტექსტს ამშვენებს არქიმანდრიტ ზაქარიას გერბი, რომელზეც ასე-თივე უნიკორნებია გამოსახული (სურ. 5):

<sup>13</sup> ასეთივე გერბი დატანილია საჩხერის სტამპაში 1815 წელს გამოცემული „სამოციქულოს“ ფურცლებზე.

არქიმანდრიტ ზაქარიას გერბი შედგენილია ქართული საეკლესიო ჰერალდიკის წესების დაცვით.<sup>14</sup> აღნერილობა ასეთია: გერბის გარშემო დატანილია ასომთავრული წარწერა „ლოცვასა გვედრი ყთა (ყოველთა – გ.ლ.) მდაბალი არქიმანდრიტი ზაქარია“. გერბის ოვალური ჰერალდიკური ფარი განთავსებულია მანტიის ფონზე, რომელის თავზეც მიტრაა გამოსახული. ფარზე დატანილია ჯვარცმის სცენა და ორი მღლაცველი, ფარისმტვირთველების ფუნქციას კი უნიკორნები ასრულებენ.

არქიმანდრიტ ზაქარიას გერბზე უფრო ძველია მიტროპოლიტ ათანასე თბილელის (ამილახვრის) გერბი, რომელიც მის მიერ მოსკოვში 1765 წელს გამოცემულ „სამოციქულოს“ ამშვენებს.<sup>15</sup> აქაც, ფარისმტვირთველებად უნიკორნები გვევლინებიან.<sup>16</sup>

უნიკორნი ასევე გამოსახულია ქართველი დიდგვაროვანთა – გურიელის, ლორის-მელიქიშვილის, ორბელიანის, რუსიშვილის საგვარეულო გერბებზე, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.<sup>17,18</sup>

უნიკორნის გამოსახულება დამახასიათებელია ევროპული ჰერალდიკისთვის. ის გამოსახული იყო, და დღემდე არის გამოსახული მრავალ ევროპულ გერბზე (მაგ., გაერთიანებული სამეფოს გერბი, შვეიცარიის კანტონ რამოშის გერბი, გერმანიის ქალაქ გიენგენის გერბი და სხვ.). შუა საუკუნეების ევროპაში უნიკორნი სიწმინდეს და სისპეტაკეს განასახიერებდა და ასეთივე იყო მისა სიმბოლური მნიშვნელობაც. გერბებზე ზოგჯერ ბორკილებდადებული უნიკორნი გამოისახებოდა (მაგალითად, შოტლანდიის გერბი), რომელიც თავისუფლებისმოყვარე, ველური არსების დამორჩილებას გამოხატავდა. ძველი ბერძნული წყაროები უნიკორნის განსახლების ბუნებრივ არეალს ინდოეთს უკავშირებენ,<sup>19</sup>

<sup>14</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ქართული პროზა, ტ. VI. თბილის, 1984.

<sup>15</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ძველსაბეჭდი ქართული გამოცემები, ტომი II, თბილისი, 2013.

<sup>16</sup> აღნიშნული გერბი ქართული საეკლესიო ჰერალდიკის მეტყველებაში დანართის ერთად, მის ჰერალდიკურ ფარზე გამოსახულია დროშა ნმინდა გორგის გამოსახულებით.

<sup>17</sup> В. ციხინსკი. ქავკასკი გერბი. თავადის რიცხვი. რეკონსტრუქცია. თბილისი, 1998.

<sup>18</sup> С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. Изд. Ликоминвест. Т. IV. М. 1998 г. Ст. 194.

<sup>19</sup> Aristotle (c.343 BC). «Book 2. Chapter 1». History of Animals (Περὶ ζώων ιστορίας). Trans. D'Arcy Wentworth Thompson.




სურ. 6. სამეფო გერბი 1808 წელს ქუთაისის სტამბაში გამოცემული ნიზნიზან „ზამნი“

თუმცა სტრაბონი აღნიშნავს, რომ ერთოქიანი ცხენისმაგვარი ცხოველები კავკასიაშიც ყოფილა.<sup>20</sup> უნიკორნის გამოსახულება გვხვდება XV საუკუნის ჯრუჭის „დავითის“ მინიატურაზე, რომელშიც ის უფრო თხის გარევნობით არის წარმოდგენილი.<sup>21</sup>

აღსანიშნავია, რომ უნიკორნი, როგორც დავით აღმაშენებლის ჰერალდიკური სიმბოლო, ნახსენები აქვს იოანე ბატონიშვილს ენციკლოპედიურ ნაშრომში „კალმასობა“: „ლერბსა ამა მეფისასა შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტომ ტფილისიდან ქუთაისს საშენებლად...“.<sup>22</sup> აღნიშნულ ნაშრომზე იონე ბაგრატიონმა მუშაობა 1828 წელს დაასრულა, თუმცა, საფიქრებელია, რომ უნიკორნთან დაკავშირებით ის ეყრდნობოდა დღეისათვის უცნობ ძველ წყაროს. „ცხენი რქოსანის“ სემანტიკა და დანიშნულება ქართულ ჰერალდიკუში განხილული აქვს ისტორიკოს დ. კლდიაშვილს ნაშრომში „ქართული ჰერალდიკის ისტორია“ (თბილისი, 2003), რომელშიც ის უნიკორნის გამოსახულებას ქრისტიანული სიმბოლიზმის კონტექსტში განიხილავს და ღვთისმშობელ მარიამს უკავშირებს.<sup>23</sup>

1803 წლის გერბის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი წარმოდგენილია ქუთაისის სტამბაში 1808 წელს გამოცემული „ჟამნისა“ და ჩვენ მიერ უკვე ნახსენები 1810 წლის „ლოცვანის“ ფურცლებზე. გერბის აღნიშნულ ვარიანტს, 1803 წლის გერბისგან განსხვავებით, არ აქვს ფარის გარშემო განთავსებული ასომთავრული წარწერა, პირველი და მეორე ველები გადანაცვლებულია, მესამე ველში დამატებულია ყვავილოვანი ორნამენტი და უფრო მკაფიოდ არის გამოხატული რვაქიმიანი ვარსკვლავები. განსხვავებულია მეოთხე ველის კომპოზიციაც, კერძოდ, სახლის ნაცვლად აქ გამოსახულია ქართული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (სურ.6.).

როგორც ზემოთ განხილული ნიმუშები გვიჩვენებს, იმერეთის სამეფოს საგერბე გამოსა-



სურ. 6. სამეფო გერბი 1808 წელს ქუთაისის სტამბაში გამოცემული ნიმუში „ჟამნი“

ხულებები პრაქტიკულად უცვლელად იმეორებს ქართლის და ქართლ-კახეთის „კვართიან-დავითიანი“ გერბების სტრუქტურას და სიმბოლურ დატვირთვას. ერთადერთი განსხვავება ამ მხრივ მათზე გამოსახული უნიკორნია, რომლის სემანტიკური მნიშვნელობაც შესაძლოა მეფე დავით აღმაშენებელს უკავშირდებოდეს. ასევე განსხვავდება 1808 წლის გერბის მეოთხე ველის კომპოზიციაც. მნიშვნელოვანია, რომ 1808 (1810) წლის იმერეთის სამეფოს გერბი დამოუკიდებელი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს უკანასკნელი ჰერალდიკური ძეგლია.

გიორგი ლომიანიდი  
ჰერალდიკის სპეციალისტი

- 20 Strabo. Geography. Book 15. Chapter 1. Section 56. (before 24 AD).
- 21 დავით კლდიაშვილი. ქართული ჰერალდიკის ისტორია – საქართველოს სახელმწიფო ბრიობის სიმბოლოები, წიგნი I, დროშა სკიანად მოხმარებული. თბილისი, 2003.
- 22 იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ქართული პროზა, ტ. VI. თბილისი, 1984.
- 23 დავით კლდიაშვილი. ქართული ჰერალდიკის ისტორია – საქართველოს სახელმწიფო ბრიობის სიმბოლოები, წიგნი I, დროშა სკიანად მოხმარებული. თბილისი, 2003.

## თამარ მეფის ორდენი (პირველი ქართული ორდენის ისტორია)

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მოკლედ გადმოცეთ თამარ მეფის ორდენის დაწესებისა და არსებობის ისტორია, რომელიც გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბების ისტორიასთან არის დაკავშირებული. აქევ დავძენთ, რომ ამ ორდენის ისტორია მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი (53).

სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა საქართველოსთან ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში სცადა კაიზერმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ (1122-1190). მას ძლიერ სურდა, რომ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს – საქართველოს მონარქი თამარი (1160-1213) თავისი რომელიმე ვაჟის მეულე გამხდარიყო.

დინასტიური ქორწინება შტაუფენებსა და ბაგრატიონებს შორის მტკიცე ხიდს გადებდა გერმანიასა და საქართველოს შორის, შეიქმნებოდა მძლავრი ალიანსი, რომელიც შეარყევდა ბიზანტიის ძლიერებას და მცირე აზიაში გავლენის სფეროთა გადანაწილებას გამოიწვევდა.

თამარზე დაქორწინებას ბევრი დიდგვაროვანი ნატრულობდა. ყოველი მათგანი კონკრეტულ პოლიტიკურ ორიენტაციას გამოხატავდა. მთხოვნელთა შორის იყვნენ ევროპელი პრინცები, ჯვაროსნული სახელმწიფოების მთავართა შვილები, ჩრდილოკავკასიელი უფლისწულები, მუსლიმური პოლიტიკური ერთეულების მმართველთა ნაშიერები.

სამეფო კარმა ორჯერ განიხილა ეს საკითხი. პირველად, თამარის მეულე და შეირჩა რუსი უფლისწული იური ანდრიას ძე რიურიკოვიჩი, რომელიც შეუფერებელი აღმოჩნდა მეფობისათვის და ეს ქორწინება დაირღვა. მეორედ შეირჩა ოსთა უფლისწული დავით სოსლანი, რომელიც წარმოშობით ბაგრატიონი იყო. ასე, რომ ორჯერვე ჩრდილოეთის ორიენტაციამ გაიმარჯვა.

ფრიდრიხ I ბარბაროსას წინადადების შემოთავაზება 1185-1187 წლებში, ე. ი. თამარის პირველსა და მეორე ქორწინებას შორის, უნდა მომხდარიყო (47, 222-223).

ეს სურვილი აუხდენელ ოცნებად დარჩა კაიზერს, რადგან პროვოროპული ორიენტაციის მომხრენი სუსტნი აღმოჩნდნენ საქართველოს მმართველ წრეებში. მისი განხორციელების შემთხვევაში, ალბათ, სხვაგვარად წარიმართებოდა საქართველოს ბედი (60, 19).

მიუხედავად ამისა, გერმანიის მესვეურებმა, მართალია, ძლიერ დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეძლეს, რომ თამარის სახელი სიმბოლურად დაეკავშირებინათ გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსთან, რომელიც რეალურად მხოლოდ | მსოფლიო ომის პერიოდში შეიქმნა.

1916 წლის იანვარში სწორედ გერმანიის ხელისუფალთა ინიციატივით დაწესდა ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბანაკებულ ქართულ ლეგიონში საბრძოლო წარჩინების ნიშანი თამარ მეფის გამოსახულებით, რომელსაც მოგვანებით „თამარ მეფის (ან „წმინდა თამარის“) ორდენი“ ეწოდა. ასე დაუკავშირდა გერმანელთათვის „მიუწვდომელი“ თამარ მეფის სახელი გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს (54, 20-37).

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

XIX საუკუნის ათიანი წლებიდან აშკარად შეინიშნება დასავლეთ ევროპაში მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის პოლიტიკური გააქტიურება.

1914 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, პეტრე სურგულაძის მესვეურობით ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც „განმათავისუფლებელ კომიტეტსაც“ უწოდებდნენ. მისი დამფუძნებელი წევრები გახდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი, ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ გიორგი მაჩიაბელი, მიხეილ წერეთელი, შალვა ვარდიძე, ზია ბეგ აბაშიძე, მელიტონ ქარცივაძე და სხვები (24, 17). ეს კომიტეტი იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმ ჯგუფის საქმიანობის გამგრძელებელი საზღვარგარეთ, რომელიც საქართველოში 1909-1910 წლებში არსებობდა (51).

1910 წელს ქართველ ეროვნულ-დემოკრატია ეს ჯგუფი რუსეთის უანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. ამიტომ პეტრე სურგულაძე თავის თანამოაზრებთან ერთად იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. ჟენევაში მათ შექმნეს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო“ და დაიწყეს ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემა. ამ ორგანიზაციის აქტიუ-



რი წევრები იყვნენ პეტრე სურგულაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხეილ წერეთელი, გერონტი ქიქიძე და სხვები (30, 5-6).

სწორედ ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს“ წევრებმა შეადგინეს საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის პირთვი, რომელიც შემდგომ თანდათან ივსებოდა და ომის განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბერლინსა და ისტანბულში.

1911 წელს ისტანბულში შეიქმნა ე. წ. „დადიანის კომიტეტი“. იგი დაუკავშირდა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებს, აგრეთვე, იქ ემიგრირებულ თანამემამულებს და ცდილობდა მათგან შეექმნა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც რუსეთ-ოსმალეთის ომის შემთხვევაში „ქართველთა და საერთოდ კავკასიელთათვის ბიძგის მიმცემინ“ გახდებოდნენ (2).

„დადიანის კომიტეტისა“ და ქართული ეროვნული მოძრაობის სახელმძღვანელოდ, 1 მსოფლიო ომის წინ შეიქმნა პოლიტიკური კომისია ოთხი თურქი, სამი გერმანელი ოფიცირისა და ოთხი ქართველის შემადგენლობით. აღნიშნული კომისია დაფუძნდა ჭანეთში (ლაზისტანი), ქალაქ ვინეში და იქ გადახვეწილ კავკასიელთაგან მოიერიშე რაზმების შექმნა-შეიარაღებას შეუდგა (40, 6).

1914 წლის ზაფხულში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მსოფლიო ორ მონინაალმდეგე ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, რომელთაც მოგვიანებით შეემატენენ აშშ, იტალია და რუმინეთი), ხოლო მეორე მხარეს – ჯერ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, შემდეგ კი – ოსმალეთი და ბულგარეთიც.

იმხანად, ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ძირითად ნაწილად გაიყო: ერთი ანტანტის გამარჯვებას იმედოვნებდნენ და კვლავაც რუსეთთან კავშირს ესწრაფოდნენ, მეორენი კი, რომელთა სათავეშიც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი იდგა, გერმანიასა და მის მომხრე ქვეყნებს თანაუგრძნობდნენ და მათი დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრობდნენ.

გერმანული ორიენტაცია იმდენად ფეხმოკიდებული ყოფილა ქართულ ინტელიგენციაში, რომ პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებას საქართველოში აღფრთოვანებით შეხვედრიან (21, 252 253).

ომის დაწყებისთანავე მოვლენათა მსვლელობაში აქტიურად ჩაეხდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც უენევიდან ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კონტაქტები

დაამყარა გერმანიის მმართველ პოლიტიკურ წრეებთან.

მალე, გერმანიის გენერალური შტაბის მეთაურის, ერის ლუდენდორფის ხელშეწყობით, გერმანიის კაიზერმა ვილჰელმ მეორემ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაცია. კომიტეტის შეხედულებებით გერმანია-საქართველოს ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივით დიდად დაინტერესდა კაიზერი. მან დაავალა თავის შესაბამის დიპლომატიურ უწყებას, რომ მოემზადებინა „ქართული საკითხი“ (37, 244).

უდავოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისადმი დახმარების აღმოჩენა შედიოდა თვით გერმანიის რაიხის ინტერესებში. პრაგმატულად მოაზროვნე გერმანელი ხელისუფალნი სათანადოდ აცნობიერებდნენ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის უნიკალურობას და ცდილობდნენ, რომ რუსეთისათვის სერიოზული პრობლემა გაეჩინათ გერმანიაზე ორიენტირებული მძლავრი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნით.

მათი აზრით, კავკასია და მის ცენტრში მდებარე საქართველო გერმანიისათვის უნდა ყოფილიყო სამხედრო მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელი, ასევე, იაფი სამუშაო და შეიარაღებული ძალების საიმედო რეზერვი (26, 104).

ამას გარდა, კავკასიაში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებს გერმანიის ხელისუფლება თავის მტკიცე დასაყრდენად მიიჩნევდა. იგი ადგილობრივი მეურნეობის სხვადასხვა დარგში გერმანული კაპიტალის დაბანდებას ცდილობდა. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში დამკვიდრებით გერმანია უმნიშვნელოვანეს პლაცდარმს იქმნიდა, როგორც აზიაში წინსვლისათვის, ასევე რუსეთის ძლიერების შესასუსტებლად. ამდენად, გერმანელთა ინტერესები საქართველოსადმი მრავალმხრივი, ხოლო მიზნები შორს-მიმავალი იყო (15; 56; 57; 32; 33; 41; 27).

გერმანიის მმართველი წრეები საქართველოში ვარაუდობდნენ მონარქიის აღდგენას, ხოლო ტახტზე კაიზერ ვილჰელმ II-ის უმცროსი ვაჟის იოანემ პოპენცოლერნის (1890-1927) აყვანას (19, 24).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს მომავალი მონარქიისათვის შერჩეული ჰყავდათ ქართველი საცოლეც – თავად მიხეილ (მიშმ) მაჩაბლის ულამაზეს ასული მარიამი (მარინა). ეს გეგმა ჩაიშალა | მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების გამო, ხოლო სადედოფლოდ გამზადებული მარიამ მაჩაბელი

ცოლად გაჰყვა იტალიის კონსულს თბილისში ფრანჩესკო ფრონზონის და მოვიანებით მასთან ერთად წავიდა იტალიაში საცხოვრებლად (25, 54; 17, 134).

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს სამეფო ტახტზე, მთელ რიგ მიზეზთა გამო, სხვა ქვეყნის დინასტიის წარმომადგენელი ასულა. მაგალითად, 1831 წელს საბერძნეთის მეფე გახდა ბავარიელი პრინცი ოტონ ვიტელსბახი. ასევე ცნობილი ფაქტია: რუმინეთის ტახტზე 1866-1947 წლებში პოპენცოლერნ-ზიგმარინგენი ისხდნენ (61, 23).

კაიზერთან შეხვედრის შემდეგ კომიტეტმა კიდევ უფრო ინტენსიური მუშაობა გააჩალა. მან თავისი სამოქმედო გეგმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმა. კომიტეტის წევრთა კავშირი ამ სამინისტროს „აღმოსავლეთის სააგენტოსთან“ იმდენად მჭიდრო იყო, რომ ეს უწყება მათ რეგულარულ ხელფასსაც კი უხდიდა.

მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ, თუ გერმანია ომში გამარჯვებდა და საქართველოც აღიდგენდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, კაიზერის ხელისუფლება სცნობდა მის სუვერენიტეტს და სათანადო დახმარებასაც გაუწევდა. ამის სანაცვლოდ ქართულმა კომიტეტმა ივალდებულა მობილიზაციის ჩაშლა კავკასიაში, დივერსიული აქტების განხორციელება და ხელსაყრელ ვითარებაში ანტირუსული აჯანყების ორგანიზებაც. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთის ზურგში ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზება და ქართველ პატრიოტებთან კავშირის დამყარება, ჯერ კიდევ । მსოფლიო იმის დაწყებამდე, კაიზერის მითითებით გერმანიის შეიარაღებული ძალების გენშტაბთან შექმნილ საგანგებო განყოფილებას დაევალა (56, 49).

გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დადების შემდეგ კომიტეტის წევრებმა მოლაპარაკებები ანარმოეს მოკავშირე ქვეყნების მმართველ წრეებთანაც. ისინი ოსმალეთის მთავრობასთან მოსათათბირებლად ისტანბულს გაემგზავრნენ. ოსმალეთი უკვე ომში იყო ჩაბმული და მის პოზიციას საქართველოს მომავლის მიმართ კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მაჩაბელმა, რომელიც იმ დროს ბელგიაში იმყოფებოდა, საქართველოს განთავისუფლების საკუთარი გეგმა შეადგინა. მან ეს გეგმა ფელდმარშალ ფონ ფერ გოლცს გააცნო, რომელიც იმსანად გერმანიის მიერ ოკუპირებული ბელგიის გუბერნა-

ტორი იყო. ფელდმარშალმა იმდენად მოიწონა ეს გეგმა, რომ გიორგი მაჩაბელი საკუთარი ავტომობილით გაამგზავრა გერმანიაში. მაჩაბელმა ჰაიდელბერგში მიხეილ წერეთელი ინახულა და ორივე დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ ბერლინს. საგარეო საქმეთა სამინისტროში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი ისტანბულში ჩავიდნენ, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ. აქვე შემუშავდა და დამტკიცდა კომიტეტის საბოლოო წესდება და სამოქმედო გეგმა, რომელთა დედანი ჯერაც არ არის მიკვლეული (30, 7).

კომიტეტმა მოამზადა საგანგებო მემორანდუმი, რომელიც ომის შედეგების შემაჯამებელ საზავო კონფერენციაზე გერმანელ დიპლომატებს განსახილებლად უნდა გაეტანათ. ამ მემორანდუმის მომავალ საზავო კონფერენციაზე გატანით დიდად იყო დაინტერესებული დამოუკიდებლობის კომიტეტი. მისი წევრები, მ. წერეთელი და გ. მაჩაბელი, დაბეჯითებით უმტკიცებდნენ გერმანიის რწმუნებულ გრაფ პურტალესს, რომ მემორანდუმის გატანის სანაცვლოდ, რუსეთთან საბრძოლველად საქართველო 50 ათას მებრძოლს გამოიყვანდა. ასეთ შემთხვევაში, გერმანიის წარმომადგენლები იძლეოდნენ ქართული ლაშქრის შეიარაღების გარანტიას. მათ განაცხადეს, რომ საომარი საჭურვლის ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონიდან გაეგზავნებოდათ ქართველ მებრძოლებს (28, 203-204). საგულისხმოა, რომ ამ შეთანხმების შესახებ გ. მაჩაბელმა ოდესელ ქართველ სტუდენტთა შეკრებაზეც აღნიშნა (2).

გერმანელები დიდად იყვნენ დაინტერესებული საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობით, რადგან ეს მოვლენა ოსმალეთის ომში ჩაბმას დააჩერებდა (56, 63).

ისტანბულელი ქართველები ეჭვობდნენ თურქთა დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას და ორიენტაცია გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთზე გადაჰქონდათ.

1914 წლის 3 სექტემბერს ისტანბულის ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის წინამძღვარმა ამ ქვეყნების ელჩებს აცნობა: „ქართველი მიისწრაფვიან ჰერიტაჟით სრული ავტომობია, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლენ, თუკი გერმანია და ავსტრია-უნგრეთი მათ მისცემს ავტომობის გარანტიას და მოამარაგებს იარაღით, სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურვლით. ქართველებს არ სურთ ოსმალეთის გავლენაში ყოფნა, ვინაიდან

ეს უკანასკნელი ესწრაფვის ქართული პროვინციების დაკავებას და ქრისტიანთა პრივილეგიების შეზღუდვას“ (59, 60).

იმავე წლის სექტემბერში, გერმანიის ისტანბულელი ელჩის ბარონ ჰანს ვანგერამის დახმარებით, კომიტეტის წარმომადგენელი შეხვდა ოსმალეთის ორ წამყვან პოლიტიკურ ფიგურას: ენვერ-ფაშას და თალაათ-ფაშას.

კომიტეტის წევრთა მოლაპარაკება ოსმალეთის მმართველ წრეებთან დაძაბულად მიმდინარეობდა. თურქები კავკასიის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. მათ უკვე რეალურად შეეძლოთ ეზრუნათ ყოველთა თურქთა მსოფლიო სახელმწიფოს – თურანის შექმნაზე. ამდენად, ისინი მეტად მწვავედ რეაგირებდნენ ყველაფერზე, რაც კი მათ ჩანაფიქრს საფრთხეს უქმნიდა. ამის მიუხედავად, გერმანელთა აქტიური ჩარევის წყალობით, მაინც შეიქმნა საქართველოსათვის მეტად ფასეული დოკუმენტები: 1. „კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი“; 2. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმება ოსმალეთთან“.

ქართველებსა და თურქ ხელისუფალთა შორის დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა ერთი წლის შემდეგ – 1915 წლის 16 სექტემბერს, როდესაც ოსმალეთის გენერალური შტაბის განყოფილების გამგემ, ოქრო-ლეიტენანტმა ისმეტ-ბეიმ (შემდგომში II არმიის გენერალის უფროსი და ბოლოს თურქეთის პრეზიდენტი (1938-1950) ისმეთ ინენიუ) გ. მაჩაბელს გადასცა წერილობითი შეტყობინება, რომლითაც ოსმალეთის მთავრობა სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას (38, 72-73).

ოსმალეთთან შეთანხმების დადებას საქართველოს მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიის ზენოლით, თურქი ხელისუფალი, ფაქტობრივად, იძულებული აღმოჩნდნენ, რომ თავიანთი წების საწინააღმდეგოდ ეცნოთ ქართველი ხალხის უეჭველი უფლება – დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისა. სამაგიეროდ, თურქებმა მიაღწიეს იმას, რომ კომიტეტმა უარი თქვა თავის თავდაპირველ მოთხოვნაზე – ოსმალეთს ეცნო ამიერკავკასიის მომავალი ფედერაციული რესპუბლიკა (56, 66). ასე მოექცა საქართველო – გერმანიის, ხოლო ამიერკავკასიის დანარჩენი ტერიტორია – ოსმალეთის გავლენის სფეროში.

ეროვნული ძალების კოორდინაციის მიზნით, 1914 წლის ოქტომბერში საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა კომიტეტის წევრი გიორგი მაჩაბელი. ივი შეეცადა ადგილობრივი ეროვნუ-

ლი კომიტეტის შექმნას, რომელსაც კავკასიაში ქართველთა შეიარაღებული აჯანყება უნდა მოემზადებინა. მაჩაბელს ასევე განზრახული ჰქონდა, რომ რუსეთის იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოემზადებინა ქართველი სტუდენტები, რათა ისინი მონოდებისთანავე კავკასიაში დაპრუნებულიყვნენ და რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულთა რიგებში ჩამდგარიყვნენ (12).

1915 წლს გ. მაჩაბელი კვლავ არალეგალურად ჩამოვიდა თბილისში. ქუთაისში გამართულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ იმდროინდელი საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების (სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების) წარმომადგენლები, გ. მაჩაბელმა კომიტეტის საქმიანობა იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების ფონზე მიმოიხილა. მანვე განსაზღვრა კომიტეტის როლი, ამოცანები და თათბირის მონაბილებს გერმანიასა და მის მოკავშირე ქვეყნებთან წარმოებული მოლაპარაკების შედეგები გააცნო.

თათბირზე დამსრუ სხვა პარტიებისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა. მათმა ლიდერმა ნოე ქორდანიამ აღნიშნა, რომ მათი პარტია ანტიანტის ქვეყნებს თანაუგრძნობდა, თუმცა არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ საქართველოში ემოქმედა კომიტეტს, რომელსაც გერმანიასთან კავშირი ექნებოდა (14, 149-150).

გერმანული ორიენტაცია საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა საკმაოდ დიდ ნაწილში, რომელსაც მეთაურობდნენ ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და სხვები. მათი აზრით, გერმანიის გამარჯვება საფრანგეთზე ნიშნავდა პროგრესის გამარჯვებას რეაქციაზე (23, 69).

ქუთაისში გამართული თათბირის შემდეგ თბილისში დაფუძნდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ფილალი, რომელშიც გაერთიანდნენ: დავით ვაჩანაძე, რევაზ გაბაშვილი და სპირიდონ კედია. სწორედ ამ ფარული ტრიუმვირატის მეშვეობით უნდა ჰქონიდა ბერლინში მოქმედ ქართულ კომიტეტს საქართველოსთან კავშირი. ამის შემდეგ გიორგი მაჩაბელმა თავისი მისია დასრულებულად ჩათვალა. მან თბილისის ფილალს კომიტეტთან კავშირის ერთადერთ საშუალებად გერმანული წყალქვეშა ნავები დაუსახა (რომლებიც შევი ზღვის ქართულ სანაპიროებს მოადგებოდნენ) და სანკტ-პეტერბურგისაკენ გაეშურა.

სანკტ-პეტერბურგში გ. მაჩაბელმა დამოუკიდებლობის კომიტეტის დამხმარე საიდუმლო

ორგანიზაცია დააარსა, რომელსაც სათავეში თავისი ძმა ნიკო მაჩაბელი ჩაუყენა. აქვე დაუკავშირდა იგი ვასილ დუმბაძეს, რომელიც რუსეთის მმართველ წრეებში მიღებულ კაცად ითვლებოდა და ამ კონტაქტების წყალობით უდიდესი სამსახური გაუწია გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ამის შემდეგ, გ. მაჩაბელი სტოკოლმის გავლით დაბრუნდა ბერლინში. ამიერიდან სტოკოლმი იქცა ბერლინში მყოფი ქართული კომიტეტისა და რუსეთის იმპერიაში მოქმედი ქართული ეროვნული ძალების საიდუმლო შესხვედრის ადგილად (24, 20).

საგულისხმოა, რომ 1916 წელს სწორედ სტოკოლმში შეხვდა გერმანიის ელჩს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. ამ ვიზიტის შესახებ თბილისის გუბერნიის უანდარმერის უფროსმა პასტრიულინმა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას აცნობა (40, 4).

დამოუკიდებლობის კომიტეტის მოღვაწეობის მთავარი ამოცანა – საქართველოს განთავისუფლება – პირველ ყოვლისა, პოლიტიკური პრობლემა გახლდათ. ამიტომ საჭირო იყო წმინდა პოლიტიკური მუშაობა და პროპაგანდა ბერლინში, რათა გერმანიას ეცნო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლება აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ამ მიზნით, ქართულმა კომიტეტმა ბერლინში ინტენსიური მუშაობა გააჩალა სამი ძირითადი მიმართულებით. პირველი, ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველაგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. ეს საქმე მინდობილი პეტონდა მიხეილ წერეთელს, როგორც კომიტეტის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ავტორს. კომიტეტის საგარეო საქმიანობას წარმართავდა გიორგი მაჩაბელი, რომელსაც ფართო კავშირები ჰქონდა გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის, ბელგიისა და სხვა ევროპული ქვეყნების გავლენიან წრეებთან და ხელმძღვანელ პირებთან. ამას გარდა, რადგან იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულებთან და საქართველოში მოქმედ ეროვნულ ძალებთან, მათთან ურთიერთობაც მასვე ევალებოდა.

საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის იდეის პროპაგანდის მიზნით, 1917-1918 წლებში, ისტანბულში დაიბეჭდა პეტრე სურგულაძის წიგნები, რომლებიც ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებსა და საქართველოს დემოკრატიულ პრინციპებზე აგების დასაბუთებას ეძღვნებოდა (43-45).

კ. სალიას ცნობით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრის, მ. წერეთლის მოგონებებს, „ქართული საქმის“ მთავარი მწარმოებელი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყვნენ „მომხსენებელი-მრჩეველი რუდოლფ ნადოლი, ამავე დროს, გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი და „ლეგაციის სეკრეტარი“ ოტო გიუნთერ ფონ ვეზენდოკი, რომლებსაც უდიდესი ღვანლი მიუძღვით ქართული პრობლემის შესწავლის საქმეში და მთავრობასთან მის დაცვაში“ (24, 17).

კომიტეტი ფართო საგამომცემლო მუშაობასაც ეწეოდა. მას პეტონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „თავისუფალი საქართველო“, რომლის პირველი ნომერი ჯერ კიდევ 1913 წლის იანვარში გამოიცა უენევაში და ომის დაწყებამდე იძეჭდებოდა.

დამოუკიდებლობის კომიტეტის მეორე ბეჭდვითი ორგანო – „ქართული გაზეთი“ ბერლინში 1916-1918 წლებში გამოდიოდა. თავიდან ეს გაზეთ „კავკასიის“ სახელით იძეჭდებოდა (9).

„ქართული გაზეთის“ პირველივე ნომერში მისი რედაქტორი გ. კერესელიძე გაზეთის ამოცანად ქართველ ტყვევებთან მუშაობას და მათი ინტერესების დაცვას მიზნევდა (5).

გერმანიის ცენზურა ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა გაზეთის შინაარსზე, მაგრამ რედაქტორი შეძლო ამ გავლენის ნიველირება (6).

1914 წლის შემოფგომაზე კომიტეტი შეუდგა მუშაობას ოსმალეთში, ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე (ცინეში), საჯარისო ფორმირების ქართული ლეგიონის ჩამოსაყალიბებლად.

ლეგიონის შექმნის საპასუხისმგებლო საქმე იტვირთეს ლეო კერესელიძემ და გერმანელმა ოფიცერმა კიშკემ. ეს უკანასკნელი ითვლებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ატაშედ, ხოლო პოლიტიკური ატაშეს როლს ასრულებდა ასევე გერმანელი მოზელი. „ორივენი ბოლომდე დარჩენენ ქართულ კომიტეტთან და მუშაობდნენ მასთან“, – ვკითხულობთ კალისტრატე სალიას წერილში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს“ (24, 18).

ლ. კერესელიძემ ქართველთა და მუსლიმ კავკასიელთაგან შექმნა მომავალი ქართული ლეგიონის ბირთვი, რომელიც 70 კაცისაგან შედგებოდა.

ქართული ლაშქრის ეს ჩანასახი თავიდანვე აითვალწუნეს თურქებმა, რომელებიც ამიერკავკასიის მიმართ ტრადიციული ექსპანსიონისტური ზრახვებით იყვნენ გამსჭვალული და

თამარ მეფის ორდენი 1915 წლი<sup>1</sup>

ქართული ლეგიონის სახით პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ (24, 18).

თურქთა ანექსიონისტური მისწრაფებანი საქართველოს მიმართ ოსმალეთის მოკავშირეებისათვის კარგად იყო ცნობილი.

1915 წლის 22 აპრილს მიღებულ ცნობაში გერმანის გენერალური შტაბის უფროსისადმი ნათქვამი იყო, რომ „თურქთა დაპირებებს „კომიტეტისადმი“ მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, რომ თურქებს გადაწყვეტილი აქვთ საქართველოში შეჭრის შემდეგ გაანადგურონ ყოველგვარი ეროვნული მოძრაობა და ქართული მინა-წყალი ომის შემდეგ „უძრალოდ თურქეთის სახელმწიფოს შემოუერთონ“ (34, 51-52).

ასე, რომ თურქთა კავკასიური პოლიტიკა ექსპანსიონიზმს ეფუძნებოდა (29, 109-154).

თურქებმა კომიტეტის წევრთა და მათთან მივლინებულ გერმანელთა განადგურებაც სცადეს. მათ ხანდარი გაუჩინეს იმ სახლს, სადაც კომიტეტის წევრებსა და გერმანელებს ეძინათ, მაგრამ პოლიტიკური ატაშეს – მოზელის წყალობით, ეს ინციდენტი უმსხვერპლოდ დამთავრდა (24, 18).

თურქ ხელისუფალთა აშკარად ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, დამოუკიდებლობის კომიტეტმა, გერმანელთა დახმარებით, მაინც ენთუზიაზმით განაგრძო ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების საშური საქმე. მართალია, მიხეილ წერეთლის აგიტაციის შედეგად

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივიდან

მოხერხდა გერმანიისა და ავსტრიის ტყვეთა ბანაკებიდან რამდენიმე ქართველი ოფიცრისა და უნტეროფიცრის ოსმალეთში ჩაყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული ლეგიონის ფორმირების პროცესი მაინც არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ქართველ ტყვეთა უმრავლესობას ან არ სჯეროდა ომში გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების გამარჯვებისა, ანდა რუსეთის იმპერატორისადმი მიცემული სამხედრო ფიცის გატეხა არ სურდა.

კომიტეტმა შეადგინა საგანგებო მოწოდება ქართველი სამხედრო ტყვეებისადმი (1).

ლეგიონის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვის პარალელურად, კომიტეტმა გერმანიაშიც გაააქტიურა მუშაობა, რამაც, როგორც ირკვევა, სასურველი შედეგი გამოილო.

„საქართველოს დამოუკიდებლობას აუარებელი თანამგრძნობი გამოუჩინდა, – წერს კ. სალია, – არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არა-მედ ცნობილ მხედართა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოების სხვა გავლენიან პირთა შორის, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა თვით საგარეო საქმეთა სამინისტროზედაც. დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი იურისტები საერთაშორისო სამართლისა, ფრანც ფონ ლისტის თავმჯდომარეობით, რომელიც იყო საქართველოს უფლებათა მუდმივი დამცველი“ (24, 19).

ქართულმა ლეგიონმა საბრძოლო ნათლობა 1914 წლის დეკემბერში არტანის აღებისათვის ბრძოლაში მიიღო და საგრძნობი ზარალიც მიაყენა მოწინააღმდეგეს (59, 15).

აღსანიშნავია, რომ ქართული ლეგიონის ოფიცერთათვის შემუშავებული იყო საკამაოდ მკაცრი საკუთარი სამხედრო კანონები (4).

არსებობს ცნობა, რომ 1916 წელს ქართული ლეგიონი ორი ათას მეომარს ითვლიდა (48), მეორე ცნობის თანახმად კი, მასში 1.500-მდე მებრძოლი იყო გაერთიანებული (3).

ლეგიონის ადგილსამყოფელი 1915 წლის სექტემბრიდან იყო ქალაქი ტრაპიზონი, 1916 წლის მარტიდან – სამსუნი, აგვისტოდან – კერასუნდი (გირესუნი), აგვისტოს მიწურულიდან – ტირებოლუ, ხოლო 1917 წლის იანვარში – კვლავ კერასუნდი.

ლეგიონს ჰქონდა თავისი სამხედრო ლაზარეთი და სარეკრუტო პუნქტი, აგრეთვე, რეზიდენცია, რომელიც ჯერ ტრაპიზონში მდებარეობდა, შემდეგ – სამსუნში, ბოლოს კი – კერასუნდში. ლეგიონს სათავეში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი სამხედრო პირები: ლეო კერესე-

ლიძე, ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, ლეიტენანტი შედე, მურად ბეი მაღალოვი (მაღალაშვილი), ინგურიძე და უფროსი ლეიტენანტი გრაფი გალენი. საერთოდ, ლეგიონი ექვემდებარებოდა ისტანბულში გერმანიის მთავარსარდლობის სამართველოსთან მოქმედ „კავკასიის ოფიცერთა კავშირს“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გრაფი შულენბურგი.

1915 წლის მიწურულიდან ლეგიონს ლეიტენანტი პორსტ გუსტავ შლიფავი წვრთნიდა. მან შეძლო, რომ სამხედრო დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა სათანადო დონეზე მდგარიყო. ლეგიონმა თავი გამოიჩინა კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებშიც. 1916 წლის ნოემბრის ბოლოს ექვსი ლეგიონერი, საუკეთესო პატრული-რებისათვის დაჯილდოვდა ოსმალური სამხედრო წარჩინების ნიშნით – რეინის ნახევარმთვარის ორდენით, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში დააწესეს თურქებმა გერმანული რეინის ჯვრის წაბაძით. მიუხედავად ზემოთქმულისა, ოსმალეთის ხელისუფალთა დაუნიბული მოთხოვნით, გერმანიის უმაღლესი სამხედრო მესვეურები იძულებული გახდნენ, რომ 1917 წლის აპრილში დაეშალათ ქართული ლეგიონი (39).

კომიტეტმა შეძლო ლეგიონის ერთი რაზმის შენარჩუნება, რომელიც 1917 წლის მაისში ოსმალეთიდან რუმინეთში იქნა გადაყვანილი (30, 8). ლეგიონერთა ამ ჯგუფს, რომელიც ასამდექრისტიანი ქართველისაგან შედგებოდა, ქალაქ ბუქარესტთან მდებარე კოტროცენის ტყვეთა პანაკის დაცვა დაევალა (66, 215). ამასთანავე, „დამკომს“ შემდეგშიც არ შეუწყვეტია რეგულარული ქართული ჯარის გერმანია-აკსტრიაში ჩამოყალიბების მცდელობა (8). საბოლოოდ, ქართველ ლეგიონერთა ეს ნაწილი საქართველოში 1918 წლის ივლისში დაბრუნდა. ლეო კერესელიძის მეთაურობით ისინი ცალკე შენაერთის სახით შევიდნენ საქართველოს არმიის შემადგენლობაში.

ლეგიონს განსხვავებულ სამხედრო ფორმასთან და დროშასთან ერთად, გააჩნდა საკუთარი სამხედრო ჯილდოც (54, 20-37), რომელიც 1916 წლის იანვარში დაწესდა.

დ. ლენგის ცნობით, 1915 წელს, გენერალ ფრიდრიხ ზიგმუნდ კრეს ფონ კრესენშტაინის ბრძანებით, ლეგიონში სამხედრო წარჩინების ნიშანი – თამარის ორდენი დაწესდა (68, 239).

უცხოელი ფალერისტებისათვის ცნობილია სენებული ორდენი. იგი ზოგიერთ სახელმწიფო თუ კერძო კოლექციას ამშვენებს საზღვარგარეთ, თუმცა ამ ჯილდოს წარმოშობისა და არ-

სებობის ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი დეტალი კვლავაც ბურუსით არის მოცული.

თამარის ორდენი უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში ზოგჯერ სხვა სახელწოდებებითაც მოიხსენიება. მაგალითთად, დ. ლენგი აღნიშნულ ჯილდოს „თამარ დედოფლის ორდენს“ უწოდებს (68, 239; 69, 182-183), კ. კლიტმანი – „დედოფლი თამარის ორდენს“ (63; 64; 65; 66; 67), ო. ნოიბერი – „ქართველთა ორდენს“ (71), ჯ. რისეი – „ნიმინდა თამარის ორდენს“ (72, 9), ი. სპასკი – „თამარ დედოფლის ვარსკვლავს“ (58, 87), ი. გვევლოდოვი – „თამარ დედოფლის ნიშანს“ (55, 157) და ა. შ.

ვფიქრობთ, რომ ყველაზე ადეკვატური ტერმინია „თამარ მეფის ორდენი“. ასევე გამართებულია ხმარება ტერმინისა „თამარის ორდენი“, მითუმეტეს, რომ ამ ჯილდოს ასე იხსენიებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის აქტიური წევრი, თვალსაჩინო მეცნიერი მ. ნერეთელი (24, 20). აღნიშნული წარჩინების ნიშანი „თამარის ორდენად“ არის მოხსენიებული ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის – შალვა მაღლაკელიძის მოგონებებშიც (25, 185).

საინტერესოა, ვის ეკუთვნოდა ამ ორდენის დაწესების იდეა, ან ვინ იყო მისი ესკიზის ავტორი.

არსებობს ცნობა, რომ 1915 წლის მიწურულს, ლეგიონის მეთაურის, გენერალ-მაიორის, ბარონ კრეს ფონ კრესენშტაინის თხოვნით, ლეგიონერთა წასახალისებლად, ლეიტენანტმა ჰ. შლიფავმა გამოიგონა „თამარ დედოფლის ნიშანი“ (55, 157). უფრო სარმმუნო ცნობის თანახმად, შლიფავის მიერ შექმნილი პროექტის მიხედვით, 1916 წლის იანვარში დაწესდა ლეგიონის სამხედრო ჯილდო (66, 215). სავარაუდოა, რომ შლიფავის კონსულტანტები და თამარის ორდენის დაწესების იდეის ავტორები ქართველები იყვნენ.

ცნობილია თამარის I, II და III ხარისხის ორდენები. სამივე ხარისხის ორდენზე, რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულია მედალიონი, რომლის ცისფერი ან ლურჯი მინანქრის ფონზეც გამოსახულია თამარ მეფის მოქროვილი ვერცხლის რელიეფური პორტრეტი. მედალიონის ირგვლივ ოქროთი მოვარაყებული ზედნერილია: „ქართული ლეგიონი 1915“.

I ხარისხის ორდენის დიამეტრია 95 მმ. ცენტრის მედალიონის ზომაა – 27 მმ. მედალიონს გარს აკრავს წვრილი ბრილიანტების ორი წყება.

II ხარისხის ორდენის დიამეტრია 78 მმ. მის მედალიონს, რომელიც ჰგავს I ხარისხის ორდენისას, გარს აკრავს წვრილი ბრილიანტების მხოლოდ ერთი წყება.

III ხარისხის ორდენის დიამეტრია 71-64 მმ. იგი I და II ხარისხის ორდენებზე მომცროვა, მისი მედალიონიც არაფრით განსხვავდება I და II ხარისხის ორდენთა მედალიონებისაგან, თუ-მცა მას არ აკრავს ბრილიანტების წყება და ვარსკვლავის სხივებიც გლუვი ვერცხლით აქვს დათრთვილული (68, 240). აქვე უნდა ითქვას, რომ თამარის III ხარისხის ორდენი მეტნილად ბრინჯაოსაგან მზადდებოდა, ხოლო ვერცხლისაგან ამ ჯილდოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აკეთებდნენ.

თამარ მეფის სამივე ხარისხის ორდენი დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების ნუ-მიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში (68, 239). პეტერბურგელი ნუმიზმატის პ. პ. კვასკოვის ცნობით, თამარ მეფის ერთი ორდენი ინახება ერმიტაჟის ფონდსაცავში (49, 107).

ის ფაქტი, რომ თამარ მეფის ორდენი გარეგნულად ვარსკვლავის ფორმის იყო და არა ჯვრისა, იმით უნდა აიხსნას, რომ ლეგიონის წევრთა გარკვეული ნაწილი მუსლიმთაგან შედგებოდა.

თამარ მეფის ორდენს ჰქონდა თავისი შენდისფერი საორდენო ბაფთაც, თეთრი და შავი ვერტიკალური ზოლებით, რომელსაც, მეტნილად, ორდენთან ერთად არ ატარებდნენ.

საყურადღებოა, თუ რა მიზნით შეარჩიეს ბეთანიის მონასტრის კედელზე გამოსახული თამარ დედოფლის ხატება ლეგიონის საბრძოლო ჯილდოს მედალიონის დასამშვენებლად. ვფიქრობთ, ქართველთა შორის თამარ მეფის განუზომელ ავტორიტეტთან ერთად, ამ საკითხში გარკვეული როლი ითამაშა ფრიდრიხ I ბარბაროსას იმ განუხორციელებელმა სურვილმაც, რომლის შესახებაც ამ სტატიის შესავალში ვწერდით.

აშშ-ის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში დაცული თამარის I და II ხარისხის ორდენები დამზადებულია გერმანიაში, რასაც ადასტურებს მათ ზურგზე ამოტივიზრული ნარწერა „Berlin“. III ხარისხის ორდენს ასეთი ნარწერა არა აქვს, რის გამოც, მისი დამზადების ადგილი დანამდვილებით არ არის ცნობილი. არსებობს ცნობა, რომ იგი საქართველოშია დამზადებული (52), რაც ნაკლებად სავარაუდოა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (მედლების ფონდი, №770) დაცულია ქართველი ემიგრანტის, შალვა ქარუმიძის კუთვნილი თამარ მეფის III ხარისხის ორდენი. იგი 1969 წლის 15 მარტს შეუწირავს მუზეუმისათვის თინათინ შალვას ასულ ქარუმიძეს. ხსენებული ორდენი პირველმა გ. შარაძემ აღნერა (49, 107).

აღსანიშნავია, რომ გ. შარაძის მიერ აღწერილი თამარის III ხარისხის ორდენის დიამეტრისა და ცენტრის მედალიონის ზომები განსხვავდება და ლენგის მიერ აღწერილი თამარის ანალოგიური ხარისხის ორდენისა და მისი მედალიონის ზომებისაგან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს საორდენო ნიშნები სხვადასხვა დროს და, შესაძლოა, სხვადასხვა ადგილას არის დამზადებული.

ცნობილია, რომ თამარის ორდენების პირველი პარტია დამზადეს ბერლინში მდებარე ფირმებმა: „პაულ კუსტმა“ და „იოგენ გოდემ“, მოგვიანებით კი – „პაულ მეიბაუერმა“ და სხვებმა. ეს ჯილდოები შემდგომ პარიზსა და ბრიუსელშიც იქნა დამზადებული. ამან თავისთავად ნარმოშვა გარკვეული განსხვავებანი ხსენებული ნარჩინების ნიშნის საორდენო ტიპებს შორის (66, 220).

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია დოკუმენტი თამარის ორდენის მინიჭების წესისა და მისი ორი ხარისხის არსებობის შესახებ (10).

ზემოთ მოყვანილი საბუთი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად, არსებობდა თამარის მხოლოდ I და II ხარისხის ორდენები, ხოლო მათ მოგვიანებით შეემატა III ხარისხისაც. მსგავსი ფაქტები ცნობილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფალერისტიკული ძეგლების ისტორიიდან. საგულისხმოა, რომ დოკუმენტში თამარ მეფის ორდენი მოხსენიება, როგორც „ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი“. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ თამარ მეფის ორდენის თავდაპირველი სახელი „ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი“ იყო, თუმცა, არაოფიციალურად ამ ჯილდოს დაწესების დღიდანვე თამარ მეფის ორდენად მოხსენიებდნენ.

„თამარ დედოფლის ორდენი“, როგორც პირველი ქართული ჯილდო, მოხსენიებული აქვს თავისი ფუნდამენტურ ნაშრომში (ცნობილ ჩეხ ფალერისტის, ვალდავ მერიჩკას (70, 232).

თამარის ორდენის შესახებ ცნობები ცვე-დება სხვა უცხოელი ფალერისტების ნაშრომებშიც. ასეთთა შორისაა, მაგალითად, ჯ. რისკის სტატია „საქართველო: წმინდა თამარის ორდენი“ (72, 9), ი. სპასკის წიგნი „უცხოური და რუსული ორდენები 1917 წლამდე“ (58, 87), ი. ვსევოლოდოვის წიგნი „საუბრები ფალერისტიკის შესახებ“ (55, 157-158) და სხვ.

ცნობილი რუსი მკვლევარი ივან სპასკი თამარის ორდენს გარეგნულად პრუსიულ ჯილდოს – წითელი არწივის ორდენის ვარსკვლავს – ადარებდა (58, 87).

რუსი ფალერისტი იგორ ვსევოლოდოვი წერს, რომ თავდაპირველად თამარის ორდენს „თამარ დედოფლის ნიშანი“ ერქვა, ხოლო შემდეგ მას ეწოდა „წმინდა თამარის ორდენი“ (55, 157).

არსებობს ცნობა, რომ თამარის ორდენი 1916 წლის იანვარში დაწესდა გერმანიის გენერალისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმების შედეგად. კერძოდ, ლეიტენანტმა ჰორსატ შლიფაკმა, ლეგიონის მეთაურის კურტ ფონ გალენის საშუალებით, შესთავაზა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რათა მათ „თამარ დედოფლის ნიშანი“ ექციათ ქართულ ჯილდოდ – „თამარ დედოფლის ორდენად“ (66, 215). აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული ჯილდოს დაწესების თარიღად ასევე 1916 წელს ასახელებდა მ. წერეთელიც (24, 20), რაც უფრო სარწმუნოა, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარის მიერ აღნიშნული 1915 წელი (68, 239; 55, 157).

თამარის ორდენის კავალერი შეიძლებოდა გამხდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთთა შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე გერმანელები.

ამ ორდენის ქართველ კავალერთა საპატიო რიგში არიან „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მესვეური მემედ აბაშიძე (1873-1937) და იმავე კომიტეტის წევრი ყადირ შერვაშიძე (1887-1919). ამ წარჩინების ნიშნით ისინი 1918 წლის 10 სექტემბერს ბერლინში დაუჯილდოებით. ამ ფაქტთან დაკავშირდით გაიცა ოფიციალური დოკუმენტიც. მონძობაში, რომელსაც ხელს აწერენ „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უცხოებში მოქმედი კომიტეტის“ წევრები – გიორგი კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ალექსანდრე გოზალიშვილი და ზია ბეგ აბაშიძე (მემედ აბაშიძის ლვიძლი ბიძაშვილი), ვკითხულობთ:

„მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძლივით ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგანოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მკერდის მარცხენა მხარეზე ქვემოდან“ (49, 85; 42, 26).

მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმულ ამ საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში, გვხვდება თამარ მეფის III ხარისხის ორდენის მსგავსი გამოსახულება.

მ. აბაშიძისა და ყ. შერვაშიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების დამადასტურებელ საბუთებზე, ტექსტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს, არის დასმული მრგვალი ბეჭდი წარწერით:

„საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია. უცხოებში მოქმედი კომიტეტი.“

თამარის ორდენის კავალერი იყო გამოჩენილი მამულიშვილი და შემდგომში ჩვენი ემი-გრაციის (ცნობილი წარმომადგენელი დავით (დათა) ვაჩინაძე (1884-1962). თავის მოგონებებში იგი წერს: „1918 წელს „გერმანულ და ქართულ შტაბებთან ერთად ვიღებ მონაწილეობას საქართველოს ჯარის ორგანიზაციის პროექტის შედგენაში. ოქტომბერში დაჯილდოებული ვარ „თამარ მეფის ორდენით“ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ“ (17, 130). ჯერჯერობით, არ არის ცნობილი, თუ რომელი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა დ. ვაჩინაძე.

თამარის ორდენის ქართველ კავალერთა შორის ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თვალსაჩინო წევრს, ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორსა და ხელმძღვანელს, გენერალ ლეო კერესელიძეს. ბათუმელი ინტელიგენტი მურად ნიუარაძე იგონებდა: „მე ამ ომის (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი – ნ. ჯ.) დროს პირადად მინახავს და არაერთხელაც, ჩიხა-ახალუხში გამოწყობილი, არწივივით მომზირალი თვალებით, მუდამ შემართული და დაუდგრომელი ბატონი ლეო რა სიამაყით ატარებდა ამ ორდენს. კარგად მახსოვეს, ახალ ლეგიონერებს გვესაუბრა მასზე. ჩვენი დიდი დედის – წმინდა თამარის ორდენი ყველა ქართველს უნდა აღაფრთოვანებდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაშიო“ (42, 25).

I მსოფლიო ომის ნლებში, გერმანულ წყალქვეშა ნავებს შავი ზღვის საშუალებით საქართველოში ზოგჯერ გადმოჰყავდათ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები და გადმოჰქონდათ საომარი საჭურველი თუ ფული. ცნობილია, რომ 1916 წლის დასაწყისში ფოთის სიახლოეს გადმოსულა 12-კაციანი ჯგუფი, რომელსაც მნიშვნელოვან თანხასთან ერთად გადმოუტანია „რაღაც დოკუმენტები“ და მოსახლეობაში გასავარცელებელი საგანგებო მოწოდებები (11).

1917 წლის 8 ოქტომბერს, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა მ. წერეთელის მეთაურობით, გერმანული წყალქვეშა ნავით საქართველოში (ფოთისა და ანაკლიას შორის) საიდუმლოდ შემოიტანეს დიდალი იარალი და ფული (17, 141). ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელებაში, კერძოდ, შემოზიდული იარალის დაბნავებაში დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოს მთავრის ყოფილმა მოურავმა. მისი დაჯილდოების ამბავი ამაღლვებლად აქვს გადმოცემული მ. წერეთელს. იგი იხსენებდა:

„შევედით სახლში და მოგვეგება პატრონი მისი, შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა... მივართვით თამარის ორდენი, რომელიც 1916 წელს ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, განაპყრო ხელები და თქვა სახარების სიტყვები: ან განუტევე მონა შენი, უფალო, რამეთუ ვიხილე მაცხოვრებაი შენი... თამარის ქვეყანაში, მისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემს ქოხში“ (24, 20).

1918 წელს თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა შემდეგში საქართველოს კურორტოლოგის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე გრიგოლია (1879-1976), რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფ. შულენბურგთან, გაგრის მფლობელთან – პრინც ოლდენბურგთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან (36, 233).

თამარის ორდენებით დაჯილდოვდნენ ასევე დიდი ქართველი მამულიშვილი ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის თბილისის გარნიზონის უფროსი, გენერალი სტეფანე გორგის ძე ახმეტელი (1877-1922).

თამარის ორდენის გერმანელ კავალერთა სათავეში დგას გერმანის შეიარაღებულ ძალა სახელმოვანი მთავარსარდალი, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი გენერალ-ფელდმარშალი პაულ ფონ პინდენბურგი (1847-1934). სწორედ მას ხვდა წილად პატივი ყოფილიყო თამარ მეფის ორდენის პირველი კავალერი (66, 216).

1917 წლის 29 ნოემბერს ქართული ლეგიონის ერთი ნაწილის ოსმალეთიდან რუმინეთში გადაყვანისა და დაბინავების საქმეში განხეული სამსახურისათვის, თამარის ორდენით დაჯილდოვეს პრუსიის პრინცი ვოლდემარი, რომელიც ლეგიონს რუმინეთში ეწვია და მისი საბრძოლო მზადყოფნა დაათვალიერა (7).

თამარის ორდენით სხვადასხვა დროს დაჯილდოვდნენ: გენერლები ერის ლუდენდორფი და ფონ ლოსვო, კაპიტანი ფონ დერ შულენბურგი (რომელიც მანამდე თბილისში გერმანიის კონსულად მუშაობდა), უფროსი ლეიტენანტი კურტ ფონ გალენი, ლეიტენანტი, დოქტორი გ. შედე, დოქტორი რ. ფრიძე და „რამდენიმე ავსტრიელი მოქალაქე“ (66, 216).

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქართული ლეგიონის დაშლის შესახებ, ლეიტენანტმა, დოქტორმა მარტინ შედემ სთხოვა კონსტანტინეპოლში მყოფ „კავკასიის ოფიცერთა კავშირის“ მეთაურს ფ. შულენბურგს,

რომ ლეგიონის ოფიცერთა შუამდგომლობის საფუძველზე, თამარის ორდენით დაეჯილდოებინათ ყველა ლეგიონერი. ამის შემდეგ დაამზადეს თამარის ორდენები თანმხლები დოკუმენტებითურთ.

1918 წლის ივნისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით, თბილისში ჩამოვიდა ორი ბავარიული ათასეული (სულ 1.800 კაცი) და გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით (17, 152). გერმანულმა ათასეულებმა დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს თურქ დამპყრობელთა ალაგმდვაში, რომლებიც ისტორიული ქართული მინაწყლის მიტაცებას ლამობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ ათასეულების ჩამოსვლამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამხედრო ტყვეთაგან და ქვემო ქართლში მცხოვრებ გერმანელთაგან სახელდახელოდ იქნა ჩამოყალიბებული „ლანდვერის“ (სახალხო ლაშქრის) ტიპის რაზმები, რომლებმაც შეძლეს ბათუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის თურქთაგან დაცვა (16, 47-49; 17, 146-150).

სახელმოვანი მხედრის, 1939 წელს გერმანელ იკუპანტთა მიერ „პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად“ აღიარებული გენერლის, ალექსანდრე ზაქარიაძის ცნობით, თურქებთან ბრძოლას შეენირა 14 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი (18, 51).

ვიქტორ ნოზაძის (1893-1975) ცნობით, გერმანელები თავიანთ თურქ მოკავშირეებს 1918 წლის 13 ივნისს შეეტაცნენ მდ. ხრამთან (ბორისალის მაზრა), რასაც რამდენიმე მებრძოლი შეენირა (35, 33).

ამრიგად, 1918 წლის ივნისიდან დეკემბრამდე, გერმანია და საქართველო ბუნებრივ მოკავშირებს წარმოადგენდნენ. გერმანული ჯარი საქართველოში ამ ქვეყნის მთავრობის მოწვევით იმყოფებოდა და შინაგანი სტაბილურობის მტკიცე გარანტი იყო. ასე გარდაიქმნა 1914-1917 წლებში არსებული გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი გერმანია-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად 1918 წლის გაზაფხულიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ორიენტაციის გერმანიაზე აღება 1918 წლის გაზაფხულზე სრულიად გამართლებული იყო და შექმნილი ურთულესი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა (31, 47), სამხუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დასასრულმა სასიკვდილო გა-

ნაჩენი გამოუტანა საქართველოს მესვეურთა პროგერმანულ ორიენტაციას, რამაც უარყოფითი როლი შეასრულა 1918 წლის მიწურულიდან ამიერკავკასიაში შემოსულ ინგლისურ ჯარებათან ურთიერთობაში (50, 13).

საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურები ერთობ დადებით შეფასებას აძლევდნენ გერმანელთა ყოფნას საქართველოში.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია წერდა, რომ ქვეყნის სუვერენულ უფლებათა პატივისცემისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის „დაუვიწყარი მაგალითი მოგვცა გერმანის ჯარების სარდლობამ. ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები, ისინი მონარქისტები, აზნაურები, განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთშორის დამოუკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი“ (23, 91).

1918 წლის 28 ივნისს, ფოთში, საქართველოსა და გერმანის რაიხს შორის გაფორმებულ მრავალ სხვა შეთანხმებასთან ერთად ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებასაც. კერძოდ, საქართველოში იმხანად მიმოქცევაში არსებული დროებითი ფულადი ნიშნის – ამიერკავკასიის კომისარიატის ბორის პარალელურად გერმანული მარკაც იქნა დაშვებული. ადგილობრივი და გერმანული ვალუტების პარალელური მიმქცევა I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე გრძელდებოდა.

ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი აღნიშნავდა, რომ გერმანელთა „გეგმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ალორძინებისათვის ძალიან ფართე იყო და ყოველმხრივი“ (20, 184-185).

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე წერდა, რომ „საქართველოს მოკავშირე გერმანულმა მხედრობა“ ჩვენი სამშობლო ოსმალეთის ურდოებისაგან იხსნა (22, 206-207).

გენერალ შალვა მალლაკელიძის თქმით, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის უბედურება საქართველოს უბედურებაც იყო (25, 93).

ზ. ავალიშვილი წერდა: „1918 წლის ზაფხულში გერმანია ალმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრქმელი – ამ დროს ამ როლის შესრულება ხელენიფებოდა მხოლოდ მას. მისი მხარდაჭერით, ეს საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა“ (13, 88).

აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა საქართველოსადმი თავიანთი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვაც სცადეს.



თამარ მეფის თანამედროვე ორდენი

კერძოდ, თბილისში მყოფმა გერმანული დელეგაციის ხელმძღვანელმა, გენერალმა კრესენ-შტაინმა, თავისი ქვეყნის რაიხსკანცლერისადმი 1918 წლის 8 სექტემბერს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში საჭიროდ მიიჩნია საქართველოს მესვეურთა გერმანული ორდენებით დაჯილდოება, რაც I მსოფლიო ომის საბედისწერო ფინალის გამო ვერ განხორციელდა. გერმანელი გენერალი თვლიდა, რომ სხვადასხვა ხარისხის ორდენებით თანამიმდევრობით უნდა დაჯილდოებულიყვნენ შემდეგი ხელმძღვანელი პირები: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, გრიგოლ გიორგაძე, გიორგი ურული, ივანე ლორთქიფანიძე, იოსებ ბარათაშვილი, ასევე გენერლები: გედევანიშვილი და ანდრონიკაშვილი. გათვალისწინებული იყო ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის – სპირიდონ კედიას და ამავე პარტიის ნარმომადგენლის – თავად დავით (დათა) ვაჩანაძის – დაჯილდოებაც (15, 98-100).

გერმანელ მოკავშირეებს არც ქართველები დარჩენენ ვალში. I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, საქართველოში მყოფი გერმანული მისია ჯარის ნაწილებითურთ იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ქართველებმა მოკავშირენი ლირსულად გააცილეს. ინგლისელთაგან დასაცავად მათ მატარებელს ფოთამდე გაჰყვა 30 რჩეული ქართველი ჯარისკაცი კაპიტან გიორგი აფხაზის მეთაურობით (17, 162).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრუ-

ლებლის, გენერალ მდიგნის, 1918 წლის 13 დეკემბრის №5352 ბრძანებულების თანახმად, ყველა გერმანელი სამხედრო პირი, რომელიც 1918 წლის 4 ნოემბრის შემდეგ იმყოფებოდნენ საქართველოში, მის წინაშე დამსახურებისათვის, ლებულობდნენ უფლებას ეტარებინათ „ნმინდა თამარის ორდენი“ (66, 218).

ამ ბრძანებულებიდან ნათელი ხდება, რომ 1918 წლის მიწურულს, თამარის ორდენმა სამასივრო ჯილდოს ფუნქცია შეიძინა.

ბრძანებულებაში უკვე გამოკვეთილად ჩანს ქართული მხარის პრეროგატივა ორდენით დაჯილდობაზე, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია, რადგან მანამდე ამ ჯილდოს გაცემა, ზოგჯერ გერმანის გენერალის პოლიტიკურ სექციასთან შეთანხმებით ხდებოდა (66, 216).

ხსენებული ბრძანებულება წაკითხულ იქნა საქართველოში დისლოცირებულ ყველა გერმანულ საჯარისო ნაწილში. ამას მოჰყვა პარონ ფონ დერ გოლცის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, თამარის ორდენით დაჯილდოებულებს შეეძლოთ მიეღოთ დაჯილდოების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, ხოლო ორდენი შეეძინათ საკუთარი სახსრებით. დაჯილდოებულთ უფლება ჰქონდათ, რომ ორდენები გერმანიაში, თავიანთი ხარჯით დაემზადებინებინათ (66, 218).

ცნობილია, რომ თამარის ორდენებით 2.500 გერმანელი ჯარისკაცი და 300 ოფიცერი დაჯილდოვდა (66, 218), თუმცა დაუდგენელია, თუ ვის რომელი ხარისხის ორდენი გადაეცა.

სამშობლოში დაბრუნებულმა გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მალევე დაიმშვენეს მკერდი ბერლინური ფირმების მიერ დამზადებული თამარ მეფის ორდენებით, თუმცა წარჩინების ამ ნიშნით საქართველოს სახელმწიფო ჯილდოდ აღიარება გერმანიაში საკმაოდ გაჭიანურდა.

1919 წლის 12 ივლისს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავდა, რომ საქართველოს დე იურედ ცნობამდე თამარის ორდენის სახელმწიფო ჯილდოდ ცნობა შეუძლებელი იყო.

ამის საპასუხოდ, იმავე წლის 19 ივლისს ხსენებული სამინისტროსადმი მათივე თხოვნით გაგზავნილ წერილში გენერალი კრესენტაინი სავსებით მართებულად მიუთითებდა: „ნმინდა თამარ მეფის ორდენებით დაჯილდოებამ ოფიცრებსა და ჯარისკაცებში დიდი სიხარული გამოიწვია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მებრძოლთა დიდმა ნაწილმა საკმაოდ ძვირფასი

ჯილდო მიიღო. ორდენის არცნობამ კი შესაძლოა მის კავალერთა იმედების მწარე გაცრუება გამოიწვიოს და ქართველები, რომლებიც დაჯილდოებისას საუკეთესო განზრახვით ხელმძღვანელობდნენ, უფრო უფლებად განაწყენდებიან. ამის ასაცილებლად, თავს უფლებას ვაძლევ, შემოგთავაზოთ, რომ თუმცა ორდენის სახელმწიფო ჯილდოდ ცნობისაგან გერმანიის მთავრობამ ამჯერად თავი შეიკავა, მოგვიანებით ეს ჯილდო მაინც უნდა ვაღიაროთ, ხოლო მანამდე, წარჩინების ამ ნიშნებით დაჯილდოება, სამხედრო სამინისტრომ თავის სათანადო დოკუმენტებში უნდა აღნიშნოს“ (66, 219).

1920 წლის 24 სექტემბერს, გერმანიის ხელისუფლებამ იურიდიულად აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის დღეები, სამწუხაროდ, უკვე დათვლილი იყო. 1921 წლის გაზაფხულზე, იგი საბჭოთა რესეტის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა...

თამარის ორდენის არსებობა საბჭოთა პერიოდის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. მათ შორის არის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიონისის ღიმილი“, რომელიც პირველად 1925 წელს გამოიცა. ამ წარმოებში თამარის ორდენის სხვა გერმანელ კავალერთა შორის დასახელებულნი არიან ფალკენჰაინი და მაკენზენი, რაც დოკუმენტურად ჯერ ვერ დასტურდება.

თამარის ორდენის გერმანელი კავალერების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, საქართველოდან წასვლის შემდეგაც სიამაყით ატარებდა ამ საპატიო ჯილდოს.

საინტერესო მოგონებას გვაწვდის მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში მყოფი, შემდეგში ცნობილი უურნალისტი ივანე ჯავხიშვილი, რომელიც წერს: „აბა რას ვიფიქრებდი, თუ ჰიტლერელებთან გამძვინვარებული ბრძოლის უამს მოულოდნელად ვნახავდი გერმანულ უნიფორმაში ჩატმულ ჯარისკაცს, რომლის მკერდს 1915 წელს საქართველოში დამზადებული თამარ მეფის ორდენი ეკეთა. ფრიად განვცვიფრდით, როცა ოკუპანტებს ერთი ხნიერი მებადრაგე გამოეყო, ქართველ ტყვეთა მცირე ჯგუფთან მოვიდა და საქართველოს ქება-დიდება დაიწყო მონდომებით და ალალად გვაგრძნობინა: ქართველებს სიმპათითა და პატივისცემით ვეპყრობიო. აღბათ ამიტომაც მოინდომა ამ ჯილდოს ჩვენება. თავისი ასეთი განწყობილების მიზეზად ის დასახელა,

რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ნიადაგის მომზადებას პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მაშინდელმა გერმანიამაც გაუმართა ხელი. ცნობილია, რომ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართულმა ჯარმა ბათუმი დაიბრუნა და როგორც მებადრაგემ განაცხადა, მაშინდელ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის იგი თამარ მეფის მესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ, რომელიც 1915 წელს საქართველოში მოიქრა (52).

თამარის ორდენი რომ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ქართველთა, ასევე გერმანელთა შორის, ამაზე მეტყველებს მისი აღდგენის ფაქტი.

ამ საქმის ინიციატორები იყვნენ გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალების „მილიტერ-ბერატერი“ (სამხედრო მრჩეველი), ოპერსტი (პოლკოვნიკი) შალვა მალლაკელიძე და გამოჩენილი მეცნიერი მიხეილ წერეთელი. შ. მალლაკელიძე იგონებდა: „1942 წელს საქართველოს მისადგომებთან ის გერმანული ჯარი იდგა, რომელშიც ბევრი ერია ოფიცირები (ან ოფიცირები მერე გახდნენ) იმ ბავარიული დივიზიით, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1918 წელს. ბევრ მათგანს მაშინვე დაურიგდათ სამახსოვროდ ე. წ. „თამარის ორდენი“ ჩვენი მთავრობისაგან, მაგრამ ბევრს ახლაც სურდათ. ამიტომ მე და მიხაკო წერეთელმა ... 1941 წელს ჩემი ხარჯებით ჩამოვასხმევინეთ ეს ორდენი და თითოეული ორდენის საბუთს მე და მიხაკო ვანერდით ხელს. ბევრ მსურველს მივეცი აქ ეს ორდენი და მოვინადირე მათი გული. გენერალი მაკენზენისათვის, ცნობილი სარდლის შვილისათვის, რომელიც 1918 წელს ბავარიულ დივიზიაში ლეიტენანტი იყო საქართველოში ყოფნისას და ახლა შტაბს ხელმძღვანელობდა, – მიხაკოს მიუცია ეს ორდენი“ (25, 185-186).

1941 წელს აღდგენილი თამარის ორდენი გარეგნულად 1916 წელს დამზადებული თამარის III ხარისხის ორდენის მსგავსი იყო. ტექნიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით მისი ამ სახით ჩამოსხმა ბევრად უფრო იოლი და ხელმისაწვდომი იქნებოდა, ვიდრე თამარის I და II ხარისხის ორდენების მსგავსისა, რომელთა მედალიონებსაც ბრილიანტების რეალი ჰქონდა შემოვლებული.

II მსოფლიო ომის დროს დამზადებულ თამარ მეფის ორდენსაც გააჩნდა საორდენო ბაფთა – სამეუთხედის ფორმის მომცრო შინდისფერი ლენტი თეთრი ფერის ვერტიკალური ზოლებით.

1943 წლის სექტემბერში თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა ქართველი ლეგიონერი, მაიორი გიორგი ნიკოლოზის ძე ქაჯაია (1921-2004). იგი 1942 წელს გაერთიანდა გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართულ ლეგიონში, ხოლო 1943 წელს წარჩინებით დამთავრა ვერმახტის სპეციალური სასწავლებელი ქალაქ ბიჩში (ელზას-ლოტარინგია).

მისი გადმოცემით, II მსოფლიო ომში, თამარის ორდენებით დაჯილდოვნები გივი გაბლიანი, სიმონ ჯაფარიძე, ასევე ემიგრანტები: ლალიძე და კობიაშვილი. ორდენებთან ერთად, კავალრებს შ. მალლაკელიძის მიერ ხელმოწერილი საორდენო წიგნაკებიც მიუღიათ.

1945 წლის ზაფხულში გ. ქაჯაია იძულებით დააბრუნეს საბჭოთა კავშირში, სადაც 1956 წლამდე რეპრესირებული იყო. ამის შემდეგ იგი დაოჯახდა და მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა.

1992 წლის აგვისტოში, აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყებისთანავე, გ. ქაჯაია უყოყმანოდ დადგა სამშობლოს დამცველთა გვერდით და ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით სათავეში ჩაუდგა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის დაზვერვის განყოფილებას. შემდეგ იგი II საარმიო კორპუსის მეთაურის მრჩეველი იყო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საკითხებში და პოლკოვნიკის წოდებაც მიიღო.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდაცებისათვის 1997 წლის 9 სექტემბრის №497 ბრძანებულებით გ. ქაჯაია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მოგვიანებით, II ჯევფის ინვალიდი, ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი გ. ქაჯაია საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან შექმნილ ინვალიდთა საქმების შემსწავლელ საკონსულტაციო საბჭოში მოლევნებდა.

1916 წელს დაწესებული თამარ მეფის ორდენით დაჯილდოება, როგორც ჩანს, შეწყდა 1918 წლის ბოლოს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერიბით არ მოგვეპოვება ცნობა იმის თაობაზე, რომ 1918 წლის მიწურულიდან 1941 წლამდე, აღნიშნული ორდენით ვინმე დაეჯილდოებინოთ. ეს კი იმან განაპირობა, რომ 1918 წლის 13 დეკემბერს, გერმანელ მოკავშირეთა თამარ მეფის ორდენებით მასიპრივი დაჯილდოებისა და ქართველ მამულშვილთა გარკვეული ნაწილის მონდომების მიუხედავად, ეს ორდენი მაინც ვერ იქცა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოდ შემდეგ მიზეზთა გამო:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტია სერიოზულ უთანხმოებაში იმყოფებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან. ამდენად, კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის სამხედრო ჯილდოს – თამარ მეფის ორდენს ქართველი სოციალ-დემოკრატები „ოპოზიციურ ორდენად“ განიხილავდნენ.
2. ხელნებულ ორდენზე ბეთანიის მონასტერში გამოსახული თამარის ფრესკა იყო აღმართებული. მარქსისტული მოძღვრებით გატაცებული სოციალ-დემოკრატები სრულ ინდიფერენტიზმს ამჟღავნებდნენ საქართველოს ნარსულისადმი და ცხადია, რომ „ექსპლუატატორი მეფის“ სახელობის ორდენის სახელმწიფო ჯილდოდ გადაქცევას არ დაუშვებდნენ.
3. თამარ მეფის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდო იყო. 1918 წლის მიწურულს კი ეს ალიანსი დაირღვა და საქართველოში გერმანიის მონინააღმდეგი ინგლისის ჯარი შემოვიდა. ინგლისელები საქართველოს / მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე ქვეყნად განიხილავდნენ და თავიანთ დასაყრდენად კავკასიაში „ანტანტის“ ერთგულ დაშნაკურ სომხეთს მიიჩნევდნენ. ასეთ ვითარებაში ამ ორდენის ქვეყნის სახელმწიფო ჯილდოდ ქცევა ისედაც დაძაბულ ინგლისურ-ქართულ ურთიერთობებს კიდევ უფრო გაამნევავდა.
4. სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას ქვეყნის „აზიის შვეიცარიად“ გადაქცევა სურდა, შვეიცარიაში კი არ არსებობს არავითარი სახელმწიფო ჯილდო. ასე, რომ შვეიცარიის მიპაპვით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი სამნლიანი (1918-1921) მმართველობის განმავლობაში, არ იზრუნეს ეროვნული ორდენებისა და მედლების დაწესებაზე. რაც შეეხბა რუსულ საიმპერიო ჯილდოს – წმინდა გიორგის ჯვარს, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში გაიცემოდა მხედრული მამაცობისა თუ საბრძოლო დამსახურებისათვის, ეს ჯილდო ხალხში უზარმაზარი ავტორი-

ტეტით სარგებლობდა და მისი გაუქმება ხელისუფლებამ ვერ გაძედა.

აი, სწორედ ის მიზეზები, რომლებმაც 1918-1921 წლებში ხელი შეუშალეს თამარის ორდენის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოდ ქცევას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თამარის ორდენმა არსებობა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შეწყვიტა (55, 158).

1941 წელს აღდგენილი თამარ მეფის ორდენით დაჯილდოება II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ შეწყდა.

თამარ მეფის ორდენის კავალერთა ზემოთ წარმოდგენილი სია, ბუნებრივია, შესავსებია. მათ შორის იყვნენ ისინი, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებისა თუ განმტკიცების საქმეში.

ამრიგად, თამარ მეფის ორდენის დაწესებისა და არსებობის ისტორია გადაჯაჭვულია I მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ქართული ლეგიონის ისტორიასთან, ხოლო ამ ჯილდოს აღდგენის ფაქტი 1941 წელს უკავშირდება II მსოფლიო ომში ასევე გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ მხედართა ისტორიას. ხელნებული წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არაან როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა, თუმცა, ამავე დროს, იგი პირველი ქართული ორდენიც არის.

#### 603 პავანებიში

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

#### გამოყენებული ცყაროებისა და ლიტერატურის სია

##### I. ცყაროები

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, ანაწერი 27, საქმე 4342, ფურცელი 2-3.
2. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5413, ფურც. 12.
3. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5413, ფურც. 15.
4. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5413, ფურც. 20-21.
5. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5423, ფურც. 11.
6. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5423, ფურც. 13-14.
7. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5423, ფურც. 24.
8. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5432, ფურც. 4-5.
9. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5439, ფურც. 3.
10. საქ. ცსსა, ფ. 13, ა. 27, საქ. 5439, ფურც. 49-50.

11. საქ. ცსსა, ფ. 13, ან. 27, საქ. 5542, ფურც. 18-19.

12. საქ. ცსსა, ფ. 157, ან. 1, საქ. 320, ფურც. 398.

13. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, ნაწილი I, თბ., 1990.

14. გაბაძევილი რ., რაც მახსოვს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, მარავალტომეული, გ. შარაძის საერთო რეკონსტიუცია, ტ. III, თბ., 1992.

15. გერმანელი ოკუპაციები საქართველოში 1918 წელს, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942.

16. დოუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994.

17. გრჩაძე დ., სამშობლოს სამასახურში (მოგონებანი), ნაწ. I, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნ. „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, №1.

18. ზაქარიაძე ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921), პუბლიკაცია მოამზადა გ. შარაძემ, ჟურნ. „მხედარი“, თბ., 1993, №1-2.

19. თევზაბავ ვ., ქართველი ოფიცირის ჩანაწერები, თბ., 1990.

20. კანდელარი კ., საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960.

21. ლასიშვილი გ., მემუარები, თბ., 1992.

22. ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.

23. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.

24. სალა კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟურნ. „ბედი ქართლი-სა“, პარიზი, 1962, №39-40.

25. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შეინშენები დაურთოვ ვ. რცხილაძემ, თბ., 1994.

26. ვიკიპედია გინდენბურგი, პეტროგრად, 1922.

## II. ლიტერატურა

27. ახსიაშვილი გ., საქართველო-გერმანიის ურთიერთობების ისტორიიდან, წელიწერული „ქართული დიპლომატია“, III, თბ., 1996.

28. ბერნიანიშვილი ა., ეროვნული საკოთხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980.

29. გიგინებაშვილი ო., ნარკვევები ისმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.

30. გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბ., 1995.

31. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995.

32. მინჯგალაძე გ., გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860-1918), თბ., 1991.

33. მანჯგალაძე გ., გერმანული კოლონისტები საქართველოში, თბ., 1974.

34. მანჯგალაძე გ., თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკა და ამიერკავკასიის ხალხები პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, III, თბ., 1983.

35. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

36. ოდიშარია გ., სოხუმში დაბრუნება, თბ., 1996.

37. სანიკიძე ლ., „მესამე დასის“ საქართველო, თბ., 1989.

38. სევანიძე მ., 1914 წელს ისმალეთსა და საქართველოს განთავსუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, „ქართული დაპლომატია“, II, თბ., 1995.

39. სევანიძე მ., ქართული ლეგიონი ისმალეთში I მსოფლიო ომის დროს, გაზ. „აამშობლო“, თბ., 1992, №7-10.

40. სორიძე მ., ივანე ჯავახშვილის ბოგრაფიის უცნობი ფურცელი, „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 1996, №3.

41. სონლულაშვილი ა., გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.

42. სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994.

43. სურგულაძე კ., საქართველოს თავისუფლებისაკენ, სტამბოლი, 1917.

44. სურგულაძე კ., საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918.

45. სურგულაძე კ., დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1918.

46. სურმანიძე რ., დაუკინარყო სახელი, ბათუმი, 1969.

47. ტუსაშვილი ლ., ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიადან, წიგნი I, თბ., 1994.

48. შარიშვილი გ. (კობაძე გ.), I მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოკლე ისტორია, გაზ. „საქართველო“, ბერლინი, 1944, №109-110.

49. ქარაძე გ., მემედ ააბშიქე, თბილისი-ბათუმი, 1995.

50. ცუხაშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921, თბ., 1995.

51. წერეთელი მ., უკანასკნელი ქართული ეპოქეია, გაზ. „ქართველი ერი“, ნოუ-ორგანიზაცია, 1955-1956, №1.

52. ჯავახიშვილი ი., გერმანელები თამარის ორდენს ატარებდნენ, „ქართველი ერი“, თბ., 1993, №15.

53. ჯავახიშვილი ნ., თამარ მეფის ორდენი, თბ., 1998.

54. ჯავახიშვილი ნ., ქართულ ფალერისტიკა (ჯილდოოთმულნება), თბ., 1995.

55. Всеволодов И. В., Беседы о фалеристике (Из истории наградных систем), М., 1990.

56. Пипия Г. Г., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 г.г., М., 1978.

57. Пипия Г. Г., Политика Германии в Закавказье в 1918 году, сб. документов, Тб., 1971.

58. Спасский И. Г. Иностранные и русские ордена до 1917 года, Л., 1963.

59. Bihl W., Die Kaukasus-Politik der Mittelmächte, Teil I, Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917, Wien, Köln, Graz, 1975.

60. Dshawachischwili N., Friedrich Barbarossa und Königin Tamar, "Kaukasische Post", Tb., 1996, N 6.

61. Dshawachischwili N., Aus der Geschichte der militär-politischen Allianzen zwischen Georgien und Deutschland, I, "Kaukasische Post", Tb., 1996, N 8.

62. Dshawachischwili N., Aus der Geschichte der militär-politischen Allianzen zwischen Georgien und Deutschland, II, "Kaukasische Post", Tb., 1997, N 9.

63. Klietmann K. G., Die Georgische Legion und der Königin Thamar-Orden, Der Frontsoldat erzählt, Berlin-9. Jahrgang, Nr. 9 \_ 1939.

64. Klietmann K. G., Das "Abzeichen" und der "Orden Königin Thamar", Reichsoffizierblatt, Berlin-20. Jahrgang, Nr. 11-17, April 1941.

65. Klietmann K. G., Das "Abzeichen" und der "Orden Königin Thamar", Zeitschrift für Heeres und Uniformkunde Herausgegeben von der Deutschen Gesellschaft für Heereskunde, Berlin \_ Jahrgang 1944/1 \_ August 1944, Nr. 126-127.

66. Klietmann K. G., Das "Abzeichen" und der "Orden der Königin Thamar" in Georgien 1916 und 1918, "Ordenstunde", Verlag "Die Ordens-Sammlung", Berlin, 1964, Nr. 23.

67. Klietmann K. G., The badge and the Order of Queen Thamar, The Medal Collector, Official Publication of the Orders and Medals Society of America, September-October 1957.

68. Lang D. M., War Medals and Paper-Money of Georgia in Transcaucasia (1915-24), The American Numismatic Society Museum Notes VII, New York, 1957.

69. Lang D. M., A Modern History of Georgia, London, 1962.

70. Mericka V., Faleristik, ein Buch über Ordenskunde, Prag, Artia, 1976.


71. Neubecker O., Orden Georgiens und Türkische Kriegsauszeichnungen, Uniformen-Markt, 3. Jahrgang, Berlin, 15 Oktober, 1936.

72. Risk J. C., Georgia: Order of Saint Tamara (From the collection of A. A. Miller), The Medal Collector, February, 1952.

# თანამედროვე ქართული მუნიციპალიტეტის გერბი

## ახალგორის მუნიციპალიტეტის გერბი:



გერბის ფარი ტეხილად არის გაყოფილი ორ ნაწილად – ვერცხლის და მენამულ ველებად: I ნაწილი – ვერცხლის ველზე შტანდარტის ტიპის მენამული ჯვარი. II ნაწილი – მენამულ ველზე ვერცხლის აბჯარი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკომპანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი – „ახალგორი“.



## ახალგორის მუნიციპალიტეტის დროშა:


დროშა ჰორიზონტალურად არის გაყოფილი თეთრ და მენამულ ველებად. თეთრი ველის მარჯვენა მხარეს გამოსახულია შტანდარტის ტიპის მენამული ჯვარი. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №4 დადგენილებით, 26.04.2010 წ.



## გორის მუნიციპალიტეტის გერბი

გორის მუნიციპალიტეტის გერბის ფარი გაკვეთილია ოთხ ნაწილად (ველად) ვერცხლის თეთრი ჯვრით, რომელზეც განთავსებულია მენამული წითელი მოტივტივე ჯვარი. პირველი ნაწილი – მენამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ორი ოქროს ისრით გამსჭვალული ვერცხლის მთა, (იბერიის მთა) ოქროს ცეცხლით. მეორე ნაწილი – ლაუვარდის ველზე გამოსახულია გადაშლილი ვერცხლის (თეთრი) წიგნი. მესამე ნაწილი – ლაუვარდის (ლურჯ) ველზე გამოსახულია ოქროს ძნა. მეოთხე ნაწილი – მენამულ წითელ ველზე გამოსახულია ოქროს რცხილის სამი ფოთოლი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკომპანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ ვერცხლ-მენამულ ბაფთაზე მოთავსებულია გერბის დევიზი. ბაფთის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი „გორი“.



## გორის მუნიციპალიტეტის დროშა

გორის მუნიციპალიტეტის დროშის ველი თეთრ ქობაშემოვლებული მენამული ჯვრით გაყოფილია ოთხ ნაწილად. დროშის პირველ და მეოთხე ნაწილი მენამულია, ხოლო მეორე და მესამე ნაწილი – ლაუვარდი. ზედა მარჯვენა მენამულ ველზე გამოსახულია ორი ოქროს ისრით გამსჭვალული ვერცხლის მთა (იბერიის მთა) ოქროს ცეცხლით. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №48 დადგენილებით, 09.10.2015 წ.

### გორის თემი მუნიციპალიტეტის გერბი (ყოფილი)

გერბის ფარის ცენტრში მოთავსებულია ვერცხლის ველანი მე-ნამული ჯვარი. ჯვრის ვერცხლის ველი გერბის ფარს ოთხ ნაწილად ყოფს, ხოლო მასზე მოთავსებული წითელი ჯვრის მკლავები არ ეხება გერბის ფარის კიდეებს და ნარმოადგენს ე.ნ. „ლათინურ ჯვარს“. გერბის ფარის I ნაწილში მენამულ ველზე მოთავსებულია ოქროს მთა. მთის ზემოთ ოქროს ჯვარი. ოქროს მთას კვეთს ლაუვარდის სამი შემცირებული სარტყელი. II ნაწილი – ლაუვარდის ველზე გადაშლილი ვერცხლის სამი წიგნი. III ნაწილი – ლაუვარდის ველზე სამი ოქროს ძნა. IV ნაწილი – მენამულ ველზე ოქროს მთა, რომელზეც მოთავსებულია ცხრაკოშეკიანი ქონგურებიანი ოქროს ციხე-სიმაგრე. ოქროს მთაზე გამოსახულია სამი ლაუვარდის შემცირებული სარტყელი.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით.


ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბათთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია გერბის დევიზი „გორი“.



### გორის თემის მუნიციპალიტეტის დროშა (ყოფილი)

დროშის ველი თეთრი ქობაშემოვლებული მენამული ჯვრით გაყოფილია ოთხ ნაწილად. მენამული ჯვარის გადაკვეთა ხდება დროშის მარჯვენა მხარეს დროშის 1/3-ზე. თეთრი ქობა ნარმოადგენს დროშის სიმაღლის 1/5. ხოლო მენამული ჯვრის მკლავების სიგანე დროშის 1/8-ს. დროშის პირველ და მეოთხე ნაწილი მენამულია, ხოლო მეორე და მესამე ნაწილი ლაუვარდის.


დროშის პროპორცია 2:3.



### ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის გერბი (ყოფილი)

გერბის ფარი გადაკვეთილია ჰორიზონტალურად ქონგურისებურად ორ ნაწილად – ლაუვარდის და მენამულ და ველებად. I ნაწილის ლაუვარდის ველზე გამოსახულია ოქროს გასაღები და ვერცხლის მთა. II ნაწილის მენამულ ველზე გამოსახულია ორი მდინარის შეერთება ვერცხლის სტილიზებული ტალღოვანი შემცირებული სარტყელით. ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს გარს არტყია შესამკობელი – ვაზის ფოთლების ვერცხლის ორნამენტი. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბათთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი „გორი“. სადევიზე ბათთის ორივე მხარეს გამოსახულია ორი მცირე მენამული ჰერალდიკური ჯვარი.

დამტკიცებულია ქალაქი გორის საკრებულოს №10 დადგენილებით, 05.02.2016 წ. მოქმედებდა 2017 წლის 21 ოქტომბრამდე



### ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის დროშა (ყოფილი)

მენამულ ველზე გამოსახულია ვერცხლის მარჯვნივ გადაბრუნებული ორკაპისებრი ჰერალდიკური ჯვარი, რომელიც დროშას ყოფს სამ ნაწილად. დროშის მარჯვენა ნაწილში, ლაუვარდის ველზე, ჯვრის მკლავებს შორის გამოსახულია ოქროს გასაღები დროშის პროპორცია 2:3.



### კასპის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარის მენამულ ველზე გამოსახულია ოქროს გრიფონი, რომლის ზემოთ მოთავსებულია ოქროს ჯვარი (წმინდა ნინოს ჯვარი). გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარძიჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი – „კასპი“.

### კასპის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის მენამულ ველზე ცენტრში გამოსახულია ოქროს გრიფონი, დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში ოქროს ჯვარი (წმინდა ნინოს ჯვარი). დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №35 დადგენილებით, 29.12.2009 წ.




### ხაშურის მუნიციპალიტეტის გერბი


გერბის ფარის მენამულ ველს სამ ნაწილად ყოფს ვერცხლის ორკაპისებრი ჰერალდიკური ჯვარი; I ნაწილი – მენამულ ველზე ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი; II და III ნაწილები ნარმოადგენს მენამულ ველს. გერბის ფარის ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი, რომელიც გადაკვეთილია ქონგურისებურად და იყოფა ლა-შვარდის და ოქროს ველებად. ოქროს ველი ნახევრად ჩაჭრილი და ქონგურების გარეშეა. ლაშვარდის ველზე მოთავსებულია ოქროს მკლავგამლილი აბჯარი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმისა) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – „ხაშური“.

### ხაშურის მუნიციპალიტეტის დროშა

მენამულ ველზე გამოსახულია ვერცხლის მარჯვნივ გადაბრუნებული ორკაპისებრი ჰერალდიკური ჯვარი, რომელიც დროშას ყოფს სამ ნაწილად. დროშის მარჯვენა ნაწილში, ჯვრის მკლავებს შორის გამოსახულია ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №6 დადგენილებით, 27.04.2010 წ.







### თილვის მუნიციპალიტეტის გერბი

მენამულ ველზე მოთავსებულია ვერცხლის დაჭიმული მშვილდ-ისარი. ფარის ზედა მარჯვენა კუთხე უჭირავს თავისუფალ კან-ტონს, რომლის ვერცხლის ველზე მენამული ჯვარია გამოსახული. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგ-ვინი – ერთკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭე. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამულ ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი „თილვა“.

### თილვის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის მენამულ ველზე მოთავსებულია თეთრი ფერის და-ჭიმული მშვილდ-ისარი. დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში თეთრ ველზე გამოსახულია მენამული ჯვარი. თეთრ ველს უჭირავს დროშის სიმაღლის 1/3. დროშის პროპორცია 2:3.

დამტკიცებულია თილვის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 24 მაის №2 დადგენილებით



### ქარელის მუნიციპალიტეტის გერბი

ქარელის მუნიციპალიტეტის გერბის მენამული ფერის ჰერალ-დიკური ფარის ცენტრში მოთავსებულია ირიბი ჯვრის ფორმის, ანუ ერთმანეთზე გადაჯვარედინებული საერო და სასულიერო ხე-ლისუფლების აღმნიშვნელი ოქროს კვერთხები. კვერთხთა თავებს შორის მოთავსებულია წმინდა მეფე დავით მეოთხე „აღმაშენებ-ლის“ ოქროს თავსარქმელი – გვირგვინი; კვერთხების მარჯვნივ და მარცხნივ თითო ჰერალდიკური ოქროს ჯვარია, ხოლო კვერთხების ქვემოთ – სამყურას ფორმის მუხის ოქროს ფოთოლი ოქროსივე ორი ნაყოფით (რკოთი). გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქა-ლაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მო-თავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – „ქარელი“.




### ქარელის მუნიციპალიტეტის დროშა

ქარელის მუნიციპალიტეტის დროშა წარმოადგენს მენამული ფერის მართკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომლის ცენტრში მო-თავსებულია ირიბი ჯვრის ფორმის, ანუ ერთმანეთზე გადაჯვა-რედინებული საერო და სასულიერო ხელისუფლების აღმნიშვნე-ლი ოქროს კვერთხები. კვერთხთა თავებს შორის მოთავსებულია წმინდა მეფე დავით მეოთხე „აღმაშენებლის“, ოქროს თავსარქმე-ლი – გვირგვინი; კვერთხების მარჯვნივ და მარცხნივ თითო ჰე-რალდიკური ოქროს ჯვარია, ხოლო კვერთხების ქვემოთ – სამყ-ურას ფორმის მუხის ოქროს ფოთოლი ოქროსივე ორი ნაყოფით (რკოთი). დროშის პროპორციაა – 2:3.

დამტკიცებულია ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №38 დადგენილებით, 30.12.2010 წ.

### ქურთის მუნიციპალიტეტის გერბი


გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა ორ ნაწილად. I ნაწილი: ვერცხლის ველზე მენამული სწორკუთხია ჯვარი (წმინდა გიორგი), რომლის მკლავები ეხება ველის კიდეებს. II ნაწილი – მენამულ ველზე „გამომავალი“ ვერცხლის მახვილიანი ხელი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – ერთქონგურიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი „ქურთა“.



### ქურთის მუნიციპალიტეტის დროშა


დროშის მენამულ ველზე მოთავსებულია ქურთის გერბი. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია ქურთას მუნიციპალიტეტის 2010 წლის 25 მაისის №3 დადგენილებით



### ერედვის მუნიციპალიტეტის გერბი


გერბის ფარის მენამულ ველზე მოთავსებულია ვერცხლის მუზარადი. ფარის ზედა მარჯვენა კუთხე უჭირავს თავისუფალ კანტონს, რომლის ვერცხლის ველზე მენამული ჯვარია გამოსახული. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – ერთკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ გერბის დევიზის ვერცხლ-მენამულ ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია გერბის დევიზი „ერედვი“.




### ერედვის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის მენამულ ველზე მოთავსებულია თეთრი ფერის მუზარადი. დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში თეთრ ველზე გამოსახულია მენამული ჯვარი. თეთრ ველს უჭირავს დროშის სიმაღლის 1/3. დროშის პროპორციაა 2:3.


დამტკიცებულია ერედვის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 24 მაისის №2 დადგენილებით












უცხოეთში მცხოვრები  
თანამემამულის  
მოწმობა

11



უცხოეთში მცხოვრები  
თანამემამულის  
მოწმობა



13




უცხოეთში მცხოვრები  
თანამემამულის  
მოწმობა

15
















# SUMMARIES IN ENGLISH

## PERSIAN CHRONICLER ON THE 12<sup>TH</sup> CENTURY GEORGIAN STANDARD

MAMUKA TSURTSUMIA

The data on the medieval Georgian standards is rather scarce and the sources containing their description are even scarcer. The color and the appearance of the Gorgasliani-Davitiani flag of the unified Georgia are described only by two sources: the first historian of the Queen Tamar (12c) and Stephanos Orbeliani (13c). In these circumstances of special importance is the note written by the Persian historian Ibn ar-Rawandi, where he confirms the information provided by the Georgian-Armenian chroniclers and presents undeniable proof that the standards of Giorgi III were white.

## HISTORICAL ORIGINS OF THE CONTEMPORARY CROATIAN MUNICIPAL FLAGS

ŽELJKO HEIMER

The paper presents a selection of Croatian civic flags presented through their historical versions appearing prior to the 1990s and their modern design. Even if written sources mention early use of city flags, e.g. during the siege of Zadar in 1202, these were, as a rule, neither preserved nor described. The oldest municipal coats of arms appear occasionally in written sources of the 15<sup>th</sup> and 16<sup>th</sup> centuries, when preserved flags also start to appear. The trend peaked in the 18th and 19<sup>th</sup> centuries, when majority of the Croatian cities with a historical coat of arms obtained flags. The 20<sup>th</sup> century, especially post-World War II period, provided a new standpoint towards such symbols. Since the modern independence of Croatia, more than 400 coats of arms and flags were officially approved in accordance with the law. Among them more than 60 have a firm historical background, but historical flags were recorded for only two dozens, mainly influenced by the Austrian-Hungarian as well as the Italian tradition. These are, as a rule, flags of larger cities, but occasionally of entirely small communities. Considered together, they serve as an evidence for different historical circumstances the local communities were undergoing in various parts of the country.

## CROSSES OF EUROPE

ZACHARY KIKNADZE

This article examines the most well-known forms of Crosses and the origin of some heraldic forms. It also reviews the popular forms of crosses used in different countries and territories, such as Latin, Bolnisi, Papal, Patriarchal, Greek and more.

## DEVELOPMENT OF GEORGIAN CIVIC COAT OF ARMS

TORNIKE ASATIANI

The article is dedicated to the research of origins and stages of the development of civil heraldry in Georgia. The aim of the article is to study Georgian city, county and regional coat of arms in comparison with Western European and Russian analogues, to identify differences and similarities and draw conclusions based on a comparative analysis. The subject is highly relevant in the wake of activity of the Council of Heraldry under Parliament of Georgia, which works on creation and refinement, development of Georgian civic arms for already more than a decade.

First Georgian civic arms appeared in Russia's "Titul'jarnik" (Title book) in the 17<sup>th</sup> century. Later in 1735 Georgian Prince Vakhushti Bagrationi placed in his atlas coat of arms of Georgia and its neighbouring regions. All these blazons had not been created in classical traditions of European heraldry, using stylized designs of the shields and charges. Symbolology of that time Georgian civic heraldry was mostly based on totemic, legendary and religious motives. In the 19th century after Georgian kingdoms and principalities were annexed by the Russian Empire, the civic arms of Georgia obtained more classical look matching strict heraldic canons. The appearing of the first coats of arms of the Georgian cities was also a great development. Under the communist rule civic heraldry was abolished, but in the last decades of the communist regime some Georgian cities, mostly unofficially and mainly for tourism promotional reasons adopted new designs associated with the symbols of these cities. However, they did not follow the heraldic rules. Soon after the restoration of the independence of Georgia, the Council of Heraldry was established, managing creation and modernization of the Georgian state and civic coat of arms in accordance with the heraldic rules.

Comparative analysis of Georgian civic arms shows that, though in a different chronological order, still the phases of their development resembles stages of development of European, especially Eastern European analogues.

## HERALDIC ICONOGRAPHY OF THE 17<sup>th</sup>-19<sup>th</sup> CENTURIES TIFLIS COPPER COINS

IRAKLI PAGHAVA

The article attempts to study the iconography of the 17<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries copper coins issued in Tiflis / Tbilisi, and analyze its possible heraldic significance.

The Eastern provinces of Georgia, including the Kingdom of Kartli, and later Kartli and Kakheti, with its capital city Tiflis remained within the Persian sphere of influence till the very beginning of the 19<sup>th</sup> century. The Tiflis mint used to strike the copper coins of Persian style so-called "civic coppers". The Tiflis coppers have been studied from iconographic point of view, but its heraldic significance has not become a subject of a comprehensive research so far.

Tiflis coppers of the 17<sup>th</sup> and early 18<sup>th</sup> centuries are unremarkable in terms of heraldry: the iconographic elements correspond to traditional Persian motives. The King Vakhtang VI introduced the revolutionary alterations, like indicating his own name in Georgian, the AD date (in addition to the AH one), depicting the Noah's Ark as well as two Fish (cryptogram of the Christ / IXΘΥΣ = "Ιησοῦς Χριστός, Θεοῦ Υἱός, Σωτήρ"). Vakhtang's followers (Svimon, Bakar) confined themselves to just indicating their names in Georgian, whereas the King Alexandre indicated it with an Arabic initial only (?). The coinage of the united Kingdom of Kartli and Kakheti first issued the typical civic copper with the effigy of the lion and AH date, but again with Georgian graphemes indicating the Bagrationi monarch. In AH 1166/1168 a revolutionary new type was introduced, representing the names of the crowned father and son, Teimuraz II and Irakli II, as well as the scene of a bird of prey catching another bird. We consider this to be chronologically the earliest representation of the well-known legend of founding the city of Tbilisi. Employment of this scene on the state coinage constituted an attempt to elaborate the state heraldry, whereas the former can be considered as proto-heraldic. 13 years later the numismatic heraldry of Kartli and Kakheti peaked visually: Irakli II issued in AH 1179 a new type with a blazon of the Bagrationi dynasty, serving as a true state coat of arms in this case. 11 years later the coin type was changed again (to declare the change of the weight standard?): The coat of arms was replaced with an effigy of

a fish (i.e., again an allusion to Christ). The 1780s witnessed an introduction of yet another new type – double-head eagle; the latter pertained to the Georgian and not Russian numismatic legacy (appearing in the contemporary and earlier Georgian documents), although it was certainly styled after the eagle on the contemporary Russian coppers. A single-headed eagle appeared in 1796 (again in order to declare the change of the weight standard?). Giorgi XII reintroduced the fish effigy. In AH 1215 Tiflis mint issued a copper coin with an effigy of peacock, and the mintname (Tiflis) in Georgia, for the first time, ever, but the name of prince Davit, the incumbent regent was omitted.

The following trends are distinguishable:

- Nationalization (rejecting the anonymity and regaining the minting right, iconographic transformation);
- Christianization, perhaps as part of Nationalization: Depicting a Fish, as an allusion to Christ; as well as Noah's Ark (in one case), indicating the AD date;
- Retaining the Oriental appearance (at least partially due to employing the archaic minting technology, or in virtue of tradition, perhaps deliberately);
- Caution: Not indicating the title, de facto iconographic mask of traditional civic copper, incomplete Christianization (not depicting the Cross).

Both internal and foreign factors were affecting the monetary policy pursued by Georgian authorities controlling the Tiflis mint.

## HISTORICAL TERRITORIAL COATS OF ARMS OF GEORGIA

DAVID KLDIASHVILI

The emergence of the first Georgian classical coats of arms is closely linked to the Russian Empire's influence. According to the 1840 reform the Transcaucasus was divided into two administrative units, where the Georgia-Imeretian province was composed of 11 counties, and Tbilisi was the capital of the province. In 1843 the coats of arms for Tbilisi, Kutaisi, Gori, Telavi, Zakatala, and other cities of the region were approved. However, in 1851 a new, revised coat of arms of the Georgia-Imereti province was adopted.

In 1851 Emperor Nicolas I issued a special decree on the replacement of nondescript urban and territorial coats of arms. According to the special decree, issued by the Emperor Alexander III in 1857, a special unit dealing with the coats of arms was formed at the Heraldic Department of the Russian Senate. The head of the section was a German baron Bernhard Karl von Koehne (Boris Vladimirovich). He designed new Georgian arms based on the European pattern. The artist was Nikolay Fadeev. The arms of Kutaisi city and province were adopted in 1870; the arms of Tbilisi city and province in 1878 and the Batumi county arms in 1881. The coat of arms of the Georgian kingdom under the Georgian crown, created in 1857, was in use till 1917.

## HERALDRY OF IMERETI KINGDOM IN 1800-1810

GEORGE LOBZHANIDZE

Books published in the Royal Print House of Kutaisi represent an important source for studying the heraldic heritage of the west Georgian Kingdom of Imereti in 1800-1810. The Royal Print House was opened during the reign of King Solomon II in 1800 and functioned until 1810 - before the occupation of the Kingdom by the Russian Empire. The emblems (royal and ecclesiastic) are included in the books of religious character (new testaments, gospels, prayers, etc.). Those Royal emblems show strong similarity with the Kvartian-Davitiani emblems of east Georgian kingdom of Kartli (Kartli-Kakheti).

Kvartian-Davitiani emblem derives its name from the symbol of Seamless Robe of Jesus (Georgian: Kvarti), being claimed to be preserved in Svetitskhoveli cathedral according to the Georgian tradition, and symbols of the biblical King David of Israel (harp and sling), who is claimed to be an ancestor of the Bagrationi Royal House of Georgia. The emblem also contains Georgian religious scripts (psalm 131:11; gospel of john 19:23) and royal insignia, typical of Georgian and European heraldry.

Another variety of Kvartian-Davitiani emblem, which appears in 1803 book and with some modifications in 1808 and 1810, shows obvious similarity with the Royal seal of East Georgian King Erekle II. The major difference is an image of Unicorn that replaces horse in the Imeretian emblem. The Unicorn is also depicted on the personal emblem of the Imeretian Archimandrite Zachary (1810) and some other earlier and later Emblems (e.g. emblem of Athanase Tbileli, 1765; emblem of Rusishvili family, second half of the 19<sup>th</sup> century).

Georgian scholar Ioane Batonishvili in his encyclopedic work Kalmasoba (1828) mentions, that unicorn was depicted on the emblem of the King David IV of Georgia (12c). We think that depiction of Unicorn on Imeretian Emblem could be associated with David IV's above-mentioned emblem, which cannot be verified today.

It is noteworthy that the Royal emblem from 1808 (1810) is the last known emblem of Independent Georgian feudal state.

## **ORDER KING TAMAR** **(FROM THE HISTORY OF THE FIRST GEORGIAN ORDER)**

**NIKO JAVAKHISHVILI**

This abstract reviews the history of first Georgian military award the Order King Tamar. The order was founded by the Georgian Legion during the World War I for the militaries fighting side by side with Germany and its allies. The Legion was encamped on the territory of Turkey, in the historical land of Chaneti. This award was made official by the Democratic Republic of Georgia in 1918 and recognized as an order of merit. A large group of Germans was awarded with the Order by the Government of the Democratic Republic of Georgia. In 1941 the Order was reestablished for the German-Georgian military and political alliance.

It was awarded to both civils and militaries, who had rendered extraordinary service in the cause of Georgian independence and great personal contribution to the German-Georgian alliance.

The Georgian Chevaliers of the Order were Leo Kereslidze, Davit (Data) Vachnadze, Stephane Akhmeteli, Niko Nikoladze, Memed Abashidze, Kadir Sharvashidze, Alexandre Grigolia, Niko Khorava and others. Paul Van Hindenburg, Erich Von Ludendorff and others are among the German Chevaliers of the Order.

There are three degrees of the order. On the orders of all three degrees there is a gilt silver embossed portrait of the King Tamar on the blue enamel medallion placed in the middle of the eight-pointed Silver Star. There is a motto in gold around the medallion: "Georgian Legion 1915". The diameter of the first degree order is 95 mm, the diameter of the medallion in the center- 27 mm. There are two diamond lines surrounding the medallion. The diameter of the second degree order is 78 mm, the medallion, which is similar to the one of the first degree order, is surrounded with one diamond line. The third degree order is 71-64 mm in diameter, the medallion is the similar to the first and the second degrees, however, it doesn't have diamonds around it and the star points are covered with matt silver. The third degree order is mostly produced of copper and is molded from silver only in special occasions.

The different degrees of the Order King Tamar is preserved in the national Museum of Georgia, the collection of US Numismatic Society, Hermitage storage facility and other museums and private collections.